

26



ISSN 0132

საქართველოს
ხალხთა ლიტერატურა

საქართველო

12

1979



ენათობი

ქველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ნომერი 56-ე № 12 დეკემბერი, 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი წლის, ახალი ამოცანების მიჯნაზე	3
მუხამედი ლევაინძე — ლექსები	7
ლალო სულაბერიძე — მარინაა, პოემა	16
მზარ კვიციანი — ოთხი ასაძი, ლექსი	23
იუზა შაშიშვილი — ბავშვთაღმებ, რომანი, დასასრული	29
ენვირ ნინიაშვილი — ლექსები	94
ზურაბ კუნიანიძე — ლექსები	98
გორის ანდრონიკაშვილი — მოთხრობები	101
როდამ ჩანაძიძე — ქაში მწერნიშა, მოთხრობა	113
კალე გომიანიძე — ლექსები	129
ქეთევან ხილაშვილი — მოთხრობები	132
თანამდროვე პოლონური პოეზია — თარგმ. მიხეილ კალიძემ	140
სერგეი ბარუჩოვი — მოთხრობები, თარგმ. ნინო სამუქაშვილმა	149

100 0. ბ. სტალინი 100

ალექსანდრე ბაკოვი — მოთხრობანი	157
--	-----

კრიტიკა და კუბლიცისტკა

ნოდარ ბოლოქაძე — აკაკი ბაქრაძის	166
გიორგი ციციშვილი — სული კობახიძე, ზეიბი მამულაშვილის	170
სოფია შაველიანი — მიხეილ გუბაშვილი და სიმეონ	178
ვლადიმერ უიგანტი — კობახიძის კრიტიკული წიგნი	185
წიგნიანი საკითხი	188

მთავარი რედაქტორი ბიორგპი ნატროსვილი

საკრედიტო კოლმეგობარი

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. აბაშვილი (პო. რედ. მოადგილე), ხ. ბარულავა, თ. ბიბიანი-
 თხიფიანი, ა. გომიანიანი, ა. კალაძე, მ. ლეონიძე, ლ. მთაწარიანი, ა. ნაღვლიანი,
 ბ. ქუთათელი, დ. უნივერსალი, ნ. ვაჟა-ფშაველას, ვ. ვაჟა-ფშაველას, თ. ვილახვი, ზ. ხარაძე,
 რ. ჯანაშიანი, ვ. ჯიბლაძე.

ტიპოგრაფიული რ. ნაკვეთები

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქციის — 98-55-11.
 პო. რედ. მოადგილის — 98-55-12, ვაჟა-ფშა-
 ველას — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცემა ასაწყობად 13/XI-79 წ. ხელმოწერი-
 ლი უსასტეკოდ 19/XII-79 წ. ასაწყობის ზომა
 71/2 X 12. ცალიდის ფორმატი 70 X 108/16,
 ფიხური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
 თანაბი 16,58.

№ 13333. ტირაჟი 19.000. შეჯ. 2826
 ნაბეჭდი ფურცელი 13, საადრ.-სავაჭრომცემლო
 სპ. კ. ცის გამომცემლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ახალი წლის, ახალი ამოცანების მიზნაჯი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა:

„დაე, რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს ბოლომდე შეეგნოს თავისი პირადი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ღირსეული ადგილი დაეკავებინოს სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. მომავალი წელი ხომ, როგორც ლეონიდ ილიაძე ბრძენებმა თქვა, ეს იქნება არა მარტო მიმდინარე ხუთწლეულის დამამთავრებელი წელი, არამედ ბაზაც, რომელსაც მომდევნო ხუთწლედი დაეფუძნება“.

ამ სიტყვებში ნათლად არის გადმოცემული თუ რაოდენ დიდი, რაოდენ საპასუხისმგებლო და საპატიოა მთელი ჩვენი ხალხის — საქართველოს მუშათა კლასის, სოფლის მშრომელებისა და სახალხო ინტელიგენციის მთავარი ამოცანა მათე ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს: რესპუბლიკის ყოველმა მშრომელმა ბოლომდე უნდა შეეგნოს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული კაცის პირად შრომას, პირად თაოსნობას, მის პატრიოტულ თავდადებას: ყოველი მუშის, კოლმეჩრანის, ინტელიგენტის, ყოველი საბკოთა პატრიოტის გული და გონება უნდა განიმსჭვალოს იმ რწმენით, რომ მისი პირადი შრომა ერთვის დიდ სახალხო მოძრაობას კომუნისტური ასაშენებლად, რომ მისი შრომა აუცილებელია ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათე ხუთწლეულის გეგმის შესასრულებლად საჭიროა გავაძლიეროთ მასების შრომითი აქტივობა, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შევიბრება, მიზნად დავესახოთ მას ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ყოველმხრივ დაუჭვიროთ მხარი და გავაერთოთ მოწინავე გამოცდილება, რომელიც ფართო ვასაქანს აძლევს და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას; ამას გარდა, სათუთად უნდა გავუფრთხილდეთ სახალხო დოვლათს, რაციონალურად განვივიყენოთ რესურსები, განვამტკიცოთ ორგანიზებულობა და დისციპლინა; სწორედ ეს არის ახლა ორგანიზაციული, მასობრივი-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულება.

ახლა უპირველესი ამოცანა, ის არის, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებანი გავაცნოთ თითოეულ საბჭოთა ადამიანს, ზუსტად განვსაზღვროთ, თუ კონკრეტულად რა და რა ვადებში უნდა გააკეთონ მათ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, უნარიანად და ორგანიზებულად უნდა მოეაწყოთ მუშაობა და ამით უნდა უზრუნველყოთ, რომ ყველა კოლექტივმა მთლიანად და გადაჭარბებულად შეასრულოს სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. ამ დიდ

საქმეში განუზომელია მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების როლი; მათ მკაფიოდ და გასაგებად უნდა გააშუქონ ხალხის შრომისა და ბრძოლის სიდიადე, აქტიურად დაუჭირონ მხარი ყოველ შემოქმედებით წამოწყებას, რომელსაც წინ მიჰყავს კომუნისმის მშენებლობის საქმე.

რა როლი უნდა შეასრულონ, რა ადგილი უნდა დაიჭირონ შემოქმედებითმა კავშირებმა და, პირველ რიგში, ქართული მწერლობის სახელოვანმა კოლექტივმა ამ დიდი სამეურნეო ამოცანების განხორციელების დროს? ძალიან დიდი და საპატიო. მათ ხელი უნდა შეუწყონ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაფანსალებას, რომელსაც არაერთგზის მოუხდენია სასწაულები ჩვენს ისტორიაშიც და აწმყოშიც, მათ უნდა მოახდინონ მთელი ხალხის დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომის იდეოლოგიური უზრუნველყოფა. რას ნიშნავს ეს? უიდეოლოგიოდ, უმიზნოდ და უახზოდ ჰვეყნად არაფერი დიადი არ გაკეთებულა არც მატერიალური, არც სულიერი კულტურის სფეროში. დიდი და ნათელი იდეა უნათებდა გზას ჩვენს ხალხს წარსულშიც და აწმყოშიც, დიდმა და ნათელმა იდეამ აავო სვეტიცხოველი და ენგურპესი, დიდმა და ნათელმა იდეამ შექმნა „ვეფხისტყაოსანი“ და მთელი ქართული კულტურა, რომელმაც გაუძლო საუკუნეებს და მარადიული სიცოცხლე დაიმკვიდრა. იდეოლოგიური უზრუნველყოფა ნიშნავს იპოვნო ჰეშმარიტი გზა ხალხის გულისაკენ და, ამრიგად, ხელი შეუწყო ქართველი ხალხის კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვან იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებსაც ჩვენს წინაშე სახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

დღევანდელ ვითარებაში ახალი ძალით და სიმძაფრით წამოიჭრა ჩვენს წინაშე ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემა, აუცილებელ

ლი გახდა მწერალი უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად ჩაერის ცხოვრებაში, პირდაპირ თქვას თავის სიტყვა მტკივნეულზე, ყოველდღიურზე, ხალხის ცხოვრების სასიცოცხლო საკითხებზე, წახალისოს ახალი, ნოვატორული, და დაგმოს ნეგატიური — ის, რაც დახავსებულია, რაც ძველია და რაც ეღობება ჩვენს წინსვლას. და ეს ასეც უნდა იყოს: ყველაფერი რაც ხდება საქართველოში — უშუალოდ ეხება ქართველ მწერალს, ყველაფერი — ავი იქნება თუ კარგი, — მისი საქმეც არის, მის სახლში ხდება, მის კერაზე.

და აი სწორედ ამიტომ არის საჭირო ჩვენც დავსახოთ და გავითვალისწინოთ, თუ რა უნდა ვუთხრათ ჩვენს ხალხს, საით წარგმართოთ ქმედითი ძალა მხატვრული სიტყვისა, რათა მან წარმატებით შეასრულოს თავისი როლი, შეასრულოს ისე, როგორც ამას პარტია მოითხოვს, შეასრულოს დამრავმველის, ხალხის, ახალგაზრდობის აღმზრდელის როლი საერთოდაც და დღევანდელ ვითარებაშიც, მეოცე საუკუნის მიწურულშიც და უახლოესი წლების მანძილზეც, მეთაფ ხუთწლედის ბოლო წელს, როცა უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ახალი ისტორიული ეტაპი სოციალისტური საქართველოს ცხოვრებაში, რომელიც შეამზადა და დაამკვიდრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დაუღალავმა და დაუცხრომელმა შემოქმედებითმა საქმიანობამ; ყველა სფეროს შეეხო ეს გარდაქმნა და კერძოდ იდეოლოგიურ ფრონტსაც, სადაც წარმატებით მიდის ძალთა დიდი მობილიზაცია მორალურ და ფსიქოლოგიურ პრობლემათა ვადასაჭრელად.

არაერთგზის აღნიშნულა მორალური ფაქტორის განუზომელი როლი ახლის შენების პროცესში. ცხადია, ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს მატერიალური ინტერესის პირველადობა, მატერიალური და მორალური სტიმულების ურთიერთ შეფარდება. გავიხსენოთ დიდი ლენინის სიტყვები: „უპირატესობის მინიჭება დამკვრელობაში გულისხმობს

უპირატესობის მინიჭებას მოხმარებინს სფეროში. უამისოდ დამკვერლობა — ოცნებაა, ღრუბლის ქულაა; ჩვენ კი, რაც უნდა იყოს, მატერიალისტები ვართ“; მაგრამ ლენინი იმასაც გვასწავლის, რომ ეს მატერიალიზმი ხელს არ გვიშლის ვიყვნეთ რომანტიკოსებიც. ვიყვნეთ მეოცნებენიც და მაღალი იდეალების მოტრფიალენიც, ვიყვნეთ „იდეალისტებიც“ ამ სიტყვების არაფილოსოფიური გაგებით, არამედ იმ უბრალო გაგებით, რასაც მოიცავს სიტყვა „იდეალები“. აქ იწყება სწორედ ის მორალური ატმოსფერო, მორალური კლიმატი, სადაც მწერალს ეძლევა უფართოები ასპარეზი სამოქმედოდ; და როგორც კი ამ ატმოსფეროში სიცივეები, თუნდაც ოდნავი აგრძობა დაიწყება, ადამიანი უმალ იგრძობს ამას, ვერ ეგუება ამ სიცივეს, ამ გულგრილობას. შემოქმედის კერაზე ცეცხლი არასოდეს არ უნდა გაქრეს და მისი კერის სითბო უნდა გადაედებოდეს ადამიანის სულს, აღანთებდეს მას სამოქმედოდ. აი აქ არის მწერლის, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სამუშაო დაზგაც; ის უნდა წარმართედეს მორალურ ატმოსფეროს, იმ გულთოდ ურთიერთობას ადამიანებისა, რომელიც სუფევს შრომით კოლექტივში, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჯნევემ უწოდა სოციალისტური ნაზოგადობების ძირითადი უჯრედი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჯნევემ იქვე დასძინა, რომ ეს არის დიდმნიშვნელოვანი ბრძოლის ველი, აქ იქმნება მეგობრობის და ურთიერთდახმარების დამოკიდებულებაო. აი ასე, თასი ძაფით არიან გადასკვნილი და გადახლართული ყოფა და წარმოება, კაცის სული და საქარხნო დაზგა, თუ საკოლმეურნეო მინდობი.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით იმ ახალ ნაწარმოებებს, რომელიც ქართველმა მწერლებმა მიუძღვნეს სოციალისტური შრომის თემას და რომლებმაც დიდად

გამადიდრეს საბჭოთა ლიტერატურის ისტორია, მაგრამ არ შეიძლება ერთი ტიპური მაგალითი არ გავიხსენოთ, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა და პარტიის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით. 1979 წლის 17 აგვისტოს აბაშაში გაიმართა სოფლის მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. თავის სიტყვაში მან აღნიშნა:

„თათბირ-სემინარის მონაწილეთა ხელში ვხედავ ჩვენი ერთობ ცნობილი პროზაიკოსისა და პუბლიცისტის კონსტანტინე ლორთქიფანიძის წიგნს. სხვათა შორის, თვითონ იგი აქ არის, ამ დარბაზში და სემინარის მუშაობაში მონაწილეობს. ეს წიგნი გახლავს მწერლის ნაკვეთი — „რა მოხდა აბაშაში“, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა. ეტყობა სწორედ იმ საკითხმა — რა მოხდა აბაშაში — შეკარბა აქ თათბირ-სემინარის მონაწილენი“.

ამ სიტყვებში მოცემულია მართლაც ქეშმარიტად ღირსეული დაფასება მწერლის შრომისა და პატრიოტული ღვაწლისა; ზემოხსენებულმა წიგნმა გამოხატა ყოფა და სინამდვილე ერთი მოწინავე რაიონისა, სადაც ბრძოლა შრომის ნაყოფიერებისა და საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ორგანულად შერწყმულია ახალი ადამიანის აღზრდასთან, იმ ადამიანის აღზრდასთან, რომელიც, როგორც პატრონი თავის ქვეყნისა, მუდამ წინ იცქირება, ფიქრობს, ქმნის; ის განუყრელად აკავშირებს ერთიმეორესთან შრომას, სწავლას და ყოფას.

აი ეს არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მუშაობდეს

მწერალი დღეს, ხუთწლედის დამძაფრებული შრომის ფრონტზე.

• • •

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ეთქვათ ქართული მწერლობის უძველეს და სახელოვან ტრადიციებზე, იმაზე, რომ მის თემატიკაში მუდამ უმნიშვნელოვანესი და საპატიო ადგილი ეკუთრა შრომის თემს; XIX საუკუნის დიდ მედროშეს ილია ჭავჭავაძეს ასე ესახებოდა საქართველოს მომავალი: „შრომის სუფევა მოვა მაშინ, ვეშმარიტების მის ძლიერებით და განმტკიცდება სოფელსა შინა კაცთმოყვარეობის სახიერებით“. ილიას ეს ოცნება, ეს ნატურა სინამდვილედ აქცია ჩვენმა საუკუნემ, შრომის ქეშმარიტი სუფევის საუკუნემ; მაგრამ შრომის ასახვის ტრადიციას უფრო შორეული წარსულიც აქვს. თხუთმეტი საუკუნის წინ დაიწერა პირველი ქართული მოთხრობა და აი პირველივე ქართველი პროზაიკოსი, ყოველშემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული პირველი, თავის მთავარ გმირს შუშანიკს ყველაზე მძიმე განსაცდელის ქამს, სიკვდილის წინა წუთებში, მომავალ თაობათა გასაგონად, მათ შორის, ჩვენს გასაგონათაც, ანდერძად ათქმევინებს: „ვეზიარო მე დიდებასა და პატივსა ცათა შინა დაუსრულებელსა... ვარ უკანასკნელი ესე მეთერთმეტე მოქმედი ვენახისაი“.

მოქმედი მაშინ მუშას და მუშაკს ნიშნავდა.

ეს არის პირველი პიშვი შრომისადმი აი რა ესახებოდა, რა ეამაყებოდა ადამიანს თვით იმ უძველეს დროს, რა მიაჩნდა ყველაზე წმინდა საქმედ ამ წუთისოფელში — მე დედოფალი კი არა, ვენახის მუშა ვარო, ისიც უკანასკნელი — მეთერთმეტე. ამიტომ ვეზიარო დიდებასა და პატივს; მან იცოდა,

რომ შრომა ყველაფრის სათავე, აქედან იწყება ყველაფერი, ფილოსოფია, ეთიკა, პოლიტიკა, ეს არის კრიტიკული, საზომი და სასწორი კაცის ქველობისა და კეთილი საქმეებისა.

საქართველოს ისტორია უნდებოდა „ქვითა კეთილთა და ქვითა პატიოსნითა“; ამიტომ გაუძღეს ჩვენმა ძეგლებმა საუკუნეებს. მათ აშენებდა ხელი კაცი-სა, რომლის შრომას ცით მინიჭებული მადლი ჰქონდა. იგივე ხელები ამკობდნენ ტაძრებისა და სასახლეების კედლებს მოხატულობით; მათ, ამ უბრალო, კეთილ ხელებს მოჰქონდათ სიხარული ქვეყნისათვის, ისინი აძლედნენ ძალას პოლიტიკოსსაც და ფილოსოფოსსაც ყოფილიყო ბრძენი თუ ის მართლა ბრძენი იყო, ხოლო პოეტსა და მომღერალს ისინი ხელთ აწვდიდნენ ჩანგს და შეასხამდნენ იმ უკვდავ ფრთებს, რომლითაც შეეძლო ასულიყო ყველაზე მაღლა და ეფერინა მომავალ საუკუნეებში.

ასეთი იყო ტრადიცია, ასეთია დღევანდელი დღეც; ქართული მწერლობა მუდამ თავის ხალხთან იყო და ახლაც მასთან არის იმ დიდ შრომაში, რომელიც ახლა საქართველოს მიწაზე გაჩაღებული. მწერალი დგას ამ მშრომელთა — მეფოლადეთა და მევენახეთა, მხენელ-მთესველთა და მეჩაიეთა გვერდით, მათთან მხარდამხარ, როგორც მუდამ. შორიდან მისაღმება კი არც გეჩვენია და არც არაფერს მოიტანს.

ახალი ღვაწლისათვის, ახალი გმირებისათვის არის შემართული დღეს მთელი საქართველო და ეს არის უმტკიცესი საწინდარი იმისა, რომ იგი კვლავ გოლიათის ნაბიჯებით წავა წინ, ნათელი მომავლისაკენ.

აი ამ რწმენით ვეგებებით ახალ წელს, რომელმაც ახალი სიხარული უნდა მოუტანოს ჩვენს მზიან სამშობლოს.



ახალი ლექსები

ფუნიკის ლანდი

ის მოაბიჯებს ძეძვით, შამშნარით,
ფეხებდამსკდარი მხურვალე რიყით;
თქვენ გზას ეკლიანს მას ვერ აკმარებთ,
ის დაასრულებს ცხოვრებას ციხით...
მაგრამ გაჩნდება მისი პროფილი,
მძლე სილუეტი ფოლადის შვილით...
მან კარგად იცის, — არის სოფელი
ამ აწმყოსა და მყოობადს იქით!

• • •

პუშკინმა სკვერი არჩია,
ლერმონტოვს — ჰკლავენ ტრამალში,
სიკვდილისაკენ გასწია
ლორდ ბაირონმა ლამანშით.

პეტიფიც მაგათ მხარშია,
ისიც ქარშია ფრთამალში,
გვწამს ფედერიკო გარსია —
უხორციოსავით მამაცი!

ვთქვათ, ტრაგედია არც კია:
თავგაყოფილი დრამაში
ვახსენოთ, ხარჯი — ხარჯია,
ესენინ, ბიჭი ლამაზი!

პოეტი სხვაგან ასია,
 საქართველოში — სამასია,
 გალაკტიონი — თავშია,
 რალა თქმა უნდა, ამაშიც...

დიდი პოეტი მსგავსია
 და ყველა ერთი მთავარში:
 სუყველა — დიდი ბავშვია,
 უყვარს —
 სიკვდილთან თამაში

• • •

ასე მგონია, მეც მოდევს წილი,
 ამ ხეობაში რომ განფრთხა მილი,
 ერთურთის ეშხით, ერთურთის ჭიბრით
 რომ მშენებლობის
 დროშაა შლილი.

გალმიდან მესმის ჭრიალი ხერხის,
 ხრეში, აგური, საბუხრე თლილი...
 გონს, გონს მოსულა პატრონი ქვეყნის —
 დაპბრუნებია
 ხეობას შვილი.

მამაპაპეულს ოცნებობს ყურძენს,
 მოსიზმრებია თალარის ჩრდილი,
 პაპისპაპისას აახლებს ფუძეს —
 კისრამდე ადგას
 საძირკვლის თბრილი.

მზე მოკვდება და ჩაესვენება,
 ხვალ სექტემბერი დაპბერავს გრილი;
 აწ უსაშველოდ არ მეჩვენება
 ყრუ ხეობა და
 წვიმები წვრილი.

ჩემია — ლობჯე ჩემია — ძალი
 ჩემია — კორღზე ხეხილი ჩვილი...
 დგან ძვირფას კორღზე ძვირფასი სახლი —
 პა, ლექსინ გარდა,
 პოეტის წვლილი

ნოემბრის ცხრაა, უკვე ცხრაც მიდის,
 კო, ათი ჰქვია ფეხადგმულ ხვალეს,
 ლამის ხუთია, ვხედავ მთაწმინდას,
 ვხედავ მთაწმინდის გაცრეცილ მთვარეს...

ავადმყოფ ღვინოს, უკვე დაწმენდილს,
 (მარტოდმარტო ვარ) ჯერ ისევ მწარეს,
 ვსვამ, კრულვას ვუთვლი ლანარს წარწყმენდილს,
 და... ვადღეგრძელებ...
 სამშობლო მხარენ.

კაცობრიობა — არ იწყება კაცის შექმნიდან!
 ჭირიმე შენი
 თოჯინანაგვით გაკეთებულო
 ერთი ნეკნიდან!

ვერაფერს ისეთს
 მე ვერ მოგწერ — ახალი არ ჩანს;
 ვართ ძველებურად,
 ვართ საბრალო
 მოწყენილ რაქას.

ღიან დღეები,
 ვცხოვრობთ წელსაც არჩვადის ქოხში,
 ვაშენებთ ჩვენსას,
 ვლამობ გაცვლას
 კალმისას თოხში...

პამიდვრებს ესარავთ,
 სიმინდს ვთოხნით, ლობიოს ვბუდნით.
 მირჩიეს — კორდი
 ამ შემოდევს გადავხნა გუთნით.

ვგრძნობ საოცრებას:
 სისხლში გენი იღვიძებს გლეხის,
 ვცნობ სულიერ და
 ვცნობ ხორციელ
 არსებად ხეხილს.

* * *
 შევეშვი ქვეყნურ
 სატკივარზე ბუზღუნს და ყეფას,
 ვწვევარ გულადმა
 ლობიო-პარტ
 ლამბაქი კეპავს...

* * *
 საბრალო დედა
 რა უხარის?! — შენება სახლის
 ვხედავ დაღსღს და
 სათვალისანს —
 წერილზე დახრილს...

* * *
 ხანდისხან მაინც,
 კაცნი ვართ და, გადაეშლი პრენან —
 ვაცობრიობის
 ყურს მივუგდებ
 ოხვრას და კვნენან...

* * *
 არ მითხრა ახლა,
 რომ უომრად პოეტი ვერ ძღვებს:
 ვწერ გაზაფხულებს,
 შემოდგომებს —
 წყინარ ლექსებს.

* * *
 ჩემი საღამო
 ერთობლივად მტყუანს და მართალს
 ფერი ვიცვალე —
 დავეთანხმე
 ჭაბუას დათან...

* * *
 ცხოვრების ბოლოს
 მარტობა არჩია ბევრმა,
 ვიქნებით ასე —
 ჩვენ და ჩვენი
 პაწია ფერმა

* * *

■

ამ ბრიყვის ჰგონია, — ჩემთვის ვაშენებ!
 „სახლს იშენებსო!“ — ან ეშლებათ, ანდა სტყუიანი
 მე შენ წაგიყვან და საქვალე გორმასს გაჩვენებ,
 სადაც...
 ცაცხვები ბზუიან...



ახლაც არ გჯერა!! ახლაც არ გჯერა!!
აქვთ ამათ რამე!! ნივთიერი რაიმე წაჰყვით!!
შეუღბამათ ქარებს, თოვლებს, წვიმებს წარწერა —
ღირს მოწყენილი

კორდი ესე
დროდიდრო ნახვად!

2

სხვისას, მშვენიერად,
უგუნური შეგყურებს წყენით
სხვისას, მშვენიერად,
პოეზია ჩანგით ხვდებოდა!
მინვრ-მოინვრნებს
შენ-ჩემობით სატატოთ ბკენი,
სხვისის სახვეჭად
და სარბევად სპა იყრებოდა...
და მაინც იტყვის
მიუდგომლად პოეტი ბრძენი:
რომ არ რქმეოდათ
სახლებს, ტაძრებს „ჩემი“ და „შენს“,
რომ არ რქმეოდათ
აზრებს, ლაშქრებს „ჩემი“ და „შენს“,
არ იქნებოდა
არაფერი კეთილად მშვენი,
არაფერი —
არ იქნებოდა..

3

არც ეს ხეზილი —
ჩემი ხელით კორდზე ჩაყრილი,
არც ეს ქვიტკირი
(ჩემსას ამბობს) — ჩემი არ არის!
ხვალ სხვა გაჩნდება,
სხვას დარჩება კრელი აპრილი,
ხვალ სხვა დაჯდება,
სულ სხვა იტყვის პარიპარალეს!

• • •

მოვა სექტემბერი წვიმით და ტალახით
და უცბად მოიწყენს პატარა ქალაქში...

იღარც „დამნიკები“, იღარც ბაზრობები,
იღარც „ტურისტები“, იღარც გაცნობები!

აღარც ქოლგები და აღარც „ფიატები“,
 აღარც ბრკოლდები და აღარც გვიანდები.

ცვივა ხეივანში კრელპრული ფურცლები;
 ქებაძის — ფანჯრები, არჩვადის — ყურძნები...

პაწია სვეტრები — პროვინციულია,
 ბულვარს რომ გადადის — მგონი, ციურია...

პატარა მოწყენილ ქალაქს რა სჯობია —
 აქ ყველა გიცნობს და ყველა ნაცნობია.

და ყოველ საღამოს (რა უნდა აკეთოს!)
 არც გაგემტყუნება, — რესტორანს დახედო!

ან ძმაცაცს მიადგე, ძმობა — სიყეთეა!
 ვსაუბრობთ, კიჭაზე ხელი გვიკიდია.

გავყურებთ შოდან და რიონის სანახებს,
 ვთხრობთ ძნელადგასაძლის სატახტო ქალაქებს.

და მყუდრო დღეები დღეებს მიჰყვებიან —
 ტბაზე გაბაწრული საწყალი იხვებია.

არის მოწყენაში რაღაც სიტკბოება,
 რაც რკინის ქალაქში აღარ იპოვება...

სად ვიყავ, სად ვიყავ, სად ვიყავ აქამდის!
 „მშვიდობით“ თუ არა, რად არ ვთქვი „ნახვამდის“!

რაქაში, ლეჩხუმში, სვანეთში, იმერეთში,
 გვიან — სიბერეში, გვიან — სიბერეში —

სექტემბრის წვიმებით, ოქტომბრის ტალახით —
 მიყვარს მოწყენილი პატარა ქალაქი!

• • •

იმდენი ვწერე სოფლის დაშლაზე,
 შქერზე, პარტახზე, ობლის ვარსკვლავზე,
 მთებზე,

ღრუბლები
 სადაც ოდენ
 დაბალაბობენ,

რომ დავიღალე ამდენი წერით,
 მე გაეჩუმდი და იმ სათქმელს ჯერით

უკვე თავისად
 ახლა თვითონ
 ლაბარაკობენ...

* * *
 — შერედა, რას წუხილ
 ხომ, ხომ იგრძნო ერმა და ბერმა
 პარტახის გესლით
 რაილა გვინდა, განვლო რაღაც ათასად შველმა —
 აღმოცენდა
 კეთილი თესლის!

ი ლ ი ა ს

ვერშემძღვებელი
 ზეკაცურის საქნარის შენიბ —
 ვერც შეათედის —
 ფეხის ნაღვამს დღეს შენსაბ ვკოცნი
 და, ქედგადრეკილო,
 ჭირის ოფლი კიდევაც გეშვენის,
 ტვირთს ვინაწილებთ
 ოღვს შენსას თხუთმეტნი, ოცნი...

შენ აღადგინე
 ერი ქართლის ხელახლა ვრად,
 შენ შეგვკმენ ვრად —
 შეიძლება ეს ასეც ითქვას...
 — „აწ საითი! რა გზით!“
 (ქარაშოტი გრიალებს ველად) —
 შექირვების ფაშს
 საქართველო
 ისევ შენ და ისევ შენ გკიახავს.

* * *

დაგრძელდა შემოდგომა, ზამთარი იგვიანებს,
 სანუქრად
 ოქროსფერმა
 დღეებმა
 იკრიალენ...

არის ილუზია: ისეთი საღამოა, —
 ზამთარი
 საერთოდ,

ნაერთოდ
... აღარ მოვია...

ღმერთო, ნაპატიე, --- ჳმუნვა განმტანდა:
რაღაც ---
მიხარია,
რაღაც ---
გამახალდა.

ქ კ რ თ ვ ე ლ ე ბ ი

მედიონისა

ხმამ მსუღეემ და ჳანიერმა მატარებელი შეყარა:
--- „ქართველები!!
რაღ ხალხი ვართა,
იციან, ძამა,
ქვეყანამ

თქს კარხი სუფრას შექმს, ხამი კაცი --- ქვეფს

ოთხა კაცი --- არიფიანს!
ხუთი --- პარტიას!
ექვსი კაცი --- მარიფენს ვწერთ,
შვილი --- ქარციას!

ჩვენ რომ --- ანი კაცი ვიყოთ,
ჩვენ რომ --- ერთს პირი გვეონდეს,
არ გვეალადეს საქილიკიად,
თანც --- ბაკი ბილიკობდეს,

მაშინ, მაშინ.. *

--- „რაი, მაშინ!!“

--- „რა ღა... ვუბ, ვიუთა
მომამორეთ აი ბავშვი,
ჩვენია თუ ალიფაშის,
თუ კაცი ხარ ვინია!
ჩემ თავს ველაპარაკები,
ჩემთვის ვუვები, ბიძია!

• • •


თუ ძმა ხარ, გამეფე, მიშვილო —
 ვართ პურის ქვეყნად განთქმული —
 ან სადმე კვერი მიჩვენე,
 ან ძნა მიჩვენე დაღმული
 ჭარხნის ცომ-პურა მომძულდა —
 ვარ დედასურის ნატრული —
 მოლურჯო პური მომსურდა,
 პური მომსურდა ჭართულში

ქმეკაცი ვპირჩევს

იზორაჲსა

მიეძალო
 კაი სადილს და კაი ვახშამს!
 შეეშვი მაგ შხამს!
 მიილე ჩემგან
 ძმური რჩევა და დავალებათ!
 მე, პირადად:
 თამბაქოს — თავი გავანებო!
 ღვინოს — თავი გავანებო!
 რადიო!!
 ხი-ხი...

ქალს —
 თავი ვერ გავანებო...



ლადო სულაგერიძე

მ კ რ ი უ რ ა

მღვა

I.

გვედრები, მგოსნის ჩანგო,
გარდამომხსენ, გვედრები.
მე და ჩემი მარტოსული
შენს შანდალთან შევერთდებით.
შენი ლექსის სტრიქონებით
მცირე ფაცხა დამიწანი,
შიგ შემიშვი სვედამპყნარი,
ჭალი სვედასამიწარი.
შენს რითმაში შეათბუნე
ჩემი სული თოშთოშალა.
გზებზე ჩემი ნაკვალევი
სისხლიანმა დრომ მოშალა.
მოძებნე და გამოჰყევი,
მგოსნის ჩანგო, ჯადოქარავ,
ისევ მიწა მომიზილე
საკოყედ და სადოქარად.
ამიყვავე მცირე ბალი,
მცირე ეზო ამიწვანე.
გამომტაცე უდაბნოებს, —
გამოფიტულ ნამიწარებს.
შენი ლექსის ბილიყებით
ჩემს მამულში მომაბრუნე.
მიმახეთქე მაგ ქარებთან,
მიმაფესვე ხოდაბუნებს.
გარდამომხსენ ამ ძელიდან,
მარტოობის ძელიდანა,
გულის ძგერა მომენტრა
ე მაგ გულის ძგერისთანა.

გამოჰყევი ჩემს გზას წყევლს
აპენინის კუნძულამდე.
ქართელის დედა სხვა ტომს ძუძუს
რადლა უნდა უწურავდეს?!
შემომისვი სიმზე, ჩანგო,
სევდის პანგთა სირინოზად.
მამულისკენ გეზი მიუც
ჩემ მყივანა მიმინოსა.
მე და ჩემი მარტოსული
შენს შანდალთან შევერთდებით.
გვედრები, მგოსნის ჩანგო,
გარდამომხსენ, გვედრები!

2.

ვაი, შენ, ჩემო
დაო შორეულო,
ჩამტყნარო ფესვო,
ვაზო მოლეულო.
ჩემთვის დაკარგულო,
სხვისთვის დახარჯულო,
ნესტრით დანესტრილო,
ხანჭლით დახანჭლელო.
შენთვის ჩემი ჩანგი
გამიმართია და...
სიმზე შენი დარდის
ჩიტი აფრთხილდა.
ჰოი, ასაფრენად
დამიგეშია და...
შენი ჳმუნვის მუხა
შორით შეშრილდა.

უნდა ავედევნო
 შენს კვალს, მარიუხა,
 ჩანგიც მომეთვისა,
 ჩანგმაც არ იღრჩა.
 ელეა შემომასკდა
 სისხლის ტბორებიდან,
 გზები გათქერილა
 ცხენთა ტორებითა.
 ხელში ხო შეგაქცნა
 ვარდი შირაზული,
 ციხე ხო გაგიტყდა
 რაზით ჩარაზული.
 ჭარი ხო გირბიეს,
 ჭარი დარაზმული.
 ხელში ხო შეგაქცნა
 ვარდი შირაზული.
 მამულს ავაგლიჯეს...
 ვაი, მამულითო...
 გულში ჰმუნვის წვენი
 რალამ ამოლიოს.
 აჩქეფებულა
 შენი საცრემლეთი.
 შენკენ მოვილტვოდი,
 ქარს ვერ ვაჩერებდი.
 პანგი გამიძაბავს
 ჩანგის ლარებითა,
 შორს ამოიზარდე
 სისხლის ღვარებიდან.
 ვაი, შენ, ჩემო
 დაო მილეულო,
 კენესაც ფუქეულო,
 ლიბოვ ძირეულო,
 ღრმა ღამეებიდან
 ამომზირეულობ,
 ვაი, შენ, ჩემო
 დაო მილეულო.
 ჩანგმაც ეს სიმები
 აღარ გამოიურჩა,
 უნდა მოვეფონო
 შენს სულს, მარიუხა!

3.

მკორტნის, მკორტნის, მკორტნის
 შაპ აბასის ყორანი.
 სევედის მთა და კორდი
 შემრჩა შემოყორილი.
 ალაზნთან დამრჩა

მე ბავშვობის კვალი.
 ჩემს ნაკადულს დამშრალს
 სულ წყურია წყალი.
 შაპ აბასის ყორნის
 ბრწყვალებს სისხლი მოსწვეთს.
 საკახეთო ყოვლით
 მხარეს ცეცხლით მოსწვეს.
 ჩემი ყრმობის ფარჩას
 სწვავს იმ ცეცხლის ალი.
 ალაზნთან დამრჩა
 მე ბავშვობის კვალი.

4.

ალაზნთან ვნახე კვალი
 შენი ყრმობის, მარიუხა.
 ამ გზას სხვათა კახელთაცა
 სისხლიანი კვალი უჩანს.
 არ დამშრალა ცრემლთა ტბორი
 სპარსთა ცხენთა ნანალარზე.
 ჭარი ღეჰავს უღაბნოში
 შენს ხელთ ჩამშმარ ანანასებს.
 ჩაძონძილი შენი ლანდი
 თრთის სპარსელთა მახვილებზე.
 შენი ჰმუნვის სალეს ქვაზე
 მე ხმალივით აღვიღესე.
 მიჰყე, ჩემო ჩანგო, მიჰყე
 და აგმინდით, ჩემო ლარნო.
 მარიუხას ნავმა ჩემი
 ღეჰის ტბაში შემონაროს.
 ყიზილბაშთა ველურ ყიფინს
 გამოვტაცო გმინვა მისი.
 მარიუხა, შენი კენესა
 იმ შორეულ გზებზე ისმის.
 მოზელილი თბლის კვერი
 შენთვის არსად გამოცხვება.
 მაინც მისდევს ნათლის ბავშვი
 ქრისტე ღმერთის დამოძღვრებას.
 აგრე, აგრე, მარიუხა,
 ბედის რისხვას გაუძელი,
 სიხარულის შენის თასი
 მამულს დარჩა დაუცლელი.
 დღეს მივაგენ ალაზნთან,
 შენი ლანდი მიტომ ვიხმე-
 მიჰყე, ჩანგო, მივახლე
 გაწამებულ ქალის სიყრმეს.

მ. ბაქსის ნახ. ნახ.
 სსრ. სახელმწიფო

5.

წარსებს შეაკვდა მამა,
წარჩინებულთა გვარისა.
ეს პოემაა სამას
ათას კახელის ჯაგრისა).
აყარა შაპ აბასმა,
ძაბაპანს წარუკა მონებად.
ნუშა და კახაბზალსა
შუე ველარ მოეფონება.
გზად დაუკარგა დედა,
გზი-კვალი გაჰქრა დედისა.
სამი და ექმნა მწედა
ბეშვის სამი დაის ბედისას.
სამმა დამ უცნობი ობოლი
ცრემლიან კალთით ზიდა.
შორს დარჩა ლურჯი გომბორი,
აღარ ჩანს შორი გზიდან.
ძაბაპანამდე ითვისეს
შვიდი წლის გოგო ტანჯული.
ატარეს უცხო მინდვრისკენ,
ჰყვებეს პანტიით და ქანჭურით.
ვაი, თქვენ, გზასა მათებურს
ვინც ვერ გაუძეულთ ეკლიანს.
შირაზში, გასაგებებულთ,
მუხლები წაუდრეკიათ.

6.

დამხვდა ვარდი შირაზის,
რა მეშირაზებოდა.
გაცვდა ფერი შირაჯის,
ცა დამემზო ზემოდან.
მამა დარჩა ქარაფანს,
დედას განმაშორესა.
ღრუბლებს ვწნავდი კარავად,
სისხლში ანაშმორებდა.
ვდექ შირაზის წალკოტთან,
რა მეწალკოტებოდა.
ძაფის რგოლი წავგორდა,
ბედის ძაფი წყდებოდა.
წუთისოფლის საჩარხესთან
დავრჩი უცხო მხარეში.
მწარე კოცონს აჩალებდა
ქარი, სევდის ფარეში.
გზად ეკლები მათეღვინეს,
ვერ დამალაღს ვერა გზით...

შემეგება უცხო ვინმე
უცებ ქრისტეს პერანგით.

7.

ქრისტეს სჯულს და მამულის სჯულს
არა, არ უღალატო.
მაგ სულიდან, ქალწულო,
ღმერთმა ეშმა განავლტოს.
ქრისტეს მზემან დაგამშვეწნოს,
ვარდი რაა შირაზის.
შენ აგშორდეს ავი ქარი
სულის სათოშირასი.
აღაზეოს, აღგამიღლოს,
ქრისტეს რტოზე აღგამწვეანოს,
უცოდველო ბეშვო ჩემო,
ნახოკო და ნაკაწრალო.
შეაჩერდი შვების ცას,
თვალი გაგიმწყობარდება.
მამულის ცა გაირწმენე
ქრისტეს ზეცის ლაქვარდებად.
ქოხი რაა, ღვთისობლის
კალთა როცა გეფარება.
პური რაა, რწმენის პური
თუ აღგიგზნებს მგზნებარებას.
თოში რაა, ღვთიური
მზე თუკი სულს აფიცრის.
არსობის ფქვილს, განღტოლვილო,
ქრისტეს საცრით გაგიცრა.
აფარე ტანი ალგად,
ზარდე სულის ალგანი.
მოგცეს ნიჭი, ნიჭი თმენის
გულის ძირში განმალვის.
გამშვეწნდი და გავარდფერდი
წუთისოფლის არეზე.
ღვთის ნიაფი მონარნარე
მოფა, მოგიღვრესება.
თვალით მუქი მამულის
სევდით გაინსლე.
გაკამკამდი, განიწმინდე
ღვთიურ აირისებრ.
მაგ სულიდან, ქალწულო,
ღმერთმა ეშმა განავლტოს.
ქრისტეს ხატს და მამულის ხატს
არა, არ უღალატო.

8.

ჩანგო, პიეტრო
დელა ვალესთანა,
უცხოთან შესდექ
უმხურვალესთანა.
უცხო მისიონის
ღვთისმსახურ პიეტროს
ობოლ მარიუჩას
ცეცხლი მიენტო.
ბედის ღვთაებრივმა
ეტლმა გიეტლოს...
უსმინე, მარიუჩა,
მიენდე პიეტროს.
მოდღერის შეგონებამ
გამსქვალა მარიუჩა,
ღვთის სანთლის ალზე
ამოდ გაირუჯა.
ჩანგო, სიტყვა ამიღესე
ღვთიურ საღესთანა.
და შეგჩერდეთ პიეტრო
დელა ვალესთანაც.

9.

პიეტრო დელა ვალე,
პიეტრო დელა ვალე,
მე შენი სანთლის შუქი
მიელვარებდა თვალებს.
მე შენი ლოცვის ცეცხლი
მზრდიდა, მაწრთობდა, მწვავდა,
და ქრისტე ისე ვიწამე,
როგორაც შენა გწამდა.
ობოლი გოგო ვიყავი,
მედგა უღელი მონისა.
მტერმა სამშობლოს მომწყვიტა,
მტერმა სვე-ბედი მომისრა.
კარი გამიღე ქოხისა
უცხომ უცხოსა მხარესა.
შენმა ლოცვებმა ნუგეშის
ფოთლები შემაყარესა.
მასვი სიმტკიცის წვენი,
მთანგე მამულის რწმენით.
ლურჯი პერანგი მომართვი, —
საუფლისწილო ძღვენი.
მე ვერასოდეს გადვიხდი
მაგ შენს ღვთაებრივ ვალებს,
პიეტრო დელა ვალე,
პიეტრო დელა ვალე.

10.

ვაი, წუთისოფლის
მაცდურო თენებავ, —
ვაზს გააზარებ და
არ გაგერთველება.
ვაი, მარიუჩა
მშვენილება, ქალდება,
ქალწულს სილამაზე
აუბრიალდება.
გარს პარამხანების
კოცონი გიზგიზებს
და ვენება ხელდება
შაპის გვირგვინზე.
ვაი, მარიუჩას
სიმწყაზარესა,
ვაი, ამნაირ ვაზს,
ამნაირ მზვარესა.
სხვაა სილამაზე
ალაზნის პირებთან, —
შენც შენი ირემი
შემოგაყვირებდა.
გაგილადდებოდა
შენც შენი საფერი
ამგვარ სილამაზის
ფრთებით აფრენილს.
სადღაც გისაფრდება
ქარი უხეში,
ბნელში ახელებენ
გვიცებს უხედარს...
სხვაა სილამაზე
მონობის უღელში,
სხვაა სილამაზე
ალაზნის მუხებთან.
ვაი, მარიუჩა
მშვენილება, ქალდება,
ვაი, შენი პინი
სად გადაქანდება?!
გარს პარამხანების
კოცონი გიზგიზებს,
ემშანი როკავენ
შაპის გვირგვინზე.

11.

ღედოფალო ქეთევან,
საქართველო სად არი?
რა კალთაში ვერცხვ?

შენ მიმულის ზამთარი?
სად ჩემი და სად შენი
სევდა, დარდი, ვარაში.
აღარ არის საშველი
ამ დარბეულ ქარავნის?
დედოფალო, ალაზნის
ტალღის ფერი მიდნების.
ვიწვი ქრისტეს ალალ ზნით,
შშობელ ციხე და მინდვრებით.
უიზილაშის მახვილზე
ასხლეტილი ხბივი მკლავს.
მითხარ, ამდენ ნახიზნევეს
დედა მკერდს თუ მიმიკრავს?
წინ ღრუბლები დაზვიინდა,
შენ რო გზა-გზა დაგსდეგდა.
ჟურაობ სილამაზის და
გამძლეობის ტახტზედა.
სწერ სევდის და ტყვეობის
მარადიულ გუქარსა.
ათბობ მოყვასეობით
საწყაღ მარიუჩასაც.
ხად ჩემი და სად შენი
სევდა, დარდი, ვარაში.
აღარ არის საშველი
ამ დარბეულ ქარავნის?

12.

ვაჰმე, მარიუჩა,
რაროგ დამშვენებულხარ!
სიზმრის ტაძარზე
ცხოვლად დამშენებულხარ.
თათრის უღელში
გისანთლავენ აპურს.
რადღა ეშველებდა
ამ ქარავანს დარბეულს.
ბოღმა აღრჩობთ, მწამს,
ქართველთ გათათრებულთ, —
ჭირნახულს ვერ ვმკით
ჩვენსას მკათათვეურს.
რწმენის შუქიონი
ცამ თუ კვლავაც მისეტყვა,
მე არ დავთმობ ტახტს,
მიმულის და ქრისტეს ტახტს.
ვაჰმე, მარიუჩა,
მე გომზადებ შენ
მარადიულ პურს და
მარადიულ წვესს.

კვლავ აღზევდეთ უნდა
ქართველის დედანი,
კვლავ ანთებდეთ სანთლებს
ბნელში შეტანილს.
მიმულს გაუღრეკავ
მხედრებს გაუზრდიდეთ.
ააზიდვინებდეთ
ტვირთს ჭერ აუზიდველს.
შენი სილამაზის
ულორტი არ ამხმარა.
ვაჰმე, თვალს გამტრებებს
თათრის ჰარამხანა.
ვაჰმე, ხამეფლო
ჩემო, ავბელითო,
ვინღა აღგაღწეოს,
თუ არ ვავბერდებითო.
ღმერთო, ქეთევანი
მონა ღვთისა, გვედრო,
არ დაშრიტო საყრდნო
ძუძუ ქართველის დედის!

13.

ქართველი დედის მანდილი
მაღლა ცამდე ავიზიდავს.
დედოფალო, ჩემი სული
შენს კოცონზე ავიზვიზდა.
შენი შუქით წულუკარავში
მე ღრუბლები დამიზვიინდა.
წუთისოფლის სამღურავი
მესმის შენი ღამის ზვირიდან.
შინ ბრუნდება პიეტრო,
მიხმობს აპენინისაკენ.
მიმულისკენ გზა-ბილიკებს
ვერ მივაკვლევ ძლივს მისაკვლევს.
მე პიეტროს სალოცავში
უთვისტომოდ დავილევი.
მირჩევი გრწყა დედოფლის
ნისლიანი ყვავილები.

14.

ვაჰმე, მარიუჩა,
ვაჰმე პიეტროს,
ნუ გსურს შენი დარდიც
შემომიერთო.
მე მეყოფა ჩემი
ტანჯვის ჭვარიცა.

ჩემს მოწამე სულს
 სისხლი ჩარეცხავს.
 გდაგთელევენ მთლად
 ყიზილბაშები.
 ნაკადული ხარ,
 სულმთლად დაშრები.
 მიპყე, მარიუჩა,
 სიყვარულის გზას,
 გუშენე პიეტროს
 ვაზიცა და ბზაც.
 ვერ აიტან შენ
 ჩემებრ ასატანელს.
 განერიდე ჩქარა
 ამა სასატანეთს.
 ნუ შეხედავ შენ
 ჩემს წამებას, ჭვარცმას.
 ღვთის გზა აგირჩია
 მაგ ღვთიურმა კაცმა.
 მიპყე, მარიუჩა,
 სიყვარულის გზას.
 რეკდე გულმხურვალედ
 ქრისტეს საყდრის წარს.
 არსად შეარცხვენდე
 ჭართველ ქალის მანდილს.
 სულ იარე ქრისტეს
 და მამულის მანდლით.

15.

შენს მზეს ვფიცავ, შენსა მზესა,
 შენს მამულს და ძლიერ ტომს,
 არასოდეს ვუღალატებ
 კათოლიკე პიეტროს!
 შენს სიყვარულს აღვამაღლებ
 ჩემი კერის ჭვართანაც.
 განგაშორებ, განგარიცებ
 პარამხანის სატანას.
 ოი, თქვენს ბედსა, საქართველოს
 სვეგამწყრალო ქალწულებო,
 თათრის ჩრდილი წამსობია
 თქვენსა საყდარ-სარწმუნებოს.
 მარიუჩა, შენი სული
 თრთის ვარდსა და იაშვი.
 სიყვარულის წმინდა გზებით
 გამყე იტალიაში.
 პარამხანის სული ბორგავს,
 შენს სფეს ეპოტიენბა.
 მოგატირეს შენმა ღებმა,

ძუძუ შეკორტნილებმა.
 ოი, თქვენსა ბედსა, საქართველოს
 რძეგამშრალო ქალებო,
 უღვთო ქარნი შირაზისა
 გაყრით შავ და მწარე ბოლს.
 უშენობით ჩემი სული
 ვერ მიმიტანია შინ.
 მარიუჩა, მარიუჩა,
 გამყე იტალიაში!

16.

თოთხმეტი შვილი გავუჩინე
 პიეტრო დელა ვალეს,
 სამოთხის ხილი დავუჩირე
 და სიყვარულით ვლაღე.
 იტალიის ცით დავარწყულე
 ვარსკვლავი ჩემი ბედის.
 პიეტროს შვილებს დავაწურე
 ძუძუ ქართველი დედის.
 ბედს გადაწყარა ოხერტიელს, —
 საწუთრომ აგრე მიყო.
 თოთხმეტი მყავდა, თოთხმეტივე
 იტალიელი იყო.
 გავუზაფხულე, გავუზამთრე,
 გამძღავრე უცხო მზვარე.
 თოთხმეტი შვილი გავუზარდე
 პიეტრო დელა ვალეს.
 შემინდე მეხმლევე, მეთოფარო
 ჩემი საწყალი ხალხისა...
 ვაი, ქეთევან დედოფალო,
 ვერა ვთმობ უცხო სახიზნავს.
 თოთხმეტი ვზარდე, თოთხმეტივე
 თოთხმეტ ქართველთან ვაწყვილებ.
 ჩემს ნისლებს, გზა-გზა მოხვეტილებს,
 მე იმათ ვერ ვუნაწილებ.
 ოხ, სად ხარ, სად ხარ, ოხ, მეტივევე,
 ტივს ველი ჩემი ჩქერისთვის.
 ნეტა მეზარდა თოთხმეტივე
 ჩემი ბეჩავი ერისთვის.
 ნეტა მეზარდა თოთხმეტივე
 ლომგულ ქართველთა ნამუსით.
 მტრის ტალღებს, რისხვით
 მოხეთქილებს,
 რომ შენკდომოდნენ მამულში.
 ვაი, შენ, ჩემო მწარე ხვედრო,
 ხვედრო ქართველი ქალების...

ეგა ნისლი რომ წარეხვეტოს,
 რადღა ჩამცხრალან ქარები?
 დაო, შენ ჩემო შორეულო,
 დაო, ხვალინდელ ქართლისა,
 დაო, შენ ჩემო ორეულო,
 ალო, შენ ჩემი სანთლისა,
 ამრავლე ქართველთ ლაშქარი და
 ამძლავრე ლიბო ციხისა.
 ჩემი წყაროა დამშრალი და
 მე უცხო ცამ შემიხიზნა.
 ისმინე ჩემი ნაკენესარი,
 ჩემი ჭრილობა აგეწვეს...
 ჩამოქარ კაეზე საკვესაევი,
 გაპყრიდე კერის ნაპერწკლებს.
 მე ქალი კი ვარ ჯიშოანი,
 რძე უხვადა მაქვს საშვილო...
 დედის მანდილო, იშრაილე,
 მამულის ქარში გაშლილო.
 სეგ-ბედით ვარ განამწარები,
 მამულის ვალი მემართა.
 აქ ჩემი ნეშტი ნაწამები
 თოთხმეტმა შვილმა შემართა.
 დაო, შენ ჩემო, შორეულო,
 დაო, ხვალინდელ ქართლისა,
 დაო, შენ ჩემო ორეულო,
 ალო, შენ ჩემი სანთლისა,
 მე აპენინის კუნძულიდან
 გემუდარები შენდობას.
 დარძევდეს შენი ძუძუნეი და
 ქართლს შეალიე დედობა.
 თოთხმეტი შვილის დედა ვარ და
 კმუნვის აღმური შედება.
 მე ვლოცავ თქვენსა მზეს და ხარდანს,
 ისმინეთ ქართველის დედებმა.
 ნეტა მეზარდა თოთხმეტივე
 ლომგულ ქართველთა ნამუსით,
 მტრის ტალღებს, რუსხვით
 მოხეტქილებს,
 რომ შესკდომოდნენ მამულში.

17.

ვაი, შენ ჩემო
 დაო, შორეულო,
 ჩამკნარო ფესვო,
 ვაზო მოღუეულო.

ჩემთვის დაკარგულო,
 სხვისთვის დახარჯულო.
 ნესტრით დანესტრილო,
 ხანჯლით დახანჯლულო.
 ხელი ჩანგის ლარებს
 ამდ ჩამოვკარი,
 ბპვერეტდე წკვარამიდან.
 მზეზე ამოყვანილს.
 ფერობ ავი ბედის
 მწუხრის ყვავილადა.
 უცხო მთებზე შენი
 ლანდი აილანდა.
 მო, მო, მარიუჩა,
 შეთბი მამულთანაც.
 ვისმენ შენს ნაკენესარს
 და შენს ნამუდარალს
 გარს შემოგეხვევა
 ქართველის დედები და
 ნისლებს ამოკერეფენ
 შენი ვედრებიდან.
 ცრემლთა მდინარეთი
 მოდი, მოაწყე ტივებს...
 მოგდევს მეშვეილრეთა
 ლანდი თოთხმეტივე.
 გასჩქეფს ახლაც საღდაც
 სისხლი შენეულო,
 შვილთაშვილთათვის
 სისხლში შერეული.
 აჩქეფებულთა
 შენი საცრემლეთი.
 შენკენ მოვილტვოდი,
 ქარს ვერ ვაჩერებდი.
 ჰანგი გამიძაბავს
 ჩანგის ლარებითა.
 შორს ამოიზარდე
 სისხლის ღვარებიდან.
 ვაი, შენ ჩემო
 დაო, მიღუეულო,
 კენესავ ფუძეულო,
 ლიბოვ ძირეულო,
 ღრმა ღამეებიდან
 ამომზირეულობ,
 ვაი შენ ჩემო
 დაო, მიღუეულო.
 ჩანგმაც ეგ სიმები
 აღარ გამიურჩა.
 აწ ვერ ამომგლეჯენ
 შენს სულს, მარიუჩა!

ოთხი ანაკტი

ეს ზღედა პირველ ჩასუნთქვისას, თვალის ახელამდე;
მომუქულ მაჯაზე შეგაბამენ მუშამბის ნაკერს,
იდრევე დანომრილს და... აგწონიან.
ჯერ კიდევ სანახევროდ წყალში ხარ,
არ შეგშრობია ბეჭებზე, თმაზე —
მუცლიდან გამოყოლილი მღვრიე სითხე.
ჩვილის საფენებთან, კოკორში ეხვევა
უმოწყალო, აუცილებელი ფრაზა,
რომელსაც წლების შერე, როცა დაგდებენ —
სიგრძეზე ზეწარწაფარებულს, შიგანამოცილს —
ქირისუფლებს გასაგონად იტყვიან:
„თავი აღმოსავლეთისკენ უქენით...“
(დაბნეულები ფანჯარას მიაჩერდებიან,
გაიხსენებენ, საიდან ამოდის მზე).
თითქოს ბურუსიანი, მწიფე ხართუთა მოწყდაო,
ცვილის ჩხირებად ქცეულ, დატეტკილ თითებს
შავი, გულისამრევად ტკბილი წვენი გაგიწებავს...
ჯერ აღრეა ამის თქმა, მერეც მოესწრება.

• • •

დილის მზეში გამოითალა —
ოთხი კუთხე შენი სახლის, ოთხი კედელი,
ფიცარ-ფიცარ აყვანილი სხვენამდე.
ერთმანეთს დაუპირდაპირეს —
ოთხი ხე საძირკვლის, გარანდული,
ყვლით ყელზე გადააქდეს, დაქედეს.
გამოჩნდა ოთხი წინაპარი, —
შენს გასაჩენად თავშეყრილი.
დამძრნენ ერთმანეთისაკენ, გარდი-გარდმო,
გტოვებენ დახვეულ რგოლს, გადაკვეთაზე,
გაიარეს ერთმანეთის სხეული,
ზურგშექცევით მიდიან ერთხანს,
მომწყვდეულები გაულწველ წრეში...
აბორგდა ქარვისფერი სული,

თავლად, ერბოდ გადამდნარი,
 კიდობნის სალტეებში მოქცეული.
 ქალებს — თალხი თავსაბურავი,
 გრძელი, მოკაუქებული ქოლგები,
 წინსაფარი და ჭამ-ქურჭელი...
 კაცებს — ხერხი და შალაშინი,
 კისერგადახეხილი, წითელი ხარები,
 მკლავის გაშლა ახალბის შალი,
 დაბეგვილ თეძოებზე გადმოშვებული...
 ეს მხოლოდ გარდასულის მოგონებაა.
 ახლა თთხივენი —
 დაღლილები, დაცალკეებულნი —
 კარტებივით არიან ჩაწყობილი
 მიწაში, პირით მზისკენ.

I

ცხერის ტყავზე დაგორებულს, ტიტლიკანას,
 გიწითლდება აქავებული ნუნები;
 ძირიდან აწვება, ჭრის
 გამჭვირვალე ბრინჯ ოს მარცვლები —
 თხელი, დატალღული ემალი...
 კანკალებ, შეჩეჩებულ სათამაშოს ლოლნი,
 გრძელტარნიანს (ყოველ შეტოკებაზე,
 ხაჭუნობს გაქვავებული მუხუდო,
 ვარდისფერ სიცარიელეში მოყოლილი).
 კრთები, თვალეში, ციცქნა შებლზე
 გეტყობა შიში და გაოცება.
 უნდა გაწამდე, სანამ შეივსება
 პაწია ყბების ნალები,
 სანამ მოირკალება რბილ სასაში
 გამოღეჭილი ბროწეულის წიპწა —
 უსუსური კბილები შენი.
 ვერ იფიქრებ —
 ვქნება თუ არა ამ ტანჯვას წერტილი.

II

გახსოვს — სახლიდან ვაიპარე.
 მატარებლის კიბეზე კიდიხარ,
 მდუმარე, სახეში ქარდარტყმული.
 დამით იღლები, იცვლები...
 არ იშლის სირბილს მჭლე გული,
 ავარდება, შეხტება ძილში.
 გიხმობს, გეზიდება შეღამებულზე —
 მზის სისხლით აწითლებული თხილიანი.
 ქინკარმორეულ ღობესთან გაჩერებს, გნუსხავს —
 სამუდამო, აუხსნელი გარინდება.

სადაც წაზვალ, დაგდევს ტყავაზეული,
 გადაყვლეფილი აკაციის უმაფრესი სუნი
 (მღელარა, ფიქრი ქალთან შეერთების).
 ველური წვენი, ტალღა-ტალღად მოწოლილი,
 დაგირბის მუხლებში, ძუძუს თავებზე.
 კიდევ ერთი ვნება — სიბნელეში ყოფნა,
 დამალვა, რომ ვერაფერს მოგაგ ნოს.
 აივანზე ჩახერგილი კარავი,
 ფანერზე ჩამოფარებული ტილო,
 იატაკზე ბალიშები მოაგე,
 ქუქრუტანებში ჩერებია ჩაჩურთული.
 გსიამოვნებს, გარედან რომ ჩაგესმის
 გაბმული წვიმის ყრუ თხლამუნი.
 გძალავს ბრმა შიში,
 ვაითუ არ გქნეს ბოლო: —
 ამ დახშულ ბორცვას,
 განუწყვეტელ წყვეტებას,
 მოლოდინის თეთრ ბურანს.
 ვერც იჯერებ გარდუვალის მოსვლას,
 იმდენად შორი გეჩვენება დაკაცება.

III

მოდის დილა. უხალისოდ გელვძება.
 დაქამულ ენასა და სასახე
 თითქო სპილენძი გადაგაჯრეს.
 დაგივლის სიგრილე უსიამო,
 ბეჭებზე შეგაშრება ოფლი...
 ეს ნიშნავს — გათავდა სიყმაწვილე,
 დაგაჩნდება ნიშანი კაცობის:
 ბლანი — ფაფუკი, რბილი ქეჩა,
 შავი კვამლი, გართხმული მკერდზე,
 კიბამდე ბაწრად დაყოლილი.
 ხარ მშვილდი მოდრეკილი, ძალოვანი
 (დაგჭიმა გასანთლულმა ძაფმა),
 მზის წვენი, ყრუოლად დავლილი წრეში,
 ისარი, ვიწრო ღარზე გაწვენილი.
 კოჭებში გაგდის სისხლის ღელე, —
 ამტვერებული, მყეფარი.
 აღში დულს სურვილი შენი,
 ყვითელი ქონი მუცლის — ჯორჯალი —
 ლავა, დაკრული საფუარზე.
 ნეტარ წყვედიადში მომწყვდეული,
 თეთრი ქვაბის ყელს ცეცხლი ლოკავს.
 ხარობდე — იდრიკება წელი,
 თქმობს ძრავს ბანგი სატანის,
 ხურდება გალუწილი კალო.
 თეთრ ღარზე ასხმული,

ზრიალებს, იმღვრევა ხერხემალი, —
 წურავს შეგბოლილი სისხლი.
 ამა ბოლავს, აღისფრად დაგადნა
 სხეული, მორგებული მუხლებზე, მხრებზე,
 ნელ-ნელა იგუდება, იკლებს
 ზმუილი წაბოქილ ბუღის.
 ვინ მოლობავს ვათქვრილ წამებს...
 აცო — წაგივა, მოიარყევა
 ბუღე, აბედი ვაფლამული...
 აცო — მობრუნება წარმავალის,
 არ დიდმანება საჭერეტელი, —
 სხვა დროს, სხვა ტყეებს დაჯანაბებს
 ხე ნედლი, ჭიშის შემნახავი,
 რკო, თავით მიწაზე დანაყილი.
 ნესტოებს გაბობს, გაწრიალებს
 ტვინში ვაფოთლილი შიში —
 ხაზარელი და წინასწარი
 წლები, ნეკნებზე დაბვეული,
 მოვიჭერს, სუნთქვას გაგისშორებს,
 ატყობ, შექანდება ბოლო რგოლი,
 ჩატურდება დაძარღველ წვივებზე, —
 მომწყდარ მკლავებს დაგვიდება
 თანთაღა, მონჯარული ხორცა
 მამინ შეგებრალის ყოველმა —
 თან უფსკრულს შუა ვახიდულა.

IV

ვველაზე დიდხანს (ათოქმის საპუდამოდ)
 ეს დრო, ეს წამება გრძელდება;
 მოხუცი სულ ხარ, მოუბრუნებლად,
 გაუპარსავს, წვერის მაგიერ
 (აკანკალებული ხელის ჩამოსმაზე),
 შემხმარი მარილი გცვივა, ბრტყელი,
 მოყურყურე ძვლებიდან გამონაყონი...
 იფქვილება ნიკაბი, მხრები,
 ჩატეხაზეა ყაფაზი სიფრიფანა.
 შინდისფერი, მორღვეული ქუთუთოები
 ვერ აკავენს ერთმანეთზე წამ ბულ,
 დაეურებულ მლაშე წვეთებს.
 თვალები — ფოსოებში შეჭრილი, დამდნარი,
 სიბნელე ეჭირება რკალად,
 შიგ ლამის ცერი ჩაიმალოს.
 ამოვარდნილ, გადაჭიმულ ყვრიმალებზე,
 თბელი თიხაა დაგლესილი,
 ალაპლაპებულ, პრიალა
 სახე, კისერი მოქცეული,
 სიმზადის დოქივით იმურება.

უკირთ სახსრებს შეეკუმშვა, გაშლა,
 დაღმართიც სიმწრით ჩაიარო.
 გადააბიჯე ფლატეს, შეტოკდა ქვის მუხლი,
 შიშობ — დაეცემი, ფიქალზე დაკრავ კეფას,
 არცაა გასაკვირი, ყინულის ლოდებში ჩარჩე.
 მოგვიანებით, გაზაფხულზე,
 ნაბზარში ასკილი ამოხეთქავს,
 ჩაჭიდებს წვრილ კლანჭებს დაშლილ ფუძეს,
 გაზრდილი, დაიყვავილებს, დაისხამს...
 აელარუნდება მდინარის ქარზე,
 გააპნევს თესლს გადახსნილი ნაყოფი.
 ძველი ამბავია. ღმერთს უნდა, —
 ყველაფერი თავიდან დაიწყოს.
 შენ უკვე მიდიხარ, გაგისტუმრეს.
 ფილტვის ნაფლეთი ამოაქვს ხრიალს,
 ამოდის ნესტიანი მიწის სუნი...
 სადგურის გაბოლილ მოსაცდელში,
 საუბარს უბამ ვიღაც უცნობს,
 ფუსფუსებ, უაზროდ იღიმები
 და აღარც გახსოვს, როგორ გავს
 სამზარეულოს დანახაპნილი ბაკანი
 კარაქისფერ თავის ქალას,
 ანატომიის კაბინეტში გამოკეტილს.
 სად უდგას ძირი ბნელ ქას,
 რას გლოვობს სხეული შენი —
 მძალე, ატირებული მარილი.
 მოწნული ლასტივით ატყევილ,
 შავი ლაქებით მოფენილ ხელებზე,
 მაჭებიდან გაძვალეზულ თითებამდე,
 ლურჯი ჭიაყელები გაკლავნილა, —
 დაწრეტილ სისხლის სადინარი.
 კანი — ჭუჭყიანი პერგამენტი —
 დაჭმუჭნულა, სულს ხუთავს ამომავალს.

დადგა ეს დღეც. გაიხმა ნუნტი,
 ერთმანეთს მიყოლებული ტკაცანი; —
 დაიკეცა ოთხი ფრთა დამტვერილ სარკის,
 ლურჯი კარედი, კოლენკორმოვლებული...
 ტილო გადაუსვა, ბამბუკის ვაზასთან,
 ძველი კამოდის თავზე შემოსდო
 დიასახლისმა, შავებიაწმა ქალმა...
 მოფარებულში (ფარდის უკან) იდგმება
 მაგნიტოფონის თავლია ყუთი.
 ყავისფერი ლენტის ხაოზე ძინავს —
 „რექვიემს“, „სამგლოვიანო მარშს“...
 შიგვეა ჩაგრებილი უკვდავ...
 უბერებელი ვენახის ნერგა,
 ტაძრის გუმბათზე რომ აუცოცება

იმან შიშისაგან ავტოკარი ბორდიურს მიაჯახა, გულიანდ გაეცანა...

შუადღისას მალაქიას დუქანში ისა-დილა ავკოფაშვილთან და ვაშაქიძეს-თან ერთად. „გასამხნეველად“ ცოტა კონიაკი დალია. ექვს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ვერაზე იყო უკვე; ვაი თუ აღარ მოვიდესო, ფიქრობდა... არა, არა, — მოვიდოდა, მოცუნეულდებოდა!.. აი, როგორ წახდა და გაფუჭდა ხალხი: რას არ კადრულობენ ფულის გულის-თვის!.. თუ ნამდვილად ის იყო, წუხელ რომ ელაპარაკა, იოლად მოუვლიდა (ასეთი შთაბეჭდილება შეუქმნა მისმა ხმამ), — შეაგნებინებდა დანაშაულს, ისევე, როგორც ბახა-ბახას შესამინა, და ბოდიშსაც მოახდევინებდა!..

დარბაისლურად შეაბიჯა ბაღში, ზურ-გზე ხელებდაწყობილმა (მღელვარების დააფარვას ლაშობდა და თანაც — ნაც-ნობი რომ შემოჰპროდა ვინმე — ვითომ უბრალოდ შემოსივირნა, მუხლის გასა-მართავად)... ღია ფერის საზაფხულო კოსტუმი ეცვა, მანქეტებზე ბროწეუ-ლის მარცვლებივით უჩანდა საკინ-ძები...

ბაღში უამრავი ხალხი ირეოდა...

უკრავდა მუსიკა, ჩქეფდნენ შადრევ-ნები; პენსიონერებს სკამები მზის გულ-ზე მიეჩოჩებინათ და დომინოს უჭახუ-ნებდნენ...

ერიდებოდა, ნაცნობს არ გადაეაწყ-დეთ და უცებ თავისივე თანამშრომე-ლი, მომარაგება-გასაღების ექსპედი-ტორი თენგიზ ქლიბაძე დაინახა, ვიღაც ქერათმიან გოგოსთან ერთად მისეირ-ნობდა... კიდევ კარგი, არ გამოუხედავს, — გასასვლელისაკენ გაუხვია, ფილარ-მონიის მხარეს. ქლიბაძე ხომ არაა, ნე-ტავი, ნიღბოსანიო, გაიფიქრა და მხერა გააყოლა: მე საქმეზე მგონია წასული, ეს კი, თურმე, ქალებში დამერებათ! მოხსაფხურიათი ქვის კიბე იოლად იპოვნა; იქვე მწვანედშეღებელი გრძე-ლი სკამი იდგა, მაგრამ არ დამჭდარა, — გამობრუნდა და აუზთან გაჩერდა... ქრდულად აცეცებდა თვალებს, გამ-ილულ-გამომვლულს აკვირდებოდა...

ხუთი წუთი უკლდა ექვსმეტეხვამ დაეწიწენა, როცა აუზთან ისევ იმ ექს-პედიტორს მოჰკრა თვალი... ამას ვინღა ჩიოდა... ელაწვევრიანი მეავტოკარე მუშაც დაინახა, — ჯინსის კოსტუმსა და ცისფერ ხალათში გამოწყებილი, საგანგებოდ თმადეარცხნილი და შე-კობტავებული, ღიმილით უახლოედებო-და მისკენ მიმავალ წითელკაბიან გო-გოს... რაღა ყველას აქ მოუნდა დღეს პაემანის დანიშვნაო, უკმაყოფილოდ გაიფიქრა და ზურგი აქცია... ექვსი იყო უკვე გაქიმული!

— სალამო მშვიდობისა, ბატონო!..

მეავტოკარე მუშის ხმა იცნო და მიტრიალდა.

— შენ აქ რა გინდა?.. — ჰკითხა მეაკრად. ქარხანაში რატომ არა ხარო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ გაახსენდა, ბიჭი დღეს პირველ ცვლაში რომ მუშაობ-და... გაუეკირდა მარტო რომ დაინახა: ნეტავი ის წითელკაბიანი გოგო რა უყოო, გაიფიქრა.

— რაც თქვენ... — დარცხვენილი ღიმილით მიუგო მან.

გაბრაზდა, როგორ მიბედავსო: ამ ლაწირაკს ჰგონია, ალბათ, მეც მასავით პაემანზე ვარ გამოსულიო... მიტომაც არ უნდოდა ნაცნობს გადაჰპროდა, მით უფრო — თავისივე მუშას... ადგება ახლა და მთელ ქარხანას მოსდებსო... თანაც ის უნდა გამოჩენილიყო უკვე — ორი წუთი ვადასცილებოდა კიდევ ექვსს. კოსტუმის ჯიბიდან სანთებელა ამოიღო და დაახსაკუნა, მაგრამ ბიჭს წარბიც არ შეუხრია, — არ შეშინებია.

— სიგარეტს ხომ არ ინებებთ, ბატო-ნო?.. — ჰკითხა და „კოლხეთის“ გაუხ-სნელი კოლოფი გამოუწყოდა.

— მოუსვი ახლა აქედან!.. — უთხრა წყრომით, მაგრამ მის გამჟოლ მხერას რომ წააწყდა ძარღვებში სისხლი გაეყი-ნა: არ ჰგავდა იმ თვინიერ მუშას, სიგა-რეტზე რომ ეგზავნებოდა მალაქიას დუქანში და სანთებელას დანახვაზე ფერ-ფერი მისდიოდა — არა, ეს ვი-ღაც სხვა იყო...

— რა გინდა შეილო?.. — მოთხედ

პკითხა. ჩანს, კაბინეტში მომხდარი ინციდენტი დღემდე ვერ მოუწელებიათ, გაიფიქრა.

თითქოს ამ სიტყვებში მაგიურად იმოქმედესო, ბიჭი ერთბაშად მოტყდა და მოდუნდა:

— ხომ მოვილაპარაკეთ, რომ არ ვინახუბებდით... — დამნაშავესავით წაიხურჩულა და თავი დახარა.

მირიანს მოაგონდა მილიციაში დადებული ხელწერილი და ისიც გაიხსენა, რა მშობარა იყო ბიჭი.

— მე შენ არ გეჩხუბები, ჭიჭურ... — უთხრა დაყვავებით. — არც არაფერს გერჩი: იმ დღეს ვაუგებობა მოხდა... მერე ხომ შევირგდით... თუ გინდა განუქმებ ამ სანთებელას... სანთებელაა ეს ჩვეულებრივი... რევოლვერი არ გვეგონოს!..

— რომ იცოდეთ როგორ მერიდებთ, ბატონო მირიან... — წაიღუდუნა ბიჭმა. — ყველაზე მეტად სწორედ ამ წუთისა მეშინოდა, გამეღავნებოდა... აქი წუხელაც ვითხარით, თუ გახსოვთ...

— მომწყდით თავიდან, შენთვის არა მკალაია!.. — დაუყვირა მირიანმა. ნერვები მოეშალა, რაღა მიინცდამინც ახლა შემომხვდაო. ზურგი აქცია და ბაღს გახედა, საიდანაც ნიღბოსანს მოელოდა, — ხუთი წუთი გადასცილებოდა ექვსს... უცებ განციფრება აღბეჭდა სახეზე და მკვეთრად მოტრიალდა:

— რაო, რა თქვი?..

— არაფერი... — მიუგო ბიჭმა.

— არა, არა... წელან რა თქვი, წელან?.. რა მინდა აქაო?.. რაზე შევთანხმდითო?.. აბა ერთი კიდევ გაიმეორე — კარგად გამაგონე!..

— დიახ... ხომ შევთანხმდით, ბატონო...

„აქ რალაც ვაუგებობდა“. — გაიფიქრა მირიანმა.

— როდის შევთანხმდით, რაზე შევთანხმდით... ვის შევუთანხმდით?.. — ენა დაემა კაცს.

— წუხელ... ტელეფონზე... რომ მშვიდად და წყნარად მოვილაპარაკებდით... — შენ რა იცი... საიდან მობისმინე?..

— არსაიდან... მე თვითონ გეგულაჩუქებ... რაკებოდით...

— შენ მელაპარაკებოდი?..

— დიახ... — მთელი ამ ხნის განმავლობაში ბიჭი თავდაბრილი იდგა.

— მერედა ვინა ხარ შენ?.. — მირიანმა სუნთქვა შეიკრა.

— ის... — მიუგო ბიჭმა შეცვლილი ხმით და თავი ასწია.

— ვინ ის?.. — მირიანს ტანში გასცრა.

— ის... — გაიმეორა ბიჭმა, ჯინსის ზედა მოსაცმელის კალთა გადაიწია და ხალათის ჯიბეში ჩატენილი წვერებამოჩრილი ნიღაბი დაანახა...

განციფრებისაგან მირიანმა პირი დაალო და მუხლებმოკვეთილი უღონოდ დაეშვა სკამზე...

წელს... წელს კი არა, შარშან გაზაფხულზე მიიღეს ბიჭი ქარხანაში... უფრო სწორად, მირიანს არც გაუგია, როდის მიიღეს, ან ვინ მიიღო, — მუშების მიღება-გათავისუფლების საქმეში არ ერეოდა, — თვით საამქროთა უფროსები განაგებდნენ ამას, თავიანთი შეხედულებებისამებრ (მუშახელი აკლდათ და თუ კი ვინმე გამოჩნდებოდა მსურველი, უარს ვინ ეტყოდა!)..

ქარ საწყობში მუშაობდა ბიჭი მტვირთავად, მერე ავტოკარზე გადაიყვანეს — პროფტექნიკური სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მექანიზატორის დიპლომი აღმოაჩნდა...

ჭიჭურ სანებლიძე (გვარიც გაიხსენა ახლა მირიანმა) პირველად სწორედ საწყობში ნახა შესვენებისას, — თავზე კუთხეშეგვეცილი მომცრო, თეთრი ტომარა წამოუხურა და შაქრით სავსე ჯვალოზე მიწოლილიყო... მაშინვე მოიხანდა ტომარა და მოკრძალებით წამოუღდა ფეხზე... მირიანს მოეჩვენა, თითქოს ბიჭს „არისტოკრატიული“ იერი ჰქონდა, და გაუკვირდა შავ მუშად რომ მუშაობდა: ალბათ, პატრონი არ ყავსო, გაიფიქრა... საშუალო ტანის გამხდარი ბიჭი იყო, ხორბლისფერ სახეზე: ძალი

წვერი მოსდებოდა, რომელსაც ალაგ ოქროსფერი დაპკრავდა; უკან გადავარცხნილი წაბლისფერი თმა კეფამდე სწვდებოდა... დაფიქრებული, მაგრამ მტკიცე და შეუპოვარი სახე ჰქონდა, რამაც მირიანი ოდნავ შეაერთო — დაქინებით შემოჰყურებდა საოცრად მეტყველი ცისფერი თვალებით, თითქოს რაღაცას უსაშველოდ საყვედურობს ან სთხოვსო, და მან, რატომღაც, უხერხულად იგრძნო თავი... მაშინაც უხერხულობა იგრძნო, როცა ბიჭმა კვლავ ტომარა წამოიხურა და შაქრით სავსე ვეება ჭვალო ზურგზე წამოიკიდა...

ერთხანს ქარხნის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, მერე ნაძალადეგში დაიჭირა ავა პატარა ოთახი, — კითხვაში მესწვებოდა ხელიო, ეთქვა: შესაძლოა ბიჭი უმაღლესში შესასვლელად ემზადებოდა... სწორედ იმ ხანებში ჩალის ფასად ეყიდა ერთი გაუბედურებული მოტოციკლეტი და მოტორი თავისი ხელით შეეკეთებინა...

დინჯი, მუყაითი ახალგაზრდა ჩანდა და ერთბაშად ყველამ შეიყვარა... თავიდან მირიანიც კარგი თვალით უყურებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა ქარხნის კომპაგშირის მდივანად გაეყვანა, მაგრამ ამას ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი:

მანამდე, ცოტა ხნით ადრე, კომპაგშირის კრებაზე გამოსულიყო და ისე თავხედურად ელაპარაკა — იქ მყოფებს, თურმე, შიშისაგან ეღეთ-მელეთი მოსდიოდათ, დირექტორმა არ შემოგვისწროსო.

გაკრიტიკებას ვინ ჩიოდა, საშინლად დაეღანძლა და დაეთათხა ქარხნის ხელმძღვანელობა, — მეტადრე მირიანისთვის მოეცხო ჩირქი...

ეს რომ შეიტყო გული აიცრუა ბიჭზე, თუმცა ამის გამო არ წაჩხუბებია, არ დაუტუქსავს და არც საყვედური უთქვამს — უბრალოდ ეწყინა, ასეთი კარგი მუშა რომ ინტრიგანი აღმოჩნდა...

მეორედ ჯიქურ სანებლიძე მისი თანდასწრებით გამოვიდა საერთო კრება-

ზე... კონკრეტულად ცუდი არაფერი უკადრებია, მაგრამ მაინც საშინლად არ მოეწონა მირიანს ბიჭის სიტყვა, რომელიც აშკარად თავის გამოჩენის სურვილით იყო ნაყარანხვევი, რადგან ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს თვითონ უოფილიყო დირექტორი და აქაურობის ბატონ-პატრონი...

საბოლოო სიტყვაში, მირიანი გაკვირვით შეეხო ბიჭის გამოსვლას და მიუთითა მას შეცდომებზე: ჯერ ერთი, რომ ჯიქურ სანებლიძე ახალგაზრდაა, არ იცნობს ცხოვრებას და არც თეორიული ცოდნა გააჩნია... რომ იგი ორი დღის მოსულია, და ვერ ერკვევა ქარხნის მუშაობის სპეციფიკაში... უწოდა მის გამოსვლას ჰკუის დამრიგებლური და დემაგოგიური, ხოლო პირადად მას — ობიექტელი, რომელიც მხოლოდ ნაკლს ამჩნევს და აზვიადებს (თან კუთხეში მიუხუდებული გარდაამავალი დროშებისა და კედელზე გაკრული სიგელებისაგან ვაიხედა)... თქვა, რომ ჯიქურ სანებლიძეს ჰგონია, თითქოს ამინისტრაცია ვინმეს თვალს უხვევს და ატყუებს, — რომ ნაკლოვანებებს მართო თვითონ ამჩნევს, სხვებს კი ეს ამბავი არ აწუხებთ და არც არაფერში ენადღელებათ... რომ მთავარია, კაცმა აღიარო საკუთარი ნაკლი, თორემ სხვის თვალში ბეწვის დანახვაც იოლია, — საჭიროა ყველამ მიხედვით ჩვენ-ჩვენს შრომით უბანს და ვაკეთოთ ის, რაც მოგვეთხოვება... დასასრულს დასძინა: მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა ერთერთი მოწინავე მთელ სისტემაში, ჩვენთან, ჯერ კიდევ, ყველაფერი რიგზე როდია, — მომავალშიაც ბევრი გვაქვს მოსაგვარებელი და მოსაწესრიგებელი, მაგრამ, — გაიღიმა მან, — ზოგი ამის გაკეთებას ცდილობს სიტყვით (ბიჭს გადახედა), უმრავლესობა კი (დარბაზს მოავლო მზერა), მკლავებდაკაპიწებული და მუხლჩაუხრელი გმირული შრომით!

ერთი სიტყვით, საკადრისი პასუხი ვასცა, თანაც ისე, რომ ხმა არ აღმო-

ლებია და არც დამცინავი ღიმილი მო-
შორებია სახიდან...

ამის შემდეგ, ბიჭი, კრებებს კი ეს-
წერბოდა, მაგრამ სიტყვით აღარ გა-
მოსულა, — იჭდა თავისთვის კუთხეში
და იყო წყნარად... მირიანსაც გადაა-
ვიწყდა მერე ეს ამბავი...

ფანჯარიდან კი ხშირად ხედავდა, შავ
სპექტანსაცმელსა და უხეშ ბათინეებ-
ში გამოწყობილი, როგორ დაახრივი-
ნებდა ეზოში ავტოკარს.

უცნაური ზნე სჭირდა: ფანჯარასთან
ჩაღლისას გამჭოლ მზერას შემოსტყო-
რნიდა კაბინეტში... საეჭვო იყო ოთახის
სიღრმეში რაზე დაენახა, მაგრამ მირი-
ანს მაინც აკრთობდა და ნერვებს უშ-
ლიდა მისი გაუთავებელი მზერა-თვალ-
თვალი: იგი ფიქრობდა, რომ პატივმოყ-
ვარე უსუსურ ყმაწვილს, რომელსაც
უხეში სპექტანსაცმელი და თავზე წა-
მოსურული ტომარა აღიზიანებდა,
გულზე შურის ცეცხლს უკიდებდა დი-
რექტორის ძლიერება, დიდება და ავტო-
რიტეტი... მუშა იყო და თავს არ
გაუყადრებდა, თორემ სხვას ამას ნამ-
დვილად არ აპატიებდა.

იმ დღეს, სივარეტზე რომ გააგზავნა,
ვამა ბიჭის უსიტყვო მორჩილება და
უფრო ამან წაათამაშა რევოლვერი დაე-
მიზნებინა... სერიოზულად არც კი
უფიქრია, გინდა თუ არა ეს იქნება
ნიღბოსანი მდევარიო, — ეკვი უფრო
საბაზად გამოიყენა, რათა საბოლოოდ
დაეთრეუნა და გაეტეხა, — ამის მოთ-
ხოვნილებას კი შინაგანად გრძნობდა...

მიუხედავად მათ შორის არსებული
უზარმაზარი განსხვავებისა (თვითონ
დირექტორი იყო, საქვეყნოდ ცნობილი
და ცხოვრებაში თავდადებული კაცი,
სანებლიძე კი უქონელი, უსახლკარო
და უჩინო შავი მუშა), გუნებაში მაინც
მოწინააღმდეგედ და მეტოქედ თვლი-
და... მერე, რა დარწმუნდა მფრთხალი
ყოფილათ, შეებრალა და შეუყვარდა
კიდევ: დიდად არც ის სწყენია, მილი-
ციაში რომ გაიქცა საჩივლელად, რად-
გან ამან მიახვედრა, ჩემი ძლიერ ში-
ნებიაო...

2. „მნათობი“, № 12.

აღრე ამ ამბებზე სერიოზულად და
სოდეს უფიქრია, მაგრამ ახლა ნათლად
ხედავდა, რამხელა წინააღმდეგობა და
ფარული მტრობა იყო, თურმე, მასა და
ამ ლაწირაკ ბიჭს შორის...

იმიტომ კი არ „გხუმრებოდა“ ასე
ხშირ-ხშირად სანთებელათი, რომ მიე-
ნიშნებინა, კაბინეტშიაც ასევე იყო —
არამედ, სიამეს ჰგვირდა რატომღაც,
ბიჭის შიში და კრთობა!..

სინამდვილეში არასდროს უმტრია და
არც არაფერი დაუშავებია, — იმან რა
იყოდა კომკავშირის მიღენად თუ უბი-
რებლა არჩევას და მერე გადაიფიქრა...
გარდა ამისა, ეს მოგვიანებით მოხდა,
ბიჭი კი, თურმე, სექტემბერს აქეთ დას-
დევდა მოსაკლავად, — მაშინ გამონა-
ლაპარაკევიც არ იყო და, ვგონებ, ჯერ
თვალითაც არ ენახა!

ასე რომ, ჯიქურ სანებლიძე ვერა-
ფერში წამოედევებოდა, — იოტისო-
დენა მიზეზი არ გააჩნდა სამტროდ (ამან
გააცოფა სწორედ!) — და ვერც იმას
წამოუყენებდა ბრალდებად, კაბინეტში
რად შემიხმე და რევოლვერით რად
დამემუქრეთ, — თურმე, სწორად ამო-
უცნია და მართლა მოსაკლავი ყოფილა
მისი ხელიდან!..

ეს ყველაფერი უცებ დაუტრიალდა
გონებაში — მრისხანებისააგან თვალთ
დაუბნელდა, ღრანჭი მოექცა და აფთა-
რით წამოვარდა ზეზე...

ბიჭი იქვე, თავდახრილი იდგა...

• • •

— მაშ, ეს შენა ხარ... შენი დედა!..
— შეაგინა და ყელში სწვდა. საშინელ-
მა ზიზღმა და სიძულვილმა წაღეკა,
ამდენი ხნის გულს ნადები და ნაგროვე-
ბი ბოღმა ერთბაშად გადმოხეთქა და
გადმოანთხია. — შენ იყავი, შე ნაძირა-
ლა, ნეხვის ჭიავ, ტუჩზე ხსენსეუშმზრა-
ლო ლაწირაკო... შენ იყავი, შე ნაბიჭ-
ვარო, სულ ბატონოთი და პატივცემუ-
ლოთი რომ გელაპარაკებოდი ტელე-
ფონში?! უუხ, შენი დედა და შენი მამა!..

ბიჭი გაუნძრევლად იდგა, თითქოს

ბედს დამორჩილებიაო... სახე გაუღერ-
ჯდა, თვალები წამოეკაჯლა და ახრო-
ტინდა... მირიანი კი უჭერდა და უჭერ-
და ხელს... მერე ხელთან მიათრია და
თავი მიახებთქებინა (თუმცა ბიჭმა მოას-
წრო და შეანელებინა დარტყმის ძალა)...

გამეღელნი შედგნეს და შეცბუნებუ-
ლი შეპყურებდნენ ამ ამბავს... ჭერ მა-
მა-შვილის უბრალო წაკინკლავება ეგო-
ნათ, მერე, რა დანახეს ექსტაზში შე-
სული „მამა“ ვეღარ ატყობდა როგორ
იხრჩობოდა „შვილი“ და ბოლოს ვაბო-
როტებულმა, კინაღამ ხეზე ტვინიც მი-
ასხმევინა, გადაწყვიტეს გაეშველები-
ნათ, მაგრამ ამასობაში „შვილმა“ იყო-
ჩალა, „მამას“ მაჯებში სწვდა და ხელი
გააშვებინა... ახლა ბიჭის გასაკავებლად
და გასაქაჩავეად შეეშხადნენ, მაგრამ
როცა დანახეს, რომ პასუხად მან გაი-
ღიმა და კისრის ძარღვები უხერხულად
მიისრის-მოისრისა, იფიქრეს, არც ისე
სერიოზულად ყოფილა საქმე, ჩვენ რომ
გვეგონათ და თავთავიანთი გზა განაგ-
რძეს...

მირიანი შეაკრთო და ერთბაშად გა-
მოაფხიზლა ბიჭის არაჩვეულებრივმა
ღონემ... მალულად დაიხედა მაჯებზე,
სადაც თეთრ ზოლებად ჭერ ისევ აჩნდა
თითების ანაბეჭდი... მერე მის დამფრთ-
ხალ მხერასა და დაბნეულ ღიმილს
რომ წააწყდა, კვლავ წაეკიდა ცეცხლი:
— აქ ამის ადგილი არაა... — კბილებ-
ში გამოსცრა. — წამოეთრიე, სხვაგან
მოგელაპარაკები და მოგივლი...

მკლავზე წაეღო ხელი და გასასვლე-
ლისაკენ წაუბიძგა. ბიჭი მორჩილად
მიჰყვებოდა, მაგრამ მაინც არ უშვებდა
ხელს და დროდადრო წაუჭიკავებდა
ხოლმე, — უნდოდა ისეთი შთაბეჭდი-
ლება შეექმნა, თითქოს ნებით კი არ
მოსდევდა, არამედ ძალად მიათრევდა
მას, როგორც შეპყრობილ დამნაშა-
ვეს... შეაღებუნა შეუსაბამობამ ბიჭის
გამხდარ, გაჩხინკულ მკლავებსა და იმ
ძალას შორის, რომელიც მან გამოავ-
ლინა, როცა მარწუხებივით უჭერდა
თითებს მაჯებზე... უარესად შეაჩქე-
ფა სანებლიძის დუმილმა და რაღაც

ევისმომასწავებელმა მოტყუებულმა
საითაც წაუჭიკავებდა, იქით რომ მიჰ-
ყვებოდა ხოლმე... ამას ერჩინა ბიჭს
ცყვირა, ებღაველა, გასძალიანებოდა და
გასხლტომოდა... ოღონდაც გასხლტო-
მოდა, გაქცეულიყო და არ გამოეციდე-
ბოდა... გამოცილებით კი გამოეცილებო-
და, მაგრამ არ დაიჭერდა...

კარი გაუღო და უბრძანა:

— დაეცვი!..

მერე მანქანას წინიდან შემოუარა და
ვიღრე სიქეს მოუჭდებოდა, დაუყვირა:

— გაქცევა არ ვაბედო... სულერთია,
ვერსად წამიხვალ..

მაგრამ ბიჭს გაქცევა არც უფიქრია,
წინა კარი მისურა, უკანა გამოაღო და
დაჭდა.

— ახლავე მილიციაში მიგიყვან... მე-
რე ნახავ, ციხეში რომ ამოგალობნენ..
— გადასასვლელთან მანქანა შეაჩერა
და ხელჯოხით მიმავალი ვიღაც ბერი-
კაცი გაატარა...

მილიცია იმიტომ ასხენა რომ დაეშე-
ნებინა, მანქანაც მიტომ შეაჩერა — გა-
დახტომისა და გაქცევის შესაძლებლო-
ბა მისცა, მაგრამ ბიჭი არც განძრეულა.

— ნება თქვენია, ბატონო... — შშვი-
ლად მიუგო.

მირიანი მოხვდა რომ აკარბებდა: თა-
ვიდანვე არ უნდა მოქცეოდა ასე მკაც-
რად... მილიციაში მიყვანას აზრი არ
ქონდა, მაინც ვერაფერს დაუმტკიცებ-
და!

ნელა მიჰყავდა მანქანა გმირთა მოე-
დანზე, დროდადრო საკუთარ მაჯებს
შეაღებდა ხოლმე თვალს... რა იოლად
გააშვებინა... კიდევ კარგი გააშვებინა,
თორემ ასე საჭაროდ, მთელი ქვეყნის
თანდასწრებით შემოაკვდებოდა კაცი...

— საინტერესოა, მაინც რას მერჩო-
დი... რას მოითხოვ ჩემგან?..

— მაგის სათქმელად მოვედი, მაგრამ
ვინ დამაცალა..

— სად წაედიეთ?.. — უთხრა მირი-
ანმა საქმიანად.

— მე შეკითხებით?.. — გაიკვირვა
ბიჭმა. — აკი მილიციაში მიგყავდით?!

— გადავიფიქრე უკვე... არ არის სა-
ჭირო, მე თვითონვე მოგივლი...

— ეს რომ მოვინდო, თქვენთან მო-
ლაპარაკება შეუძლებელი იყო, სულაც
არ გამოვიჩნდებოდი...

— აბა რას იზამდი?..

— რასაც აღრე ვშვებოდი... ოღონ-
დაც, ამგვარად უფრო გულმოდგინედ!..

ნილობსანი რომ შემოუჩნდა, მირიან-
მა თავი დეტექტივის გმირად თუ წამე-
ბელ რაინდად წარმოიდგინა, რომელ-
საც იღუმალეებით მოსილი უძლიერესი
და უსასტიკესი მტერი სდევნიდა... რო-
ცა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოხ-
ვალ, შერე ძლიერი მტერიც ხომ ისევე
სამაყუა, როგორც ძლიერი მოკეთე...

ბიჭის გამოჩენამ კი იმედი გაუკრუა
და ინტერესი დაუქარგა, რადგან იგი არ
იყო, ვისაც მოელოდა... მის მიერ გადა-
ტანად ამდენ ტანჯვასა და ვაი-ვიშს
ტრაგული იერი ჩამოსცილდა და სა-
მარცხენო, კომიკურ ამბად იქცა: კაცს
ეგონა, ღმერთი მებრძვისო და თურმე
ვისთან ჰქონია საქმე!.. ეს ბიჭი არ გახ-
ლდათ ღირსეული მებრძვე — სუსტი
იყო, უმწეო... სამარცხენო მტერი...

ამას ვერ გამოაჩენდი და ვერც ვერსად
გაამხელდი... ისევე გაჩუმება სცობდა:
გამარჯვებდი უბრალოდ და გაჩუმდე-
ბოდი, — ეს იქნებოდა გამარჯვება,
რომლითაც ვერ იამაყებდი და ვერც
იხეივებდი!..

მაგრამ ახლა, ეს ყველაფერი დროე-
ბით უნდა დაევიწყებინა: უნდა მოესმი-
ნა, ყური ეგდო და ანგარიში გაეწია ბი-
ჭისათვის, თორემ სადაც ამდენი იკად-
რა, შეიძლებოდა სხვა რამ სისამაგლეც
ჩაედინა!

— ვინა თქვა, რომ ჩემთან მოლაპა-
რაკება არ შეიძლება?.. — დაყვავებით
უთხრა მან. — დიახაც შეიძლება, მაგ-
რამ შენგან ამას არ მოელოდი, გამოი-
ვირდა და მეწყინა!.. ეს იმასა ჰგავს, სა-
კუთარმა ძალმა რომ დაგვლიჯოს შენ-
სავე ეზოში... ჩემს ადგილზე სხვა უარე-
სად მოიქცეოდა... კიდევ არ მჭერა რომ
ეს შენა ხარ! ყველაფერს რომ თავი
დავანებოთ, შენზე ამაგი მაქვს, ნუ და-

გავიწყდება, და ჩემთვის ეს ბრძოლა
გეკადრებია... უნდა გეგონო და დაგე-
ნახა პატივს რომ გცემდი, გაფასებდი
და გამოჩენეით მიყვარდი... წელს კომ-
კავშირის მდივნად მინდოდა გამეყვანე!..

— მე თქვენთან საკამათოდ არ მოე-
სულვარ, — ცივად უთხრა ბიჭმა. —
ახლაც კრებაზე ხომ არ გგონიათ თავი?..
უმჯობესია საქმეზე ვილაპარაკოთ —
ნუ გეშინია, ბევრს არაფერს ვთხოვთ...

— კი, ბატონო, ვილაპარაკოთ... —
მანქანა უკვე სანაპიროზე მიჰქროდა,
მცხეთის მიმართულებით. — რაც არ
უნდა იყოს, მაინც მშვიდობიანად სჯო-
ბია მოგვარება... მაპატიე, წელან მარ-
თლაც აველოდი... არ მოველოდი, სახ-
ტად დავრჩი... ნილაბი რომ არ გეჩვენე-
ბინა, არც დაევიწყებდი... თუ ძმა ხარ,
მათხოვე, დამათვალერებინე, — შე-
მაგლებინე ხელი ასე მშვიდად. შენ არ
იცი რა დღეები მაქვს გადატანილი, ხან
ემშაიე მეგონე, ხან — ღმერთი!..

— კარგია ხუმრობის გუნებაზე და-
დექით, — მოუგო ბიჭმა. — აბა წელან
რას გავდიოთ... კინალამ სანანებელი გა-
მიხდა ცოცხალი რომ გადავიჩინე!..

— მაპატიე... — კიდევ ერთხელ მოუ-
ბოდიშა მირიანმა. — ზომაზე მეტად
აველოდი...

— მესმის... მეც შერიდება და
მრცხვენია, რომ იძულებული გავხდი
ასე მოგქცეოდით...

— არაუშავს, არაუშავს... კისერი ძაან
თუ გტკოვა, გავაჩერებ მანქანას აგერ
წყაროსთან და სველი ტილოთი დაგი-
ზელი!..

— ნუ სწუხდებით...

— მაინტერესებს რას მერჩოდის... სი-
კეთე თუ არ გამოკეთებია შენთვის, არც
არაფერი დამიშვებია და გამიფუტე-
ბია!.. სხვა მხრივ კი, ბატონო — ჩემი
თავი შემოგვევლოს: განა არ ვიცი, ახალ-
გაზრდა კაცი ხარ — ახლა გიხარია
ცხოვრება, ჩაქმა-დახურვა, გავლა-გა-
მოვლა და დროს ტარება... აბა ჩემი
ხნისა რომ მოიყრები, მერე გინდ გქო-
ნია, გინდ არა!.. ამხელა ამბავი მაინც
არ იყო საჭირო: მოსულიყავი პირდაპირ,

ვაჯკურად, და გეტქვა — ძია მირიან, ანდა ძმაო მირიან, ასე და ასეა საქმე, ცოტა ეკონომიურად მივირსო... იმდენი სიკეთე მე, რამდენისთვისაც ხელი გამიმართავს და გზაზე დამიყენებია...

— სად მივდივართ?... — ჰკითხა ბიჭმა.

— რესტორანში დავჯდეთ, იქ ვისაუბროთ — თან წავიხეხოსო და თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ...

— მე ღვინოს არა ვსვამ, ბატონო... სჯობდა, აქვე მანქანაში მოგველაპარაკანა!

— არაიყ ექვთ იქ, კონიაიცი... რა ძალა გეადვას, მანქანაში გამოვიხრჩვეთ!

— სიერთოდ, სასმელებს ვერიდები...

— საქმელს ხომ ჭამ, — გაიციანა მირიანმა. — ბატკნობაა ახლა, ბატკნობა!.. ჩაქაფული გაგიგონია?..

— როგორ არა, მიქამია კიდევ, მაგრამ არა ვარ ამ ამბის დიდი მოტრფილე...

— იმიტომ ხარ გამხდარი და გაყნაქული... მუშა კაცმა მაგრად უნდა ჭამო... არ თქვა ახლა გოგოებშიც არ დავდივარო, ამისთანა ლამაზი ბიჭი!..

— გოგოებში?..

— კარგი, თუ ძმა ხარ, ჩიქურ... ვინ დაგიჩერებს: ჭამისთვის იკლავს ხალხი თავს და გოგოებსაც თუ არ გაენთე მამალივით, ისე რაღა აზრი აქვს ცხოვრებას!..

— შორს არის?..

— რესტორანი?... არა, აქვეა აგერ, არხს გადავალთ და ხელმარჯვნივ შევეუხვევთ; წყნარი, მოყუჩებული ადგილია...

— ცუდი არაფერი ვაივლოთ გულში, თორემ წელანდელივით კი აღარ მოვითმენთ!.. — გააფრთხილა ბიჭმა.

— როგორ გეკადრება, ჩემო ჩიქურ: შენ მე ვინა გგონივარ... წელან აფექტის ზრალი იყო!

მწვანედშეღებელი ფიცრებით შემოარაგველ ეზოში შევიდნენ.

ოქროსფერთმიანი ახალგაზრდა ოფიცინტი, შემოეგება და კუბეში შეუძღვა სტუმრებს...

რესტორანი მცხეთის სანახებს გადაპ-

ყურებდა. ვიდრე მირიანი შეკვეთას აძლევდა, ბიჭი ფანჯარასთან იდგა და ჩამავალი მზით განათებულ მობობინე მინდვრებსა და დახრამულ ფერდობებს გასცქეროდა.

— ხელებს არ დაიმშვენებ?... —

— არა... სუფთა მაცვს! — მოტრიალდა და დაყოფილი ხელისგულები დაანახა.

ოფიცინტი მაგიდის კიდეში დაწყობილ სველ ბოთლებს ხსნიდა; იქვე ორი „ვარციხე“ და ორიც „სტოლიჩნი“ იდგა.

— ეს გოგო თუ მოგწონს, გაგაყოლებ ამალამ... — უთხრა და თვალი ჩაუკრა, მაგრამ რა დაატყო მოიღუშაო, მყისვე დასძინა: — არა, არა, რა შენი საქმეა... ცოტა მადროვე და შენ იმისთანა გოგოებს გაგაცნობ, სულ რძე გადმოლიოდეთ პირიდან!..

— მე თქვენ საქმეზე დავიბარეთ, ბატონო!.. — შეაკრად უთხრა ბიჭმა.

— ვიცი, ვიცი... საქმეზე დამიბარებდი, აბა ავტოგრაფი კი არ გენდომება ჩემი... — სცადა გახუმრება მირიანმა.

მთელი ამ ხნის განშავლობაში ჩიქურს სანებლიძემ პირველად გახსნა შუბლი და სახეზე ღიმილა გადაურბინა... ალბათ, ავტოგრაფზე ჩემი უკბილო ხუმრობა მოეწონაო, გაიფიქრა მირიანმა და არც შემცდარა:

— რა სასაცილო იქნებოდა, ბატონო, ავტოგრაფის გამო რომ ამეტეხა ამხელა ამბავი!..

— მეტისმეტი კი მოგივიდა, ჩემო ჩიქურ... — ღიმილით უთხრა მირიანმა.

— რა საჭირო იყო შეიდთვიანი საარტილერიო მომზადება (მერვე თვე დაიწყო აგერ), შეგეძლო პირველი გასროლისთანავე მოსულიყავი და შენი მოგეთხოვა...

ბიჭმა წარბი შეიკრა და მირიანიც გაჩუმდა...

დახეთ, როგორ იბღინებდა ეს მათხოვარიო, გაიფიქრა და მყისვე თავს შთავგონა, — არა, ცუდი არაფერი არ უნდა გავივლო გუნებაში, თორემ შესაძლოა

სახეზეც დამეტყოს და საქმე გავაფუქრო...

იქნებ სამეფოსამოცველა უნდოდა?

მობეზრდა, ალბათ, ყუთებისა და ტომრების თრევა, ავტოკარის რაბრაბი...

ან იქნებ ბინას უმიზნებდა, წელს შემოდგომამზე რომ უნდა გაენაწილებინათ?..

აჰ, ბინა, ბინა... გასაგებია: ქირით ცხოვრობს, საწყალი ბიჭი!..

შესაძლოა „წილში გაყვანაც“ მოსთხოვოს, ჯიბო აბზიანიძესავით...

იქნებ ვინმემ რამე უთხრა, შეაცდინეს — ვადარიეს, ვააბრიყვეს და ვაახლეეს. აუხსნის მაშინ, განუმარტავს, როგორც ჯიბოს... მაგრამ ის უსმენდა და თვითონაც არ იტოვებდა გულში სათქმელს (მოლაპარაკე კაცი საშინო არ არის!), ეს კი არ ანებებს, — არ უსმენს და თავდაც ვაჩუქებულა...

ბტყობა, დღევანდელი კვერცი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს: ადგება და მოჭრით მოსთხოვს ბახა-ბახასავით!..

რა ხდება ეს, რა უბედურებაა, რახალხში ჩავეარდი, — რას ვაღამეკიდნენ ეს ბიჭ-ბუჭები?!

ცილობდა საუბარსა და სმაში შეეყოლებინა, ვალაზღანდარებოდა და გაეშინაურებინა, მაგრამ სანებლიძე კრიჭაშვილი იქა და ისე უბლევრდა, თითქოს მილიონს ევალებოდა...

ხათრეას მაინც ჩაყოლა ამჯობინა (იქნებ უფულოდაც მოგვარებულიყო საქმე):

— ერთი წუთი მოცლა არაა... — დაიწყო მან. — დრო აღარ გრჩება, დაჯდე, კადრებს გადახედო: ღირსეული ხალხი წარმოაჩინო და წინ წასწიო... ისე, აქამდე უნდა მივმხედარიყავი და დამენახა, კაცური კაცი რომ მყოლია ქარბანაში: იმედისმომცემი, მზარდი, აქტივისტი; ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ხვალინდელი დღე და საიმედო ცვლა!.. იქნებ არც დამიჯერო, ჯიჭურ — იფიქრო, იძულებული გავხადე და იმიტომ მეუბნებაო, მაგრამ, გეფიცები

ძმობას, თუ მართლა არ მდომებოდეს საწყობში შენი გადაყვანა, გამგედ... მზა პროდუქციაში... — ბიჭმა გაკვირვებით შეხედა. — თუ გინდა მასალების საწყობს ჩაგაბარებ, ალბერტა მაინც უნდა მოვაშორო იქაურობას: ვატყობ, უჩემოდ რაღაცას მამაძაღლობს!.. — ბიჭს სახე დაეჭყანა და მირიანმა კვლავ შეცვალა კილო. — ექსპედიტორობასაც შეძლებ, თუ მოინდომებ... ქლიბაძე უნდა მოვხსნა, ყალთაბანდია: მე დღეს საქმეზე გავაგზავნე „გლავსნაბს-ბიტში“, ის კი ბალში სეირნობდა წელან, შენ რომ გელოდებოდი...

— არსად გადასვლას არ ვაპირებ, ბატონო... — შეაწყვეტინა ბიჭმა. — ავტოკარზეც მშვენივრად ვგრძნობ თავს ჯერჯერობით!

— აბა ბინას ქე გაძლევ ისედაც... — სწრაფად მიუგო მირიანმა. — შეტანილი ხარ უკვე სიაში, გუშინ მქონდა სწორედ საუბარი კომისიის თავმჯდომარესთან... პირველ რიგში გეკუთვნის, მუშა ხარ და შენზე უპრიანია! ისე, ჩვენში დარჩეს და ჯერ კი არ გიწვედა, მაგრამ მე გიყვებ ამას, ჩემი ინიციატივით, — თავმჯდომარეს ვინ კითხავს!.. ადგილიც დიდებულა, საბურთალოზე, იპოდრომის პირდაპირ: ვაღმოდექი მერე და უყურე ცხენების ჯირითს... ბინაც კარგია, — პავრიანი, მზიანი, ერთოთახიანი... ორიანიც შეიძლება, აღმასკომი რომ იზამდეს... ცოლის, შერთვას თუ მოასწრებ, სამიანსაც ვაგინებრებ... აღმასკომში მე ჩავიწყობ საქმეს, მაგრამ ასე უცებ სად მოქებნი, შერჩეული თუ არა გყავს... ფიქტურად მოაწერე, ოღონდ სანდო უნდა იყოს, მართლა რომ არ ჩამოგიჯდეს, ანდა ბინა არ გავიყოს... ბავშვებიც თუ ეყოლება, მაგას რა სჯობია!..

— ნუ სწუხდებით, ბატონო... ჯერ განცხადებაც არ დამიწერია!

— აბა რა გინდა?.. — შეცბა მირიანი.

— ასე იოლად ვერ მიხვდებით... — რატომ გგონია, ჩემო ჯიჭურ... — ამოიხენეშა მირიანმა. ფულზე რომ

მიდგა საქმე, აღარ ეამა, ემწუთხა... ფუ-
ლი მაინც ყველაფრის გირგვინია..
კარგი იყო ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ
დასჭირებოდა და „საზოგადოებრივი
ფონდებიდან“ დაეკმაყოფილებინა ბიჭის
პრეტენზიები, მაგრამ რაკი ეს აღარ
მოხერხდა, სჯობდა ისევე თვითონ დაეს-
წრო და შეგობრულად შეეთავაზებინა,
თავმოყვარეობა მაინც არ შეეღახებო-
და: ძნელია, როცა ძალად გართმევენ!..
— რა დიდი მისახვედრი ესაა, — განაგ-
რძო მან. — მე შემძლია, როგორც
ჩემს პატარა შეგობარს, დახმარების
ხელი გამოგიწოდო, შეძლებისდაგვა-
რად... ხელფასის დანაშოგიდან!

— არც ისე პატარა ვარ, თქვენ რომ
გგონიათ, — როყოფდ უთხრა ბიჭმა. —
ამიტომაც გირჩევთ ამ ვალექსილ ლაპა-
რაკს შეეშვათ და ცოტა უფრო სერიო-
ზული კილო დაიჭიროთ!..

— კი, ბატონო... ვეცდები არ გაწყე-
ნინო... მითხარი, რამდენი გაქვს გუნე-
ბაში... ჩემს ლაპარაკსა და მტკიცებას,
ვატყობ, აზრი არა აქვს, — მაინც არ
გჯერა... თუმცა რა გასამტყუნია, —
ყველას ასე ჰგონია და რაღა შენ იქნე-
ბი გამოჩაყლისი!.. მე რაც მიშოვია,
ძმავო, ხელფასიან-პრემიიან-ყველაფრიან-
ნა, ოჯახს მოვხმარე... ეგ ერთი მანქანა
შემჩნა აგერ, ესაა და ეს!.. — თავი
მიიბრუნა, მაგრამ კარი მიხურული იყო
და მანქანა არ ჩანდა. — ისე, ჩემმა
სწავლებამ ჯვარი დაგწეროს, მაგრამ...
ეს თუ გქონდა განზრახული, ფულიან
ხალხს უნდა მისდგომოდი... დაასახე-
ლე ციფრი... ოღონდაც ძაან ნუ დამჩაგ-
რავ — გაითვალისწინე, რაც ვითხარი!

— ძაან არ დაგჩაგრავთ, მაგრამ არც
თავს დავიჩაგრავ, რომ იცოდეთ!

— ვნახოთ, ვნახოთ... — მირიანმა სი-
გარეტს მოუკიდა, მოიღუშა და სახეზე
ქანგისფერი დაედო.

ბიჭი გადაიხარა და ისე დაეინებით
ჩააშტერდა თვალებში, თითქოს პიპ-
ნოსს უყეთებო.

— გისმენ, გისმენ... — შეახსენა მი-
რიანმა და ხელის აქნევით გაფანტა თამ-

ბაქოს ბოლი. — დაასახელე ცოტა, გე-
ლოდები!..

— ერთი „ლიმონი!“ — კბილებში
გამოსცრა ბიჭმა მუქარასავით.

მირიანმა თვალები ჭყიტა.

— „ლიმონი“ რაა?.. — ჰკითხა გაკ-
ვირვებულმა.

— დაფიქრდით, იქნებ მისხედეთ... —
სახე გაქვევებული ჰქონდა, მზერა —
გაყინული; თითქოს ვიღაც სხვა ლაპა-
რაკობდა მის მაგივრად, მისსავე გეამში
ჩამძვრალი...

წამით შიშმაც კი გაჰკრა მირიანს, —
მართლა ხომ არ ფლობს, ნეტავი პიპ-
ნოსს, ანდა გულთამხილავი ხომ არააო...

— ლიმონი ლიმონია, ციტრუსი...
სხვა რა უნდა იყოს?.. — მიუგო მან და
კვლავ აიჭნია ხელი, თუმცა სიგარეტი
აღარ ბოლავდა.

— მეტს არაფერს გახსენებთ?..

— ჩაის მახსენებს... — გაიცინა.

— ნეტა რა გეხუმრებთ?.. — გაყო-
ნულ მზერას არ ამორებდა.

— მე თუ შენ?.. — მირიანმა ახალ
სიგარეტს მოუკიდა. — დათმობაზე წა-
ვედი, გთხოვე დაგესახელებინა ციფრი...

— ჰოდა, ერთი ლიმონი!.. — ჯიუტად
გაიმეორა ბიჭმა.

— იქნება ერთი მილიონი ვინდა
რქვა?..

— დიახ, დიახ... გამოცანა გერგებათ!

— ახალი თუ ძველი, ბატონო ჯი-
ქურ?.. — ხმა გაინახა მირიანმა.

— ერთი რამ იცოდეთ: მე მუდამ ახ-
ლით ვლაპარაკობ!

— აგაშენა ლმერთმა!.. — თქვა მი-
რიანმა და გადაიხარხარა.

დიღხანს იცინა და იხითხითა; ხან
სკამის ზურგს მიაწვეებოდა, ხან მაგიდას
ეყრდნობოდა იდაყუებით. ცრემლებიც
კი მოადგა თვალებზე და ცხვირსახოციით
ამოიწმინდა.

ჭიქურ სანებლიძე ისევე იმავე პოზაში
იჯდა, მაგიდაზე გადმოსხრილი, თან მზე-
რას არ ამორებდა.

— საინტერესოა, თქვენ თვითონ რამ-
დენს შემომთავაზებდით?..

— საშუალება რომ იყოს, — სიცი-

ლით მიუგო შირიანმა. — მილიონზე ნაკლებს ნამდვილად ვერ შემოგადრებ... ნახევარი მილიონი მარტო ამ ხუმრობაში გეკუთვნის — მიყვარს იუმორი! — ნახევარი კიდევ იმაში, სექტემბერს აქეთ რომ წვალობი.. ეს რო მცოდნოდა, ამდენს აღარ ვინერვიულებდი — სულ სიცილ-ხარხარით მივუშვებდი შუბლს ტყვიებს: მილიონერად სიკვდილიც არაა ცუდი, თუნდაც ერთი კაცის თვალში!.. ისევ ჩაბვირდა.

— შე ისეთ ხუმრობას რა ვუთხრა, — მიუგო ბიჭმა. — სანახევროდ მაინც მართალი რომ არ იყოს... მართალი არ ყოფილიყო, არც გაგვიცინებოდათ... სჯობდა კი მეტი სერიოზულობა გამოგჩინათ, წელანაც გითხარით იმისი არ იყოს, თორემ ვწიშობ კვლავ მოგვეცემათ საშუალება...

— რისი?..

— მილიონერად სიკვდილისა!..

— ჰოდა, გვეყოფა ხუმრობა... — სიცილით უთხრა შირიანმა, თუმცა კი თვალბეჭეში შიში ჩაუდგა. — დაასახელე ციფრი, გისმენ!..

— ვგონებ უქმად მაქარგვინებთ დროს... სიტყვა თქვენზეა — ვნახოთ, რას შემომთავაზებთ!..

— აგერ დიდებული პურმარიალია გაშლილი... — კვლავ სცადა მხიარული კილოს შენარჩუნება, — დაგველია თითო ჭიქა ღვინო, ანდა კონიაკი, მადაზე მოგიყვანდა, თუმცა მე უკვე მომაშივა შენმა იუმორმა. — ოფლი შეიმშრალა სახეზე, ჰალსტუხი მოიხალავათა, პიჯაკიც გაიხადა და სკამის საზურგეზე გადაჰყინა; მერე შემწვარი ბატკანი ახლოს მიიწოჩა, დაჭრა... ბიჭს გადაუღო და თავისთვისაც დაიდო თეფშზე მოზრდილი ნაჭერი. ჭიქა ასწია და ჩვენს გაცნობას გაუმარტოსო, თქვა, მაგრამ უცებ საჭციელი წაუხდინა ჩიქორ სახელობის დავინებულმა მხერამ.

— მე ამდენი არ მცალია, ბატონო შირიანი!..

კუპე განათდა — ელექტრონათურა აინთო, შიშველი ფანჯრებიდან ღამე

შემოიხედა; ოდნავ მაინც შეტრიალდა და ჩანავლული ჰორიზონტი...

შირიანი საგონებელში ჩაეგარდა: რამდენი შეეთავაზებინა?.. ერთ ზუთი ათას მანეთს შემოივლებდა კაცი თავზე, ოღონდაც გადაშენებულყო აქედან... რაო, როგორაო? — ნახევარი მართალიაო... ეს გაცი ხომ არ არის, ნეტავი?! ხუთს კი არა ათსაც არ დასჯერდება, ორმოცდაათსაც, ასსაც!.. რევოლვერი მაინც ჩაედო ჯიბეში... ამას როგორ იფიქრებდა, — კაცურ კაცთან ექნებოდა ეგონა საქმე, ეგ კი ვილაც უთვისტომო ლაწირაკია — რისზე მიდის...

ხორცის საჭრელი დანისკენ გაექცა თვალი...

ხომ არ აჯობებს, ვიდრე ბიჭი გონს მოსულა, ეს დანა მუცელში ფუშოს?.. მე შენ გეტყვი და ხელი აუკანკალდება თუ რა, რაც ამისგან სიმწარე აქვს ნახაბი!..

თვალთ გაზომა მანძილი...

ხელის ერთი გაწვდენა და მერე შიგ გულში...

„სხვისთვის რომ არ ენანება, თვითონ ნახოს რაგარი ყოფილა!..“

ის იყო ხელი უნდა წაეღო დანსკენ, უცებ მაგიდის კიდეზე ჩამოდებული რევოლვერის ლულა შენიშნა და ელდა ეცა, ოფლში გაიხვითქა... მონუსხულივით მისჩერებოდა, როგორც ბაჭია გველს... მერე სანებლობის გამხდარი, გრძელი თითები დასწვდა დანას და მოშორებით გადადო, გველის თავიც ჩაიმალა მაგიდის ქვეშ... შარვლის ჯიბეში ჩასრიალდა და ჩაეხვია...

— არ ყოფილხარ სანდო! — თქვა ბიჭმა და დანა კიდე უფრო შორს გადადო. — შეეცდი, თქვენთან მოლაპარაკება რომ განვიზრახე...

— პირქით... შენ არ ყოფილხარ სანდო, პირობა დაარღვიე... — მიუგო შირიანმა და ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა პიჯაკის ჯიბეში. — მე ვენდე პატიოსან სიტყვას, რევოლვერი არ წამოვიღე!

— ძალიანაც კარგი ჰქენით, — გამყინავი ხმით უთხრა ბიჭმა. — თორემ

შესაძლებელია ახლა ცოცხალიც აღარ ყოფილიყავით, რაც განსაკუთრებით საწყენი და დასანანი იქნებოდა მას შემდეგ, როცა ამდენჯერ სასწაულად გადარჩიოთ!.. ნუთუ ვერ გრძნობდით, რომ ბედი გწყალობდათ?..

— კი მაგრამ... — მირიანს ნერწყვი გაუშრა. — შენ რატომ წამოიღე?..

— სწორედ იმიტომ, რომ თქვენთვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა... ეს რომ არა, — ბიჭმა ჯიბეზე მოისვა ხელი. — წარმოდგენილი მაქვს რითი დამთავრდებოდა ყოველივე!..

— რას ვიფიქრებდი, მკვლეელი თუ მყავდა ქარხანაში... — მირიანმა შუბლზე გადამსვდარი ოფლი შეიწმინდა.

— სხვათა შორის, ბატონო, ჯერ არავინ მომიკლავს... თქვენ იქნებით პირველი, თუ ჭკუას დროზე არ მოუხმეთ!

— რა გაეწყობა, — ამოიოხრა მირიანმა და სველი ცხვირსახოცი შარვლის ჯიბეში ჩაიღო. — მართალია, ფული არა მაქვს (მქონდა საკმაოდ დიდი თანხა, ქალიშვილის სამზითვოდ გადადებული და მომპარეს, წამლიტეს — სხვათა შორის, სწორედ შენი გამოისობით!), მაგრამ მანქანაც ხომ იგივე ფულია, წაიყვანე, წაიღე თუ არ შეგრცხვება!..

— კი, მაგრამ... რატომ შედიდგულეებით?

— ბოდიში... უკაცრავად, პატივცემულო ჯიქურ, — ღვარძლიანად უთხრა მან. — ინებეთ ჩემი ავტომანქანა... დღეიდან თქვენი იყოს და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ... მზით გაცეთიხე!

— რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი?.. აჭარბებთ, ბატონო მირიან...

— იქნებ შენ აჭარბებ, ჩემო კარგო?.. — გესლითა და შეკავებული მრისხანებით მიუგო მან. — შეც რომ იარაღი მდებოდა ჯიბეში, ამდენს ვერ გაბედავდი; ახლა მაგარი ბიჭი ხარ, მაგრამ მე ხომ ვიცი რა ვაქცაიც ბრძანდები!

— არ იცით...

— ვიცი, მახსოვს კურდღელივით რომ ისკუჭე ამას წინათ ფანჯრიდან, ჩემს კაბინეტში!.. — ჩაიცინა მირიანმა.

— არა, არ იცით... — მამინ იმიტომ „შემეწინდა“, რომ ეჭვი არ დაგდასტურებოდათ!

კაცს სახეზე გაკვირება გამოესატა.

— არ მესმის რაღა ახრი ჰქონდა, თუკი ბოლოს მაინც გამოჩენას აპირებდი!..

— ამას მოგვიანებით მიხვდებით... საერთოდ კი თავს ვაღლებულად არ ვთვლი თქვენი ცნობისმოყვარეობა დივაკმაყოფილო... იქნებ გგონიათ ავკოფაშვილის სანთებელასიც მეწინოდა? ძან ეშმაკურად კი მოიფიქრეთ... ოო, რა ხართ, ბატონო მირიან, ვინც არ გიცნობთ!..

— მე ცუდი ვარ, შენ — კარგი...

— სჯობდა საქმეზე გველაპარაკე!

— გაძლევ მანქანას, მეტი რაღა ვიყო?!

— თქვენზე რომაა გაფორმებული?..

— ხვალღან შენზე იქნება იცი, ალბათ, როგორ ხდება ეს: ფიქტიური ყიდვა-გაყიდვა და მისი ჯანი, — საკომისიო დანარიცხს გადაიხდი მხოლოდ!

— აჰა, გასაგებია — ვითომ ვიყიდე!.. მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, ამდენი ფული სად გქონდაო, რა ვუპასუხო?.. ხომ არ ვეტყვი, მირიან დღეიქვს შევაწერე-მეთქი, უხერხულია...

— დამცინი არა?.. — ამოიოხრა მან.

— ნუ გეშინია, არავინ გკითხავს, — ასე რომ ყოფილიყო, აღარ გვეცხოვრებოდა ამ ქვეყნად... დარწმუნებული ვარ არც შენ დაიბნევი, სადაც ამდენი მოახერხე!

— საკომისიო რამდენი მოუწევს?

— ხუთასი-ექვსასი მანეთი...

— არა, — ვერ გადავიხდი... — თქვა ბიჭმა. — ამდენი ფული რომ მქონოდა, ახალ მოტოციკლეტს ვიყიდდი!

— კარგი, ჰა... ჩანდაბას შენი თავი, — გაფორმებაც ჩემი იყოს!.. ოღონდაც გაათავდეს ეს ამბავი, — მოგვედი, აღარ შემიძლია!

— თუ ასე მლანძღვთ, რაღად მინდა ავტომანქანა... და ეს ამბავიც, თქვენ

რომ გგონიათ, ასე იოლად არ გაათავ-
დება!..

— თუ გირჩევნია, გავყიდი და ფუ-
ლად ჩაგაბარებ... — უთხრა მირიანმა,
რომელსაც გული გადაუტრიალა ბიჭის
სიტყვებმა. — ოცდახუთი ათასს ულა-
პარაკოდ მომცემენ, ახალი მანქანაა და
მოვლილიც კარგია... შარშან ოცდაათი
მამლიეს ბოლნისში თათრებმა, მაგრამ
არ ვქენი!

— არც მანქანა მინდა თქვენი და
აღარც ფული!.. — თქვა ბიჭმა.

— აბა რა გინდა?... სახლი მაქვს ერ-
თი, მაგრამ ვცხოვრობ შიგ... მარტო რო
ვიყო, გამოვიდოდი და მოგვემდი, ანდა
სარდაფში კუთხეს დავიტოვებდი და-
მის გასათევს, თუ გამაჩერებდი, —
ცოლ-შვილს რა ვუყო, სად წავიყვანო,
ანდა რა ვუთხრა, რომ მკითხავენ სახ-
ლიდან რატომ გავრბივართო?!

— დაწყნარდით, ბატონო მირიან: არც
სახლი მინდა თქვენი და არც აგარაკი
(თუმცა აგარაკი არც ვიხსენებიათ),
ერთი პატარა სათხოვარი მქონდა, მაგ-
რამ არ მათქმევინეთ, სულ თქვენ ლა-
პარაკობთ და რა ჩემი ბრალაია!..

— ბოდიში ბატონო... ოღონდაც გა-
მაგებინე რა გსურს და კრინტს აღარ
დადებრავ!

— ისეთი კი არაფერია, მაგრამ სათ-
ქმელადაა უხერხული... მერიდება...

მირიანს რაღაც ექვემა გაჰკრა:

— სიძობას თუ შიპირებ, გვიანაა...

— უთხრა მან. — ერთი ქალიშვილი
მყავდა და ჩაბარდა უკვე პატრონს,
ჩემთვის არც უკითხავს. საერთოდ კი,
წინააღმდეგი როდი ვიქნებოდი... ბიჭად
ბიჭს არა ვიშავს და შენისთანა ყაჩა-
ღისაგან, ჩემს ხელში, დარწმუნებული
ვარ, კაცი დადგებოდა... სხვათა შორის,
შარშანაც არ იყო გვიანი, პირველი გას-
როლისთანავე რომ გამომჩინოდი, ვიდ-
რე ნანო ქმარს შეურიგდებოდა!..

ბიჭს საზე წამოენთო, თავი დახარა...

ამ წუთას მართლაც შეყვარებულს
ჰგავდა და — აი, თურმე, რა ყოფილაო,
გაიფიქრა მირიანმა, მაგრამ უცებ ჩი-
ქურ სანებლიძემ თავი ასწია და რაღაც

უცნაური, რბილი საყვედურით უთხრა მან
— როგორ გეკადრებათ, ბატონო, გა-
თხოვილ ქალზე ასე ლაპარაკი...

— აბა რა გინდა, შვილო, გამაგები-
ნე... — ჩაილაპარაკა შემკრთალმა, რად-
გან ბიჭის სიტყვები ენიშნა.

კარგა ხანს უხმოდ ისხდნენ... მერე
რაღაცამ გაიჩხაკუნა.

მირიანი შეკრთა.

თავი რომ ასწია, დაინახა: ჭიჭურ სა-
ნებლიძეს ხელი ნიკაპქვეშ შემოედო
და მზერა სადღაც, მის ზურგს უკან, კე-
დლისთვის მიეპყრო... ბიჭის თითებში
სიგარეტი ბოლავდა... ეს პირველი სი-
გარეტი იყო, რომელიც მან იმ საღამოს
მოსწია და მირიანს კვლავ შეუჩნდა წე-
ღანდელი ეჭვი, — ნაღდად ნანოზე უნ-
და იყოს შეყვარებულიო, მაგრამ ნანო
ამას საიდან უნდა სცოდნოდა?..

არა, არა — ჰყავდა ერთხელ ნანახი!..

და აი, უცებ რა გაიხსენა:

შარშან, აგვისტოს მიწურულს, სწო-
რედ იმ ხანებში, იუბილესათვის რომ
ემზადებოდა, ნანომ ჩამოაკითხა ქარბა-
ნაში, რაღაც საქმეზე...

მერე, კაბინეტში, ფანჯარასთან იდგა
ორივე მამა-შვილი და ეზოს გაჰყურებ-
დნენ... ამ დროს ჭიჭურ სანებლიძემ ჩა-
მოარახრახა თავისი ავტოკარი და რო-
გორც იცოდა ზოლზე, დაბლდვარილი,
გამჭოლი მზერა შემოსტყორცნა კაბი-
ნეტს... მაგრამ უცებ სახეზე ნათელი
მოეფინა, სვლა შეანელა და ბოლოს
სულ გააჩერა ავტოკარი... კარგა ხანს
იდგა ასე ფანჯრის წინ, და რაღაც უც-
ნაური სევდიანი ლიმილითა და სიყვა-
რულით აღსავსე თვალებით შეჰყურებ-
და გოგოს... ნანო აირია, აიღეწა და —
ვინ არისო, მამას ჰკითხა... მუშაა ჩვე-
ნით, მიუგო მირიანმა, რომელიც სა-
შინლად გააბრაზა ბიჭის უტიფრობამ
და მკაცრად გასძახა: წადი, რას უდგე-
ხარო... ბიჭმა გაუგონა და აძრა ავტო-
კარი, მაგრამ მზერა მაინც არ მოუწყვე-
ტია გოგოსათვის და ამასობაში გაზონს
მიეგახა... მერე დარცხენილმა და და-
ღონებულმა განაგრძო გზა, მიიღწია
კიდეც ყველაზე შორეულ მესამე საამ-

ქროს, მაგრამ ვიდრე კარებში მიიმალე-
 ბოდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან...
 რა კარგი ბიჭი იყო, წამოსცდა ნანოს...
 ეს იყო და ეს!

ჩანს, ესეც საკმარი აღმოჩნდა, რომ
 ბიჭს გოგოს სიყვარული ჩავარდნოდა
 გულში..

— ეებს... — თქვა მირიანმა. — რას
 არ გაიგებ კაცი... — და მერე უცებ
 აღშფოთდა: — კი, მაგრამ, ამის გუ-
 ლისთვის მე რაზე მკლავდი, ძმაო?!

— რისი გულისთვის?.. — ჭიქურ სა-
 ნებლიძემ მზერა მოსწყვიტა კედელს.

— შენ თუ ნაწო გიყვარდა!..

ბიჭს ყვრიმალებთან კუნთები ამოე-
 ბურცა.

— მეტად აღარ წამოგცდნეთ ეს სი-
 სულელე... კატეგორიულად გიკრძა-
 ლათ!

მირიანმა მხრები აიჩეჩა.

— მითხარი აბა, მალირსე, რა გნე-
 ბავს!

ბიჭი კვლავ მოლბა, საფერფლეში
 ჩაქრო ახრჩოლებული სიგარეტი და
 უთხრა:

— ვიცი გაგვიკვირდებათ და ამიტომ
 ვერ მოვახერხებ ამ დრომდე... იქნებ
 არც დაიჯეროთ, ანდა ზუმრობად მო-
 გეჩვენოთ...

— ბრძანე, ბატონო, ბრძანე — და-
 ვიჯერებ... საერთოდ აღარაფერი მიე-
 ვირს ამ ქვეყნად!..

— მე თქვენი ავტოგრაფი მინდოდა...
 მირიანმა თვალეზი აახამხამა და გაო-
 ცებით შეხედა... ჩანს, ნორმალურ კაც-
 თან არ უნდა მქონდეს საქმეო, გაი-
 ფიქრა.

— რომელი მსახიობი, კინოვარსკვლა-
 ვი ან სპორტსმენი მე მნახე... რა ჯან-
 დაბად გინდა ჩემი ავტოგრაფი?..

— როგორ ავიხსნათ... მინდა და ძა-
 ლაა?.. ზომ გაგიგონიათ: კაცია და გუ-
 ნებაო!

— მაშ, ავტოგრაფი, არა?.. ავტოგ-
 რაფი?.. — რალაცნაირი უმწეო და და-
 ბეჩაეებული ხმით ჰკითხა მირიანმა, თან
 სველი ცხვირსახოცით იწმენდა სახეზე
 ოფლს; კუბეში ცხელოდა.

— კარგიო, ბატონო, დავილაღე...
 ისედაც მერიდებოდა თქმა და ახლა
 გაუთავებლად ხომ არ უნდა მამეორე-
 ბინოთ... ქალაღიე ჩემი იქნება და კა-
 ლამიე: თქვენ რა გეხარჯებათ... ოღონ-
 დაც, ერთი კი არა — ორი!

— რა ორი?..

— ავტოგრაფი... — მიუგო ბიჭმა და
 სუფთა ქალაღდები ამოიღო ჭიბიდან.
 — ორი ავტოგრაფი!

— ორი ბევრია... — უაზროდ და უმ-
 წეოდ შეევაჭრა მირიანი. — ორი რა
 ამბავია... ერთი იმყოფინე!

— კარგი, ეგრე იყოს, რომ არ გეგო-
 ნოთ, გაკეთებას ვაპირებდე თქვენი ავ-
 ტოგრაფებით!.. — თეფშები მისწი-მო-
 სწია და ქალაღდი წინ დაუდო.

ოფიციატმა შემოაკითხათ, — შელა-
 მაზებულ-შეკობტაეებულიყო და ცის-
 ფრად მოხატულ თვალეებს აეუქუნებდა.
 ბიჭმა ხელით ანიშნა, არაფერი გვინ-
 დაო; მირიანს არც შეუშინეეია მისი
 შემოსვლა, ისე იყო გაოგნებულო...
 სკამზე გადაფენილი პიჯაკის ჭიბიდან
 ავტოკალამი ამოიღო და ოქროსფერი
 თავი მოახრახნა.

— ამითი სჯობია... — ბიჭმა პლას-
 ტმასის ბურთულიანი კალამი შეაჩეჩა
 ხელში.

— სულერთი არაა?.. — ბრიყვულად
 გაულიმა მირიანმა. — მთავარია ავტო-
 გრაფი!

— დიახ, სულერთია.

— რა ალაგას?..

— სადაც თქვენ გაგიხარდებათ...

ლაშაზი ხელრთვა ჰქონდა, უცნაურად
 ჩახეული და ჩაკლაცნილი...

ჭიქურ სანებლიძემ მაშინვე ააცალა
 ქალაღდი, შორს დაიჭირა სინათლეზე
 და დიდხანს ათვალეირებდა უზომოდ
 კმაყოფილი, მერე ფრთხილად გაკეცა
 და ჭინსის ზედა მოსაცმელის გარეთა
 გულის ჭიბეში ჩაიღო.

მირიანი დარწმუნდა, იდიოტთან რომ
 ჰქონდა საქმე... მარჯვენა ხელს ისე
 ძლიერ ათრთოლებდა, მაგიდამაც კი
 იწყო ძაღძავი, მაგრამ ეს არ გახლდით
 მარტოოდენ შიშის კანკალი: მრავალი

წლის მანძილზე გამოუმუშავდა ამგვარი ჩვევა — თანამშრომლების მიერ ხელმოსაწერად შემოტანილი ქალაქების მოწოდების მოლოდინში...

— მეტი აღარაა?.. — იკითხა მბრძანებლურად და ამ წუთას მართლაც კაბინეტში ეგონა თავი.

— მეტი არა, გედევანოვიჩი... მორჩა, „ესიო!“ — მიუგო ბიჭმა. კალამი გამოართვა და ჯიბეში ჩაიღო.

— სულ ეს იყო, არა, გენაცვალე?!

— კვლავ მოეფერა მირიანმა.
— დიახ... ამით დამთავრდა ყველაფერი! — მიუგო ჭიქურ სანებლიძემ და კმაყოფილებით შეავლო ხელი გულის ჯიბეს.

— მერედა ამის გულისთვის მკლავდი, შე კაი დედამამიშვილო?! — თავი ვეღარ შეიკავა მირიანმა.

— როდის?.. — გაიკვირვა ბიჭმა. — ვინმემ რომ ვაივოს, მართალი ეგონება... სინამდვილეში სულ თქვენ მკლავდით, მაგრამ ვერ მოშკალით... აი, ხედავთ, ისევ ცოცხალი ვარ თქვენდა საბედნიეროდ ან საუბედუროდ... კვლავ შეეცდებით, მაგრამ არაფერი გამოგივით, — კარგად დაიმახსოვრეთ ეს, არ დაგავიწყდეთ!

— მესმის, ვასაგებია... ახლა მაინც ჭამე რამე, გულის მურაზი ხომ აისრულე, რალა გინდა — უთხრა მირიანმა, რომელიც მის ლაპარაკს უკვე ბოდვად თვლიდა.

— უნდა წავიდე, შორსა ვარ ვასასვლელი... თქვენ დარჩით და მიირთვით!

— მარტო როგორ გაგიშვებ... ერთად მოვედით და ერთად წავალთ! — კედელზე დატანებულ ღილაკს აჭერდა თითს. — ეხლავე, ფულს გადავიხდი და...

— ხომ ხედავთ, რომ ზარი არ მუშაობს, ბატონო მირიან!

— ჰო, სწორია — ზარი არ მუშაობს... — კაცი ადგა და კარისაკენ გაემართა...

მანქანაში გვერდით მოისვა ბიჭი, თან ცალი თვალი იჭით ეჭირა, — იცოდა რომელ ჯიბეში ედო იარაღი და თუ რა-

მეს დააპირებდა, მყისვე ეცემოდა...

ნაძალადევი გაიყვანა...

სადღაც, ლოტკინის მთის მიდამოებში, ნახევრადჩაბნელებულ ანგრეულ ქუჩაზე, ასევე ანგრეული და აოხრებული ეზოს წინ გააჩერებინა ბიჭმა მანქანა.

— აბა კარგად ბრძანდებოდე... — დაასწრო მირიანმა. აღარ იცოდა როგორ მიემართა... მერე გონებაში გაივლო, გიჟს უნდა ეფეროო, და „ბრძანდებოდეს“ მოგვიანებით, მაგრამ მაინც დააყოლა „თ“ — მოხარული ვარ, ასე ახლოს რომ გაგიცანი...თ. დღეიდან როგორც მშობელი მამა და უფროსი მეგობარი, ისე მიგულვე...თ. გაფიგეობოლი ყოფილხარ და ვეცდები შეგიმსუბუქო ხვედრი...თ. — ორი ცალი ას-

მანეთიანი ამოაძვრინა ჯიბიდან. — ეს ცოტაოდენი გამომართვი სახარჯო...თ. დანარჩენი სხვა დროს იყოს, ახლა არ მაქვს მეტი, გამატყავა იმ გოგამ...თ. — უნდოდა ბიჭის შარვლის ჯიბეში ჩაედო ფული, მაგრამ მან ხელი სტაცა და გააწყვინა. იგი შეაკრთო ცივმა და გამხდარმა თითებმა, რომლებმაც კვლავ მარწუხები მოაგონა... მაგრამ უცნაური მაინც ის გახლდათ, რომ ამ ხელით მან სულ სხვა კაცი დაინახა... თითქოს ამ ხელის მოკიდებით სულ სხვა კაცი გაესაუბრა, სულ სხვა ენაზე... წამით ისიც კი მოეჩვენა, — მომეაღერსაო... ვერ მიხვდა რა იყო და რას ნიშნავდა ეს, მაგრამ კარგს რომ არაფერს მოასწავებდა კი იგრძნო. — ბოდიში, ბატონო... — განაგრძო მან. — შე მინდოდა ჩემი კეთილი გულით დაგხმარებოდით... იმედია, დღეიდან რამე გაუგებრობას აღარ ექნება ადგოლი... რაც იყო, — იყო... დავივიწყეთ, ხომ?..

— მაინც რა იყო, რა უნდა დავივიწყეთ?.. — ჰკითხა ბიჭმა — და თუ კი მართლა რამე იყო, ბატონო, იმის დავიწყება განა შეიძლება?! — ხმა გაღწეა, და ამ სიბნელეში მირიანს მოეჩვენა. თითქოს წამწამებზე ცრემლი დაეკიდოო...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... — უაზროდ დაეთანხმა. შე ის მინდოდა

მეკობა: კიდევ ხომ არ გნებავთ ჩემგან რამე, ანდა საპრეტენზიო ხომ არაფერი გაქვთ?.. მზადა ვარ თქვენი ყველა სურვილი დაეაკმაყოფილო... გნებავთ წაიყვანეთ ეს მანქანა, — სულ არ დამწყდებია გული... თუ გინდათ მეორე ავტოგრაფსაც მოგართმევთ, — წელან უბრალოდ, ანგარიშშიუცემლად წამომცდა უარი...

— არა, ერთიც საკმარისია... თუ დამჭირდა, მოვალ და გამოგართმევ, აგერ არა ხართ!..

— ავტოგრაფებს ხომ არა და არ მოგაკლებთ, ბატონო ჭიქურ, — პირდაპირ, შეგაცურებთ ავტოგრაფებში... და ისედაც, შემაწუხეთ ხოლმე, არ მოგერიდოთ... თუ გნებავთ, ხვალ დაისვენეთ, გადაღლილი ჩანხართ... ის კი არაა, სულაც რომ არ იართო სამსახურში, თქვენს ხელფასს, ყოველთვიურად, პენსიასავით შინ გამოგიგზავნიო!..

— ნახვამდის, ბატონო მირიან!

— კარგად ბრძანდებოდეთ, პატივცემული ჭიქურ!..

ბიჭმა ალაყაფის კარი გააღო და ეზოში ჩავიდა: ზამზარაინი კარი ხმაურით მიეხეთქა ჩარჩოს და მერეც კარგა ხანს ირწეოდა და ქრიალებდა...

ადრე, თითქოს, ყველა შესაძლო ვარიანტი გაითვალისწინა, — საკუთარი შესლილობაც კი ირწმუნა, მაგრამ ამას როგორ იფიქრებდა, თვით უცნობი ნიღბოსანი თუ იქნებოდა სულით ავადმყოფი...

ჭერ „ლიმონმა“ შეაქუპა, მერე ავტომანქანაზე უარის თქმამ განუმტკიცა ეს რწმენა, ხოლო „ავტოგრაფმა“ დააგვირგინა უველაფერი... ვის გადავეყარე — საიდან მოეხეტა ჩვენთან ეს ოხერი ცოფიანი ძაღლი, ფიქრობდა დამწუხრებელი იმ საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა. არც ისე იოლად იყო საქმე, ერთის შეხედვით რომ მოეჩვენა...

მტრისას — გიყის გადაკიდება!

სულ ტყუილ-უბრალოდ ამოგიჩემებს, — ამ იფათი არ მოეწონება შენი, ან

სიტყვა-პასუხი, ან ჩაცმა-დახურვა, ანდა რამე... სულერთია შეგიძლებს თუ შეგიყვარებს, ერთნაირად საშიში და სახიფათოა... შეყვარებას ისევ შეძლება სჯობია, — გეცოდინება მაინც საფრთხე რომ გემტკრება და მუდამ მზად იქნები!.. თუ შეგიყვარა, მთლად უარესი: სულ წითელი კვერცხები უნდა უგორო; ოდნავ თუ ხელი შეგეშალა და მის მოსაწონად ვერ მოიქცევი, დაღუპულია შენი საქმე, — სიზმარ-ცხადში რომ არ იქნები, მაშინ გამოგჭრის ყელს!.. გიყი გარეთ გაშვებული და ისიც შეიარაღებული?.. მტრისას, მტრისას!..

ან იქნებ განგებ მოიგივიანა თავი?.. იქნებ რაიმე მახეს უგებს და იმ ავტოგრაფით უფრო მეტ სარგებელს გამოელის, ვიდრე ავტომანქანაა?.. კარგად არც დაკვირვებია რა ქალაღღზე მოუწერა ხელი... უცებ თავში დასცეცხლა: ჩეკი ხომ არ იყო ნეტავი?.. ალბათ ჩეკი მოკპარა ავყოფაშვილს და დირექტორის ხელმოწერაც მისთვის დასჭირდა... ჩანს, ბიჭმა რაღაც მახვილგონივრული კომბინაცია ჩაიფიქრა და ხვალ ბანკიდან უხარმაზარი თანხის გატანას აპირებს!..

სასწრაფოდ მთავარი ბულალტერი უნდა მოინახულოს და მოეთათბიროს, ხოლო ხვალ, ვიდრე ბანკის ოპერაციები დაიწყებოდეს, მმართველს უნდა დაუარეოს, — საკრედიტო ინსპექტორები და მოლარე-ინკასატორები გააფრთხილებინოს; მილიციის ჩარევაც საჭიროა, „საუკუნის დანაშაულის“ თავიდან ასაცილებლად!..

რის ავტოგრაფი, რა სისულელეა — ეს რამ დააჭერებინა, ასეთი გულუბრყვილობა ნამდვილად არ ეპატიება!..

ან არა და მაშინ მართლაც სულით ავადმყოფი ყოფილა... მტრისას, მტრისას!..

სჯობს ისევ ფული გაიტანოს ბანკიდან და სამუდამოდ გადაიხვეწოს... კი, ნამდვილად!..

მიტომაც აღარ ატეხა განგაში იმ ღამეს: ოღონდ ჩამოსხნოდა და ყველაფერზე ყაბულს იყო!

მან იგრძნო, რომ უხილავი მტრის

სააშკარაოზე გამოსვლამ, მასთან შეხვედრამ და საუბარმა, ნათელი კი არ მოჰქინა ამ უცნაურ ამბავს, არამედ კიდევ უფრო გააბუხდოვნა...

* * *

მეორე დღეს მანქანით წამოეწია ტრასაზე.

ჭიქურ სანებლიძემ გზა უტია, ლამის გადასცდა ასფალტს, მაგრამ მიჩინა მკვერ გაბედა გასწრება...

მოტოციკლეტის აქერცილილ სარკეში ხედავდა ბიჭის დაბლვერილ სახეს, ფლალ წვერს... იგივე ჯინსის შარვალი და ცხრაფეხას ზურგით დახაზული ზედა მოსასხამი ეცვა, თავზე თეთრი მუზარადი ეხურა... ვაუღიმა და ხელა დაუჭნია, მაგრამ თითქოს ვერ ამჩნევსო, უცხოსავით ეჭირა თავი.

არც იმ დღეს და არც იმ კვირაში უჩვეულო არაფერი მომხდარა... ჩეკები ხელუხლებელი აღმოჩნდა — საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი ავკოფაშვილს ცეცხლგამძლე სეიფში, ბიჭიც არსად გასულა — ჩვეულებრივ დაახრივინებდა ავტოკარს ქარხნის ეზოში და კაბინეტთან ჩავლისას კვლავ იდუმალ მზერას შემოსტყორცნიდა ფანჯარაში...

ასე გრძელდებოდა მთელი კვირა, ვიდრე მირიანი ამასობაში ხელახლა გააანალიზებდა მომხდარ ფაქტს, ახალ დასკვნებს გამოიტანდა და სათანადო გადაწყვეტილებასაც მიიღებდა!..

მანამდე ბიჭის პირადი საქმე გადაათვალიერა, მაგრამ საგულსხმო ვერა შეიტიყო რა, გარდა იმისა, რაც იცოდა: მოშობლები ადრე დახოცოდა და უპატრონო ზავშეთა სახლში გაზრდილიყო... პროფტექნიკური სასწავლებელე დაემთავრებინა, ჯარი მოეველო... ცოტა ხანი ავჭალის აგურის ქარხანაში ემუშავა ავტოკარზე, მერე პურის ქარხანაში — მტვირთავად, ბოლოს რომელიღაც მშენებლობაზე — მებუღლოზერედ თუ მრეცქსკავატორედ... ბოლო ერთი წელი, ვიდრე საკონსერვო ქარხანაში მოვიდოდა, არსად არ უმუშავებია და ღმერთმა იცის, ამ დროს სად იმყოფებოდა, ან რა

საქმიანობას ეწეოდა: შესაძლოა, ამ პერიოდში დაუკავშირდა იგი დამნაშავეთა სამყაროს... ანდა სწორედ იმ ხანებში გაგივდა?..

თუმცა მალე დარწმუნდა, ჭიქურ სანებლიძეს სიგიჟისა რომ არაფერი ეცხო... სამუშაოს არ აცდენდა და არც არასოდეს იგვიანებდა. შესვენებისას, ქარხნის სასადილოში წვნიანს შეხებრებდა და ლიმონათს დაყოლებდა; ზოგჯერ ძებხვსა და შავ პურს აიღებდა, ჩამოჭდებოდა მერე ავტოკარზე ან ცარიელ ყუთზე — ხანაც საწყობში შაქრის ტომრებზე წამოწებოდა და ილუკებოდა... წელში გატეხილი, დაფიქრებული და გასაცოდავებული ჩანდა...

მირიანი თანდათან ჩახვდა მთელი ამ ამბის საიდუმლოს...

ეტყობოდა, ჭიქურ სანებლიძემ შეიგნო საკუთარი უმწეობა და უსუსურობა, — უახრობა მის მიერ წამოწყებული სახიფათო თამაშისა...

ერთბაშად იგრძნო, რომ ბიჭი უკვე არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა: დირექტორის დანახვამ თვალებში შიში ჩაუდგებოდა ხოლმე, ფეთდებოდა და ფერ-ფერი მისდიოდა...

იცოდა რაც ხდებოდა მის სულში: ბიჭმა ვერ შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება...

ვიდრე ნილაბაფარებული დასდევდა და უჩინრად უსაფრდებოდა, მანამ გაცილებით იოლი იყო, რადგან თავი სულ სხვა კაცად ჰყავდა წარმოდგენილი, — მის მიერ მოგონილ და შეთხზულ ძლიერ პიროვნებად — „სუპერმენად“, მაგრამ სააშკარაოზე რომ გამოვიდა და მკაცრ, მოწინააღმდეგეს პირისპირ წარუდგა, მისივე საკუთარი თავის წინაშეც გაშიშვლდა და მიხვდა, საამისო ძალა არ შესწევდა!.. არამც თუ ფულის „შეწერა“ — შეთავაზებული ავტომანქანის წაღებაც ვერ გაბედა, რადგან იცოდა, ასე პაი-პარად არავინ არაფერს შეარჩენდა: ნაალაფარსა და ნაყაჩაღარს ხომ დაცვა-შენარჩუნება უნდოდა, მას კი ამის თავი არ ჰქონდა!.. ბიჭის ხელში ახლა იარაღიც აღარ იქნებოდა საშიში,

რადგან მორალურად იყო უკვე გატეხილი...

მირიანმა გადაწყვიტა იერიში მიეტარა და საბოლოოდ გაენადგურებინა მტერი.

დღის ბოლოს მან ბიჭი კამინეტში დაიბარა... რევოლვერი, ყოველ შემთხვევისათვის მაინც, მაგიდის გამოღებულ უჭრაში ედო...

ჭიქურს სანებლიძე დამფრთხალი და დაბნეული შედგა შუა ოთახში. შავი სპექტანსაცემელი და ქირხის ბათინკები ეცვა; თმა, აქა-იქ, უწნოდ აპრეზოდა.

— მოდი ახლოს, ნუ გეშინია!

ბიჭი მაგიდასთან მივიდა.

მირიანს სკამიკ არ შეუთავაზებია: დაე, ეგრძოდ და დაენახა ამ თავგასულ მუშას, რამხელა სხვაობა და ზღვარი იყო მათ შორის!..

— რევოლვერი ისევ გიდევს ჯბეშო?..

— რალაცნაირი სიბრალულოთ ჰკითხა.

— არა, ბატონო... — მიუგო ბიჭმა და დამნაშავესავით დარცხვენილმა სათითოდ გადმოიბრუნა ყველა ჯიბე.

— გედოს მერე, ვინ გიშლის... — უთხრა მირიანმა. — თუმცა რად გინდა, არ გქირდება: შენ სულ სხვა ტაპის კაცი ხარ — ალალი, მშრომელი, პატოსანი მუშა... კოდევ გეკითხები უკანასკნელად, — მე კი ვიცი რა იყო და როგორ იყო, მაგრამ შენი პირით მინდა მოვისმინო — რა გინდოდა ჩემგან, რა დაგიშავე?

ბიჭმა თავი ჩალუნა და ბათინკის ქვინტით იატაკს დაუწყო ხახვა.

— კარგი, პო... იატაკს ნუ გამიფუჭებ, გადაყვევი მაგის გარემონტებას... ისედაც გასაგებია ყველაფერი!

— მამატყეთ, ბატონო... — თქვა ბიჭმა.

— მე უკვე ვამატყე, როგორც ახალგაზრდა, თავქარიან ჯეელს. ამ ცხოვრების ანბანი რომ არ გაგეგება... ჩემს მეტა ამას არც მოგიოთმენდა, მაგრამ ვხედავ როგორ იტანჯები კაცი, რა დღეში ხარ... ფულის გამო აყეთებდი ყველაფერს, მაგრამ მერე ნამუსმა შეგაწუხა, ველარ გაბედე და თავი რომ დაგეჭვებინა, ჩემს ხუმრობას ჩაებღალუქე, ვითომ მართლა

ავტოგრაფი გინდოდა — მეტი უკეთესი იმეხად ვერაფერი მოაფიქრე!

პირდაპირ გეტყვი, გულახდილად: ვიცი, ცული ბიჭი არა ხარ, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც, — მე ეს ყველაფერი, ჩემო ძმაო, ლამის სიცოცხლის ფასად დამაჩადა... არის შეცდომები, რომელთა პატივბაც არ შეიძლება... გულბოროტი კაცი რომ ვიყო, სხვანაირად ვიძიებდი შურს, მაგრამ... ერთი სიტყვით, მიპატიებია, ოღონდ უნდა წახვიდე... უნდა მოშორდე აქაურობას... ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელია!

— მაგას მეც ვფიქრობ, ამ ბოლო დროს, ბატონო...

— რას?... — ჰკითხა მირიანმა.

— აი, რაც თქვენი ბრძანეთ... ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელია!..

— ამ დრომდეც უნდა მიმხედარიყო და დაგეწერა განცხადება წასვლაზე... ანკი რა ნამუსით ჩერდები აქ... არ გვგონოს ქუჩაში გაგდებდე, — მე მაგის კაცი არა ვარ, თუმცა შენ ყველაფრის ღირსი ხარ... რაც სიმწარე მანახე, იმას რა დამავიწყებს!.. აღარ მინდა ამაზე ვიფიქრო... მე უკვე აღმოვიჩინე ადგილი გარდაბანში; კანტორის უფროსი ჩემი მეგობარია... კი, ბატონო, მოვიდეს მითხრა... მშენებლობაზე იმუშავებ მებუღლოზურედ, ხელფასიც მეტი გექნება — ორას მანეთამდე გამოგივა თვეში, ბინითაც დაგაკმაყოფილებენ... საერთო საცხოვრებელში... მოკლედ, ძალიან კარგი ორგანიზაციაა. მეტი რომ არ შეიძლება... მაგრამ მანამდე უნდა მითხრა, როგორ იყო და რანაირად — ვინმემ ხომ არ გაგაბრძოყვა, ანდა ხომ არ წაგაქება. მტრები და მოშურნეები მყავს, ვიცი... უმტრო კაცი არ არსებობს, — მით უმეტეს თუ რალაცას წარმოადგენ: იმაზე არიან დამაცადინებულო, ფეხი სად დაგიცდებდა, რომ იქვე სამარე გაგიტხარონ, — ზოგს ადგილი მოსწონს შენი, ზოგს — სახლი, ზოგს — ცოლ-შვილი... სიმართლეს თუ არ იტყვი არსადაც არ გაგიშვებ და აქედან პირდაპირ... ერთი სიტყვით, სხვანაირად ვიმოქმედებ!..

— რანაირად?.. — ჰკითხა ბიჭმა, რომელიც თავდახრილი უსმენდა და მალე-მალ ინაცვლებდა ფეხს.

— ისე, როგორც წესი და რიგია... არსებობს კანონი და სამართალი, რომელიც მოქალაქეთა სიცოცხლესა და ღირსებას იცავს! იძულებული გავხდები მათ მიემართო; ამ დრომდეც უნდა მექნა, მაგრამ მოგერიდე — არ მინდოდა. ახალგაზრდა კაცი გამეუბნედი რები... ხომ არ გგონია თავზე ხელს გადაგისვამენ... დაინიშნება გამოძიება და გაარდაბანი კი არა, ციმბირიც უკან დაგარჩება!

— ჩვენი ერთად მუშაობა შეუძლებელია... — წაიღულულუდა ბიჭმა. — ოღონდაც მე ვთხოვთ, თქვენ, ბატონო მირიან...

— რასა ვთხოვ, რას?! — შეტევაზე გადავიდა მირიანი. — ენა როგორ გიბრუნდება სიტყვილით... რომ მოგვეკალი, შერე ვილას სთხოვდი, ან რაღას სთხოვდი?.. თუ არ იტყვი, ახალევი მილიციას გამოვუძახებ... ან იქნებ გგონია, მილიცია მართო შენთვის არსებობს, რომ მე ხელწერილი მადებინოს?.. ნუ გეშინია, — გაირკვევა თეთრი და შავი!.. — ტელეფონის აპარატი ახლოს მოიჩინა და ყურმილს დასწვდა... — ალო, ალო... ამხანაგი ახალკაცი მინდოდა!

ბიჭი შეკრთა.

— ვთხოვთ, ორი დღის ვადა მომცეთ, და გეტყვით ყველაფერ სიმართლეს...

მირიანმა ყურმილი დადო. სინამდვილეში არც აპირებდა დარეკვას, — ყუასიდად ჩასძახა მიკროფონს მილიციის უფროსის გვარი, — ბიჭის დასაშინებლად — არ უნდოდა ამ ამბის გახმაურება და საერთოდ, არც არავისთვის გაუშხელია...

— კარგი... — უთხრა მან დინჯად და თავშეკავებულად; ცდილობდა სიხარული დაეფარა: არ ელოდა ასე უცებ თუ მოტყდებოდა ჭიქურ სანებლიძე, გულში მაინც ჰქონდა მისი შიში... კალენდარი გადაფურცლა. — დღეს რა დღეა?..

პო, სამშაბათი... ესე იგი ზეგ, ხუთშაბათს, ყველაფერს ჩამიკაკლა... მე კი ვიცი, მაგრამ დეტალებში მაინტერესებს, წერილად... რასა გავს ეს ბოლოსდაბოლოს, — გაგონილა ამისთანა ამბავი?!

— მესმის, ბატონო... ჩვენი ერთად მუშაობა მართლაც შეუძლებელია!

— ესე იგი, მებუღლოზერედ, გარდაბანში... — უთხრა მირიანმა. — მე სიტყვის პატრონი ვარ!

— მეც!.. — მიუგო ჭიქურ სანებლიძემ.

ისე როყოფდ ისროლა ეს ბოლო ფრაზა, არ მოეწონა და ბიჭი რომ გავიდა, გაიფიქრა — კვლავ არ მიზიზნდროს რამეო, მაგრამ შერე თვითონვე დასძინა გუნებაში: „არა, არა, — არა მგონია!“

* * *

მეორე დღეს, დილით, კაბინეტში ტელეფონის ზარმა გაიწვრიალა: მირიანი ყურმილს დასწვდა...

— ალო, ალო... საკონსერვო ქარხანაა?.. დირექტორი მინდა სასწრაფოდ!.. — გაისმა გაფაციცებული ხმა.

— დირექტორი ვისმენთ, ქალბატონო... რომელი ბრძანდებით?..

— პარტიის რაიკომიდან გაწუხებთ... მდივანს სურს თქვენთან ლაპარაკი — არ დადოთ ყურმილი!..

ხმა პანიკურად ეღერდა და მირიანს გული გადაუქანდა: მდივანი ახალი იყო, კარგად არც იცნობდა, — ნეტავ რად დასჭირდა ასე სასწრაფოდ?

ჭირის ოფლში გაიწურა უცებ, — სახელი ვეღარ გაიხსენა მისი...

— ალო!.. — გაისმა ბოხი, ოფიციალური ხმა.

— ვისმენთ, პარტიეცემულო... პარტიეცემულო ვახტანგ!.. — მაშინვე მოაგონდა, როგორც კი ხმა გაიგონა. გადარჩა!.. აწი, დაე, რაც მოხდება — მოხდეს!..

— ამხანაგი დევიძე?.. — ავისმომასწავებელი დაყვავებით იკითხა რაიკომის მდივანმა.

— დიას, პარტიეცემულო ვახტანგ... —

ხელისგულით მოიწურა შებლზე ოფ-
ლი. — დევიძე ვისმენს!..

— თქვენ, ამხანაგო დევიძე, სრულ
კეთილზე ხართ?..

— მე?.. — ენა ჩაუვარდა, მიხვდა
რალაც გლახა საქმე სჭირდა.

— დიახ, დიახ, თქვენს!.. — მკაცრად
გაუშეორა მან.

— მე მგონია კი, პატივცემულო... —
ხმა ჩაუწყდა და პირი გაუშრა... მართ-
ლა ხომ არ გაგიჟდა ნეტავი?.. თეიმურა-
ზს ეჭიმი გაახსენდა, — იმას რა ხანია
გეთი ჰგონია... ლიზიკოსაც, ნუცასაც...
უყვირთ კიდევ სამსახურში რომ და-
დის... იქნებ ეჩვენება, რომ სამსახურ-
ში დადის, — სინამდვილეში კი საგუ-
ეში წევს?..

— მით უარესი თქვენთვის!..
— რა ბრძანეთ, პატივცემულო?.. —
კვლავ დაავიწყდა მდივნის სახელი, მა-
გრამ დიდად არ დაღონებულა: ჩანს,
ეს საუბარში ილუზია ყოფილა, პალუ-
ცინაცია და მეტი არაფერი!..

— ახლავ გამოცხადდით რაიკომ-
ში!.. — მდივანმა ყურმილი დაახეთ-
ქა... ნაღდად დაახეთქებდა, ისეთი ტო-
ნით იყო ნათქვამი ეს „გამოცხადდით...“

მისაღებში ახალგაზრდა ქალი შემო-
ეგება:

— შებრძანდით, გელოდებათ... რა
ჩაიღინეთ ასეთი?.. — უთხრა თანაგრ-
ძნობით. — ძალიანაა გაბრაზებული!

— არ ვიცი... — მიუგო მირიანმა;
ისედაც მუხლები ეკვეთებოდა და ქა-
ლის სიტყვებმა მთლად მოუღო ბოლო.

შესვლისას ტყავგადაკრულ ორმაგ
კარებში გაიბღანდა... რის ვაი-ვაგლა-
ხით დააღწია თავი ლაბირინთს, მაგრამ
მანც არ მოსინათლდა და მიხვდა —
თურმე, თვალთ უზნელდებოდა... ფანჯ-
რების სილუეტს ხედავდა მხოლოდ და
ჩარჩოში ჩასმულ ნარინჯისფერ ცის
მონაკვეთებს... მდივნის ახოვანი ფიგუ-
რაც ვაარჩია, — ხელში რალაც ქალა-
ლი ეჭირა... მაგიდამდე კი მიადწია და
მოწყვეტით დაეშვა სკამზე:

— წყალი... — ამოილტვინა.
მდივანმა შეატყო ცუდად რომ იყო,
— სასწრაფოდ მიაწოდა წყალი, დაჭდა
და შემკრთალი მიამჩერდა.

მირიანმა წყალი მოსვა და ჭიქა მაგი-
დაზე დადგა: უცებ მომჭობინდა, რაკ
მდივანი აღარ უწყობებოდა.

— როგორა ხართ... ექიმს ხომ არ გა-
მოუძახით?

— გამდლობთ, ახლა უკეთ... — მი-
უგო ლიმილით, ანკი რა მალამო შეედ-
რებოდა მდივნის მზრუნველ კილოს. —
ბოდინს ვიხიდი, არ მოგსალმებევარ,
პატივცემულო ვახტანგ!..

— არაუშავს, რა დროს ეგაა... —
მდივანმა ხელი ასწია და ქალაღლი პა-
ერში შეაფრიალა. — ამიხსენით, ღვთის
გულისათვის, რა არის ეს, რა დაგიწე-
რიათ... დაეჭვირო მართალია?..

ქალაღლის თავში მსხვილი ასოებით
ეწერა: „განცხადება...“

მირიანმა განცვიფრებისაგან პირი
დააღო: რაიკომისათვის არავითარი გან-
ცხადებით არ მიუმართავს... არადა, მი-
სი ხელით იყო ნაწერი!.. მერე მდივანმა
ქალაღლი შემოაბრუნა და უცებ მან
იცნო „ავტოგრაფი“, ამ ათიოდელის
წინ რომ მისცა ჯიქურ სახელობის.

„რალაც მახე დამიგო იმ სატანამ!..“

— გაიფიქრა ელდანაცემმა... იი, თურ-
მე, რად სჭირდებოდა ავტოგრაფი...
აჟადაც მიუტყვებელი შეცდომა ჩაი-
ღინა: ეს ამბავი უნდა გაეთვალისწინე-
ბინა!.. საინტერესოა, მაინც რა მოჩმა-
ხა, ასე რომ ვადაურევია კაცი?.. დახეთ,
როგორ მიუშვავსებია: ნეტავი საითკენ
უმიზნებს?.. არა, ბიჭი მართო არ არის:
მის ზურგს უკან ვილაც ძლიერი მტერი
იმალება, რომელიც მას „აფინანსებს...“
მიტომაც თქვა უარი ავტომანქანაზე!

— გეფიცებით, ბატონო ვახტანგ, კო-
მუნისტის წმინდა სახელს და პარტიულ
ბილეთს, — მკერდზე მიიღო ხელი. —
„განცხადება“ ჩემი დაწერილი არაა!..
არ ვიცი რა სწერია შიგ, მაგრამ სულ-
ერთია, — ჩემი ხელიდან არ გამოსუ-
ლა; დარწმუნებული ვარ რალაც სისა-
ძაღლე იქნება, ცილისწამება... ბოროტი

აღმინისაგან სხვას რას უნდა ელოდე... აბა პატროსანი კაცი ხომ ამას არ იკადრებდა..

— სად არის თქვენი პარტილეთი, რომელსაც ასე თავგამოდებით ფიცულობთ?..

— აქა მაქვს, პატივემულო ვახტანგ... ახლავე მოგართმევთ!

ტყავის მოზრდილი საფულე ამოიღო ჯიბიდან. კარგა ხანს ქექავდა, ჩხრეკდა მის ყოველ ნაოქსა და ნაეცეს, მაგრამ პარტილეთი აღარსად იყო... სახეზე თანდათან ეხატებოდა სასოწარკვეთა.

— გადავირევი ახლა... აქ მიდევს სულ, მარცხენა ჯიბეში, — გულთან ახლოს!..

— ამოდ ეძებთ „გულთან ახლოს“, ამოდ იწუხებთ თავს... — მკაცრად უთხრა რაიკომის მდივანმა: უჯრიდან პარტილეთი ამოიღო და დაანახა. — სირცხვილი თქვენი: არც კი იცით, რომ დაქარგეთ, თუმცა ჯერ გასარკვევია, დაქარგეთ თუ რა მოხდა სინამდვილეში... პარტილეთი თან მოჰყვა განცხადებას, — უფრო სწორად: განცხადება მოჰყვა პარტილეთს... ამისათვის სასტრუქად დაისჯებით!

მირიანს თავზარი დასცა ამ ამბავმა. მაშინვე იაზრა, პარტილეთს ჩქურსანებლიძე ამომაცილიდა ჯიბიდან იმ სალამოსო... ვიღაც ებრძვის, ვიღაცას მისი ადგილი უნდა, — სხვანაირად ვერას აკლებს და ახლა პროვოკაციებს მიმართავს, ინტრიგებს უწყობს!..

— მოუპარავთ, პატივემულო ვახტანგ... ყველაფრის ღირსი ვარ!..

— რა უნდოდა პარტილეთს საფულეში?.. — ბრაზისაგან მდივანს ფერა წასვლოდა, მაგრამ ხმის აწევას ვერ ბედავდა, — კვლავ რამე არ მოუვიდესო.

ახალგაზრდა კაცი იყო, ლურჯი კოსტუმში და წინწყლებიანი თეთრი პერანგი ეცვა, რომლის საყულო პიჯაკს ზემოდ ვადმოვინა. კეთილი, სათნო სახე ჰქონდა და მირიანს იმედი მიეცა, იქნებ იოლად გადავჩნდეთ...

— ახალბედა ხომ არა ხართ, ამხანა-

გო, — განაგრძობდა იგი. — გულსწრით წლის სტაჟი გაქვთ, თანაც პასუხისმგებელი მუშაყი ბრძანდებით, სხვებს უნდა ასწავლიდეთ ჰკუთს... სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა როდია, საფულესთან ერთად პარტილეთი რომ იკარგება... თუმცა, ვხედავ, თქვენ საფულე არ დაგიკარგავთ?!

— დაახ... მომაგონდა, პატივემულო ვახტანგ: ამ ორი-სამი დღის წინ სამშკროში გადავირბინე... ცხელოდა და პიჯაკი კაბინეტში დაეტოვე, სკამზე გადაფენილი... ადრე ჩამოგვიცხა წელს ნამეტანი... ჩანს, ვიღაც შეპარულა (ნაღიაც არ იყო იმ დროს იქ — ჩემი მდივანი!), — ფულს ეძებდა, ალბათ, და რომ ვერ იპოვა (ანკი რა უნდა ეპოვას), გაბოროტებულმა პარტილეთი წაიღო... მტერი მყოლია ქარხანაში.. თავს კი არ ემიართლებ, — მაინც დასჯის ღირსი ვარ!

— დაისჯებით კიდევ, ამას წყალი არ გაუვია!.. ყველაზე მეტად ეს განცხადება მაინტერესებს...

— მე არავითარი განცხადება არ დამიწერია, პატივემულო ვახტანგ!

— სიმართლე გითხრათ, მეც შეპარება ეშვი, თუმცა კი ძლიერაა მიმსგავსებული: თქვენი ხელნაწერი მოვადებინე წელან, კალიგრაფია შევეუდარე... არავითარი განსხვავება არაა, — ხელმოწერა კი ზუსტად იგივეა!

— იქნებ იმას, ვინც ეს სისაძაგლე ჩაიდინა, — მიუფო მირიანმა. — ფული სულ არ აინტერესებდა, — უნდოდა რაიკომის თვალში ჩემთვის სახელი გაეტეხა და ავტორიტეტი შეებღალა... ფაქსიმილე ზედმიწევნით ზუსტად გადიოლო პარტილეთიდან, ტექსტი კი ისე კარგად აღარ გამოუვიდა... შესაძლოა, რანე ხელნაწერიც ამაწაპნა მაგიდიდან და იმით იხელმძღვანელა... საინტერესოა, რა შეთითხნა... შეიძლება წავიკითხო?..

— აბა, ინებეთ!.. — რაიკომის მდივანმა ქალაღლი გაუწოდა.

მირიანი უხმოდ კითხულობდა, გაფაციცებული: სწრაფად ადევნებდა თვალს

სტრუქტონებს, ხელები უთრთოდა... თანდათან იხრებოდა ნაწერისაკენ და ბოლოს, თითქოს ჩასთვლინაო, ლამის მაგიდას დაჰკრა თავი...

კარგა ხანს დაჰყო ასე... მეორედ კითხულობდა უკვე „განცხადებას...“

„ჩემგან ძნელია ახლა ამის აღიარება... მიჭირს, ძალიან მიჭირს... მაგრამ, ჩანს, ცხოვრებაში მაინც დგება ეპიზოდი, როცა კაცი ვალდებული ხარ განვიღო გზას გადახედო და სიმართლეს თვალეზი გაუსწორო, რაგინდ მწარტე უნდა იყოს იგი...“

მე ღრმად ჩამაფიქრა ჩვენს ყოფაცხოვრებასა და შეგნებაში ბოლო დროს ფეხმოკიდებულმა ზოგიერთმა უარყოფითმა, მეწე ტენდენციებმა და მათ დასაძლევად წამოწყებულმა საერთო-სახალხო ლაშქრობამ... მიძულა კრიტიკულად შემეფასებინა საკუთარი თავი...

სწორედ ამ დროს იწერება ეს განცხადება, გაღვიძებული სინდისის კარნახით...

უამრავი დანაშაული მაქვს ჩადენილი, რომელთა გამჟღავნების შემთხვევაში უმკაცრესად დავისჯებოდი... მზადა ვარ, თქვენთან შეხვედრისას, ყველაფერი გულწრფელად ვაღიარო...

არა ვარ ღირსი კომუნისტის სახელი მერქვას... არა ვარ ღირსი ბიწიერებით აღსავსე გულთან ვატარებდე ამ წმინდა ბილეთს, რომელიც კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში დაცემულ უმაჟაცეს და უსპეტაკეს რაინდთა სისტლითაა შეღებილი... მიტომაც გიბრუნებთ მას თქვენ, ვიდრე პარტიის რიგებიდან ჩემი გარიცხვა ოფიციალურად გაფორმდებოდეს...

შეგნებული მაქვს ჩადენილი დანაშაულის მთელი სიმძიმე და მხოლოდ გულწრფელი მონანიება მიმაჩნია გადაჩინისა და ხსნის ერთადერთ გზად... მზადა ვარ ყოველგვარი სასჯელი ვიკისრო და თავს ბედნიერად ჩავთვლო, თუ მორალური განწმენდის შემდეგ, ერთი დღე მაინც დამრჩება თავისუფალ, ჩათა სიკეთითა და სათნოებით ვი-

ცხოვრო ჩემს ხალხთან და თანამოძვეებთან ერთად, როგორც სრულფასოვანმა მოქალაქემ...“

და ყოველივე ამას აგვირგვინებდა მისი ხელმოწერა, ანუ „ავტოგრაფი“, რომელიც იმ საღამოს ბიქს მისცა და უხაროდა კიდევ, იოლად გადავრჩიო...

— რას გაჩემებულხართ?... — ჰკითხა მდივანმა.

შეკრთა... აღარც კი ახსოვდა სად იმყოფებოდა.

გატეხილი თვალეზით აჰხედა და მინდა დაეკვებულ მხერას რომ წააწყდა, კვლავ ჩაჰქინდრა თავი.

— როგორ... მართლა თქვენი დაწერილია?... — განცვიფრებით, მაგრამ რალაცნაირი თანაგრძნობითა და სიბრალულით ჰკითხა რაიკომის მდივანმა. — მე თქვენზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა, ამხანაგო დევიდე... შორიდან გიციობდით კიდევ, ვიდრე აქ დავიწყებდი მუშაობას... გიციობდით, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო კომუნისტსა და სამეურნეო დარგის გამოცდილ მუშაკს...

— არა, არა... რა სისულელეა... რასა ბრძანებთ, ეს რამ გაფიქრებინათ, პატრიცემული ვახტანგ!... — სწრაფად შეაწყვეტინა მირიანმა. — თუ რამ გვეკვებათ, გააკეთებინეთ ტექსტის გრაფიკული ექსპერტისა და მაშინვე გამოჩნდება სიმართლე... მე, უბრალოდ, გამამატერა ამ არნახულმა ცილისწამებამ და ცინიზმმა, — მსგავსი ჟერ არაფერი მსმენია!

— რაც საჭირო იქნება, ჩვენ უთქვენოდაც გავაკეთებთ, — ცივად უთხრა მდივანმა. — როგორ ფიქრობთ: ვინ შეეძლო ეს ჩადინა?...“

— ეს რომ ვიცოდე, პატრიცემული, — ჩემივე ხელით მივახრჩობდი!

მდივანმა მაგიდაზე თითები ააკაქუნა.

— ჟერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია. პარტიულ კომისიას დავავალე შეისწავლოს განცხადება, — პირადად მე მივიღებ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში... ისე კი, ჩვენში დარჩეს და ზოგიერთ „კომუნისტსა“ და

„ხელმძღვანელ მუშაკს“ ეს განცხადება ფორმულასავით მიუღდებოდა, მაგრამ ეყოფა კი ვინმეს გამბედაობა, ფორმულაში იქნის მაგივრად საკუთარი თავი ჩასვას?.. — ვგონებ არავის!.. ამის ფიქრი გულუბრყვილობა იქნებოდა... — უცნაურად გაუღიმა. — ამიტომაც არა მგონია, თქვენი დაწერილი იყოს!

— როგორ გავიგოთ ნათქვამი?..

— როგორც გესმით... — სიმკაცრე გაერია ხმაში. — თუ არ დაიჭირე, ქუჩაში არ არის!

— ვატყობ, ეჭვი გეპარებათ ჩემში, პარტივერულ ვახტანგ... — მიუღო მირიანმა. — აი, ხედავთ — ანონიმმა ავტორმა უკვე მიიღწია საწადელს!

— ნუ ღელავთ, — წინასწარ არავითარ დასკვნებს არ ვაკეთებ, ვიდრე საფუძვლიანად არ შევისწავლი საკითხს... ჭერჭერობით ერთი რამ არის მხოლოდ ცხადი: თქვენ ვერ მოუარეთ პარტიულ ბილეთს, რისთვისაც დაისჯებით კიდევ, — დანარჩენი მომავლის საქმეა!

— თითები უნდა დააჭრა ამის ჩამდენს... — ამოიხზრა მირიანმა. — თითები ცოტაა, — დახვრიტო უნდა, ჩამოახრჩო... ანკი რა ქუთაში მოუვიდა... ტუტუვი ყოფილა ის ლაწირაკი... მოფიქრება არ გინდა?!

— ახსნა-განმარტება უნდა დასწეროთ. — უთხრა მდივანმა.

ახსნა-განმარტებაში მირიანმა იგივე გაიმეორა, რაც სიტყვიერად თქვა: მოითხოვა საქმის პრინციპული გამოძიება და ბოროტი ცილისმწამებლის სასტიკად დასჯა.

მდივანმა ახსნა-განმარტება, განცხადებასთან და პარტიბილეთთან ერთად ცალკე საქალაქდემი ჩადო.

— პარტიბილეთს არ დამიბრუნებთ, პარტივერულო?.. — ჰკითხა მირიანმა.

— ვნაბოთ... იქნებ დაგიბრუნოთ კიდევ, როცა ყველაფერი გაირკვევა. — პარტიბილეთი უკანვე ამოიღო, გადაშალა და დაანახა, — ხედავთ?.. ორი თვის საწვევრო გადაუხდელი გაქვთ, — სასჯელისათვის მარტო ესეც კმარა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ! — პარტი-

ბილეთი ისევ საქალაქდემი ჩადო და მიახვედრა, საუბარი დამთავრებულიაო.

ცოცხალ-მკვდარი გამოვიდა კაბინეტიდან. ისე უაზროდ მიჰყავდა მანქანა, ორჯერ კინაღამ ბოძს შეასკდა...

ქარხანაში მისვლისთანავე ჯიქურ სანებლიძე მოიკითხა, მაგრამ უთხრებს, — შეუძლოდ გახდა და შინ წავიდაო.

გუნებაში კიდევ გაეხარდა, რადგან ისე იყო გაცეცხლებული, — ახლა რომ ბიჭი დახვედროდა მართლაც უბედურება დატრიალდებოდა!

კაბინეტში ჩაიყვტა და ფიქრებს მიეცა...

სწორად მოიქცა თუ არა, ბიჭის ვინაობა და საერთოდ სიმართლე რომ არ გაუმხილა რაიკომის მდივანს?.. მისი გამოჩენა ხომ უარესად გაართულებდა საქმეს: დანიშნებოდა კონკრეტული გამოძიება და შესაძლოა ისეთი რამ გამომეღვენებულიყო, რაიც მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა... ჭერ ხომ ბიჭთან ურთიერთობა საბოლოოდ გარკვეული არ იყო, — იქნებ ჯიქურ სანებლიძეს მართლაც გაანნდა ხელთ რაიმე კოზირი?..

არა, ნამდვილად ასე სჯობს!..

ექსპერტი უთუოდ დაადასტურებს განცხადების სიყალბეს — ხელმოწერა, ანუ „ავტოგრაფი“ აქ გადაამწყვეტ როლს ვერ ითამაშებს: რაკი ტექსტი არ აღმოჩნდება მისი, ფაქსიმილესაც ნაყალბეად მიიჩნევენს თუნდაც მისეულად ცნონ, ამით არაფერი დაშავდება — იტყვის, რომ ბოროტგანმზრახველმა მაგიდაზე, ხელმოწერილი სუფთა ქალაქი იპოვა და ის გამოიყენა... დიდი-დიდი, — საყვედური გამოუცხადონ პირად საქმეში შეტანით ან შეუტანლად... ჰო, მართლა — ახლავე საწვევრო უნდა გადაიხადოს და პარტიბიუროს მდივანი შეახუროს, ამ დრომდე რომ არ შეახსენა... ჯიქურ სანებლიძე კი როგორმე თავიდან უნდა მოიშოროს, ოღონდაც ჭერ გასარკვევია ვისთანაა იგი დაკავშირებული, ვის წისკვილზე ასხამს წყალს, — ცხადია ვიღაცამ გააბრწყინა.

კარგა ხანია გვიკვირდა, რომ ამ ამბავში მთავარი ინჟინრის, ბარნაბა კიკნაველიძის ხელი ერიო. ამ მოსაზრებას უმტკიცებდა ის დაძაბული ურთიერთობა და გაუთავებელი შეხლა-შემოხლა, წლობით რომ გრძელდებოდა მათ შორის; კიკნაველიძეს ვიღაც მფარველი ჰყავდა და ეს აბედინებდა... ერთხანს იმედი ჰქონდა, მირიანს ტრესტში გადაიყვანენ და დირექტორობა მე დამრჩებაო, მაგრამ რაკი აღარ მოხერხდა, ახლა სხვანაირად დაუწყო კბენა. ჩანს, ამ თავქარიან ბიჭს ბარნაბა გეშვედა და უქსევდა: შეედისი არ იყოს, კიკნაველიძეც იმ ტიპის კაცი იყო, ყველაფერზე რომ მოაწერდა ხელს... საინტერესოა რად დასჭირდათ მისი სახელით შეედგინათ განცხადება, როცა შეეძლოთ ანონიმური წერილი გაეგზავნათ?..

ბოლოს ამასაც მოუძებნა ახსნა:

ჭიქურ სანებლიძემ (უფრო სწორად — ბარნაბა კიკნაველიძემ) იცოდა, რომ ანონიმურ წერილებს დიდი გასაჯალი არ ჰქონდა: მას იქვე ჩააგდებდნენ კალათაში წაუკოხავად, ანდა ვალის მოსახდელად ზერელედ შეისწავლიდნენ და ბოლოს უთუოდ იმ დასკვნამდე მივიდოდნენ, რომ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება... უაზრობა იქნებოდა აგრეთვე, ხელმოწერილი საჩივრის გაგზავნა, რადგან შემოწმებინ შედეგად ასევე იოლად დამტკიცდებოდა მისი სიყალბე. ხოლო ბარნაბას ინტრიგანი კაცის სახელი დაერქმეოდა და თვითონვე წაიხდენდა საქმეს: მომჩივანი და ინტრიგანი კაცი არავის არ უყვარს!.. ასე რომ, ყველაზე ვერაგული ხერხისთვის მივგნოთ, — ეთომ მირიანის თვითონვე აღიარებდა „დანაშაულისა და ცოდვებს“, რასაც კიდევ უფრო დამაყრებელს ხდიდა განცხადებაზე დართული პარტიბილეთი...

პარტიულ კომისიას დიდი დრო არ დასჭირვებია ამ საქმის შესასწავლად და საკითხის მოსამზადებლად რაიკომის ბიუროზე გამოხატა:

როგორც მოსალოდნელი იყო, გრა-

ფიკულმა ექსპერტიზამ ტექსტს შეამოწმა ბევად სენო, მაგრამ ხელმოწერა კი მისეულად მიიჩნია... ამის გამო კვლავ მოუხდა ახსნა-განმარტების დაწერა, მაგრამ სასჯელს მაინც ვერ ასცდა: პარტიბილეთის დაკარგვისა და ორითვის საწევრო შესატანის ვადებდელიობისათვის ბიურომ მას სასტიკი საყვედური გამოუცხადა პირად საქმეში შეტანით!.. სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ და არც თანამდებობრივად ჩამოუქვეითებიათ, მაგრამ სახელი და ავტორიტეტი კი შეეღალა და ეპეის თვლით დაუწყეს ცქერა, რასაც მოწმობდა ბიუროს დადგენილებების ის პუნქტი, სადაც ქარხნის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმებისა და დოკუმენტური რევიზიის ჩატარების აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი.. ამას დიდად არ შეუწუხებია, რადგან ქარხანა ადრეც შეუმოწმებიათ სხვადასხვა ორგანოებს, მაგრამ ვერასდროს ვერაფერი უპოვიათ, ისე ჰქონდა საქმე აწყობილი, და რაღა ახლა გაწყრებოდა ღმერთი!.. პარტიულმა სასჯელმა კი ნამდვილად დაამწუხრა: მანამდე სარკესავით სუფთა მის პირად საქმეში პირველი შავი ლაქა გაჩნდა!..

შალე ესეც აღარაფრად გამოუჩნდა, იმისთანა ამბები დატრიალდა ამასობაში...

რაიკომიდან რომ მობრუნდა და ბიჭი არ დაუხვდა, იფიქრა, — ილბათ, სამუდამოდ ამოიკვეთა ფეხი ქარხნიდანო, მაგრამ მეორე დღეს, დილით, სამსახურში მისვლისთანავე ყველაზე პირველი ვინც დაინახა, სწორედ ჭიქურ სანებლიძე იყო: ავტოკარი დაეტვირთა და საწყობისაკენ მიიხრჩინებდა... ბრაზისაგან სისხლმა აასხა თავში და ყურებმა დაუწყეს შუილი — წამოეწია და დაუყვირა:

— შენ ეი, გესმის?.. შეჩერდი!

— რა გნებავთ?.. — ჰკითხა ბიჭმა და ამრეხით გადმოხვდა.

მირიანი მანქანიდან გადმოვიდა.

— ეს რა განცხადება გაგიგზავნია რაკომში ჩემი სახელით... სხვების აყოლა შენ არ გარგებს, იცოდე!

— სხვებთან რა მესაქმება!.. — როყოოდ ესროლა ბიჭმა.

— ვიცი, შენ ამის გამკეთებელი არა ხარ, — მირიანი ახლოს მივიდა და წასჩურჩულა: — ჩემზე მეტ პატივს ვერაინ ვერ გცემს, — ტყუილია!.. ეს მანქანა თუ გეცოტავენა, აგარაკს გავყიდი და ფულს უკლებლივ ჩაგითვლა — ერთი ძველი „ლიმონი“ მაინც ღირს, თუ მეტი არა... ჩამოდი, ჩამოდი, ჩიქურ მოვილაპარაკოთ — მოვათავოთ ბარემ ეს საქმე!

— ახლა მაგის დრო არაა... — მიუგო ბიჭმა.

— შევრიგდეთ... — უთხრა მირიანმა. — რა გვაქვს ვასაყოფი, ორივენი დავეტყვი ამ ქვეყნად... გახსოვს? ადრეც ვითხარი, მომწონხარ-მეთქი!... სწორედ შენისთანა კაცი მინდა მყავდეს გვერდში: ძლიერი, ჭკვიანი, შეუპოვარი და სანდო... დაანებე თავი ჩემთან ამ უაზრო და უსაგნო ბრძოლას... ოღონდაც შევრიგდეთ და ბედს გწევ: გაგამდიდრებს, ქალაქში პირველ კაცს გაგზავნი, ჩიქურ სანებლიძე!..

— სიკდილის მეტი ვერაფერი შემარიგებს შენთან, მირიან დევიძე!.. — იყვირა სულ ერთიანად გაფითრებულმა და აეტოკარიდან ჩამოხტა. — ვერა, ვერ დავეტყვი ორივენი ამ ქვეყნად... ჩვენში ერთ-ერთი უნდა დაიღუპოს!..

ნამდვილად გეცია ან ფანტიკოსი... — გაიფიქრა მირიანმა. — რა დამემართა ეს, ვის გადაეყარე... ამასთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, — გინდა თუ არა იძულებული ხარ თავი გაუტეკყო... ახლავე სჯობია, ამ წუთას: კიდევ კარგი, მოფარებულში ვართ და ვერაინ გვხედავს... თუ დაღუპვავა, დაე ჩიქურ სანებლიძე დაიღუპოს!.. — ჩიბისკენ გააპარა ხელი.

— მესროლე თუ ვაყვანი ხარ!.. — იყვირა ისევ სახეშეშლილმა ცაცხახითა და კბილების კრუკით. — ხომ იცი, დაუძინებელი მტერი ვარ შენი... იმას

მაინც ვეღარ იტყვი უთანასწორო ბრძოლაში დავმარცხდიო, როგორც ამ დრომდე ამბობდი... მე დღეს უიარალოდ ვარ, ამა, ნახე, თუ არა გჯერა!.. — ბიჭმა ჯიბეები გადმოიბრუნა. — აბა გაბედე, თუ ვარგისარ!.. მაინც ვერ მომარტყამ, ხელები ავიკანკალდება შაშისაგან... რომც მომკლა, მიწიდან ამოვძვრები და გაგისწორდება!.. შენთვის ეკალ-ბარდებად აღმოვეცნებები და ფეხებში გაგებლანდები!..

მირიანი უკან-უკან იწვედა: იგი განაცვიფრა და შეაძრწუნა ბიჭის მოულოდნელმა და უმიზეზო ამბობტყუბამ: უკიდურეს ზღვრამდე მიედწია, რომლის იქით თითქოს აღარაფერი არსებობდა... ნეტავ ისეთი რა მოხდაო, ფიქრობდა... ორჯერ დააბირა სროლა, მაგრამ ვერ გაბედა: იქნებ რამე მახვს უგებდა, იქნებ რევოლვერს ხალათის სახელოში მალავდა? ისედაც, ძალზე ახლოს იდგა და შეეძლო ხელდახელ სცემოდა... ასე შეუიარაღებელი, შიშველი ხელებით, ბიჭი უფრო საშიშარი და საზარელი ჩანდა!

კაცი მიტრიალდა და გაიქცა...

• • •

მოვლი კვირა ისე გავიდა ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის.

მირიანი ინერციით განაგრძობდა სამსახურს, თორემ ვარდა საკუთარი სატკივარისა სხვა აღარაფერი აინტერესებდა. მიხვდა, — ასე იოლად ვერას დააკლებდა ბიჭს: ეგერ მილიციაში ხელწერილი ჰქონდა დატოვებული!.. პირიქით, უნდა გაფრთხილებოდა, სხვათაგან დაეცვა... აი, თურმე, რად დასჭირდა მაშინ იმ სცენის გათამაშებაო, ფიქრობდა.

იმ დღეს თათბირს ატარებდა კაბინეტში...

ციდილობდა ჩვეულებრივი რიხით ელაპარაკა, მაგრამ არ გამოუდიოდა... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ჩიქურ სანებლიძე იყო ქარხნის დირექტორი... ვაი თუ გარედან მისმენს და არ მოეწონოს ჩემი ნალაპარაკებით;

თანდათან გაუქდა შიში: ფანჯარას არ მოადგეს და არ მესროლოსო... სიტყვა გაუწყდა, მზერა გაუშტერდა და ფიქრებში ჩაიძირა. ხალხი უხერხულად შემოშვესნა.

— მიხურეთ ფანჯარა... — თქვა მან. ბრძანება კი შეუსრულეს, მაგრამ გულში გაუკვირდათ, რადგან ოთახში ძლიერ ცხლოდა.

მინც ვერ მოაბა თავი სათქმელს. შეცდა: ჩიქურ სანებლიძეც უნდა მოეწვია თათბირზე!.. შეიძლება გაბრაზდეს, — რა უფლება გქონდა უჩემოდ რომ ატარებდიო... ნეტა ახლა მინც არ მოუხტებოდეს... მართალია, ასე საჩაროდ ერიდება თავდასხმას, — განგებ ისეთ დროს არჩევს ხოლმე, მოწმე არავენ ჰყავდეს, მაგრამ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი!..

— დიახ... — განაგრძო მან ბოლოს, როგორც იქნა. — წლევანდელი წელი მართლაც რომ განსაკუთრებულია... და ჩვენც არ უნდა დავრჩეთ ვალში... კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეკიბრების დროშა... გამოვევლინოთ ახალ-ახალი რეზერვები... სამშობლოს მივცეთ ასი ათასი პირობითი ქილა ზეგეგმური ჯემი, კომპოტი, ვაშლის წვენი, ასორტი „ზამთარი...“

ამ დროს კარი გაიღო და ჩიქური გამოჩნდა...

ბიუს ხელში რევოლვერი ეჭირა... კო, კი, — ნაღდად რევოლვერი იყო!..

მირიანს თვალთ დაუბნელდა, შებარბაცდა...

— მიშველეთ!.. — იყვია განწირულის ხმით და მოწყვეტით ჩაეარა საგარქელში.

ხალხი ვერ გაერკვა რა მოხდა, გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ...

ყველაზე უწინ ნადია მოეგო გონს:

— რა მოგივიათ, გედევანოვიჩ?..

მერე სხვებიც მისცივიდნენ.

— არიქა წყალი!.. — ყვიროდა მდივანი.

კადრების განყოფილების უფროსი, გადამდგარი მაიორი, რომელიც ზეიმის დღეებში სამხედრო ფორმას იცვამდა

და მკერდს ორდენებითა და მედლებით იმშვენებდა, ტელეფონს ეცა და სასწრაფოს გამოუძახა.

ექსპედიტორი თენგიზ ქლიბაძე გრაფინით წყალს ასხამდა თავზე დირექტორს.

— გადიოთ აქედან, გადიოთ... მე მოვეუქლი ამას! — ყვიროდა ბარნაბა კიკნაველიძე.

— რაღა შენს შემოსვლაზე მოუვიდა, შენ არ დაგბრალდეს რაზე!.. — ხუმრობის კილოთი უთხრა ვაშაქიძემ ჩიქურ სანებლიძეს.

— რა ვიცი... რა ჩემი ბრალია!.. — მხრები აიჩეხა ბიკმა; შინდისფერი ცხვირსახოცი, შემოსვლისას ხელში რომ ეჭირა, გაეცეა და ჯიბეში ჩაიღო.

— ვისი რა ბრალია — გადაიღალა კაცი!.. — თქვა კიკნაველიძემ და დაამთქნარა.

მირიანი დივანზე დაწვივდა. ალბერტამ ფესსაცემლები გახადა, საყულო მოუღელა და ჰალსტუხი შეახსნა... თენგიზ ქლიბაძემ კვლავ მიაშხეფა თითუბით წყალი... „გედევანოვიჩ, გედევანოვიჩ!.. — ჩაძახოდა ნადია სასოწარკვეთით. — გაახილეთ თვალი!..“

— როგორაა?.. — შორიდან იკითხა ბარნაბამ.

— უკეთესადაა... თანდათან გამოდის მდგომარეობიდან.

— მადროვეთ, მიმიშვით ახლონ... — ბარნაბა კიკნაველიძემ ხალხი მისწინოსწია, მივიდა და სილა გაულაწუნა ყბაში.

მირიანმა თვალები გაახილა:

— დიქით... არ გაუშვათ, არ გაუშვათ!..

— ვინ დაევიროთ, გედევანოვიჩ!.. რა იყო, რა მოხდა?.. — ჩაჰკითხა ნადიამ.

— ის... ის საძაგელი... მკვლელი... სატანა!..

მიხედნენ, დირექტორი რომ რალაცან ურევდა და აღარ ჩასძიებია. ადგილკომის თავმჯდომარემ, შუა ხნის ტუჩებშედლებილმა ქალმა, ჯერ რალაც წვეთება ჩაასხა პირში, მერე თეთრი აბი მისცა,

თან გააფრთხილა, — არ გადაუღაპო, ენის ქვეშ ამოიღე და წუწნეო... მირიანმა ამოიკვნესა და თვალები მილულა. ბარნაბამ დააპირა ახლა მეორე ყბაში გაეცხო, მაგრამ ამასობაში სასწრაფო დახმარების მანქანაც მოგრიალდა.

თეთრხალათიანი ქალები კაბინეტში შემოლაგდნენ.

ნადიას, კიკნაველიძისა და ავკოფაშვილის გარდა ყველა გაიკრიფა ოთახიდან.

ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და თანმხლებ ექთანს უბრძანა გულის გასამაგრებელი ნემსი გაუყეთეთ.

— რა მოუვიდა, რა სკირს?... — გადაცოცებით ჰკითხა კიკნაველიძემ.

— არაფერი, — მიუგო მან. — ნერვიული გადაღლის ბრალია!

— გადარჩება?... —

— რასა ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ... — გაელიმა ქალს. — საავადმყოფოში წაყუენაც არ არის საჭირო, სიმშვიდე და მოსვენება უნდა მხოლოდ! მირიანი დაღონებული იწვა ღივანზე...

რახან ბიჭის სახელს არ ახსენებდნენ, ჩანს, არ უსროლია და არც არაფერი სჭერია ხელში...

ახლა კი ნაღდად მოეჩვენა!

საქმე ისე მიდიოდა, მართლაც აღარ დაედგომებოდა ქარხანაში...

— ერთი თვე მაინც დაისვენე, გედევანოვიჩ... — ურჩია ბარნაბამ. — ეს ოხერი ქარხანა სულ იქნება და ჩვენ ყველას მოგვინებებს: მაქალოს, ჰნავს, ტყემალსა და კაიფერა მსხალსაც რა ეზოლევს საქართველოში, — მთავარია ჯანმრთელობას გავუფრთხილდეთ... კი მოუველი მე აქაურობას, ნუ გეშინია შენს...

თვითონაც ხედავდა უკიდურესად რომ იყო გადაღლილი, მაგრამ სადაც არ უნდა წასულიყო, სულერთია, სანებლიძე მაინც არ მოასვენებდა, — პირიქით: უფრო ეოლად დაიმართხლებდა და გაუსწორებოდა.. ისევ ქარხანაში ერჩინა ყოფნა! მის გულს მხოლოდ მაშინ მოეცხებოდა მალამო, როცა ბიჭი აღიგ-

ვებოდა პირისაგან მიწისა, მაგრამ როგორ უნდა მოეხერხებინა ეს, რანაირად?... ადრე ეგონა, რკინის მკვნეტელა რომ იყოს ვერ დამიმაგრდება, ოღონდ კი სააშკარაოზე გამოვიდესო — და აი, ერთი ლაწირაკი ბიჭისთვის ვერ მოუვლია: ისე გათავხედდა სანებლიძე, იარაღსაც აღარ ატარებს, — შიშველი ხელებით ზაფრავს და აშინებს... მის დანახვაზე გულიც კი მისდის უკვე, ვაი, სირცხვილო!..

ყველას გაუვივრდა, მეორე დღეს, დილაადრიან, ისევ ქარხანაში რომ დაინახეს, მაგრამ ვინ რას ეტყოდა: დირექტორი თვითონ იყო და თავისი საქმისაც მან უკეთ იცოდა...

ნაშუადღევს ნადიამ შემოჰყო თავი კაბინეტში:

— ვილაც ბიჭი გკითხულობთ, გედევანოვიჩ...

ბიჭის ხსენებაზე ტანში გააცოვა, მაგრამ მყისვე მოისაზრა — ჭიქურ სანებლიძე რომ ყოფილიყო, „ვილაცას“ არ დაყოლებდა მდივანიო.

— შემოუშვი... — მიუგო მან.

სულ მთლად ღიმილადქცეული, თავგადახობრილი და ყურებგადმოფლართული, საშუალო ტანის ბიჭი შემოიჭრა მაშინვე კაბინეტში: სახელოებწამოკაპიწებელი მონაცრისფრო ხალათი, ზოლებიანი შარვალი და მოწნული ფეხსაცმელები ეცვა...

— ვაჰ... ეს შენა ხარ, ბახა-ბახა?! — წამოიძახა განცვიფრებულმა.

მერე უცებ წამოვარდა საეარძლიდან, შესაგებებლად გაექანა... გადაეხვია, გადაჰკოცნა და ჯარგა ხანს ჰყავდა გულში ჩაქრული „საბრალო ბიჭი“, რომელიც უკვე ცოცხალიც არ ეგონა!

— საიდან, როგორ... რანაირად, ჩემო ბახა-ბახა?..

— გამამართლეს, პატრეცემულო... გამამართლეს... — ბიჭს ხმა გაეზარა და თითებით მოიწმინდა ცრემლი. — თქვენ ხომ არ გჯეროდათ, რომ მე მკვლელი ვიყავი... სასამართლოზე გა-

ირკვა ყველაფერი... გამოცხადდა ნამდვილი დამნაშავე და აღიარა... ო, რა კარგი ყოფილა სიმართლე, ბატონო მირიანი!

— მომილოცავს, მომილოცავს... — მირიანი სავარძელში ჩაქდა და ბიჭსაც შესთავაზა სკამი. — კინალამ გაგვჩაღღეს ამბავი რომ გაევიგე... საწყალი დედაშენი ისე იყო აღელვებული... აბა რა აქნებოდა!

— ვიცი ყველაფერი, თქვენი ადამიანობა... მიაბზო დედამ... მე ვერასოდეს გადავიხდი ამ პატივისცემას... — „პრიმას“ დაშლილი კოლოფი ამოაძვრინა გულის ჭიბიდან და აღელვებულმა ცრემლებისაგან დასველებული თითებით დაუწყო ამორჩევა სიგარეტს.

— აბა, ეს მოსწიე, ჩემო ბახა-ბახა... — მირიანმა „კოლხეთის“ ახალი კოლოფი ამოიღო უჭრიდან.

— მადლობთ, პატივცემულო... — ბიჭმა გამოართვა სიგარეტი, მაგრამ თავისივე ვერ გაიმეტა გადასაფლავებლად და უკანვე ჩაიღო ჭიბეში. — დედაჩემი თქვენს შხეს ლოცულობს... იმხელა საკეთე გიქნიათ...

— ეს რა სალაპარაკოა... ჩვენ, ადამიანები, ვალდებულნი ვართ გავირეების უამს ერთმანეთს დაეხმაროთ!

— მართო ფულზე კი არაა საქმე... საწყალი დედა ვერ გაღიარებდა ამ ამბავს, თქვენ რომ არ გამოჩენოდით და არ გაგმზნეებინათ... ბახა-ბახას მეგობარი ვარო, ვითქვამთ... — ისევ აუთოლოდა ხმა. — ჩემი მეგობარი ჰგონებინა ხართ!.. მე იმის მადლობელიც ვარ, პატივცემულო, ამის თქმა რომ არ ითავილეთ...

— რაღა, ვითომ... ვერ შეეძლებ შენს მეგობრობას?... — გაიციან მირიანმა.

— მე არა ვარ ღირსი... — ბიჭმა სივარეტს მოუკიდა და მადიანად გააბოლა. — თქვენ ასეთი დიდებული კაცი... თანამდებობის პირი!.. მე კი, ყოფილი ჭიბგირი და ქურდი...

— არა თქვა ეს მეტად, ბახა-ბახა... — მირიანმა თვალები მოქუტა და გაჟივრებული მიაჩერდა ბიჭს. — ეს

ამბავი სულ არ შეუშლის ხელს ჩემს მეგობრობას!

— რა ამბავი, პატივცემულო?..

— აი, რაც შენა თქვი ახლა... ქურდობა და რამე... მე ისეთი კაცი არა ვარ, ამის გამო რომ...

— ბოდიშს ვიხდით, პატივცემულო... — დაიქყანა და დადნა ბიჭი. — მრცხვენოდა რომ მოვდიოდი, თვალბეშინ როგორ შევხედო-მეთქი... არ მეგონა ასე თბილად თუ შემხედვოდით... მაპატიეთ... ახლა კი ვგრძნობ რა ცუდად მოვიქციე: ხალხს არ უნდა დაუჭრო, თურმე; ხალხი ათას რამეს იტყვის... ასეო, ისეო... თუმცა თქვენ უკვე მაპატიეთ, ჩვენს ოჯახში რომ მობრძანდით, ამბავი იკითხეთ და დედა ანუ გეშეთ... იმ ფულით გაუტანია თავი დღემდე!.. როგორც კი გამოუშვებენ ჩემთან მოვიდესო, დაგიბარებიათ, — ადგილს შეუწინააღმდეგო... ავტოკარზე კი არა და სადაც მერყვით იქ ვიმუშაებ, სადაც მიბრძანებთ; თუ გნებავთ მეუზოვედ დაგიღებთ... დაგიმტკიცებთ მთლად ხელიდან წასული რომ არა ვარ და მეც შემძლია პატიოსანი შრომით ცხოვრება! გამოვიწყდი ჩემს დანაშაულს და გაგამართლებ თქვენს ნდობას... ასე ადამიანურად მე ვერ კაციშვილი არ მომქცევია!

— ნანეტანი გაგტეხია გული, ჩემო კარგო... — გაიციან მირიანმა, — გეტყობა, ვერ ისევ ციხის შთაბეჭდილებების ქვეშა ხარ მოქცეული... ავტოკარი რა შენი საქმეა, — ადგილს გამოგიძენი ისეთს, რომ არ შეგტყვევებს, მაგრამ ვერ რა ვაჩქარებს, მუშაობას ყოველთვის მოესწრები, — დაისვენე ცოტა, გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დააღვინე და სული მოითქვი, ნატანჯი კაცი ხარ!..

— როგორ შევტყვევებ თქვენთან, როგორ შევტყვევებ, ბატონო მირიანი... — ისევ წამოენთო და აუჭრელდა სახე. — თქვენ კი ბოროტება სიკეთით გადამიხადეთ!.. — მეორე სიგარეტი ამოაძვრინა უკვე კოლოფიდან.

— შენ ხომ ასე ლაპარაკობ, ბახა-ბა-

ხა... — მირიანმა საფერფლე მიუჩოხა.
— ვერ წარმოიდგენ მე როგორ ჩამრ-
ჩა გულში საწყენად ის ამბავი...

— ვეცი, აბა რა იქნებოდა... — სინა-
ნულთ გადააქნია თავი ბიჭმა. — შემა-
ცდინეს, გამაბრწყინეს... ხალხის ლაპა-
რებს არ უნდა უგდო ყური, თურმე!..

— მე მაგას არ გეუბნები, ბახა-ბა-
ხა... რა მოხდა მერე... ხელი რომ ვერ
გაგიმართე და ვერ დაგეხმარე, იმაზე
მწყდება გული... კაცი ცხიდან ახალ-
გამოსული იყავი!.. მერე შეეწუხდი და
ის იყო მოგაკითხე კიდევ სახლში...
„შეწერა“ რომ მომიხდომე — გავბრაზ-
დი, თორემ ისე ძმაკაცურად, მეგობრუ-
ლად ნამევილად არ გეტყობდი უარს!..
ახლად ნამეტანს განვიციდი იმ ამბავს...

— ყველაფრის ღირსი ვარ, ყველაფე-
რის... — კვლავ ბოდიშის მოხდით გა-
ნაგრძო ბიჭმა, რომელმაც კარგად ვერ
გაიგო მირიანის ნათქვამი და ეგონა
ისევ მაშინდელი საქციელის გამო შეი-
ცხავსო. — მიღიხარ უცხო კაცთან...
ჯერ წერილს უგზავნი... მართლა ყველა
კომბინატორი კი არაა, ვისაც კი ადგი-
ლი უჭირავს... ანდა რომელი ცნობილი
და სახელმწიფოებრივი ქურდი მე ვიყა-
ვი, ჩემი ვინმეს შეშინებოდა და ანგა-
როში ვაეწვია... ქუჩის სასწავლი გამოდ-
გა ეს ამბავი და თქვენ უნდა გიმაღლო-
დეთ იმასაც, რომ...

— არც მთლად ეგრეა საქმე. — უთ-
ხრა მირიანმა ღიმილით. — შეიძლება
კომბინატორი არ იყო და ისე გქონდეს
კაცს საშუალება...

— რა თქმა უნდა ეგვი შეიძლება...
— დაბნეულად მიუგო ბიჭმა.

— ჰოდა იმას ვეუბნებოდი, ჩემო ბა-
ხა-ბახა... — სიტყვა ჩამოართვა მირი-
ანმა. — ვინანე, ჩემმა მზემ, რატომ არ
მივეცი-მეთქი... არ მქონდა იმის გაჭირ-
ვება: რაც თავი მახსოვს სულ ვმუშაობ
და ცოტ-ცოტას ვინახავ... ერთი სიტყ-
ვით, ზინჯად ჩამრჩა გულში და მიტო-
მაც მოვედი, მარა შინ რომ არ დამი-
ხვდი, დედაშენს აღარ ვუთხარი და ცო-
ტა დავუტოვე სახარჯოდ... ახლაც კი
დაგჭირდება ფული!.. მიდი ერთად, თუ

ძმა ხარ, ბახა-ბახა — კარი ჩაქუჩუნდი
მონდა ყველამ გაიგოს და დაინახოს ეს
ამბავი...

ბიჭმა ვერ გაიგო რა ხდებოდა, მაგ-
რამ სურველი მინც შეუსრულა კეთი-
ლისმოყვარეს, — წამოხტა და ფაცი-
ფუცით ჩაჰკეტა კარი.

— ფული ყოველთვის საჭიროა... —
განაგრძო მირიანმა, როცა ბახა-ბახა
მობრუნდა და თავის ადგილას დაჯდა.
— უფრო კაცი დაჩაგრულია — და
ტოლ-მეგობრებში გამოწყვეტილი... გა-
მობტება ეგერ ვიღაც მატრაკვეცა, შენ:
მესადიცი რომ არაა არც ჰკუთი, არც
ადამიანობით, არც ვაყვაცობით, და
დაგჩაგრავს, თავში ჩაგატყუებს: რაც
კარგი და საუკეთესოა იმ ქვეყნად გა-
რაც წესით და კანონით შენ უფრო გე-
კუთვნის, როგორც პატროსან კაცს,
თვითონ მიითვისებს, იმიტომ რომ დას-
ტა-დასტად ულაგია ჯიბეში, შენ კი ზე-
დმეტი კაპოციც არ გიჭყავის... დავიჯე-
რო ახლა არ გჭირდება ფული?..

— მჭირდება რომელია... — ნალღლი-
ანად თქვა ბიჭმა და თავი მოიქექა. —
მე რომ მიჭირს და მე რომ დღეში ვარ
ახლა, მტერსაც არ ვუსურვებ, მარა...

— ჰოდა გექნება კიდევ... — გაული-
მა მირიანმა. — სიტყვა სიტყვა!

ბანკის წითელზოლებიანი ქალაღლით
შეკრული ოცდახუთმანეთიანების დას-
ტა ამოიღო ჯიბიდან, მაგიდაზე დადო
და ოდნავ წაჰკრა ხელი; დასტა გასრი-
აღდა და ზუსტად ბიჭის წინ გაჩერდა.

— აილე, შენია!.. — უთხრა მირიან-
მა.

ბახა-ბახამ თვალეზი ჰკიცა. ხან
ფულს შეხედავდა განცვიფრებული,
ხან კაცს... მერე უცებ დასტაცა ხელი,
თითქოს შეეშინდა ისევ უკან არ გას-
რიადღესო...

— ჩემია?.. — ჰკითხა სუნთქვაშეკ-
რულმა. — მერედა რატომ, რისთვის,
პატიცემფლო?..

— იმიტომ, რომ წელში გაიმართო და
ცხოვრების გზა გაიწაღდა. — უთხრა
მირიანმა. — ახალგაზრდა კაცი ხარ,
ოჯახი უნდა შექმნა, შვილები გამოზარ-

დო, — ქვეყანას და ხალხს გამოადგე... მე კი დანაშაული გამოვისყიდო და შეცდომა გამოვასწორო, მაშინ რომ დაგციენ და სასტიკად მოგჭეცი... გული მომეწვა, პირდაპირ, შენსას რომ ვიყავი და ვნახე რა ხელმოკლედ გიცხოვრიათ... ორიათას ხუთასი მანეთია მანდი!

ბახა-ბახა თვალეზანთებული მისჩერებოდა...

— კაცი კი არა, ღმერთი ყოფილხარო, ბატონო მირიან... რა ბედნიერებაა, რომ ქვეყნად თქვენისთანა ხალხა არსებობს!..

მერე უცებ ჩაფიქრდა და მოიწყნა. — რა იყო, რა მოვივიდა?.. — ჰკითხა მირიანმა ფარული შეშფოთებით.

— არაფერი... — ჩაიციინა ბახა-ბახამ, თან თვალეზანთებული დასცქეროდა დასტას. — ხარბი და გაუმაძღარო ყოფილა კაცის გული... აი, მე ხომ ამდენი ფული არასოდეს მკერია ხელში, ამ ერთი წუთის წინ ოცნებითაც ვერ წარმოვიდგენდი, და ჭერაც არა ვარ დარწმუნებული, ნამდვილად ჩემია თუ არა, მარა უკვე ესეც მეცოტავება... იცით რა აზრი შემომიჩნდა, პატრიცემულო? — ერთი ამდენიც რომ მქონდეს, მანქანას ვიყიდი-მეთქი... ჩვენს ეზოში ყიდის ნეზობელი „მოსკვიჩს“, ხუთი ათას მანეთად, და იმაზე გამასხენდა...

— ძალზე ბუნებრივი და ადამიანური სურვილია... — გაიციინა მირიანმა. — მაშ, ასე გულით გინდა მანქანა?

— აუჰ... — ამოიგმინა ბიჭმა. — მანქანა ვის არ უნდა!..

— ტარება იცი?

— ტარება?.. — გაიღიმა და ვერცხლის კბილები გამოაჩინა. — ტარებას რა უნდა!..

— ჰოდა იყიდი კიდევ იმ „მოსკვიჩს“, რა დიდი ამბავი ეგაა, შე კაცო!..

— რაო?.. რა ბრძანეთ, პატრიცემულო?.. — სასოებით მიაჩერდა თვალეზანი, ხომ არ მომეყურაო.

— მე ხომ გითხარი შენ, იმ ფულს

გაძლევ-მეთქი, დაგავიწყდეს?.. გულეზან მირიანმა. — მოტანილი მქონდა მაშინ, რომ მოვედი, მაგრამ დედაშენს აღარ დაუტოვე... აბა რას გეუბნებოდი წელან, არ მისმენდი?.. ახლა უბრალოდ მეტი არ დამირჩა ჯიბეზე... თუმცა მოიცა, მოიცა, — წამოდგა, სეიფთან მივიდა და გამოაღო; მერე სახეგაბრწყინებული შემობრუნდა, ხელში ოცდახუთმანეთიანების ისეთივე გაუხსნელი დასტა ეჭირა, — ბედი გქონია, ჩემო ბახა-ბახა... ერთმა კაცმა მთხოვა სესხად და წამოველე ამ დილით, მაგრამ ის მოითმენს ცოტას... თუ სიხარულია, დაე, სიხარული იყოს!.. ვიცი, გამომიცდი: შენხელობას მეც რამდენი რამე მინატრია, მაგრამ სად იყო... — ვიღრე მაგიდასთან მოვიდოდა, მანამ ესროლა ბიჭს დასტა.

ბახა-ბახა წამოხტა და ჰაერში დაიჭირა ფული... კაცს მივარდა, დაიჩოქა და ფეხებზე უპირებდა მოხვევას, მაგრამ მირიანმა ხელი მოჰკიდა და წამოაყენა:

— აბა, აბა... რას აკეთებ, არა გრცხვენია?.. იცოდე, შთაბეჭდილება არ წამიხდინო, — ვაჟკაცი მგონიხარ... მეგობრობაში ამისთანა რამ მოდის?!

— ამიერიდან, პატრიცემულო... — უთხრა ბიჭმა გაბზარული ხმითა და ცრემლების ყლაპვით. — ჩემზე ერთგული კაცი თქვენ არ გეყოლებათ... ცოტას ხელს რომ მოვითბობ, მერე ამ ფულს, ნელ-ნელა დაგიბრუნებთ!

— მეორედ ეგ აღარ გამაგონო... — ნაწყენი კილოთი უთხრა მირიანმა. — განა სესხად გაძლევ, — უბრალოდ... მომეწონე, შემებრალე... კარგი ბიჭი ხარ და მინდა სიკეთე გიყო... ნუ გეშინია, სამაგიეროს კი არაფერს გთხოვ!

— სიზმარში მგონია თავი... — ნეტარებით თქვა ბახა-ბახამ; ფული მკერდზე მიეხუტებინა.

— ჩაიღე ჯიბეში, დამალე... — მეგობრულად დაუტატანა მირიანმა. — ნუ გამიწყალე გული, — რა მოხდა მართლა ისეთი: კაცი კაცს არ დახმარებია?! წავიდი, დაისვენე; მოელაპარავე იმ შენს

მეზობელს, იქნებ დაგიკლოს ცოტა და სახარჯოთაც დაგჩეხება... წადი, წადი, ახლავე მოურიგდი! ხვალ გავიდე თ სადმე და პური ვკამოთ, ავღნიშნოთ შენა დაბრუნება: დღეს შენ იმ მანქანის მეტი მაინც აღარაფერი გახსოვს...

— მართლა შემიძლია მოვერიგდე, პატივცემულოვ?... — თრთოლვით ჰკითხა ბიჭმა, რომელსაც ფულის დასტები ისევ მეკრძხე ჰქონდა მიხუტებული და ჯერაც ვერ გაეხედა ჯიბეში ჩადება.

— კარგი ჰო, ნუ შემიკალი ხელში... — ხუმრობის კილოზე უთხრა მირიანმა. — მაშინ არ გაგკვირებებია წართმევას რომ მიპირებდი და ახლა რა ღმერთი გიწყურება... ამ „პატივცემულოს“ და „ხატონოსაც“ შეეშვი, თუ ძმა ხარ, აღარ გამაგონო, თორემ ეგ რაღა მეგობრობაა!.. წადი, ბახა-ბახა, დაისვენე და ხვალ გამომიარე... ქვეყანას ნუ კი მოსდებ ახლა ამ ამბავს, რა საჭიროა!

ბიჭი ლამის ჩოქვა-ჩოქვით გავიდა კაბინეტიდან: ვიდრე თვალს მოეფარებოდა და ქარხნის ეზოდან გაღწევდა, სულ ეშინოდა, რამე არ შეიცვალოს — უკან არ მიმაბრუნოს მირიანმა და არ მოთხრას, გაგებურყო... მერე ნაბიჯს აუჩქარა და სირბილით გაჰყვა შარას. მალე ტრასაზე გავიდა და ხალხით გაქედნილ ავტობუსში ჩაქდა... უცებ ღიმილი მოეძალა და, ვინმეს სულელა რომ არ ჰგონებოდა, ფანჯრისკენ იბრუნა პირი: კაცი, რომელიც ადრე სხევებს ჰპარავდა, ახლა იმის შიშით, იქეთ არ ამომაცალონო, მაგრად ჩაფრენოდა საკუთარ ჯიბეებს...

სიხარულით ცას ეწია მირიანი: უკეთეს ვერაფერს მოიფიქრებდა და ვერც ვერაფერს ინატრებდა, — თითქოს თვით განგებამ მოუელინა უკიდურესი გაკირვების ეამს ბახა-ბახა, მხსნელად და შემწედ!.. როგორც კი დაინახა, მყისვე მოისახრა ყოველივე... საოცარი მაინც ის იყო, წარსულიც რომ ისევე ბუნებრივად ჩაქდა აწმყოში, როგორც ვახანა თოფის ლულაში — ჩახმახზე

თითის დაჭერალა აკლდა!.. დაჭერალა ჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და მუქარით გააყოლა თვალი ჯიქურ სახეზე... მალე მოედებოდა ბოლო ბიჭის გაუთავებელ ბაჭი-ბუქსა და ცუნდრუქს!..

მეორე დღეს ბახა-ბახამ დილაადრიან შემოუღო კაბინეტის კარი: ძეწვეზე გამოხმულ გასაღებს ათამაშებდა ხელში სიხარულისაგან სახეაქრებლებული და თვალემაბრწყვიალებული.

— რა ქენი, მოურიგდი?... — ჰკითხა მირიანმა და კვლავ მეგობრულად ჩაიხუტა გულში, გადაჰკოცნა...

— ვიყიდე უკვე, — მიუგო ალტაცებულმა. — აგერ მიყენია ეზოში!

— ენახოთ აბა, ენახოთ!.. — მირიანი ფანჯარასთან მივიდა.

იქვე, შემოსასვლელთან, წითელი „მოსკვიჩი“ იდგა, საგულდაგულოდ გარეცხილი და გაკრიალებული.

— ფული მიეცი უკვე?... — ჰკითხა.

— დიახ... — ბიჭს ფერი ეცვალა და ძვალღბი გაუჟართოვდა.

— არა, არაფერი... ნუ გეშინია!.. — გაუღიმა მირიანმა. — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს და სულ ბედნიერად გატაროს!.. არ დაგიკლო?

— არა... — მიუგო მან და შევებით ამოისუნთქა. — ის კი არა და გაფორმების ფულიც, ნახევარი ჩემი გადასახდელია!

— აბა რაღა გამოვიდა, — შენ ისევ უსახსროდ დარჩენილხარ!

— სასწრაფოდ მუშაობა უნდა დავიწყო, მირიან... — უთხრა ბიჭმა და მაინც საშინლად ეჩოთირა „უბატონოდ“ და „უპატივცემულოდ“ მიმართვა.

— დღესვე საწყობის გამგედ დავნაშნავ თუ გინდა, მაგრამ ხომ ვითხარა ცოტა გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დაალეკინე-მეთქი... გოგოებიც მონატრებულნი გეყოლებია... ახლავარდა ლამაზი ბიჭი ხარ, მანქანა გყავს, — გოგოებს მეტი რა უნდა... თუმცა ჰო, ფული... ფული უნდათ კიდევ!.. გუშინ რაღა მოგეცია რკინად გიქცევია უკვე და ვალიც დაგდებია; ფული ახლა გქირდე-

ბა, თუ გვირდება, — ჯერ შენ არ იცი მანქანა რა ხარჯიანია... — ჯიბეში ჩაიყუბო ხელი, — ოღონდაც არ დამიწყო ახლა შენებური მადლობები და ბოდიშები, აიღე ეს, გამომართვი... — ათმანეთიანების დასტა გაუწოდა. — მანქანა გააფორმე საკომისიოში და ერთი ხელი წესიერი ტანსაცმელი იყიდე... გამომართვი პო, ნუ ინაზები: იმის სამალარიჩოდ იყოს, ცოცხალი რომ ვადარჩი და სხვის მაგივრად არ დაგხერიტეს... ამას არ ვანგარიშობს... როგორც შეგპირდი, ათად შეგისრულებ და იმ ხუთსაც წამოგიმატებ, დიპლომისთვის რომ მთხოვე!

ბიჭმა ხელის კანკალით ჩამოართვა ფული. თვლებზე ცრემლები მოადგა და რაც გაეწყობოდა თავშეკავებულად უხარა:

— ბახა-ბახა არაფერს შეირჩენს და რაც არასდროს დაივიწყებს ამ სიკეთეს... ბახა-ბახა თქვენ კაცად აქციეთ და იგი სიკვდილამდე თქვენი ერთგული იქნება... ოდესმე დაგიმტკიცებთ, რომ მეც შემოძლია მეგობრისათვის თავდადება და თავგანწირვა!..

— ვიფიქრე დღეს პურის საკმელად გავალთ-მეთქი, მაგრამ თათბირზე ვარ დაძახილი ამ საღამოს... არ გეწყინოს ბახა-ბახა, ანდა სხვანიჩრად არ გამოგოს: ხვალისთვის გადავდოთ, — შენც უამრავი საქმე გაქვს დღეს მოსაგვარებელი...

მირიანი უცებ გაჩუმდა, ფერი ეცვალა... შეერთა, აირია და თვლები გაუშტერდა...

— რა იყო, რა მოხდა?.. — ჰკითხა ბიჭმა.

კაცმა დაბნეულად გაუღიმა.

ბახა-ბახამ ქარხნის ეზო მოათვალა-ერა.

— რა მოგივიდათ, პატივემულო?..

— არაფერი, არაფერი... აბა ერთი იმ ბიჭს დააკვირდი და მერე რაღაცას გეტყვი...

ბახა-ბახამ აეტოკარზე შემომდგარ ახალგაზრდა ქალწულიან მუშას მიასო მზყრა.

— ვინ არის, რა არის? — დაკრიჭა და კობრასავით წამოიქოჩრა.

ჯიქურ სანებლიძე სამართავ პულტებს ჩაფრენოდა და ცისკიდურს გაპყურებდა მოლუშული; ფანჯარას რომ გაუწოროდა, მოიხედა და თვალები ავად გააკვესა...

მირიანი ფარდას მოეფარა.

— დაიმალე, შენც დაიმალე, ბახა-ბახა!.. — წასჩურჩულა.

— გამავებინეთ, რა ხდება, პატივემულო...

— ისეთი არაფერი... — მირიანმა მხარზე მოუთათუნა ხელი, თითქოს მის დაწყენებას და დამშვიდებას ცდილობსო. — სხვა დროს გეტყვი... ანდა სულაც რა საქირთა... მე თვითონ მოვევლი ამ ამბავს!

— მითხარით თუ რამეა, არ დამიმალოთ... მაგას ცოცხლად შევქამ!.. — მრისხანე მზერა მიადევნა ქლალწვერიან მუშას, რომელიც საამქროსაყენ მიარახრახებდა ყუხებით დატვირთულ ავტოკარს.

— ეეჰ, რამ წამომაცდენინა, გავჩუმებულეიყავ სჯობდა... — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მირიანმა. — ვიცი, აწი აღარ მომეშვები!... წადი ახლა, წადი, ბახა-ბახა, დაისვენე...

— კარგი, წავალ... — თქვა ბიჭმა და გადახორტილ თავზე უხერხულად გადაისვა ხელი. — ხვალ რა დროს გამოვიაროთ?..

— შენ არ გინდა... ნუღარ გამოჩნდები, თორემ იტყვიან დირექტორის ნათესავიო... — იღუმალი ხმით მიუგო მირიანმა და დასძინა: — მე თვითონ მოგაკითხავ შინ, სამსახურის შემდეგ!..

გვიანობამდე ვაგრძელდა თათბირი იმ საღამოს, მაგრამ მირიანს ერთი სიტყვაც არ დაუტერია მომხსენებელთა გამოსვლებიდან, საკუთარ ფიქრებში იყო ჩაძირული... ისედაც გულს უსიებდა მმართველის დანახვა: ბიჭი რომ არა, ახალაძის მაგივრად თვითონ უნდა მქდარიყო ახლა იმ სავარძელში!.. მადლობა

ღმერთს, ჭიქერ სანებლიძეს უკვე გაუვიდა ყავილი... გუშინს აქეთ ერთბაშად ამოხეთქეს იმედის ყლორტებმა კაცის გადაგვალულ სულსა და გულში: სამართს, რომელსაც ასე დაჟინებით უთხრიდა, მალე თვითონვე ამოავსებდა მე-ვეტოკარე მუშა, მირიან დევიძის ცხოვრების მდინარე კი კვლავ ძველი კალაპოტით გააგრძელებდა გრიალს!.. ცოტათი ხარჭებთან კი იყო დაკავშირებული, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ღირდა განა?..

„ხარჭმა“ სიმონ მღვდელი მოაგონა და გადაწყვიტა ფოთოლა მოენახულეზინა, — იქნებ რამე ახალი ვაეგო...

ცხრა სრულდებოდა, ტრესტიდან რომ გამოვიდა.

სწრაფად გაქროლა მანქანა სანაპიროზე, მოედანი გადაჭრა და ვიწრო ქუჩაზე აუხვია...

წმინდა სამების ეკლესიიდან გალოზბის ხმა ისმოდა...

წირვა მიდიოდა...

ოციოდე დანახანაკებელი მლოცველი შექუჩბულიყო ვილაც ახოვანი მღვდლის ზურგსუკან, რომელიც კათედრასთან იდგა და საკურთხევისაქენ პირმიქვეული სახარებას კითხულობდა: თავზე ძვირფასი მიტრა ეხურა და მხრებს ოქრო-ვერცხლით მოსირმული მანტია უმშვეენებდა. შანდლებსა და კანდელაბრებში სანთლები ციმციმებდნენ...

მღვდელს დროდადრო დიაკვანი ენაცვლებოდა გამყინავი ხმით, და მერე სადღაც სატრაპეზოსთან მიმალულა გუნდი იწყებდა ტკბილ გალობას. მირიანს თავისი მოწამეობის ერთი თვე გაახსენდა და სირცხვილის ოფლმა დაუწინწკლა შუბლი...

ტიხართან მივიდა, ფოთოლას მიესალმა; უნდოდა ეკითხა ახალი ხომ არაფერი შეგიტყვიათ, მაგრამ ქალმა ამჯერადაც ვერ იცნო...

მისი ყურადღება ანაზღად კვლავ მიიპყრო მღვდლის ზორბა მხარბეჭმა, მანტიის ზემოდ გადმოყრილმა ქალარა კულულებმა და თვით ხმამ...

რა საოცრად ნაცნობი იყო მღვდელი... ლაფერი!..

ამასობაში იმან კითხვაც მოათავა, წიგნი დასტრა, კათედრის კიდებზე წერილი ჯაკვით ჩამოკადებულ საცეცხლურს წამოავლო ხელი და ნელა ჩამოუყვია ხატებს...

მირიანი ადგილზე გაშეშდა...

მღვდელი თანდათან უახლოვდებოდა საცეცხლურის ქნევითა და ლოცვა-ბუტბუტით...

— გამარჯობა, შვილო მირიან!.. — ჩაულაპარაკა გვერდზე ჩაელისას და კვლავ განაგრძო წმინდანებისთვის საგმავლის ქვევა.

მირიანი შეხტა, მოპირდაპირე კედლისკენ გადაინაცვლა და გაკვირვებით დაუწყო კვრეტა:

ეს ხომ სწორედ სიმონ მღვდელი იყო?!

მოატყუა, ნეტავი, ნუცამ თუ რაშია საქმე?.. მაგრამ ფოთოლა რაღას ემართლებოდა, ტყუილად ანუქი განა იმდენი ფული?! და საერთოდ, ყველამ მისთვის როგორ მოიცალა ამ ქვეყნად?.. ჩანს, არც ანაფორა გაუხდია, არც წმინდა შესაწირი გაუტაცნია და არც არაფერი: არის კაცი აგერ თავისთვის პატიოსნად და ხალხს მოძღვრავს მამაზეციერის სახელით... პო მაგრამ, რატომ ამბავი არ უკითხა იმ ყოფაში რომ მიატოვა, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევა რად არ გადასცა შესაწირავის გაღებისათვის?.. ხომ არ ეჩვენება ნეტავი?..

წირვა რომ მოამთავრა, მღვდელმა საცეცხლური მნათეს მიანჩჩა და საკურთხეველს მიამურა. მალე შავი ანაფორის კალთების ფრიალ-ფრიალით გამოვიდა იქედან, — მანტია მოეხსნა და მიტრა მოეხადა. პირდაპირ მირიანი-საქენ გაემართა, რომელიც მას აქეთ გაშტერებული იდგა კედელთან.

— რაზე შეწუხებულხარ, შვილო მირიან... რამე ახალი ცოდვა ხომ არ ჩაიდინია?..

— გამაგებინე, თუ ღმერთი ვწამს...

— წაბუტბუტა გოგნებულმა, — ნამდვილად სიმონ მღვდელი ხარ შენ?..

— სიმონ მღვდელი ვარ. შვილო...

— სად იყავი ამ დრომდე, რად არ შემხებიაწე?.. — უსაყვედურა მირიანმა. — ისეთი ჭორი დადიოდა, კინალამ გავგვიფიქრა... ფული მითთვისაო... ანაფორა გაიხადაო... ესაო, ისაო... ჭვარი მიადგო და ვილაც გოგოსთან ერთად გადაიხეწაო...

— მართალია, შვილო, მართალია... — მიუგო მღვდელმა. — გავფიქრა ცოტა ხნით ქალაქიდან, თვალს წყალი დეველევინე... რა მოხდა მერე, ჭევეანა ხომ არ დამიქცევია, — მღვდელიც ადამიანია, გართობა და დროსტარება უნდა... ის ლამაზი გოგო ბოლო დროს შევიჩვიე: ეკლესიაში დადიოდა, სანთლებს ანთებდა, პირჯვარს იწერდა და დავინტერესდი რა სკირს, ნეტავი, საბრალოს, რა წაეკიდა-მეთქი... წამო, დავჯდეთ ვეგრე, სულდათქმულად ვისაუბროთ, — გამიხარდა შენი დანახვა, მონატრებული მყავდი!..

ისევ იმ მაგადსთან დასხდნენ, სადაც ადრე „ცოდნები“ გაუმეღავნა.

— მაშ ის ფული, შესაწირავი... არ გაგიტაცინა?.. — ჰკითხა მირიანმა, რომელსაც ჭერაც ვერ გაეგო კარგად ამ ამბის თავი და ბოლო.

— კი, შვილო, როგორ არა. — ნახევარი შევკამე კიდეც... — მიუგო მან თვალების ეღვა-პარპალით. — რა გამოლენებული მიყურებ, შვილო მირიან, მეტი გასაგებად როგორ გითხრა: შენ ჯერ არ ვინახივარ ხომ, კოსტუმსა და ჰალსტუხში?.. ხვალ გამოიარე და სურათს გაჩვენებ. თუ გინდა გაჩუქებ კიდეც. — იმ ლამაზ გოგოსთან ერთად ვარ გადადებული, რიგში... ერთი სიტყვით, ყველაფერი სწორი იყო რაც ითქვა... ის კი არა და ალბათ ნახევარიც არ თქმულა!.. ამას შენ გეუბნები, როგორც გამგებინა და სანდო კაცს, თორემ სხვა შეკითხვასაც ვერ მიბედავს!..

— აბა ახლა აქ როგორ?.. — ეკრა და ვერ გაერკვა მირიანი.

— როგორ და ჰრელად... — გაბრაზ-

და მღვდელი მირიანის მიმართული ბაზე. — ჩამოვბრუნდი, ბოშო, ამ ორი თვის უკან და მოეძებნე ის ანაფორა (ჭვარიც იქვე ეგდო!)... ექიმის ცნობა გამოვთვალე ხელს, ვითომ ავად ვიყავი, და ის გოგოც მიყვარებული კი არ მყოლია — თავისი გზით წავიდა, — მე ჩემს საყვარელ ოჯახსა და საქმიანობას დავუბრუნდი, ხოლო ჭორი ჭორად დარჩა!.. შესაწირავის ამბავი მე და შენ ვიცით მარტო, სხვამ არავინ... ამის შესაყვებელი თანხა — გაბზარულ ჭერს ახვდა. — სახელმწიფომ გაიღო, ააშენა ლმერთმა, და ამ ეკირაში დაიწყებენ კიდეც რემონტს... მასალები მოზიდეს უკვე, — არ დაგინახია მოსვლისას?.. არ დაკვირვებიახარ, ალბათ, თორემ იქვე, კედელთან ყრია აგური და კირი!.. კიდეც რა გითხრა, ექიმის ცნობა ავიღე იმისთანა, — ჭევეს გახეთქავს: ვითომ ინფარქტი გადავიტანე და მთელი ორი თვე გაუნძრევლად ვვგდე ლოგინე... მილოცავენ რომ გადავრჩი და მშვიდობიანად დავბრუნდი!.. სხვა რაღა დამრჩა უთქმელი?.. ჰო, ის ცუგრუმელა გოგო არ მიჩივის, პირიქით — მადლობელია ჩემი, და არც შენ მედავები აგერ, იმ ფულზე!

— ეგრე გეგონოს!.. — შეუბღვრა მირიანმა. — რას ქვია არ გედავები, მაგრამ ჯერ ეს მაინტერესებს: ლმერთს... ლმერთს რა პასუხს გასცემ?..

— ნუ სწუხხარ, შვილო მირიან... მე და ლმერთი მოვრიგდებით მაგ ამბავში!..

— მე ჩემი ფული დამიბრუნე და შენ და შენმა ლმერთმა, თუ გინდა, თავა ატყხეთ ერთმანეთს!..

— ფულს ვერა, შვილო მირიან... — დაყვავებით უთხრა მღვდელმა. — ნახევარი უკვე დაგხარჯე და დანარჩენიც მჭირდება: სახლის მშენებლობა წამოვიწყე სოფელში, ავტომანქანის რიგში ჩავეწყრე და ბინის გადაცვლას ვაპირებ ხუთთთახიანში!..

— ფული, ჩემი ფული მოიტა, მამაო სიმონ! — შეუბღვრა მირიანმა.

— დაგობატე... — მიუგო მღვდელმა და უარესად შემოუბღვირა. — ორმოც-

დათი ათასი კი არა, მილიონი რომ წამერტვა, მაინც აქეთ იქნებოდი ვალში: ნამეტანი იაფად დამათობინე რწმენა!..

— ძალად დაგაბრუნებინებ!.. — დაემტკრა მირიანი.

— რახან ეგრეა, ფეხებსაც ვერ მომკამ... — მშვიდად უთხრა მღვდელმა. — თუ ბევრს გაამლამებ, აგერ მილიცია და მისი ჭანი: საიდან გქონდა ამდენი ფულიო გკითხავენ. და გარდა ამისა, ხომ არ დაგვიწყდა ამ ზამთარს ცოდვები რომ გამიმხილე?.. განსაკუთრებით ის, მეორე — საბრალო დურგალი რომ გაგიტანია!.. ცოდვა კი არა, სისხლის სამართლის საქმეა გამანსალებული, — თუ გავიგვს, გამოგვიყენენ წარესს!..

— არ გეშინია რომ მოგკლა?.. — თავშეკავებული მტკარით უთხრა მირიანმა, პიჯაკის კალთა გადაიწია და გულის ჭიბიდან ამოშვერილი იარაღის ღულა დაანახა.

— იმისთანას მოგკლავ, რომ ზიარების მიღებაც ვერ მოასწროს!.. — თვალები გადმოუქაჩა მღვდელმა. ანატორის კალთა წამოიკრიფა და ქამარში გარკობილი რევოლვერი აჩვენა..

— აგაშენა ღმერთმა!.. — ჩაიცირა მირიანმა. — ალალი ყოფილა შენზე ის ფული!..

— რა ექნა, შეილო... — მღვდელსაც გაელიმა. — ეტყობა, აწი თანდათან ვაკირდება შოენა... მე გვიან გამოვიჩხრიკე ყურები და ესეც ძლივს მოვასწარი, შენ კი დამიბრუნეო. მეუბნები — ღმერთი არ გწამს ბოლოსდაბოლოს?!

— მაგარი ყოფილხარ!.. — უთხრა მირიანმა.

— ის კი არა და სამსახურში ვაპირებდი შენთან მოსვლას, იქნებ ცოტა წამოვამატებინო-მეთქი: ჩვენში დარჩეს და მართლა ცოდვა ვარ. ნამეტანი იაფად დამირჩა გაყიდული... ამას რომ შეეკამ, მერე რაღა ექნა, რაღა მეშველება? — აღარც ღმერთი და აღარც ფული!.. შენ რა გენაღვლება: სირცხვილ-ნამუსი მაინც არ გაწუხებს და ფული კი ბლომად გექნება მიწაში ჩამარხული!

— ნავთი უნდა გადაგასხას კაცმა და

დაგწვას... არა ხარ ამ ქვეყნის მფარველი!

— ჰო, მართლა... — ჩაიცირა მღვდელმა და ანატორის ქვეშ იარაღი შეისწორა. — მოსაკლავად რომ დაგდევდა ვილაც, ქე რომ ღმერთი გვეგონა მე და შენ... მე კი მივხვდი, რაღაც დანაშაული გექნებოდა ჩადენილი და არ გემახსოვრებოდა... მიტომაც გავგრიდებ ისე სასწრაფოდ, — შემეშინდა, ზედ არ მიმაყოლონ-მეთქი, თორემ მეტის შოენა შეიძლებოდა, იმ ქვეყანაზე მყავდი უკვე მოყვანილი... „წარაფხვეც“ ძან მწყდებდა გული, რაც მართალია!.. ჰო, იმ საქმისა რა გაარკვევ?..

— ნუ გეშინია, ყველაფერი გაგარკვევ და მალე მოვაყურებ კიდეც!.. — ნიშნისმოგებით უთხრა მირიანმა.

— სუ, არ გადამრიო... შენ მაგას რა ეკადრებ!

— ერთ ბოცა „წარაფხს“ გამოგიგზავნი სამადლოდ, „მამათ სიმონ“, ოღონდაც გამაგებინე, — ამხელა წვერით დასეირნობდი რიგაში იმ შენს მშეთუნახეთან ერთად?..

— არა, შეილო მირიან, — წვერს ყოველდღე ვიპარსავდი სუფთად და ლამაზად!..

— მერედა უწვევროდ როგორ ვაკურთხეს ხელშეორედ, ან ასე უცებ როგორ წამოგეხარდა?..

— არა, შეილო... მას აქეთ ყოველ დღით ვიპარსავ ელექტროსამართებელით, — ბალანს რაზე დავაქმვეწო თავი ამ ცივილიზებულ ეპოქაში!..

— აბა ეგ რა არი?.. — ჰკითხა გავვირვებულმა.

— ეს პარიკია, შეილო... ხელოვნური წვერი... — პარიკის კიდე წამოსწია და სუფთად გაპარსული ყვრიმალის დანახა.

— ფუი, შენს კაცობას!.. — წამოიძახა მირიანმა და წამოდგა. — ამისთ ნაუნამუსობა ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია... ნეტა ერთი შენი თავისათვის შევახედა შორიდან!

— საკუთარ თავს რომ ვერ ვხედავთ, შეილო მირიან, ეგ კარგიცაა და ცუდიც... — მიუგო მღვდელმა. — კარგი იმიტომ, რომ მაშინ სხვისი შეწყუხება აღარ დაგვეჭირდება, ჩვენ თვითონვე ვიკრავდით ტყვიას შუბლში, ანდა ყელს გამოვიღადრავდით, ხოლო ცუდი იმიტომ — ამას რომ არ ჩავდივართ!..

— დარწმუნებული ვარ, ეს დღეც მალე დაგიდგება!.. — უთხრა მირიანმა და წასვლა დააპირა.

— წინასწარ არავინ იცის ვის რა დღე დაუდგება... რა ვაჩქარებს, ცოტა კიდევ წაგვესაუბრა... არ გაინტერესებს იმ ჩემს მზეთუნახავს რა ერქვა?

მირიანი ადგილზე გაშეშდა.

— ვითომ რატომ უნდა მაინტერესებდეს?..

— ისე, უბრალოდ... გიციობს სხვათა შორის, — ხშირად გვუკუტყუებდით შენზე!..

მირიანი უხერხულად შეიშმუშნა, თვალი მოარიდა...

— გასაგებია... — ჩაილაპარაკა მერე.

— აი, ხომ ხედავ, შეილო ჩემო... — მღვდელიც წამოდგა. — ყველაფერში შენი ნასუფრალით ვცხოვრობ... პირის გემო კი გქონია, იცოცხლე: ახლაც რა კარგია ის დასალუპავი და წარმოდგენილი მაქვს ამ ხუთი-ექვსი წლის უწინ რა იქნებოდა, პირიდან რძე რომ ვაღმოდოდა!..

— მაგარი ვინმე ყოფილხარ... — თქვა და გამოტრიალდა.

— თუ იმას, შეილო მირიან, ვინც იყო, ან ვინც არის, მართლა გადაურჩი, და აღარავითარი საფრთხე აღარ გემუქრება, — დააწია მღვდელმა. — შემომიარე ხოლმე ხანდახან, ნუ დამივიწყებ!..

პასუხი აღარ გაუცია, ეკლესიიდან გამოვიდა.

თვითონვე უკვირდა მერე, შინ მიმავალს: ხომ ასე გადაგვარებული და ღვთის პირიდან გადავარდნილი კაცი იყო სიმონ მღვდელი, გულის სიღრმეში მაინც არ სძულდა და არ ეჯავრებოდა იგი... პირიქით, — აღტაცებულიც კი

დარჩა მისი ჭკუა-გონებით, ეშმაკობითა და მოხერხებულობით!

* * *

შვიდი სრულდებოდა, მეორე დღეს სამსახურიდან მომავალმა, დიდუბეს რომ მოატანა და ვახუშტის ქუჩაზე შეუხვია... მამისის მიწურული იყო, ცხელია; აკაცები ჰყვოდნენ და ჰაერის საამო სურნალებას გაეყლინათ.

ალაყაფთან გაკრიალებული „მოსკვიჩი“ იდგა, სისხლივით წითელი და ხახასა; ბახა-ბახაც იქვე ტრიალებდა...

ბიჭი სახეგაბრწყინებული შემოეგება, — ბევრი ეხვეწა, ბარემ ჩვენთან ვივახშმოთ, ყველაფერი მზადაა და დედაჩემიც დიდის ამბით გელოდებათო, მაგრამ მირიანმა ქალაქგარეთ ისურვა გასვლა, — კარი გაუღო და გვერდით მოისვა შეგობარი... მერე თვალი მოარიდა ჭრელაჭრულებში სასაცილოდ მორთულ-მოკაშმულ დედაკაცს, კისრისტეხით რომ ჩამორბოდა კიბეზე, ძვირფასი სტუმრის მობრძანებით აფართოლებული, და, აღარც შეუჩერებია ამრული მანქანა...

ხარაჩოებში ჩამქდარ სტადიონს ჩაუქროლეს და სანაპიროზე გავიდნენ... ბახა-ბახა მალულად უქვრეტდა და უჭირდა დაეჭვებინა, რომ ასეთი დიდებული კაცი მისი მეგობარი იყო; უხერხულად იგრძნო თავი: ისევე ის ძველმანები ეცვა და მირიანის გვერდით ნამდვილ „პაცანას“ ჰგავდა... ჯიბიდან „პრიმა“ ამოაძვინა და ასანთს დაუწყო ძებნა.

— გადააგდე ეგ, არ მოსწიო... — ლიმილით უთხრა კაცმა. — ნახე მანდ, „კოლხეთი“ უნდა იყოს საღდაც!..

ბიჭმა ტორპედოს დატანებული ნიშის სახურავი ასწია და თვალები გაუმრწყინდა:

— ვახ... ეს რა კარგი რამეა!..

— რა არის?.. — მირიანმა თავი მიიბრუნა და ბახა-ბახას ხელში რევოლვერი დაუნახა — პოო... მიგდია მინც მანქანაში, რა მენადღვლება... შენ გექნება კარგი იარაღი!..

— არა, არა მაქვს... — ჩაილაპარაკა

დარცხენილმა და რევოლვერს თითებთ მიუღალერსა.

— მართლა?... — გაუკვირდა მირიანს. — ასეთი გამოსული, მთელ ქალაქში ცნობილი ბიჭი და რევოლვერი არ ედოს ჩიბეში?... გქონდეს მაშინ ეგ, მიჩუქნია!

— უჰ, შენი ქირიმე, მირიან, რა კაცი ხარ, რა კაცი!.. — წამოიძახა ალტაცებულმა, გადაიხარა და ლოყაზე აყოცა.

— შე მგონი, მანქანაც არ გაგხარებია ასე ძლიერ... — გაიციხა მან.

— იბრალს მაინც სულ სხვა მიზიდველობა და ჯადო აქვს... — თქვა ბახა-ბახამ და რევოლვერი თითზე დაატრიალა.

— ფრთხილად, — გატენილია!..

— იყოს შერე... — მიუგო ამყად. — ვინც ჩვენ ავი თვალთ შემოგვხედავს, გტრეება ყოფად!

შუაღამე გადასული იყო; ისინი ქალაქიდან, მყუდრო კუბეში, ხორაგით დატვირთულ მაგიდას უსხდნენ და მგობრულად საუბრობდნენ... მირიანს ისიც იყო მოემთავრებინა თავისი გასაჭირის თხრობა და ბახა-ბახაც ბრაზისაგან ტუნებს ეჭამდა:

— ეგ ვინა ყოფილა, შე მაგის დედა ვატირე... როგორ გიბედავს, როგორ, როგორ, ა?!.

— თუ ძმა ხარ, სხენაირად არ მიიღო ეს ამბავი... — შეწუხებული ხმით უთხრა მირიანმა. — შენ გაინტერესებდა, თორემ არც ვაპირებდი მოყოლას... ისე კი მინდოდა ვინმესთვის გული ვადამეშალა და რჩევა მეკითხა: რა ექნა, როგორ მოვიქცე... ჩემი ტოლი იყოს, თვითონვე მოუვლიდო, მაგრამ ლაწირაც მუშას როგორ აფევე დირექტორი კაცი... აღარ მეცხოვრება პირდაპირ, ლამის თავი მოვიკლა, ანდა სადმე გადავიყარე... ჩემს ქარხანაში მეშინია შესვლა.

— ვადასარევი კაცი ხარ მირიან... — აღმფითდა ბახა-ბახა; შენობით მიმართავდა უკვე, როგორც ნამდვილ მეგობარს შებუღრძს. — შენ რად უნდა მო-

იკლა... სასიკვდილო ვინც არის, ის უნდა დაიბრძოდოს!.. ნაწყენი ხომ არაა რამეზე?

— ძმობას გეფიცები, სიკეთის მეტი თუ რამე გამეკეთებინოს!.. როგორც შენთვის არაფერი დამიშავებია, ასევე არც ჩიქურ სანებლიძისათვის (თუმცა შენ კი დაგიშავე და გაწყენინე მაშინ, ხელი რომ ვერ გაგიმართე, დაგკინე და რევოლვერით დაგემუქრე!)... რაღა არ ეცადე, ჩანაირად არ მივეუდექი, არაფერმა გაჭრა!

— ნორმალური თუა საერთოდ?... — ჰკითხა გაკვირვებულმა.

— ვერ გეტყვი... ცუდი მუშააო რომ ვიხარა, არ ვიქნები მართალი (შენ ხომ იცი, შე ობიექტური კაცი ვარ!), — ამ ავტოკარს ქე დაახრიგინებს ზევით-ქვევით, მაგრამ სხვა მხრივ რა მოგახსენო... თვად განსაჯე: მანქანას ვაძლევდი, ოღონდაც ჩამომხსნოდა და არ აიღო... ვიფიქრე, ეცოტავა-მეთქი და, აგარაკი შევთავაზე, მილიონი მაინც ეღირება ძველი ფულით... შე თუ აღარ ვიქნები რად მინდა ან აგარაკი და ან რამე! — ზედაც არ შემომხედა, არც კი მომისმინა... აბა ნორმალურ კაცთან რომ მქონოდა საქმე, რა მიჭირდა!

— შე მოვევლი ჩიქურ სანებლიძეს... — აღზნებით უთხრა ბიჭმა, რომელსაც ლენისაგან თვალები უბრჭყვიალებდა და სახეც ჰარხალივით გასწითლებოდა. — შენ სულ არ გამოგაჩენ!

— აბა, აბა... — იწყინა მირიანმა. — არ თქვა მეტად, ბახა-ბახა, აღარ გამოგონო!.. განა იმიტომ გადაგიშალე გული, ამ სიქმეში გაგრიო... ისე, ეგ იცოდნენ ვინც იმ ბიჭს ჩამომამორებს, აგარაკს ვაძლევ, დაფიცებული მაქვს!..

— ვკითხავ მაინც, რა უნდა, რას ვერჩის... აი, ნახე, შენს წინ თუ არ დავა-ნიჭო და ბოდიში არ მოვანდევინო!

— არ გაბედო, ცუდი რამ არ გაივლო გულში, ბახა-ბახა... — გაუწყობა მირიანმა. — რაც არ უნდა იყო, კიცის სიკვდილი მაინც არ გამისარდებია შენგებზე, ბატონო, და ეგდოს თავისთვის,

ვინ უშლის, მაგრამ სხვანაირადაც რომ არაფერი გამოდის?..

— მაგას ისე „გაეცალებ“, კაციშვილი ვერ გაიგებს!..

— ვაახ, ეგ ვინა ყოფილა... — უკმაყოფილოდ გაშალა ხელები მირიანმა. — მე რას ვეუბნები, ეგ კი მაინც თავისას გაიძახის... იცოდე წაგართმევ მაგ რევოლვერს: განა იმიტომ გაჩქქე, ჯიქურ სანებლიძე მოკალი-მეთქი?!

— იცის ბიჭმა!.. — წამოიძახა ბახა-ბახამ და მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა. გვიანობამდე ისხდნენ და ბჭობდნენ, თან ღვინოს სვამდნენ და ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ... მერე კაცს ამგვარი რამ წამოსცდა: დამჩაგრა ბუნებამ, ვაჟი არ მომცა, და მინდა შეიღვივით მყავდეო!..

— ამ საღამოს ვაპირებდი შემოსვლას, დედაშენიც მენატრება, მარა იქ ხომ ვერ დაჯდები კაცი, სული შეგეხუთება... ხვალდანვე იზრუნე ბინის გადაცვლაზე: საცოლო კაცი ხარ უკვე, მერე ბავშვებიც გაგიჩნდებათ, გამრავლდებით... აჰა, მოკიდე ხელი, გამომართვი, არ დამიწყო ახლა ბევრი ჭიჭინი... — ასმანეთიანების გაუსხნელი დასტა ჩაუღო ჯიბეში. — ეს ისაა, აღრე რომ უნდა მომეცა, აწი კიდევ სხვა იქნება... მერე ყველა ერთად დამიბრუნე, რახან ასე გეუხერხულება, მაგრამ ახლა გიჭირს და მოიხმარე!

ბიჭი მთლად დადნა: „მამო!“, იბღველა, მკერდზე შიდალთ თავი და „საიუბილეო“ კოსტუმის კალთა ცრემლით დაუსველა.

გარეთ რომ გამოვიდნენ, მირიანი შიშმა აიტანა, — სანებლიძე არ იყოს სადმე ჩასაფრებულო: სწრაფად შებტა მანქანაში და ძარაში ჩაიძალა.

— რა იყო?.. — ჰკითხა ბიჭმა და იარაღზე გაიკრა ხელი.

— არაფერი, არაფერი... — შუქი ჩართო და ოდნავ ამოჰყო თავი, გზა რომ დაენახა.

ჯერა მანძილით რომ ჩასცდა რესტორანს და ტრასაზე გავიდა, მერედა გაბედა წელში გამართვა, მაგრამ ბახა-ბახა

ისე უკუღმართულად ატრიალებდა თითზე რევოლვერს, ახლა იმის ჯავრი ჰკლავდა — არ გაუვარდესო... აღარ ელენოდა საფიქრალი და სადარდებელი: გავარდნას ვინ ჩიოდა, — მისებურმა არ წაპოუაროს და მანქანის გატაცება არ განიზრახოსო... — რომელი სანდო და დალაგებული ეგა მყავს, მთერალს კი არა ფხიზელს არა აქვს ჰკუთო... ხვდება აღმათ, კაცი ჰყავს მოსაკლავი და იმ სახათაბალო, სარისკო სანებლიძეს აგერ „ნაღლი“ მირიან დევიძე არ ამჯობინოსო... მიტომაც იყო ხშირ-ხშირად იმეორებდა: ვინც მე იმ ბიჭს მომაშორებს, აგარაკიც იმისია, მილიონზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ ელირებაო!.. იმდენს კი უნდა მიმხვდარიყო, აგარაკის გატაცება რომ არ შეიძლებოდა, ხოლო მკვლარი მირიანი ველარაფერს აჩუქებდა!.. მერე თვითონვე დარწმუნდა თავისი ექვეანობის უსაფუძვლობაში: ბახა-ბახა მართლაც კარგი ბიჭი ჩანდა, გულთან ახლოს მიიტანა მამობილის გასაქირი, — მთელ გზაზე კბილებს აკრაკუნებდა და იმ ბიჭს ემუქრებოდა, ხოლო თვითონ ტუქსავდა და აწყნარებდა, — არ შეცდებ, ცუდი არაფერი გივლო გულში, ღმერთმა ნუ ქნას რამე მოზდეს ჩენი ქარხნის ტერიტორიაზეო!..

ამ ამბიდან ზუსტად ერთი კვირის თავზე დატრიალდა დიდი უბედურება...

მალაქიას დუქანს რომ გაუსწორდა, ბახა-ბახამ სელა შეანელა, ღია ჭიშკარში შეისხვდა და როცა სასადილოს წინ მდგარი დანჯირეული მოტოციკლეტი დაინახა, მყისვე ეზოში შეიგელვა მანქანა...

დარბაზში სხვა არც არავინ იყო, გარდა ჯიქურ სანებლიძისა, რომელიც ადრე მხოლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, მაგრამ მაშინვე იცნო უკან გადაყრილი ხშირი წაბლისფერი თმითა და ქდალი წვერ-ულვაშით. ჯინსის შარვალი და მოკლესახელოებიანი ლურჯი ხალათი ეცვა; მოღეღილი გულისპირიდან ოქ-

როსფერი მეჩხერი ბალნით მოსილი მკერდი უჩანდა. მაღალ მრგვალ მაგიდას მოსდგომოდა ფანჯრის სიახლოვეს და ლუღს წრუპავდა დაფიქრებული...

ბახა-ბახამ ჭულურას ლუღი ჩამოასხმევინა და არაყის ბოთლის გახსნაც უბრძანა, მერე ხინკლით სავსე სინს წამოაეღო ხელი და ბიჭთან მივიდა.

— შეიძლება?..

რაკი სხვა მაგიდები თავისუფალი იყო, თან უცნობი პასუხსაც არ დალოდებია, ისე დადგა კახა და სინი, სახეზელიძეს აღარაფერი უთქვამს, კედლისკენ მიიწია მხოლოდ...

ბახა-ბახა დახლთან მიბრუნდა, არაყი და ორი დიდი ჭიქა მოიტანა, ერთი თავისთვის დაიდგა, მეორე ბიჭს შეუვსო და უთხრა:

— მე მინდა ჩემთან ერთად დალოი..

— დიდი მაღლობა, მაგრამ... — შეწუხებული ღიმილით მიუგო ბიჭმა. — არაყს არა ვსვამ, მით უფრო — ჩაის ჭიქით..

— არა უშავს... ახლა დალევ, ჩემი ხათრით..

— არა... ვერ დავლევ! — გვერდზე მისწია ჭიქა.

— მაშინ კაცი არ იქნები.. — გამომწვევად უთხრა ბახა-ბახამ.

— ასე რატომ მელაპარაკებით, ჩვენ ხომ ერთმანეთს არ ვიცნობთ?! — სიმკაცრე გაურია ხმაში ბიჭმა.

— პოდა, ახლა გავიცნობთ... სად ცხოვრობ?

— სად უნდა ვცხოვრობდე... — ჩაილიმა ჩიქურმა, — ვცხოვრობ ამ ქვეყნად...

— ეგ კი ვიცი... რომელ უბანში?

— ნაძალადევაში, ლოტკინის მთაზე.

— მე დადუბელი მეგონე... თუმცა ნახალოვანშიც მყავს ძმაცაყები... ღორთ გავიგონია?

— რაო?..

— არა, ღორთ შენ არ გეცოდინება, — ზის რახანია!.. ფინთიხა?... კობრა?..

— რა არის ეგ, რა უბედურებაა?... — ბიჭს კვლავ გადაჰკრა სახეზე ღიმილი.

— რანაირი პასუხია... — იწყინა ბა-

ხა-ბახამ. — მე შენ სერიოზულად ვთხოვ ლაპარაკები!

— მე რა ვიცი, მეგობარო, თქვენ „კობრა“ და „ფინთიხა“.

— აბა რისი ნახალოველი ხარ, მეგობარო, მაგათ მთელი უბანი იცნობს და ქალაქშიც დიდ პატივს სცემენ!

— ვინ არიან, რას წარმოადგენენ ამისთანას?

— კი ბიჭები არიან, ძმაცაყ... კი ბიჭები!.. — ბახა-ბახამ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე იკბინა, რომელიც უცნაურად ჰქონდა მოხრილი ზემო სახსარში.

— ქურდები?..

— თუნდაც ეგრე იყოს... — წამოიქონრა ბახა-ბახა. — მერე რა?..

— როგორ... განა ქურდები საპატივცემულო ხალხია?!

— ეგ არა თქვა, ბიჭო... გავგიჟდები!.. — დიკვანწა ბახა-ბახა და კვლავ იკბინა თითზე.

— მე თქვენთან საქმე არა მაქვს, მეგობარო... — ჩიქურმა კახაში ჩარჩენილი ლუღი დალია და წასვლა დააპირა, მაგრამ ბახა-ბახამ შეაჩერა:

— მე მაქვს საქმე!..

— რა გნებავს?... — თვალი თვალში გაუყარა და მკაცრად ჰკითხა ბიჭმა.

— ჩერ ეს მითხარი: შენ ბახა-ბახა გავიგონია?..

— პირველად მესმის.

— პოდა, მე ვარ ბახა-ბახა!..

— იყავი მერე, ვინ ვიშლის?!

— ფრთხილად, ბიჭო, ქურდს ელაპარაკები!..

— ქურდი თუ ხარ, ციხეში უნდა იქდე!

— როგორ მიხედავ... ვაიმე, ჩემი კარგი!.. — ბახა-ბახამ მუშტი მუშტს შემოჰკრა და ჩარბები მოიკიშა, თითქოს უკიდურესი მრისხანების შეყავებას ლამობსო. — მე ისეთი ქურდა არა ვარ, ბიჭო, შენ რომ გგონია... მე რამეაში ვზივარ!..

— ქურდი ყველა ქურდია, — მიუგო ჩიქურმა — სხვის ნაოფლარს იპარავს!

ბახა-ბახა იმდენად განაცვიფრა ბიჭის თავხედობამ, რომ ერთბაშად ჩაცხრა; ეპვიც კი შეეპარა — ნორმალური არ უნდა იყოს, თორემ ამდენს როგორ გამოიხდებოდა... რაკი თავისი „ქურდობით“ ვერაფერს გახდა — ვერ „აიყვანა“ და ვერ გატეხა ბიჭი, საუბრის გაგრძელებას ისევ გაიუმეხა ამჟობინა, მთლად რომ არ გაეფუჭებინა სქემე... ეს შეხვედრა წინასწარ მოფიქრებულ გეგმაში არ შედიოდა, რადგან მამობილმა სასტიკად აღერძალა ბიჭთან რაიმე კონტაქტის დამყარება და მის სიახლოვეს გამოიჩინა კი, მაგრამ მან საკუთარი ინიციატივით მაინც გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა სანებლიძეს და გაეგო, ხომ არ იყო იგი დაკავშირებული რომელიმე ცნობილ და სახელმოხვეჭილ ქურდთან, რომ შერე პასუხი არ ეგო მათ წინაშე... ხოლო გეგმა, რომელიც მირიანმა სულ არა-არას ძახილში მოუწონა ანუ, უფრო სწორად, თვითონვე შესთავაზა, ითვალისწინებდა ბიჭზე თავდასხმას სახლთან ახლოს, ლოტინის მთაზე, ქალაქის მივარდნილ უბანში... მამობილისა როგორ არა სჯეროდა, მაგრამ იმდენად უცნაურად ეჩვენებოდა მისი ნაამბობი, მოისურვა თავად გაერკვია საქმის ვითარება და თუ შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობიანად მოეგვარებინა ყველაფერი... თუმცა ისე ვააბრაზა ჩიქურმა, შხად იყო ახლავე გაესწორებინა ანგარიში... მაგრამ მაინც ვერ ბედავდა პირისპირ შებმას — მირიანი სულ ჩასჩინებდა: ბიჭი ძალზე ფრთხილი და გერავია, და რაკი შენსას არ იშლი, ეცადე თავი არ წაავლო... მამობილის ნათქვამი სიფრთხილესა და ვერავგობაზე სიმართლეს არ ჰგავდა, მაგრამ თავხედის კი ნამდვილად ჩანდა სანებლიძე...

— აღარ იტყვი რა ვინდა ჩემგან?.. — ჰკითხა იმან და წასასვლელად გაემზადა.

რაკი სიბრაზემ უკვე გაუარა, ხოლო მირიან დევიძეზე საუბრის წამოწყებას ამ სიტუაციაში აზრი აღარ ჰქონდა, ბახა-ბახამ გადაწყვიტა აღარ გაერთულეებინა საქმე და შემრიგებლურ კილოზე მიუგო:

— წადი, ვინ გაკავებს... უბრალოდ, ნაცნობი სახე გქონდა და ჩვენი უბნელი მეგონე...

— მაშინ მე გაგახსენებ, რახან ასე გულმაგიწვი ყოფილხარ... — უთხრა ჩიქურმა. — ქარხანაში ვნახეთ ჩვენ ერთმანეთი... უფრო სწორად, მირიანმა დაგანახა ჩემი თავი კაბინეტიდან!

ბახა-ბახა შეერთა, აირია; არ ეგონა თუ იცნობდა ბიჭი. გაუყვირდა, იმ ერთი თვალის წაკერით როგორ დამიძახსოვარო... თან გაეხარა კიდევ, ბიჭმა თვითონვე რომ ჩამოავდო სიტყვა მირიან დევიძეზე, რადგან უკვე შესაძლებლობა მიეცა გაერკვია მათი ურთიერთობა და იქნებ შეერიგებინა კიდევ წაკიდებული მუშა და დირექტორი.

— მირიანი ჩემი მეგობარია... — მიუგო მან. დამალვას რალა აზრი ჰქონდა.

— ცოტა საეჭვო მეგობრობაა... — უთხრა ბიჭმა და თვალეში ჩააშტერდა. — თუმცა შენ მაინც ვერაფერს უშველი!

— რა სქირს უშველებელი?.. — ბახა-ბახა გააკვირვა მისმა პირდაპირობამ. გულში ნამდვილად არა სჯეროდა მამობილისა: ხომ არ აზვიადებს, ან ხომ არაფერი ეჩვენებო, ფიქრობდა. — დაგიშავა რამე?.. საინტერესოა, მაინც რას უპირებ?..

— უნდა მოკვლა! — მიუგო ჩიქურმა ისე, რომ კუნთიც არ გატოვებია სახეზე.

ბახა-ბახა გაშტერებული მისჩერებოდა.

— კაცის მოკვლა ასე იოლია?..

— ძნელია, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა!..

— მირიანი ნამდვილი ადამიანია, კაცური კაცი... — უთხრა მან. — ყველასაგან დაფასებული, მიღებული და ცნობილი პიროვნება!.. შენ კი ვინა ხარ, ან რა გამოსავალზეა ლაპარაკი, არ იტყვი?..

— ის მე ვიცო!

— ჰოდა, გონს მოდი; მირიან დევიძეს შენ არავინ მოგაკლევინებს. გეყონ

რაც გიწამებია და სული ამოგიხდია შარშანს აქეთ!

— ვიამბო?... —

— დიახ, დიახ!

— აბა, გასაგებია...

— რა არის გასაგები?

— ეტყობა, მილიციიზე ხელი ჩაიქნია და ახლა შენი მოიმედდა!

— ჰო, ეგრეა... მჯობნის მჯობნი არ დაიღვეა!

— შეპპირდი?... — ჩურჩულთ ჰკითხა ჩიქურმა.

— დიახ... შეეპირდი, რომ შენგან დავიცავდი და დავიხსნიდი!

— ის?... —

— რა ის?... —

— ის რას შეგპირდა სამავიეროს?... —

ბაბა-ბაბას სისხლი მოაწვა სახეზე და ყურებში დაუწყეს შეილა; ანგარიშში უტემალად გადაისვა ხელი გადახორტილ თავზე.

— არაფერს... მირიანი ჩემი მეგობარია, მე ვალდებულნი ვარ...

— მირიან დღეიძეს არ ჰყავს მეგობრები... — წასჩურჩული ისევ ჩიქურმა,

— აგარიკი ახლავე გააყიდინე, ფული წინასწარვე გამოართვი, თორემ მარტო ამ ქუცვიანი მანქანის ანაბარა დაგტოვებს და მერე ამასაც ცხვირში ძმრად ამოგადენს!..

— ერთი სიტყვით, იმ კაცს უნდა შეეშვა!.. — უთხრა ბაბა-ბაბამ.

— არა! — თქვა ჩიქურმა.

— მაშ იცოდე: დღეიდან ჩემთან გექნება საჭმელი.. —

— შენ კი — ჩემთან!.. — მიუგო ბიჭმა და კვლავ მომნუსხველად ჩაიციქურდა თვალგზით.

ბაბა-ბაბამ თავი დახარა და ფეხსაცმელის ჰეინტს დაიციქურდა (ისევ ის მოწონული ტუფლები, ზოლებიანი შარვალი და თეთრი ხალათი ეცვა... ფული კი ჰქონდა, მაგრამ ვერა და ვერ მოაბა თავი ახლებიან ყიდვას!).. ჩხუბსა და შეხლა-შემოხლაში გამოცდილი იყო და ინტუიციით იგრძნო, რა შეუფალი სიმტკიცით თქვა ჩიქურს სანებლიძემ ეს სიტყვები.

— ვინა ხარ შენ?... — ჰკითხა გოგონებულმა. — ქურდი?... —

ბიჭს ირონიული ღიმი აუთამაშდა სახეზე.

— იქნებ მირიანი გგონია უღირსი კაცი?... — განაგრძო ბაბა-ბაბამ. — გეშლება, იცოდე; ჩვენი გაგვეგება რაღაც ამ ქვეყნად!..

— მირიანთან მე ჩემი ანგარიში მაქვს!.. —

— მაშ, არ შეეშვები?... —

— არა... უნდა მოვკლავ!

— კარგი... — კბილებში მუქარით გამოსცრა ბაბა-ბაბამ. — რახან ეგრეა, საცა ვიწრო იყოს იქ გაწყდეს!.. — სახე აუჭრელდა, ტუჩები გაუფიროთდა და კისერზე ძარღვები დაუკურკურტდა.

— ეგრე იყოს... — მიუგო ჩიქურმა.

— მაგრამ არ გირჩევ, ბაბა-ბაბა... ნუ ერევი ამ ამბავში... თუ განიტერგებს ვიამბობთ ოდესმე... ახლავე ვიამბობ, და მიხედვები რომ შე მართალი ვყოფილვარ... კარგი ბიჭი ჩანხარ, ბაბა-ბაბა და მენანები!..

ბაბა-ბაბას უარესად შემოენთო რისხვა...

ჯერ იმან გააცოფა, მორალურად რომ ვერ გატეხა და სულით ვერ დასცა ბიჭი... მართალია, „რამაკში“ არ იჭდა, მაგრამ მაინც ქურდის თავმოყვარეობა ჰქონდა... ამდენი რამ ენახა და განეცადა ციხეგამოვლილსა და გამოშვიტებულთან ფსიქოლოგიურ ჰიდილში გამოქეჰილს... იმან როგორ უნდა მაგობოსო — ყველასათვის უცნობმა და ისაკითავ უმცროსმა; გამხდარმა, განხინკულმა და წოწლოკინამ, ცარიელა ძვალმა და ტყავმა... უფრო იმან გაამწარა, თვალეზით რომ ვერ წახდინა ბიჭი: მისი გამყინავი მზერა, ვიწრო შუბლი, წამოფლარტული ყურები, ჩაცხვნილი კბილები, ნესტოვებლანინილი წვეტიანი ცხვირი, და საერთოდ მთელი ეს უსიამო გარეგნობა და ფიზიონომია, რის გამოც ვოგოებს არ მოსწონდათ და არც არასოდეს უგრძობინებიათ მისთვის სიტბო-სინაზე, ჩხუბში მაინც კი ადგებოდა ხანდახან, რადგან ზაფრავდა და

უკან ახევიანდა მოწინააღმდეგეს... იმასაც კი ამბობდნენ, ბაბა-ბაბას ჰიპნოზი აქვსო, მაგრამ ახლა თვითონ ჰგავდა დაჰიპნოზებულს: რამდენჯერაც შემოხედა, იმდენჯერ დაახრევიანა თვალები... თან უცნაური ის გახლდათ, რომ ჭიჭურის მხერგაში მუჭარა კი არ გამოსჭვიოდა, არამედ რალაცნაირი, გულისა და სულის შემძვრელი თანაგრძნობა თუ სიბრაღული... მისმა ბოლო სიტყვებმა, „მენანებითო“, უარესად აღმშვრია გონება და გამოიყვანა წონასწორობიდან...

— რაო, რა თქვი?.. — საშინელი მუჭარა ჩააქსოვა მხერგასა თუ ხმაში; კანკალი აუფარდა და ლუდით საენე კათხამ, ხელი რომ ჰქონდა ზედ მოვლებული, მაგიდის ზედაპირზე იწყო რაკუნია...

— ღმერთმანი, მენანები, ბაბა-ბაბა... — ჭიჭურმა კვლავ ნათელი და გამკვირვალე მხერგა შეაგება. — გონს მოდო, მირიან დვეიძეს ნუ გააბრიყვებინებ თავს... იქნებ მე შენთვის უკეთესი მეგობრობა გამეწიას...

— წადი, შენი... ვის რად უნდა შენი მეგობრობა, შე ნაბიჭვარო!.. — და ლუდი შიგ სახეში შეასხა, თან საშინელი ლანძღვა-გინებაც მიაყოლა... მერე ჭიბეს გაიკრა ხელი და რეველვერი იძრო...

რალაც ძალამ შეაჩერა და შეაკავა... უფრო სწორად, ჯერ საპასუხო მოქმედებას ელოდა: იმდენი მუჭარის შემდეგ, ბიჭმა რომ დახარჯა, ეგონა მაშინვე მიიღებდა გამოწვევას და სამკვდროსასიცოცხლოდ შეებმებოდა, მაგრამ ჭიჭურ სანებლიძე არც კი განძრეულა...

სახეც არ მოუწმენდია, — იდგა ასე, მაგიდაზე იდაყვიამოდებული და გაქვავებული... ლუდი წურწურით ეღვრებოდა გულისპირზე, ხალათს უსველებდა და მჭიდროდ ატმასნიდა ტანზე... ბაბა-ბაბა გაფაციცებული მისჩერებოდა მაგიდის კიდეზე ჩამოხნივილ მის მარჯვენას: როგორც კი ჭიბისკენ წაიღებდა ხელს, მყისვე გამოჰკრავდა ჩაბ-

მახს, მაგრამ ბიჭს ხელი არ გაუტოვებია, — იგი უიარაოდ იყო...

სანებლიძე ნელა გაემართა ვასასვლელისაკენ; ქუდურას ფული დაუგდო დახლზე და კარებთან მოტრიალდა:

— მე კი მიპატიებია, მაგრამ სირცხვილი შენი, ბაბა-ბაბა...

— რა მჭირს შენი საპატიებელი, შე ლაჩარო!

ეს სიტყვებიც მისდაუნებურად მოსწყდნენ ბაგეებს, — შინაგანად სულ სხვას გრძნობდა და განიცდიდა: არა, არ უნდა ეთქვა... ლუდიც არ უნდა შეესხა... ისეთი ბილწი სიტყვებითაც არ უნდა ეგინებინა და ელანძღა, — არ იმსახურებდა ბიჭი ამას!.. ლაჩარი ხომ არა და არ იყო, მაგრამ ამით ბაბა-ბაბა, თითქოს საკუთარი სისუსტისა და უძლურობის მიჩქმალვას ლამობდა...

ვზოდან მოტორის გამაყრუებელი ხმა მოისმა და ლურჯი კვამლი ბოლქვებად შემოიჭრა ღია კარებში...

— უუხ... ჩემი კარგია... — შეიგინა ბაბა-ბაბამ და ცარიელი კათხა კედელს მიაფშენა.

— რა უნდოდა, რაზე ავიხტა?.. — პირმოთნედ ჰკითხა ქუდურამ.

— რა ვიცი, მე მაგისია... — ისევ შეიგინა; მერე ჰქია აილო და არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— რა დიდგულა ყოფილა!.. — უთხრა ქუდურამ.

— იცნობ?.. — ჰკითხა. — იცი ვინ არის, რას წარმოადგენს?

— დვეიძესთან მუშაობს საკონსერვოში, ხანდახან ლუდის დასალეველ შემოდის...

ბაბა-ბაბამ მეორე ჭიქაც დანცალა და სასაღილოდან გაეარდა. საშინლად იყო აფორიაქებული და აღზნებულ... იცოდა, უსამართლოდ მოექცა ბიჭს, მაგრამ მაინც თვითონ გრძნობდა თავს დამპირებულად და გაქელილად.

გაუეკირდა მანქანა რომ დაინახა, სულ აღარ აბსოვდა... ბალღობიდან მანქანაზე ოცნებობდა, არ ეგონა თუ ოდესმე მართლა ეღირსებოდა და

ახლა აღარც კი სჯეროდა, ასე იოლად რომ აუნდა ნატვრა...

გახარებული მიუჯდა საჭეს: მისი იყო, ნამდვილად მისი, — მირიან დევიძემ აჩუქა... კაცმა იმდენი სიკეთე უყო, მამა შეიღს არ უზამდა!.. თვითონ კი ვერაფერს შევლის, — არადა სიკვდილით ემუქრებიან!

მშვიდობიანად მოგვარებაც ხომ სცადა, ჰოდა, აბა, აწი რაც მოუვა, საკუთარ თავს დააბრალოს ჭიქურ სანებლიძემ!..

ვინა იყო მისი მომრევე: მანქანაც ჰყავდა და რევოლვერიც აგერ ედო ჭიბეში!..

თანდათან უმატებდა სისწრაფეს; ავტომობილის საგუშაგოს ისე ჩაუჭროლა, არავის შეუმჩნევია. სპიდომეტრის ისარი ასს გადასცდა...

მალე მოტოციკლეტიც გამოჩნდა ტრასაზე, მოშავო-მოლურჯო კვამლის კუდს რომ მიიქნევდა...

რევოლვერიც აღარ იყო საჭირო, — მანქანით გადაუვლიდა და გადათელავდა!..

თვალსა და ხელს შუა მოკლდებოდა მანძილი...

მოტოციკლეტის მრგვალ სარკეში, ლურჯი ცის ფონზე, ბიჭის შეშფოთებული სახე დაინახა და ამან კიდევ უფრო წააქეზა... ეტყობოდა, უკვე ამოეცნო მძღვერის განზრახვა და აღსასრულის მოახლოებაც ეგრძნო... ველარაფერს იღონებდა თავის გადასარჩენად: მანქანას ვერ გაექცეოდა და გზიდანაც ვერ გადაუხვევდა ამ სისწრაფით!..

ჭიქურ სანებლიძემ მაინც სცადა წინ გეარდნა და გაცლა-გარიდება, რასაც ბახა-ბახა მოტოციკლეტის მსუხინდან გამოტყორცნილი კვამლის სიშავემ და სიხშირემ მიეხვედრა, მაგრამ ამოდ... თვითონაც მოუმატა სისწრაფეს, — ძრავა გამაყრუებლად გუგუნებდა, ხოლო ავტომობილის კორპუსი ისე ჰრიალებდა, თრთოდა და ცახცახებდა, თითქოს საცაა მიწას მოსწყდებდა და პაერში აიჭრებოდა...

სარკეში ხედავდა ბიჭის ფართოდ გა-

ხელილ თვალებს, საიდანაც შიშთან ერთად ხვეწნა-მულარაც გამოსჰქვიოდა; ყელიც კი გამოუწვია, გონს მოდიო, ანიშნა, მაგრამ ამან უარესად გააღიზიანა იგი:

ჭიქურ სანებლიძე უნდა მოესპო და გაენადგურებინა!..

კაციშვილმა არ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებდა თუ რა ხდებოდა ახლა მის სულში, რადგან თავადაც არ ჰქონდა კარგად გააზრებული და შეგნებულო, — ბუნდოვნად გრძნობდა მხოლოდ:

ეს არ იყო მარტო არყის ბრალი; არც ოქროთი თვალის დაბრმავება... არც მეგობრისათვის თავდადება და თავგანწირვა... არც უაზრო, მამლაცინური გახელება; არც სიძულვილი, არც შური, არც შტობა...

ბახა-ბახა საკუთარ თავს ებრძოდა და სდევნიდა!

ცუდად წაიყვანა ცხოვრება, ცუდად... ბავშვობისას სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი, სულ სხვანაირად ეხატებოდა მომავალი...

ჭიქურ სანებლიძემ მოაგონა ახლა იმ პაწია ბიჭი — საკუთარი თავი!..

და ერთბაშად იგრძნო: კაცი, თურმე, გააპრცეული იყო:

ყველაფერი მას წაეღო და მიეთვისებინა... გაზრდილიყო ბახვა სითათიშვილი, დეაქვაცებულიყო და ჭიქურ სანებლიძედ ქცეულიყო, ხოლო თვითონ სხვაა, ვიღაც სულ სხვა, უცხო... ჰოდა ახლა ნაძარცვის დაბრუნებას ლამობდა, ან არა და სიცოცხლაც აღარ ღირდა და იმ პატარა ბიჭთან ერთად დაღუპვა ერჩინა, რომლის არსებობა აღარც კი ახსოვდა!

მილიონიც ვერ აღადგენდა ახლა მინს სულში დარღვეულ წონასწორობას; გულს ურევდა ის ათასები, მირიანი ასე გულუხვად რომ ატენიდა. ამ მანქანასაც სიხარულით მიღევ-მოღეწავდა, მიამსხვრევდა და მიაფშვნიდა...

ჭიქურ სანებლიძე რომ არ აუბამდა მხარს, მაშინ ის პატარა ბახვა სითათიშვილიც დაღუბდებოდა, უსაშველოდ

რომ ესაყვედურებოდა ახლა, ჰკიცხავდა, ჰკლავდა და კეთროვანივით გაურბოდა... ამით რომ მოიშორებდა, მერე აღარაფერს ვყოლებოდა მოწმე და მოდავე. — კვლავ აღიდგენდა რწმენას, იტუებდა საკუთარ თავს და დაიჭერებდა ახლანდელ სიმართლესს...

მერე უტუებ რისხევით მოგიზგოზე თვალებს წააწყდა სარკვეში... შეერთა და შეშინდა, მაგრამ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო — აჰა, მეტრებილა დარჩა!.. და განცვიფრებულმა შენიშნა ბაბა-ბაბამ: მიუხედავად ამ უაზრო და განწირული სრბოლისა, როცა უკვე გადაარჩენის არავითარი შანსი აღარ ჰქონდა, მაინც რა საოცარი ოსტატობით, იმედიანა და რწმენით მიჰყავდა ბიჭს მოტოციკლეტი, — უკიდურესი მარჯვენა მხარე ეჭირა ისე, რომ გამობერილი შარვლის ტოტი გზისპირას ჩამწკრივებულ ბოძებს ხედებოდა... ცდილობდა დაჯახების საშუალება არ მიეცა, მაგრამ ბაბა-ბაბა კუდში მისდევდა და საცაა კიდევ გადაჰქვავდა... ხეცს მიატანეს, სადაც ტრასა მარცხნივ უხვევდა, ხოლო მომცრო ზიდა რკინა-ბეტონის მოაჯირებით იყო მოწყობილი... და იმის მაგივრად, ვხას მიჰყოლოდა, ჭიქურნა პირდაპირ გააქანა მოტოციკლი, ასცდა ტრასას და შამბნარანი ფერდობისაკენ გაფრინდა...

ბაბა-ბაბამ იგრძნო გარდაუვალი კატასტროფის საფრთხე, მაგრამ ვეღარაფერს შეეცლიდა... და მანქანა მთელი სისწრაფით შეასკდა ლოდებს...

პირველად სატვირთო ავტომობილი გაჩერდა... მძღოლი „მოსკვიჩთან“ მიიჭრა, რომლის წინა მხარე დაჯახების ძალას კაბინაში შეეტანა... ამოდ ცდილობდა კარის ვალებას... მერე სხვები წამოეშველნენ. ავტოინსპექტორის „კანარეიკაც“ გამოჩნდა, მოძრაობა შეწყვიტა...

კარი მოგლიჯეს და ძლივს გამოიყვანეს რკინებში ჩაჭედებული ბაბა-ბაბა... საჭეს გულ-მკერდი შეეხვია, თავ-პირი სისხლით ჰქონდა მოთხერილი...

სასწრაფო დახმარებით საავადმყოფოში გააქანეს მაშინვე...

მერე ხევეში ჩაეარდნილი მოტოციკლეტი შენიშნეს. იქვე, ფერდობზე, გულალმა ეგდო ბიჭი...

ბიჭი მალე მოეგო გონს და წამოდგომა სცადა, მაგრამ არ დაანებეს.

— ესეც წაიყვანეთ!.. — გასცა განკარგულება ავტოინსპექტორმა.

— არაფერი მტკიოდა... — თქვა ბიჭმა და წამოდგა. — „მოსკვიჩის“ მძღოლი გადაარჩა?

— ვნახოთ, იქნებ გადაარჩეს. — მიუგო ავტოინსპექტორმა. — როგორ მოხდა?..

— ძალიან სწრაფად მოდიოდა... ნასვამი იყო, და შემეშინდა არ დამჯახებოდა!

— იცნობ?

— არა... არ ვიცი ვინ არის...

— მაგრად გივაცხადია, — უთხრა ავტოინსპექტორმა. — თორემ ცოცხალიც აღარ იქნებოდი ახლა!

ნახაზი შეადგინეს და ბიჭს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს...

მერე მან ხელით შეასწორა შეღუნული ფრთა, ბორბლის წყირებში შეჭედული ბალახი და მიწა გამოწმინდა, კვლავ შეჭდა მოტოციკლეტზე და სასწრაფო დახმარების საავადმყოფოსაკენ გააქანა, სადაც ბაბა-ბაბა წაეყვანათ...

ოციოდე წუთის შემდეგ ჭიქურ საწებლიძემ რეგისტრატურის საკრემელი გამოაღო და თეთრხალათიან მორიგეს ჰკითხა, ხომ არ იცით რომელ პალატაში წევს ბიჭი, ამ ორი საათის წინ რომ მოიყვანეს ავარიში დამარცხებულიო...

ქალმა კურნალს ჩააბხედა.

— ბაბუა სითათიშვილი?..

— დიახ, დიახ!.. — სუნთქვა შეიკრა ბიჭმა.

— გარდაიცვალა უკვე...

ქალმა შენიშნა, ბიჭს ლოყაზე ცრემლი რომ ჩამოუტოვორდა და თანაგრძნობით ჰკითხა:

— თქვენი რამე იყო?..

— დიახ... ნათესავი! — მიუგო მან და გამოტრიალდა.

• • •

ამ ამბავმა თავხარი დასცა მირიან დევიძეს.

ცოცხალი რომ გადარჩენილიყო სულერთია — ჩემივე ხელით მივხარ- ჩობდიო, ფიქრობდა გაცეცხლებული; ამდენი ფული ხომ წყალში ჩაეყარა, მაგრამ ახლა ფულს ვინდა ჩიოდა: იმის ნაცვლად, ბიჭი გაესტუმრებინა საიქი- ოს, ბახა-ბახა თავად გასდგომოდა მო- უსაყვლეთის გზას... თუმცა უკვე ასე სჯობდა, რადგან შეთქმულების ერთი მონაწილე მეორეს ვეღარ გასცემდა!..

საინტერესოა, ჩქიქური ხომ არ მიხვდა ნეტავი რამეს?..

ნუთუ მართლა უბრალო ავირიან თვლის ამ ამბის მიზეზად, როგორც ახ- სნა-განმარტებაში ჩაუწერია?..

არ სჯეროდა და ეჭვი კიდევ დაუ- დასტურდა, როცა იმ საღამოს ჭულურა მოინახულა მალაქიას დუქანში: ჩემი ყურით მოვისმინე, თქვენს სახელს რომ ახსენებდნენ და ჩხუბიც ამის გამო ატ- ყუდაო, უთხრა მეზუფეტემ, — ბახა-ბახა ბიჭს რევოლვერით ემუქრებოდა და შე- მეშინდა რამე არ მომხდარიყო — მა- შინვე სასადილოს დამიკეტავდნენო...

შენი სასადილო მე ფეხებზე მკი- დიო, შეუტია გამწარებულმა, თუ ემუქრებოდა, ბარემ ესროლა და ჩაე- ძაღლებინა, აბა ის ურჩევნია თვითონ რომ ჩაღებება მიწაშიო?..

ესროლა, ბატონო, მერე, ვინ უშლი- და, ჩემი ბრაღია რამე თუ რაო!.. — შემოუღრინა ჭულურამ.

მირიანმა იგრძნო, ყველა გზა მოჭრი- ლი ჰქონდა: ჩქიქურ სანებლიძემ უკვე იცოდა, მისი შესახებლებული რომ იყო ბახა-ბახა...

ახლა კი მართლაც აღარ დაინდობდა ბიჭი!..

შარშანს აქეთ ბევრჯერ დასთენებია თავზე შიშის კანკალში, მაგრამ ადრე, ასე იყო თუ ისე, მაინც პოულობდა გა- მოსავალს, ამჯერად კი ხელჩასაჭიდი აღარაფერი ჩანდა!

ქარხანაში წასვლაც ვერ გაბედა მე- ორე დღეს; არც უსვამს, არც უტამია,

— სიგარეტს სიგარეტზე უკიდებდა და ოთახის ხან ერთ, ხან მეორე კედელს აწყდებოდა გალიაში გამოწყვდებული მხეცივით... სასწრაფოდ უნდა მოეფი- ქრებინა რამე, — რაღაც გზას უნდა დასდგომოდა!

ტელეფონის ზარმა დაისინინა...

აქანკალებული ხელით დასწვდა ყურ- მილს... მადლობა ღმერთს, ნაღია იყო:

— რა მოგივიდათ, გედევანოვიჩ?..

— ცოტა შეუძლოდ ვარ, ნაღია...

— ქარხანაში არ მობრძანდებით?..

— რა იყო... — ჰკითხა გულგახეთ- ქილმა. — ხომ არაფერია რამე ისეთი?..

— არა, ისეთი არაფერია; ნუ გეში- ნით, გედევანოვიჩ!.. — ვაიცინა ქალმა.

— ჩქიქურ სანებლიძე დაგეძებთ და კვი- თხულობთ დილიდანვე გამწარებული, რაღაც სასწრაფო საქმე მაქვსო... სანებ- ლიძე ხომ იცით, გედევანოვიჩ, ავტო- კარზე რომ მუშაობს... მთხოვა, გამიგე შინ არის თუ არაო, წამოსვლას აბი- რებს... ახლა ქიშკართან დგას და გე- ლოდებოთ... სამინისტროდან არავის დაურეკია, არც ტრესტიდან... თუ წვე- ხართ არ ადგეთ, გედევანოვიჩ, გამო- შუშლით ლოგინში!..

მირიანს გული გადაუქანდა...

ქარხანაში მიესვლებოდა კი არა, შინ განერტვებაც საზიფათო იყო!

— ალო, ალო!.. ნაღია, მისმენ?.. — ჩასძახა ყურმილს. — ჩქიქურს უთხარი დამელოდოს, ფეხი არ მოიკვალოს ქარ- ხნიდან; მე, როცა იქნება, მოვალ!..

• • •

ზუსტად ერთი საათის შემდეგ მირი- ანი წყნეთში იყო უკვე, აგარაკზე...

სარდაფიდან ბარი, თოხი, წერაქვი და ნიჩაბი გამოიტანა, ბაღში ჩავიდა და კიდევ-კიდევ ჩაუყვა ფერდობს; მერე მარჯვნივ გაუხვია, სიღრმეში, და სიდი- დით გამორჩეულ ბებერ ვაშლის ხეს- თან შეჩერდა...

ლურჯ სივრცეში ლაღად ბიბინებდა მწვანედ აბოლქვილი ბაღი; თითქოს უჩინარი სიო კი არა, ივნისის თაკარზ მზის სუნთქვა არხედა ხასხასა ფოთ-

ლებს. ბალი შეთვალულიყო, საადრეო ატმები და მსხლებიც ივსებოდნენ მიწის ნოყიერი წვენითა და მზის ბადაგით; ბალის კიდევში ბუღბული სტვენდა...

მაგრამ კაცს არც ფოთლების ჩუმი შრიალი ესმოდა, არც ჩიტების ვალობა-ჭრიაბული და ვერც ლამაზ გორაკებს ხედავდა ვერც ვაღმა; იარაღები ხის ძირას დაჰყარა, ბარი დაიტოვა მხოლოდ ხელში, კოტეჯისაკენ მიტრიალდა, ათიოდე ნაბიჯი გადაზომა და სწორედ იმ ალაგას დაჰკრა ბარისპირი მიწას...

ერთბაშად მოვარდნილი მღვლეარებისაგან სუნთქვა შეეკრა, გულმა გამალებით დაუწყა ცემა...

იქვე ჩაქდა, სიგარეტს მოუკიდა და ფიჭვებში ჩაიძირა...

გონების თვალთ კიდევ ერთხელ გადამოწმა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორე და დარწმუნდა საუკეთესო გამოსავალს რომ მიაგნო:

ქალაქიდან გადაკარგვას აპირებდა!.. კაციშვილი ვერ გაიგებდა სად გაქრა მირიან დევიძე...

სახელსა და გვარს გამოიკვლიდა, სახის პლასტიკურ ოპერაციას გაიკეთებდა და ჯიქურ სანებლიძე კი არა, ლიზიკო და ნუკაც ვეღარ იცნობდნენა!..

წამოდგა და აწიოტებულ ბალახებში მბოლავი სიგარეტის ნაშწვი ტერფით ჩააქრა.

დრო იყო საქმეს შესდგომოდა, მაგრამ გახსენდა, მანქანა რომ ეყენა კოტეჯის წინ... უნდა დამალოს, თვალს მოაფაროს, თორემ შესაძლოა მოაგნონ, ჩამოაკითხონ და ხელი შეუშალონ მუშაობაში...

ბალიდან გავიდა, მანქანა გარეშე შეიყვანა და უკან მობრუნდა.

ბარი ამოაძრო მიწიდან და კვლავ იმავე ადგილას დაჰკრა გამეტებით...

მთელი ერთი საათი იმუშავა შეუსვენებელივ, მაგრამ ბარაქა ვერ დააყარა საქმეს; გამოგვალული მიწა კლერტას ფესვებით იყო ჩაწულ-ჩაკირული...

ბიჯაჯი გაიხადა და ვაშლის ტოტზე

დაჰკიდა, პერანგის სახელოები დაიკაპიწა...

ნაშუადღევს წელამდე იდგა უკვე ორმოში.

თანდათან გაიოლდა საქმე...

სადაც არ უნდა წასულიყო, სადაც არ უნდა გადახვეწილიყო, ყველგან გაიტანდა თავს...

გაიტანდაო?..

პირველი კაცი კი არ იქნებოდა?!

გახალისდა და გამხიარულდა:

ძველს ყველაფერს დამალავდა, დახევდა, გადაყრიდა... პასპორტს, დიპლომს, პარტიბილეთს; წარსულს, აწმყოს, მომავალს; ნიქს, უნარს, ცოდნასა და გამოცდილებას... უბრალო მიწის მუშა იქნებოდა, ან დურგალი, ან მეარმატურე... კოლექტივის ნდობასა და სიყვარულს დაიმსახურებდა!

მხრებამდე იდგა უკვე ორმოში...

რევოლვერი ხელს უშლიდა, — ჯიბიდან ამოიღო და ორმოს კიდევ შემოღო...

ბარის პირი უკვე მოხვდა ლითონს... რა უცებ გაფრენილა დღე — მზე პორიზონტს უახლოვდებდა.

ისევ გაიხრქიალა რკინამ რკინაზე და როცა ყუთის სახურავი გამოჩნდა, ანაზღად შეკრთა, რადგან მისი საიდუმლო დღის სინათლეზე გამჟღავნდა...

რა ჰკუთა ჰქნა, თავიდანვე რომ არავის გაუმხილა: არც დედას, არც ცოლს, არც შვილს... არის კი ვინმე სანდო ამ წვეყნად?..

მარტო მან იცოდა მისი მონაგარა განძის ამბავი, თავისივე ხელით რომ იყო აქ ჩაფლულ-ჩამარხული და საიმედოდ დაუნჯებული!

სადაც არ უნდა გადაისროლოს ბედმა ამის პატრონი, ყველგან მისი სამშობლო და კერა იქნება... პატიოსანი უბრალო მუშის სახელს რომ გაიგდებს, მერე იოლია უფრო: იქნებ თვითმფრინავის ვატაცებაც მოხერხდეს... ერთა სიტყვით, ასე იქნება თუ ისე, როგორმე გააღწევს... ჭერ ახალგაზრდაა, ჯანმრთელი, — სიცოცხლითა და ენერგიით სავსე... და ახალ ცხოვრებას და-

იწყებს ახალ ქვეყანაში, სადაც ფულის კეთება სირცხვილად და დანაშაულად კი არ ითვლება, არამედ სახელისა და ღირსების საქმედ, და სადაც მას მიწაში კი არ ალბობენ, არამედ საქმეში დე-ბენ, ანდა როგორც მოეპრიანებათ ისე ხარჯავენ!

თითქმის მთლად ჩაიმალა ორმოში, — ჰალარა თავი და ოდნავ გამელოტებული კინკრიხო უჩანდა მხოლოდ...

ყუთს მიწა შემოაცალა, სახელურებს ჩააფრინდა, წამოსწია...

საკმაოდ მძიმე იყო, მაგრამ არც ისე, რომ ვერ შორეოდა!

ნელ-ნელა გაიმართა წელში და... ელდა ეცა, ძარღვებში სისხლი გაეყინა...

ჭიქურ სანებლიძე წამოსდგომოდა თავს, იარაღშემართული...

ყუთი ხელიდან გაუვარდა და ზრიალით დაეცა ორმოს ფსკერზე.

— საინტერესო შეხედარაა, არა?... — თქვენი ბიჭმა ამაზრუნეი ხმით და ორ ნაბიჯი წამოდგა წინ. — რამ გაფიქრებინათ, რომ ამ დრომდე ვიყურყუტებდი ქარხანაში; მე ამ ბედნიერ დღეს რახანია ველოდი!

მირიანმა თვალებით მოსძებნა რევოლვერი ორმოს კიდზე, მაგრამ სადღა იყო: ჭიქურ სანებლიძეს აეღო და ქამარში ჰქონდა მარჭაფად გარკობილი...

— საატნა!.. — ჩაილაპარაკა და ბარის ტარი ჩაბღუჯა.

— მოიტათ აჰ... — ბიჭმა გამოართვა ბარი და ხის ძირას მიავლო. — თქვენს ხელში ყოველნაირი იარაღი საშიშია!

— სატანა, სატანა... — ჩურჩულებდა მირიანი და უმწეოდ აცეცებდა თვალებს.

— სამარე გაითხარეთ, არა?... კვლა გიქნიათ, — აბა მუღამ სხვებს ხომ არ უნდა უთხაროთ!.. თუმცა საეჭვოა თქვენთვის გდომებოდეთ, ავი უზომოდ გიყვართ თავი, და ყველაფერი იღონეთ სიცოცხლის შესანარჩუნებლად... საწყალს ბაზა-ბაზაც არ დაინდეთ!.. ერთის შეხედვით გულუფხი და ხელგამლილი

კაცი ჩანდით, ჩემთანაც და სხვებთანაც, მაგრამ მაინც გეტყობოდით რა წუწურაქი ბრძანდებოდით სინამდვილეში... მერედა რატომ, რისთვის, ბატონო მირიან, — დაიფერო ასე მუქთად აფასებთ საკუთარ თავს?... ან იქნებ გეგონათ, ჩვენ მაზანდა არ ვიცოდით?... იმდენი იხითხითეთ მაშინ „ლიმონის“ ხსენებაზე, თანაც ისე ბუნებრივად და სადად, კინაღამ ეჭვი შემება-რა, ხომ არაფერი შეშლება-მეთქი, ახლა კი, ვგონებ, ერთის მაგივრად ორი ცალი ვიშოვნე... ხომ არ მოგეხმაროთ განძის ამოთრევაში?... თუმცა უმჯობესია თვითონ ვაისარჯოთ — შით უფრო, არც მელოდებოდით... იმედია, გულს არ ჩაგწყვეტთ ოქროს სიმძიმე, — ის გირჩევნიათ, რაც მეტი იქნება... აბა მარდად, მარდად, ბატონო მირიან!

კაცი აეტომატურად დაემორჩილა, დაიხარა და შოზრდილი შავი ყუთი ხენეშით ამოდგა მალა.

— თქვენც ამობრძანდით, ცოტა წავისაუბროთ... კი მოესწრებით შანდ ყოფნას!

მირიანმა ძალა მოიკრიბა და ორმოდან ამოზობლდა; წელშიაც არ გამართულა, იქვე ჩაჯდა, ნაყარ მიწაზე.

ჭიქურ სანებლიძემ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა, ყუთის მეორე მხარეს, ხელში რევოლვერი ეჭირა.

— გახსენით!.. — უბრძანა მან. მირიანს წერაქვისაკენ გაეცა თვალი.

— არ გირჩევთ, მაშინდელი დანისა არ იყოს... — უთხრა ბიჭმა და წერაქვი ვაშლის ხისაკენ მოისროლა. — ამით მხოლოდ აღსასრულს დაიჩქარებთ, ისედაც დათვლილი გაქვთ წუთები...

კაცი ახლა რევოლვერს მიაჩერდა, ქამარში რომ გაერტო მარჭაფად სანებლიძეს:

სცემოდა აბა უცებ და წაერთმია?... არა, არა, ჭერ არა — უფრო ხელსაყრელ დროს უნდა დაელოდოს!..

— ამაოდ იშლით საღერდელს, ბატონო მირიან... მერწმუნეთ, აღარ დაგჭირდებათ, და, სიმართლე გითხრათ,

ვერც მე ვეგუები სხვის იარაღს... —
 ქამრიდან იძრო, მოიქნია და ბალის კი-
 ლეს გადააშორა რვევოლვერი, რომელ-
 მაც ლამურასავით გაიჭროლა ჰაერში...
 ბინდდებოდა უკვე! — იმედია, ისე არ
 გათავზედდებით, ხელიდან წართმევა
 მომინდომოთ... ნახეთ, როგორ ხედება
 მიზანში!

რვევოლვერი ბლის ხეს მიუშვირა და-
 გაისროლა; ტოტს კუნწულა მოსწყდა
 და შეწითლებული ნაყოფი მიწაზე და-
 ცვივდა.

— ასე მარჯვე თუ იყავი, ამ დრომდე
 რაღას უყურებდი?..

— უნდა გიხაროდეთ, რომ უნარი
 შემწვეს ზუსტად ავაცილო მიზანს და
 შემთხვევით არ მოვარტყა... აბა ერთი
 კიდევ შემომხედეთ!

ახლა უფრო მეტის გულმოდგინებით
 დაუმიზნა ტოტს და გაისროლა, მაგრამ
 ფოთოლიც არ შერხეულა.

— ყველაფერი რიგზეა... — თქვა მან.

— კინოში მგონია თავი... — გესლი-
 ანად ჩაიღიმა მირიანმა.

— ნუ გავიწყდებათ, ყველაფერს თა-
 ვისი ადგილი აქვს... ვფიქრობ, საოხუნ-
 ჯოდ არ უნდა გქონდეთ საქმე!

— პირველი შემთხვევა რომ იყოს,
 შიშისაგან სული გამძვრებოდა, მაგრამ
 შევეჩვევ უკვე!

— აბა, თქვენ გგონიათ ამჯერადაც
 დაგინდობთ?..

— გამაგებინე მაინც რატომ მაცი-
 ლებდი ტყვიებს ასე „ზუსტად“?..

— თო... ეს ჩემი საიდუმლოა, ისევე,
 როგორც ეს განძი იყო თქვენი საიდუმ-
 ლო... როგორც გეგონათ!

— იცოდინ?.. — ჰკითხა გაკვირვე-
 ბულმა.

— დიახ... მაგრამ ვერ გავიგე სად
 გქონდათ ჩამარხული.

მირიანი პირდაღებული შეპყურებდა.

— ეს ამბავი ჩემს მეტმა არავინ
 იცოდა!

— გეტყობოდით, „მაგარი მაცუთის
 პატრონი“ რომ იყავით!

— რაზე მეტყობოდა?..

— მარტო თქვენ კი არა, ყველას სა-
 ხეზე აწერიას!..

— გასაგებია ყველაფერი!

— მაინც, რა?..

— განძზე თუ გქონდა ეჭვი, ცხადია,
 სასიკვდილოდ ვერ გამოიმეტებდი... მე
 კი მეგონა, მილიონი ხუმრობით ახსე-
 ნე!..

— თქვენ მუდამ რაღაც გეშლებო-
 დათ, ბატონო მირიან, ისევე, როგორც
 ახლა...

— ახლა კი ვხედები ვინ ყოფილ-
 ხარ... — მიუგო მან და ხმაზე დაეტყო
 გადარჩენის იმედი რომ მიეცა. — გა-
 დარვევას ვიყავი კაცი, რაღა არ ვიფიქ-
 რე: თავიდან ჩვეულებრივი შანტაჟი
 მეგონა, ბოლოს კი...

— ბოლოს რა?.. — დაინტერესდა
 ჯიქურ სანებლიძე, რომელიც ისევე ცალ
 მუხლზე იყო ჩაჩოქილი და რვევოლვე-
 რის ლულას არ ამოვრებდა...

— პარტიბლეთი რომ მომპარე და
 რაიკომში განცხადება გაავზავნე ჩემი
 სახელით, მართლა დონკიხოტი მეგო-
 ნე, ან ვილაც „ხუნვეიბინის“ მაგვარი
 ფანტიკოსი... ისე კი, სწორი ვითხრა,
 ახლაც არ მესმის ეს სისულელე რამ
 მოგაფიქრებინა, და საერთოდ, ყაჩაღო-
 ბის რანაირი ფორმა და მეთოდია ეს
 შენი მეთოდი — არ შეიძლებოდა ცო-
 ტა უფრო ადამიანურად?..

— ვფიქრობ, „ადამიანურად“ არა-
 ფერი გამოვიდოდა, — ჩაიციხა ბიჭმა.
 — გონებაგახსნილ კაცად მოგაქვთ თა-
 ვი და მიკვირს ამდენს ვერ ხედებით!

— თუმცა ჰო, სწორია... — ორაზ-
 როვანი ღიმილით დაეთანხმა მირიანი.

— ყაჩაღობა და ადამიანობა ერთად
 სად გავიხილა, მაგრამ საინტერესოა,
 მაინც სად მოასწარი ამდენი ამ ახალ-
 გაზრდა კაცმა... სულმა როგორ არ წაგ-
 ძლია, მანქანაზე რომ თქვი უარი: მერე
 აგარაკიც შემოგთავაზე... განძს, რა
 თქმა უნდა, აქ არ ჩავიტოვებდი, მაგ-
 რამ ვთქვათ და სულ არ მქონოდა, ანდა
 ახლა არ წამომლეწებოდი შემთხვე-
 ვით, ხომ დარჩებოდი, პირში ჩალაგა-
 მოვლებული?!

— ტყუილა გგონიათ... ასე იოლად ვერ დამიძვრებოდით!

— იმ ავტორს რა გულით დაახრი-
გინებდი და პატიოსანი, უბრალო მუ-
შის როლს როგორ თამაშობდი ამხელა
პიროვნებაზე?.. ცნობილი კაცი ხარ, ალ-
ბათ, დამნაშავეთა სამყაროში... შენ
რომ ჰკუთხა გესმარა და დიპლომი ჩაგე-
დო ხელში, კაი ფულიან ადგილზე გაძ-
ვრებოდით..

— დიდი მადლობა, ასეთი მაღალი
აზრისა რომ ბრძანდებით ჩემზე, ბატონ-
ო მირიან, — დამცინავდ მიუგო ბიჭ-
მა. — არ მინდა გული დაგწყვიტოთ,
მაგრამ ტყუილი რა საკადრისია: არაფერ-
თარი ცნობილი... მხოლოდ ახლა ვიწ-
ყებ ჩემს კარიერას!

— მჭერა დიდ წარმატებას შიდალწვევ,
თუ გონიერება არ გიღალატებს და არ
გასწირავ კაცს, რომლის კეთილი სიტყ-
ვა და რჩევა-დარიგება მუდამ გამო-
ვადგება ცხოვრებაში..

— მაგას ვერ შეგპირდებით, — მი-
უგო ბიჭმა. — იმიტომ რომ ძალზე ვე-
რაფი ბრძანდებით... არაფრით არ შეიძ-
ლება თქვენი ნდობა!

— საქმეში სანდო ვარს.. — გაუღიმა
და თვალი ჩაუქრა.

— მოლაპარაკებას მთავაზობთ?

— არცა გაქვს უფლება უარი მითხ-
რა... — გამოცოცხლდა მირიანი. —
ჩვენ ერთმანეთს ვპირდებით, რადგან
ერთი მიზნისკენ მივისწრაფით: ორივეს
ოქრო და ტყბილი ცხოვრება გვიყვარს...
თუმცა სხვადასხვა გზებით — მე
პატიოსანი შრომით, შენ — ყაჩაღო-
ბით!..

— განა ეს პატიოსანი შრომის შედე-
გია?.. — ჰკითხა ბიჭმა და ყუთს რე-
ვოლუერის ლულა მიუტაკუნა.

— რაო, ეჭვი გეპარება?.. — კაცს
გაკვირვება გამოეხატა სახეზე. — მე
არავინ მომიყვავს და არც არავინ გამოი-
ძარცვავს; არც ბანკი გამოიტეხია და არც
საიუველირო მალაზია... ასევე არც სა-
ხელმწიფო ხაზინიდან მომიპარავს და
არც ხალხისთვის წამიგლეჯია: ორივემ

თავთავიანთი კუთვნილი და წილი მი-
იღო!

— აბა ციდან ჩამოფრინდა?.. — და-
ინტერესდა ბიჭი. — მითხარით სიმარ-
თლე, რაბან უდიპლომო ვარ ნუ დამიბ-
რიყვებთ!

— გულითაც რომ მოვიინდომო, შენი
გაცურება შეუძლებელია, ამაში კი დავ-
რწმუნდი უკვე... — მიუგო მირიანმა.
— ეს ყველაფერი საქმის ცოდნამ,
დიდმა ენერჯიამ და კერძო ინიციატივამ
შექმნა, ციდან არაფერი ცვიდა!.. მე შე-
ნისთანა კაცი მპირდება, აღრეც მოთქ-
ვამს, — შენისთანა ჰკვიანი და ძლიე-
რი, — შენ კი ჩემისთანა: მცოდნე და
გამოცდილი!..

— ჯერ ეს გამოგებინეთ, — უთხრა
ჩიქურ სანებლიძემ. — ის თქვენი ჰარ-
ბი ენერჯია და კერძო ინიციატივა წე-
სით საერთო საქმეს, სახელმწიფოსა და
ხალხს არ უნდა მოხმარებოდა?..

— წესით ჰო, მაგრამ მაშინ ამ ნიხრი-
თა და ტარიფით კი არ ამინაზღაურდე-
ბოდა შრომა... — ჩაიღიმა მირიანმა და
ხელები ყუთს მოჰხვია. — შენ ეს ჩემზე
უკეთ იცი, რას მალაპარაკებ... ერთი
სიტყვით, საქმეში ჩაგაბამ და მერე
თვითონვე შესძლებ ფულების კეთებას,
ყაჩაღობის გარეშე!..

— პატიოსანი გზით, არა?..

— რა თქმა უნდა!

— რა პირობებს მთავაზობთ?

— რაც აქ არის, შუაზე გავიყოთ... —
ხელი შემოჰკრა ყუთს.

— გაანია, მანდ რამდენია... —
შენისთანა გალღეტილსა და უნიფ-
ხოს ჯერ, ალბათ, არც კი დასიზმრებია!..

— გახსენი, ვნახოთ... —
„გახსენი“ — კაია!.. — ჩაიბურტ-
ყუნა მირიანმა და ზანტად ამოიღო ჭი-
ბიდან გასაღებების ასხმა. — ოცი
წლის წაფა აქ ჩაყრილი... რამდენი ში-
ში, კანკალი, ნერვების წყვეტა, გულის
ხეთქა და უძილო ღამე... ფულის მოვ-
ნა ადვილი კი არაა, ჩემო ღამაზო...
ყველას შენსავით როდი სწყალობს
ბელი!

— ნუ წუწუნებთ... არც თქვენ გეთქმით ბედის სამდურავე!

კაცმა ცელოფანის ქაღალდი მოაცალა ზოქლომს და ვასალები მოარგო. ხელის კანკალით ახადა ყუთს თავსახური, რომელსაც რეზინის ფურცელი ჰქონდა დატანებული წყალს რომ არ ჩაეყონა. ზემოდან დაფენილი მოოქროვილი ქაღალდები ამოკრია, ნერვიულად მოკმუჭნა და ჭკვე დაპყარა, მერე ცელოფანის გამკვირვალე პარკი ამოიღო და ყუთის გვერდით მიწაზე დადო...

პარკი მსმანეთიანი დასტებითა და შემნახველი სალაროს წიგნაკებით იყო საესე.

— რამდენია აქ?.. — ჰკითხა ჯიქურსანებლიძემ.

— ნახევარი მილიონი მარტო ფულად იქნება... — მიუგო ღრენით და მტრული მზერა შეაგლო; მიუხედავად საფრთხისა, რომელიც მას ემუქრებოდა, მაინც ვერ აბერებებდა ზიზღისა და სიძულვილის დამაღვას. — ერთი ამდენიც შემნახველი სალაროს წიგნაკებზეა...

კვლავ ამოყარა და ამოყარა ყუთში ჩაფენილი მოოქროვილი ქაღალდები, მერე ხელები ჩაპყო შიგ და თავიც ჩაპყიდა. თვალები ისე მილულა, თითქოს განძს თითებით ეალერებო, თან ბრაზისაგან ტუჩებს იყენერდა...

— გაიწით იქეთ... — ბიჭმა რევოლვერის ლულა შეაბო მკლავზე.

კაცმა ხელები ახლა გარედან მოჰხვია ყუთს.

ბიჭმა ჩაიხედა შიგ და მოეჩვენა, თითქოს ცეცხლი და ღველფი შემოაფრქვია პირდაღებულმა ურჩხულმა; თვალისმომკრელად ეღვარებდა ოქრო, ზურმუხტი და თვალ-მარგალიტი...

— რამდენი იქნება?.. — ჰკითხა მღვლვარე ხმით.

— ხომ ხედავ ბევრია, რა გამიწყალე გული... — ისევე შეუღრინა მირიანმა, რომელიც აფთარივით თვალებჩაისხლიანებული დაპყურებდა ზემოდან.

— არა, მაინც?.. მე მაინტერესებს ფულად თანხაზე გადაყვანით!..

ერთნახევრამდე ავა...

— ერთნახევრამდე?.. — გაიმეორა გაკვირვებულმა. — აგერ მილიონიც პარკში... სულ რამდენია — ორნახევარი, არა?..

— ეგრეა... იმ შენს ერთ ლიმონს მიიღებ!

— ერთ ლიმონსა და კიდევ ერთ პატარა ნაჭერს!

— წესით მეტი არ გეკუთვინს... — წაიტირა მირიანმა. — შენ ხომ პირველად ერთი ლიმონი ითხოვე!

— ახლა მილიონ ორასორმოცდაათი ათას მანეთს მივიღებ!.. — ბიჭმა ოქროს რომელიღაც ნივთი ამოაყოლა ხელს. — ეს რა არის?..

— ეს წიწილა... ოქროს წიწილა... ექვსი ცალია სულ, იოლად გაეყოფთ!

— ოქროს წიწილა?.. — გაიმეორა გაკვირვებულმა. — მერედა ცოდონი არ არიან ქვესკნელში რომ ჩაგმარხავთ?.. რა ლამაზია, მართლა ახალგაზროვილი არა ჰგავს?.. ვერ გაბედავ, თორემ როიალზე უნდა ჩამომწკრივოს სამშვენივრად... წესით აქ კრუხიც უნდა იყოს საღდაც!

— დიახ, არის...

— ეგ რაღაა?.. — წამოიძახა ბიჭმა და რალაც მოგრძო ამოათრია ყუთიდან.

— ეგ ჰალსტუხია... — აუხსნა მან.

— ოქროს ჰალსტუხი?.. — იკითხა განკვირვებულმა. — ხელში რომ არ მგვიროს და საკუთარი თვალებით არ ვხედავდე, არც დავიჯერებდი!..

— დაუჯერებელი რაა, შე კაცო... — იუყადრისა მირიანმა. — სუენერიია, უბრალოდ... რელიქვია... მანუქეს!

— იი, მესმის ძღვენი... — ღიმილით ჩაილაპარაკა ბიჭმა. — აბა მე კი არავეს ვახსენდები!

— ჰალსტუხი შენ და კრუხი მე! — უთბარა კაცმა.

— მერედა ჩემი წიწილები უკრუხოდ ცოდონი არ იქნებიან?..

— ხანდახან მოიყვანე და ანახე...

— ეს ჰალსტუხი როგორ იხსნება?

— ნასკვთან გამოსწიე, ცალი მხარე ძვრება... ჰო, მართლა, ეს ჰალსტუხი!..

გაიკეთე აბა, გაიკეთე — ნახე როგორ მოუხდეს მაგ ლურჯ ხალათსა და ჯინსებს... შენს ლამაზ წვერ-ულვაშსაც ესადაგებას...

ბიჭი ცალი ხელით ცდილობდა ნასკვის გახსნას; კარგა ხანს იცოდვინდა და რომ არაფერი გამოუვიდა, გულგაწყობულბომა რევოლვერი ყუთზე დადო, — მარცხენას მარჯვენაც შეაშველა...

კაცს ისე აუტგერდა გული, ისე მძლავრად იწყო მკერდმა ბაგაბუჯი — შეშინდა იმან არ გაიგონოსო; უცებ გაუხურდა და აუღუღდა სისხლი ძარღვებში: რევოლვერი იჭვე, ცხვირწინ ედო... მარტო ხელის გაწევა უნდოდა!.. ბიჭი კი საქმით იყო გართული, სხვა აღარაფერი ახსოვდა: ნასკვი გაეხსნა და პალსტუხს წვინტილიან ყელზე ირგებდა...

ძახილი ჩაესმა ანაზღად... აქაური მეზობლის, ნინიას ხმას ჰგავდა, მაგრამ მირიანი არ გაპასუხებია — თვალებით ჰამდა ყუთის კიდებზე შემოდებულ იარაღს...

— თქვენ გეძახიან, ბატონო... — შეასხენა ბიჭმა.

კვლავ პალსტუხს ისწორებდა, — თვალებით ეალერსებოდა მკერდზე ნიკაპმიბჯენილი...

„ჩქარა, ჩქარა!“ — ხარვიით ჩამოკრა კაცს ტეინში...

რევოლვერს ხელი დასტაცა და ზეზე წამოიჭრა.

— არ გაინძრე, ღორიო!

ბიჭს ხელები პალსტუხზე შეეყინა... არ განძრკულა, მაგრამ მივედრებელი თვალებით ამოჰხედა:

— არ გაბედო, ბატონო... თქვენ ხომ ერთხელ უკვე მომკალით!

ორჯერ ზედიზედ დაიჭექა რევოლვერმა...

დაახლოებით ნახევარი მეტრის მანძილიდან ესროლა...

მუხლებზე დაიოქილი, წესით წინ უნდა გადმოვიარდნილიყო, მაგრამ გვერდულად წაიქცა და რალაც უცნაურად წაწვა მიწაყრილზე, ხელები კი მოკრივესავით აიფარა სახეზე...

— ცოდვილი ხარ, ცოდვილი... ღმე-

რთი დაგსჯის!.. — უღონოდ აღმოჩენდა და ოდნავ ჩაცურდა ნაყარ მიწაზე.

კაცმა სულ ახლოს გაიგონა მეზობლის ძახილი: ნინია უკვე მოსდგომოდა კიშკარს.

— რა ამბავია, კაცო, რა ხდება... მირიან, მირიან!

— მე ვარ, პო... — გასძახა მშვიდად. — ნუ გეშინია, ისეთი არაფერია... იყავი მანდ, მოვალ ახლავი!

წაიხარა და შიგ გულში ესროლა უძრავად გამოტოლ ბიჭს...

— შენივე იარაღით ხომ მოგიღე ბოლო... ღორიო!

კიშკარმა გაიჭრიალა: ნინია ბალში ჩამოდიოდა.

— დამელოდე-მეთქი, არ გესმის?.. მოვდივარ, მოვდივარ!.. — დაუყვირა.

ორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ჯერ ცოტაოდენი ღრო კიდევ ჰქონდა... მიტრიალდა და ყოველ შემთხვევისათვის მაინც, ლულა ზედ საფეთქელზე მიადო...

წამიერად რომ ინათა, მოეჩვენა, თითქოს ბიჭს სახეზე დამცინავი ღიმი შემორჩენოდა (უფრო სწორად, ეს მერე გაიხსენა, როცა უკვე გვიანდა იყო!)...

— ხომ მშვიდობაა, კაცო, მირიან?.. — მოისმა ხმა ბალის კიდიდან.

შესახვედრად გაეჭანა... რალაცას წამოედო, წაიფორხილა... რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და კვლავ წინ გავარდა...

ორმოდან ოციოდე ნაბიჯის მოშორებით შეაჩერა მეზობელი.

— მშვიდობაა პო, მშვიდობა... რა გინდა იქით, სადღა მიდიხარ?!

— რა ვიცი... სროლის ხმა გავიგონე და შეშეშინდა, — ათასი ოხერია ამ ქვეყნად... ის ეინაა იქ წამოწოლილი?..

ქალაქიდან მეგობარი ამომყვა და სროლაში ვეჯიბრებით ერთმანეთსო, მიუგო... ბალს გადაღმა რომ დაიგულა, შვებით ამოსუნთქა; ისევე გადაკეტა კიშკარი... ერთი სული ჰქონდა ვიღარე იმას, ყოფილ ნიღბოსანს, ორმოში გადაუძახებდა და მიწას მიაყრიდა...

სიხარულის თრთოლვა-ცახცახმა აიტ-

ანა ერთბაშად: სამკვდრო-საასიცოცხლო ომი მოიგო, უსასტიკესი მტერი დაამარცხა და დაჯაბნა — მსგავსი რომ არ შეხვედრია და არც არასდროს სმენია... წამით თითქოს შეშურდა მისი ძალა, ნებისყოფა, ვონიერება — ლამის შეებრა-ლა კიდევ, მაგრამ არა, რა... კაცი რომ ყაჩაღობის გზას დაადგება და სხვისი ნაოფლარის მიტაცებას მოინდომებს არაა მოსაძალგელი და შესაბრალო... მაინც რა ჰქვიათურად ჩაუფიქრებია ეს ოპერაცია: „ან ერთი მილიონი ან არაფერი!“ თითქმის გამარჯვებული იყო, სიხარბენ რომ არ წაეძლია: ეს რა ჰქვია მოცი-ლა... დაღუპული ეგონა თავი და უცებ აღწუხებ არ დაუჭდა კოჭი... სანამ პირ-ში სული ვიდგას იმედი არ უნდა დამ-კარგო... ჰალსტუხშია შეიწირა ბიჭი, ოქროს ჰალსტუხში; კაცი არ უნდა გა-ლორდდეს, ოქრომ თვალები არ უნდა და-გებრძაფოს!..

მოზღვავებული სიხარული ბორკაედა და ნელა უახლოვდებოდა ორმოს: დრო-დარო ჩერდებოდა, საამო ფიქრებს ეძ-ლეოდა... გაქრევა მანახე და გაქცევას გაჩვენებო, თორემ განა იოლია მშობ-ლიურ გარემოს მოწყვეტა და უცხო მხარეში უგზო-უკვლოდ წოწიალი?.. რომელი საზღვრის გადამლახავი და თვითმფრინავის გამტაცებელი იყო... მადლობა ღმერთს, ახლა აღარ დასჭირ-დება არსად გადახვეწა; სად უნდა წა-ვიდეს, საათივით აქვს საქმე აწყობილი, ხელზე სამსახურში გავა!.. არავითარი ქიურჯი და სახის პლასტიკური ოპე-რაცია: სახესაც შეინარჩუნებს, სახელ-საც და მილიონებსაც, — მისი საიდუმ-ლო კვლავ მის გულში და საღმე ბაღის კიდეში, ახალ ადგილზე ჩამარხება, ცხოვრება კი ძველი კალაპოტით განაგ-რძობს გრიალს!.. ხვალ ბახა-ბახას პა-ნაშვილზე მივა, საწყალ დედამისს მიუ-სამძიმრებს... ცოდვა კია ბახა-ბახა, რა-ლა თქმა უნდა, მაგრამ საქმისთვის ახლა უკეთესი გამოდგა მისი სიკვდილი...

დღესაც როგორ გაუმართლა: ვერა-კაცი ვერ გაიგებს ჩქიურ სანებლიძის ასავალ-დასავალს (ხომ არ დაუბარებდა

ვინმეს, — წყნეთში მივდგარა დედასთან მოსაკლავად, ანდა მილიონის წასართმე-ვადო!)... ახლავე ორმოში ჩაუძახებს, მიწას მიაყრის და ლამაზად მისაწორ-მო-ასწორებს... ჭულურასთან კი წამოსცდა წუხელ ზედმეტი, მაგრამ მეზუფტე სათვალავში მისაღები არ არის!..

აი, ნამდვილი გამარჯვებაც ამას ჰქვია! ორმოს რომ მიუახლოვდა, რაღაც ავ-მა წინათგრძნობამ გაუსერა გული: მო-ეჩვენა, თითქოს მიწაყრილზე გვამი აღარ იყო... მეგრე თვითვონვე დასცინა თავს, — ეს რა სულელურმა შიშმა წა-მომიარაო... — ღამეა, არა ჩანს, — აი, მივა ახლოს და ნახავს!..

წინათგრძნობა უცებ რეალურ საფრ-თხედ იქცა: ღმერთო დიდებულო — სად გაქრა მიცვალებული?!

ყურებთან ისევ ბედისწერის ფრთებ-მა გაიტკაცუნეს... და კვლავ გაპიკება საკუთარი თავი: ნუთუ ჭერაც არ გაუე-ლია ზაფრასა და ელდას ჩქიურ სანებ-ლიძემ რომ ჩაუსახლა გულ-გვამში?.. — ცხადია, ბიჭი ორმოში ჩაეარა და იქ-ვე ამოძვრა სული... აი, ახლავე ჩახტება შიგ, ნახავს!..

ფხვიერი მიწა და ატლიზნული სველი ბელტები აცვიოდა თავზე, — ძლივს ამოათრია წელი ორმოდან... მთელი ეზო დაიარა, ყველა კუთხე-კუნძული მოსინ-ჯა, მაგრამ ბიჭი არც მკედარი ჩანდა სა-ღმე, აღარც ცოცხალი... მეგრე შენიშნა: ერთგან მესერი აქეთ-იქეთ იყო გაწეუ-ლი, მავთული — ჩალუნული... ეტყობა განძი გაიტაცა და გაიქცა... კი მაგრამ, რა სასწაულმა გადაარჩინა?.. ნახევარი მეტრის მანძილიდან ესროლა, — შეკრ-დსა და საფეთქელზე კი თითქმის მია-დო ლულა!.. ახსოვს, ბიჭი არც განძრე-ულა — ოდნავ წინ წამოიხარა მხოლოდ, თითქოს თვითონვე შემოუშვირა შუბლი ტყვიებს... მაგრამ ახლა ამას ვინდა ჩი-ვის: განძი გაუტაცნია, განძი — მისი ნაოფლარი და ნაჭაფარი მილიონები!..

კვლავ ორმოსთან მიიჭრა აქემულე-ბული და გასაფათებული.

ყუთი ისევ იქ გდო, და გახარებულნი ზედ გადაეფოფრა.

სწორედ ეს ოქრო კვებავდა მის სულს, როგორც ჭაობი მდინარეს!

აღმათ ვერ მოასწრო წაღება, ანდა ველარ ზიდა დაქრილმა!

ხელი ჩაპყო შიგ, ხომ არაფერი აკლიაო... — კრუხი წამოებოტკა თითებში, მერე წიწილებიც ამოკრიფა. ფულითა და სალაროს წიგნაკებით გამოტენილი პარკიც ხელუხლებელი იყო; მარტო ოქროს ჰალსტუხს დასჯერდა, ნეტავი?... მაგრამ ჰალსტუხიც რომ აქვე გლია? — მოძვრა თუ თვითონვე მოიხსნა?... აი, აქ იწვეა, ამ ალაგას!.. ზიხლით მოაფათურა ხელი მიწაზე, მაგრამ წვეთი სისხლი არ ოსცხებია, — ნუთუ არც დაქრილა და რალაც სასწაულად გადაჩნა?..

რალაც აზრმა გაპკრა უეცრად: ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, გადახსნა და ის ერთადერთი შემორჩენილი ვაზნა გასინჯა...

თითი მოუსვა, დაბედა და გაშტერდა კაცი: ტყვია ამოცილილი ჰქონდა!

აი, თურმე, რა ყოფილა... ცხადია სხვა ვაზნებიც ასევე იქნებოდა, გარდა იმ ერთისა, რომლითაც ბიჭმა ბლის კუნწულა მოსხიბა!..

შარშანაც ხომ არ მოუწყო ნეტავი რამე ამდაგვარი, პირველად რომ გადმოძვრა ვალავანზე?... ჩანს, რომ მას მოჰპარა, ან მანქანაში უნახა რევოლვერი და ვაზნები შეუცვალა წინა დღეს!

საშინელმა ძრწოლამ აიტანა: გაბოროტებული მტერი ცოცხალია, ნადრევი გამოდგა ზემი... —

ჰო, მაგრამ რად დასჭირდა ამ სცენის გათამაშება?... აი, კიდევ ერთი თავსატეხი!

რა ჰქნას ახლა, წამოავლოს ყუთს ხელი და გაიქცეს?..

არა, — ჯიქურ სანებლიძე ბედისწერასავით ჰყავს ადგენებული — ვერსად დამალება ძალაც აღარ შესწევს, — ფიზიკურად და მორალურად განადგურებულია, — მუხლები გვეთება, მკლავები უდუნდება და გული მისდის!..

ჯანდაბას, — სულ მისი იყოს, ოღონდაც დაეხსნას (განა მართლა არ იცის

6. „ნათობა“, № 12.

საკუთარი თავის ფასი!)...

ქაღალდი და ავტოკალამი ამოიღო ჯიბიდან, ჩაცუქდა და ხელისცნობით წაჯღაზნა სიბნელეში:

„წაილე, ღმერთმა მოგახმაროს... დამნაშავე ვარ!..“

— გიტოვებ, სულ გიტოვებ, — გასძახა სიბნელეს, დარწმუნებულმა ბიჭი აქვე იქნება სადმე მოდარაჯებული და უსათუოდ გაიგონებსო. — ოღონდაც ჩემს ცოდვას ნუ დაიდებ... შაბათე!

ფულით სავსე პარკსა და ოქროს ჰალსტუხს კვლავ ყუთში ჩაუძახა, მერე კრუხიც ჩაუბუღრა შიგ, თავისი წიწილებიანა... ზემოდან გაკეცილი ბარათი დაადო და მანქანის გასაღებიც დააგდო: დაე, წაეყვანა — უფრო სწრაფად გაეცლებოდა აქაურობას!..

ლასლასით გავიდა ბლიდან, თავზე ხელებმოფარებული, წამისწამ გასროლისა და ტყვიის მომლოდინე...

ნინიას გასძახა სუსტი, მიკნავებული ხმით და ისიც, თითქოს მოდარაჯებული იყო, მაშინვე გაეძრაბა... ჰაწია სამეზობლო ჰიშკარმა გაიჭრიალა და ტანმორჩილი ფიგურა გამოჩნდა სიბნელეში:

— მოზრძანდით, მოზრძანდით, ვახშაში მზადაა უკვე... სტუმარი?..

— წავიდა, წავიდა... ველარ დავაყავე!..

ნინია განაცვიფრა ამ სახელოვანი კაცის მტირალა და მკენესარე ხმამ; ცუდად ხომ არ ბრძანდებო, ჰკითხა... „ჰო, ჰო, გლახად ვარ, ნინია, გლახად — რალაც შემომამფრინდა წელში და მკლავს... შენსას უნდა გავათიო ღამე!..“

გლები მიხვდა, საამაყო მეზობელს რალაც ფარსავი რომ სჭირდა!..

მეორე სართულზე მოასვენეს, ვეება სასტუმრო ოთახში, სადაც რკინის საწოლები, დივანი და ტანსაცმლის კარადა იდგა; კედლები გაჭით იყო შელესილი, ფანჯრებზე იისფერი ფარდები გვიდა...

კარები წარაზა, შუქი ჩააქრო და კი-

დევ ერთი ტანჯვის ღამე გაათია...

არ დაწოლილა — კუთხეში სკამზე იჭდა და ჭოტივით თვალბდაჭყეტლი შეჭყურებდა ფანჯარებს, სადაც დროდადრო უცხო ლანდები გადარბოდნენ... ყოველ ჩქამზე გული მისდიოდა და ერთხელ, ძალღებმა რომ წამოიყვანეს, კარადაში დააპირა შეძრომა...

მერე ფრინველების სტენა-ქრიამულმა აუწყა გათენება, როგორც იქნა. ახლა კი გაბედა ფანჯარასთან მისვლა, ფარდა გადასწია:

ტყიანი ფერდობები უკვე ოქროსფერად მოვერაყებინა და საცაა ეზოშიც ჩამოაქიატებდა მზე...

ნინია ქერმის ძირას ჩაცუცქულიყო, — ლაჯებში გამოკავებულ ცელს პირავდა ლიღინ-ლიღინით; თებრო, მისი მეუღლე, ლობესთან ძროხას წველიდა. ყვავილნარში, ბუთურა, ჭრელი ლეკვები თამაშობდნენ, ცვარწყარო ვარდის კოკრები თდნავ ირხეოდნენ დილის ნიაგზე...

ნეტავ რა შეიცვალა წუხელს აქეთ? — მანქანა რომ წაეყვანა, ხმას გაიგონებდა, მაგრამ ჩანს ამდენი ველარ გარისკა: ყუთს ლობზე გადაათრევედა და დაუყვებოდა ხევ-ხევ, სიბნელეში!...

ოთახიდან გასვლისას სარკეში საკუთარი თავი რომ დაინახა, შეკრთა:

რასა ჰგავს, როგორ დაზინანაკებულა, — განძთან ერთად თითქოს მისი სული და გულიც წაუღია ჭიქურ სანებლიძეს. თვალები ჩაცვენია და შიგ შიში ჩაპბუდებია, ხოლო ყვრიმალეები შესჭკნობია და შეჭყეითლებია, — საღდა მირიან დევიძის ზვიადი იერი და არწივისებური მზერა... მაგრამ არაუშავს... ცხოვრება წინაა: მილიონს ასევე იშოვის და ფერ-ხორციითაც კვლავ აღიფსება, როგორც იალაღზე ნაზამთრალი ხარაი!...

არ მოეშენენ, სანამ არ ასაუზმეს. წასვლისას თებრომ ტანსაცმელიც გაუწმინდა და მოუწესრიგა...

უცბოდ იშინებოდა მისი კოტეჯი.

მანქანა ასევე გარეშე იდგა.

მერე ჭიშკარა შეაღო და ბაღში წავიდა:

გული შეუკრთა ავის ბმლისგან... ფერდობზე მიმავალმა შორიდანვე მოჰკრა ყუთს თვალი... ნუთუ ველარ გაბედა ბიჭმა მობრუნება?... ან იქნებ ფული და ოქროულობა ტომარაში გადასცალა, უფრო მოხერხებულად რომ წაეღო?

ნეტამც ასე ყოფილიყო, — ეს ხომ გადარჩენას ნიშნავდა!

სწრაფად მიიჭრა ორმოსთან, ყუთს თავსახური ახადა და კინაღამ გული შეუღონდა: ხელუხლებლად ეწყო ყველაფერი...

ბარათი აიღო და ზედ მიწერილი სტრიქონები წაიკითხა:

„ძვირად კი შეგიფასებია თავი, მაგრამ გვიანლა უკვე: წუხელ შემთხვევით გადამირჩი, — არ მინდოდა უცხო ოჯახი ამეფორიაქებინა... იცოდე, ქვესკნელშია რომ ჩაძვრე ვერ დამემალეები!“

მუხლები დაუსუსტდა და მიწყაყრილზე ჩაინოქა...

წერილის ცილომ აგრძნობინა, რომ მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო... ბიჭი ზუსტი გასროლით დაუსვამდა წერტილს ამდენი ხნის დევნა-მუჭარას, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაეგო: რატომ არ წაიღო განძი?

ერთი გზალა დარჩენია — თვითონვე უნდა მიართვას, საკუთარი ხელით...

მანქანით გასვლა სახიფათოა და, კაცმა რომ თქვას უნარიც აღარ შესწევს — ადამიანია მართლა, ქვა კი არ არის... სჯობს ტაქსი მოაყვანიოს ნინიას!... ყუთი დაკეტა და გაქირავებოდა მიათრია კოტეჯამდე.

• • •

ოციოდე წუთის შემდეგ ნინიამ, რომელსაც წუხელს აქეთ მისი გერაფერი გაეგო, ტაქსი მოუყვანა და ყუთიც თავისი ხელით უკანა საგარძელზე დაუდო. უნდოდა გკითხა, რა არის, მაგრამ მოერიდა. მირიანიც იქვე მოთავსდა...

მალე წყნეთს გასცდნენ და მიხვეულ-მოხვეული გზით თავდაღმართში დაემშენენ. გამჭვირვალე, მზიანი დილა იყო, მაგრამ დაბლიდან მაინც მტრულად და პირქუშად იხედებოდა ქალაქი... თანდა-

თან იპყრობდა უიმედობა და სასოწარ-
კვეთა; გული თითქოს გაღებული ძაფით
გვიდა მკერდში, რომელიც საცაა გასწყ-
დებოდა: გუმანით გრძობდა, ჭიქურის
შემორიგება უკვე შეუძლებელი იყო...

დაფეთებული აცეცებდა თვალებს,
გზისპირას არ იდგეს საღმეო. მართალია,
ტაქსში იოლად ვერ შეამჩნევდა, მაგ-
რამ მაინც სახიფათოდ ეჩვენა ფანჯარა-
სთან ჯდომა და ძარაში ჩაიძალა — სა-
ვარძელზე გაწვა და თავი ყუთს მიადო,
ხოლო ეს უცნაური საქციელი რომ გაე-
მართლებინა კვენსას მოჰყვა, ბრმა ნაწ-
ლავმა შემომიტიაო...

— ხომ არ გავაჩერო, ბატონო, მანქა-
ნა?.. — ჰკითხა მძღოლმა, სახელაქლავა
მსუქანმა კაცმა.

— არა, არა — წადი..

მანქანა ბავების თავდაღმართში დაე-
შვა, მირიანმა უკლო კვენსა-კუთვას.

— ახლა უყეთა ვარ... — ჩაიღობარა-
კა და თავი წამოსწია, სავარძელზე გას-
წორდა.

მძღოლი სარკეში იტყუებოდა კისერ-
წაგრძელებული:

— ნახე, ბატონო, ეგერ, ბერიკაცს რა
მარჯვედ მოჰყავს მოტოციკლეტი... —
თქვა გაკვირვებულმა.

მირიანმა თავი მიიბრუნა და გაშეშ-
და: ჭიქურ სანებლიძე მოსდევდა უკან...
თეთრი მუზარადი ეხურა და ნიღაბი
ეკეთა; ასიოდე მეტრით იქნებოდა მან-
ქანას მოშორებული...

— ვაიმე!.. — იყვირა და სწრაფად
ჩაიძალა ძარაში. — ისევ შემომიტია...
ჩქარა, ჩქარა!..

— აი, უკვე ქალაქში შევდივართ, —
გაამხნევა მძღოლმა და სისწრაფეს მო-
უმატა. — პირდაპირ საავადმყოფოში,
ბატონო, არა?..

— არა, არა... — ამოიკვნესა მირიან-
მა. — საავადმყოფოში არა!..

— შინ ხომ?.. — ჰკითხა იმან.

— არა, შინაც არა!

— აჰ, სამსახურში?..

— არა, სამსახურში სულ არა!..

— აბა სად?

რუსთაველის პროსპექტში...
როდნენ...

ჭიქურ სანებლიძე კულში მოსდევდა
მანქანას...

— სად გნებავთ, ბატონო?.. მითხა-
რით სად მივიყვანოთ!

— ციხეში, ციხეში... როგორ... განა
ამ დრომდე არ მითქვამს!?

— რა ბრძანეთ?.. — განცვიფრებუ-
ლმა მანქანა წაამუხრუტა და უცნაურ
კლიენტს მოჰხედა.

— წადი ჯერ, წადი და კაემირგაბმუ-
ლობის სახლთან აუხვიე ლესია უკრა-
ინკას ქუჩაზე!..

— შინაგან საქმეთა სამინისტროში?..
— ჰკითხა მძღოლმა.

— დიახ, დიახ — სამინისტროში!..

ხომ მიიღებენ ნეტავი?.. მიიღებენ,
მიიღებენ — ამისთანა კაცს თვითონ
დასდევენ დასაჭერად, სანთლით ეძე-
ბენ!.. კი, კი, როგორ არა — ვინ ეტყ-
ვის უარს... თანაც ასეთი ძღვენიო!..
რაც მთავარია ამ დროებით ხომ გა-
დაირჩენს თავს და მერე ცოცხალ კაცს
ყველაფერი ეშველება!

მძღოლმა ზედ სამინისტროს შესას-
ვლელთან გააჩერა მანქანა; თრგანოს
თანამშრომელი ეგონა, „ოპერატიული
მუშაკი“, და ყუთის გადატანაშიაც კი
შეაშველა ხელი...

უკან რომ მიიხედა, მირიანმა დაინახა
როგორ შემოუხვია ჭიქურმა ქუჩაზე...
კვლავ გასცრა ტანში, მაგრამ იღბლად
მილიციელები გამოვიდნენ სადარბაზო-
დან და სავსეო იყო გაფხვდა მიხლო-
ვებამ... მართლაც, იქვე, კუთხეში შეაყე-
ნა თავისი საძაგელი მოტოციკლეტი,
ცალი ფეხი ძირს ჩამოვდა და შორიდან
დაუწყო თვალთვალა... მირიანმა ვრთ-
ხელ კიდევ გადაბედა ბიჭს გამარჯვებუ-
ლის თურით, მერე ყუთს წამოავლო ხე-
ლი და სადარბაზოში შეათრია.



მორიგე მილიციელს გვერდი აუარა
და კიბისაკენ გაემართა ყუთის სიმძი-
მისგან მხარჩამოვარდნილი...

— საით, მოქალაქე?..

— ციხეში... — მიუგო მან.

— ეს ციხე არ გახლავთ, — შინაგან საქმეთა სამინისტროა... — მკაცრად უთხრა მორიგემ. — თქვენი საშვი?... — რა საშვი?... — გამოყვეყნებულნი შეპყრებდა; მას თუ კიდევ რამე საშვი დასკირდებოდა აღარ ეგონა. მერე ყუთი წინ წამოსწია და ნიშნისმოგებით დასძინა — აი, ჩემი საშვი!..

— ვისთან მიბრძანდებით?

— მინისტრი მინდა, ან რომელიმე მოადგილე, ანდა რესპუბლიკის „ობიექტს“ უფროსი...

— საშვის გარეშე ვერ გაგატარებთ... — მილიციულმა მკლავზე მოჰკიდა ხელი და უკან დაახევინა. — საშვების ბიუროში მიბრძანდით, ქუჩიდან ხელმარჯვნივ!

— არსადაც არ გავალ აქედან... — მტკიცედ თქვა მირიანმა. — ძალზედ მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმე მაქვს!..

— ყუთში რა გიდევთ?..

— მილიონები!..

მორიგეს თავშეკავებულად გაეცინა.

— არ გეხუმრებით... — განაგრძო მირიანმა და პასპორტი გაუწოდა, — გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ მინისტრს!..

მილიციის ახალგაზრდა სერჟანტმა გაკვირვებით აჰხედ-დაჰხედა და გამომცდელად ჩააშტერდა თვალებში; მერე პასპორტი გადაშალა, ყურმილი აიღო და მხედრულად გამოკიმულმა ვილაცას უბატავა კაცის ნათქვამი...

მირიანმა სერჟანტის შემოხედვაზე იგრძნო როგორ შეიცვალა უცებ ამინდი, რა ფუსფუსი და ფაცი-ფუცი ატყდა ერთბაშად მთელ სამინისტროში...

— წამობრძანდით, ბატონო, გელოდებით... — თავაზიანად უთხრა შუა ხანს მიღწეულმა სიმპათიურმა პოლკოვნიკმა, რომელიც ფიქრებში გართულს შეუმჩნეველად თავს წამოსდგომოდა.

მირიანი დაფაცურდა, ყუთს წაეტანა...

— თქვენ ნუ სწუხდებხართ!..

ბიჭები წამოიღებენ!

ორმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა აქეთ-იქედან ჩააგლეხს ყუთს ხელი და კიბეს შეუყვანენ...

სიზმარივით განვლო მეორე დღემ... გვიან ღამემდე გრძელდებოდა ფულების, ოქროულობისა და ძვირფასი ქვების თვლა და წონა-ზომვა; ოქმებისა და ახსნა-განმარტებების წერა...

ყველაზე მეტად მაინც, ამ ორომტრი-ალში, იქ მყოფთა განცვიფრებული და სიბრალულთი აღსაყვებ მხერა დაამახსოვრდა...

ნაშუალამევის პირველი საათი იყო საბატიმროში რომ მიიყვანეს...

მირიანმა კმაყოფილებით შეათვალიერა გისოსებიანი საკანი და მოწყვეტით დაეცა ტახტზე...

ასე ტკბილად და უშფოთველად კარგა ხანია აღარ სძინებია!

ახსნა-განმარტებაში იგი სწერდა, რომ აღნიშნულ განძს წლების განმავლობაში აგროვებდა, მაგრამ ამჟამად შეიგნო დანაშაული, ნებაყოფლობით უბრუნებს სახელმწიფოს მის მიერ უკანონოდ წაგლეჯილ მილიონებს და მზად არის იკისროს ყოველგვარი სასჯელი... კითხვაზე, თუ კონკრეტულად სად, როდის, როგორ, რა გზებითა და ხერხებით, ვისი მონაწილეობითა და ხელშეწყობით ჩაიდინა ეს დანაშაული, მირიანი სდუმდა...

— მე შემოძლია მოგილოცოთ... — უთხრა მესამე დღეს ნაცნობმა პოლკოვნიკმა, რომელსაც უკან გადავარცხნილი სრიალა თმა, ფერმკრთალი სახე და ფიჭვიანი შავი თვალები ჰქონდა.

— რა უნდა მომილოცოთ, ბატონო?.. — ჰკითხა შემფოთებულმა. მან იცოდა, რომ ეს კაცი სოციალისტური საქუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსი იყო.

— პროკურორი არ იძლევა თქვენი დაპატიმრების სანქციას... — პოლკოვ-

ნიკმა თხელი ტუჩები ოდნავ გაწვლა და ისევ მოკვება, თითქოს გაღიმებას აპირებდა და გადაიფიქრაო. — ასე, რომ, ამ საღამოს ვაგათავისუფლებთ!

მირიანს უსიამოდ შეაყრეოლა... ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბიჭი ქუჩის კუთხეში ელოდა იარაღშემართული...

— კი მაგრამ... ისეთი რა დაეშავე, ბატონო?

— საქმეც ეგ არის, — მიუგო პოლიკონიკმა. — განძის არსებობა თავისთავად როდი გულისხმობს დანაშაულის აუცილებლობას... ხომ შეიძლება და სადმე გეპოვნათ?!

— მე თუ არა, აბა ვიღას დაუშავებია, ბატონო!.. — წამოიძახა სასოწარკვეთილმა; მაშინ იყო, მოხსნა გუდას პირი და ყველაფერი გადმოალაგა, ძველიცა და ახალიც — დაწყებული ღვინაშვილიდან, ხერხაძემდე მოყოლებული...

ანკი რად უნდა დაეფარა და დენდო ვინმე, როცა თავად ისე წაუვიდა საქმე, ციხეც სანატრელი გაუხდა...

ამის შემდეგ პატიმრობა, რაღა თქმა უნდა, განაღდებული ჰქონდა!

მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის მაინც, თავისი პოზიციები რომ განემტკიცებინა, „განცხადებაც“ გაიხსენა: მე ადრევე ვაღიარე დანაშაული, მივმართე კიდეც ამის თაობაზე პარტიის რაიკომს, მაგრამ პერე სისუსტემ მძლია და უარყვავი ჩემივე ნაწერიო...

„ღვევიძის საქმე“ სწრაფად გახმაურდა და მთელ ქვეყანას მოედო; სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი დაინტერესდა მირიან ღვევიძის საქციელის ნამდვილი მოტივით... საკითხი ცალკე გამოიყო და საგამომძიებლო სამმართველოს თანამშრომელ გია თოფურაძეს დაევალა მისი შესწავლა.

მაღე გამომძიებლის პორტფელში გაჩნდა რაიკომში ადრე გაგზავნილი განცხადება (ანუ აღსარება, როგორც თვითონ ეძახდა მირიანი) და მილიციის რაიონულ განყოფილებაში მიკვლეული

ორი მეტად საინტერესო ხელწერილი...

ხელმეორედ გაკეთებულმა ტექსტის გრაფიკულმა ექსპერტიზამ კვლავ დაადასტურა „აღსარების“ სიყალბე, თუმცა პატიმარი თავგამოდებით ამტკიცებდა, ჩემი დაწერილიაო... ხელწერილებიდან ირკვეოდა, ყოფილ დირექტორს უსიამოვნება და შეხლა-შემოხლა რომ ჰქონდა თავისივე მუშასთან, ვინმე ჭიქურ სანებლიძესთან, მაგრამ რის ნიადაგზე იყო აღმოცენებული ეს კონფლიქტი, არ ჩანდა...

რაკი ძიებისათვის უკვე ცნობილი გახდა ამ ამბავში ბიჭის მონაწილეობა, მირიანი იძულებული შეიქნა გია თოფურაძისათვის ზოგი რამ გაემხილა: კერძოდ, მან მისცა ჩვენება, რომ შეავტოკაბე მუშამ ექვით იცოდა განძის არსებობა, რის გამოც სისტემატურად უთვალთვალებდა, უწყობდა შანტაჟს და ცდილობდა დიდი ოდენობით თანხის „შეწერას“ ანუ გამოძალავს... ხოლო მან შეურაცხებელი, მტკიცე პოზიცია დაიკავა და არ დათმო არც ერთი კაბიცი, რადგან განზრახული ჰქონდა განძის მთლიანად სახელმწიფოსათვის ჩაბარება!..

გამომძიებელი დაინტერესდა ბიჭის ვინაობით, მაგრამ მისი ნახვა აღარ მოხერხდა: როგორც ირკვეოდა, სწორედ იმ დღიდან, რა დღესაც მირიანი მილიციას ჩაბარდა, ჭიქურ სანებლიძეც აღარ გამოჩენილა ქარხანაში... ვილაცამ თქვა, ციმბირში აპირებდა გამგზავრებას, რომელიღაც დიდ მშენებლობაზეო... ქარხანაში ოპერატიული ჩგუფი მუშაობდა, ყველაფერი არეულ-დარეული იყო: მთავარი ბუღალტერი ავყოფაშვილი, დირექტორობის მომლოდინე ბარნაბა კაცაველიძე და პირველი საამქროს უფროსი ვაშაიძე უკვე დაეპატიმრებინათ!..

გამომძიებელმა ლოტიანის მთავრეც მიაკითხა ბიჭს, ნაჭირავებ ბინაში, მაგრამ უთხრეს — თვეზე მეტია აქ აღარ ცხოვრობსო...

ერთი რამ კი მყისვე შენიშნა გია თოფურაძემ: ეტყობოდა, ბიჭი ყველან

უყვარდა, — როგორც კი მის სახელს ახსენებდა, მაშინვე თვალები გაუბრწყინდებოდათ ხოლმე. დიასახლისს, ავადმყოფური გარეგნობის გამხდარ, ქალბატონ ქალს, ხმა გაეზარა და ცრემლებიც კი მოერია: იქნებ ჩემგან ეწყინა რამეთუ... ღმერთთა მოწამე, მე იგე შეილივით მიყვარდაო... ქირას არ ეთხოვდი, მარა ყოველ ჟამიგირზე ძალად ტოვებდაო... მე ის ფული არ დამიხარჯავსო... ჭერსა და იატაკს გამოვუცვლი, კედლებს გამოვაშალოვებ და შევეუნახავ ოთახს, არ გავცემ — დაბრუნდეს ეგება, ამ შემოდგომაზეო...

ასევე იყო ქარხანაშიც: ჭიქურ სანებლიძის ხსენებაზე მუშებმა ყურები ცქიცქეს, გარს შემოეხევიან და აქეთ დაუწყვეს გამოკითხვა, თქვენ ხომ არ გსმენიათ რამე იმ ბიჭზეო... გამოძიებელმა სიტყვა ჩამოაგდო დირექტორისა და მუშის წარსულ მტრობაზე, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, — მხოლოდ ის გაიხსენეს, საერთო კრებაზე რომ წაქამათდნენ ერთხელ...

ბოლო დროს მირიანი ძალზე დაფიქრებული და დანაღვლიანებული ჩანდა: მართალია, სიცოცხლე შეინარჩუნა (დახვრეტით ვერ დახვრეტდნენ), მაგრამ მაინც ავი წინათგრძნობა და რაღაც გაურკვეველის მოლოდინი უღრღნიდა სულსა და გულს... ვინ იყო ბოლოსდაბოლოს ეს ბიჭი, რომელმაც ისე გაუხადა საქმე, საბატონრო სამოთხედ მოაჩვენა?.. ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვედრია, ბევრი მტერიც ჰყოლია, მაგრამ ყველასათვის დამსახურებისამებრ მიუზღავს და ნუთუ არ შეიძლებოდა ჭიქურ სანებლიძეც ასევე ჩამოეშორებინა გზიდან, ეს უკიდურესი ღონე რომ არ ეხმარა?.. ხომ არ აჩქარდა?..

აი, რა კითხვები აწვალებდნენ დროდრო, მაგრამ მყისვე ახსენდებოდა ბიჭი, და სიხარულს ვერ მალავდა ციხის სქელი კედლები რომ იცავდნენ... ავი ყველაფერი იღონა და მაინც დამარცხდა...

გულით ეწადა ამოეცნო ის საიდუმლო, მიზეზი იმ უპირატესობისა, რომლითაც ჭიქურ სანებლიძემ დაკაზმა, მაგრამ ვერა და ვერ მიმხვდარიყო...

ბოლოს, რა დაატყო, გამოძიება ძლიერ დაინტერესდება ჭიქურ სანებლიძის ვინაობით, გადაწყვიტა აღარაფერი დაეშალა (გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო წერილმანისა) და ამით მაინც ეტია შური... მან მისცა დეტალური ჩვენება, მოყოლებული გარაკის კედლის წარწერიდან და მანქანაში ჩავდებული მუქარის ბართიდან: ნიღბოსნის გამუდმებული თავდასხმები... დამ-დამოებით ტელეფონი... მერე გამოჩენა და პრეტენზიები მილიონზე... ავტოგრაფი და „აღსარება“... ავტომანქანის შეთავაზება და ასე ათასად ღირებული აგარაკის შებირება... მის მიერ საწყობთან ბიჭის მოკვლის განზრახვა... ბახა-ბახას შესახლება და დაღუპვა... დაბოლოს აგარაკზე ორმოს პირას გათამაშებული სცენა, — ბიჭის განზრახვა განძის გატაცებისა, რომელიც მას ხაზინაში შემოსატანად მოჰქონდა!..

ახალმა ჩვენებამ გამოძიებელს კიდევ უფრო გაუცხოველა ინტერესი ჭიქურ სანებლიძისადმი. მართალია, დაზარალებული ვერავის ასახელებდა ამ ამბების მოწმედ, მაგრამ ბიჭის მოძებნა და დაკითხვა მაინც აუცილებელი იყო მირიან დევძის „ქცევის მოტივის“ დასადგენად, ასე ძლიერ რომ აინტერესებდა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს...

• • •

მეორე დღეს გია თოფურძე მზიანეთს გაემგზავრა, ბიჭის მშობლიურ სოფელში, სადაც ექვს წლამდე იზრდებოდა თურმე, ვიდრე დაობლდებოდა და საბავშვო სახლში მიიბარებდნენ...

ავტობუსი გადასახვევთან გააჩერებინა და ფეხით გაუყვა შარას; ეტყობოდა, სოფელი ადრე ხალხმრავალი და მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, რასაც ფერდობებზე შემორჩენილი ნასახლარები მოწმობდნენ... ცხელოდა,

ზუსტად ბუნებრივად შეფარებული ნა-
ხირი ზანტად იცოხნებოდა და მოწყე-
ნილი მხერით მიაცლებდნენ მტკრიან
შარაზე მიმავალ მგზავს... ხელმარჯ-
ვნივ, ხეობაში, წყნარად მიედინებოდა
დუშალა, მუყაოზე გავლებულ ლურჯ
იკანკელს რომ ჰგავდა.

სოფლის შესასვლელთან გამომძიე-
ბელს გალიფესა და „აზიაცებში“ გა-
მოწყობილი ბერიკაცი შემოხვდა. ღვე-
დის მოვერცხლილი აბზინდა შარვლის
ჯიბესთან რომ უკონწიალებდა.

თავაზიანად მიესალმა და — ჩიქურ
სანებლიძე სად ცხოვრობსო, ჰკითხა.

— რა ხარ, ბიძიკო, მისი?... — გამო-
ცოცხლდა მოხუცი და უღვაშებზე ჩა-
მოისვა ხელი.

— მეგობარი... — მიუგო მან.

გია თოფურიძე ოცდაათს გადაცი-
ლებული კაცი იყო, მაგრამ სახეზე ჭერ
ისევ შემორჩენოდა ყმაწვილური იერის.

ბერიკაცმა სიყვარულით შეათვალი-
ერა სტუმარს.

— გამაგებინე სადაა ეგ ბოვეში ამჟამად,
ბიძიკო... გვიხაროდა კერას რო მოა-
კითხა... სივენახე გადააბრუნა, ეზო შე-
ლობა; ძველი ფიცრული დაშალა, სა-
ძირკველი გაჭრა და ქვებიცი ამოზიდა
დუშალადან: სახლის აშენებას აპირებ-
და, მაგრამ უცებ სადღაც გაჭრა... მია-
ტოვა ყველაფერი...

— მე აქ მეგონა უკვე... — ჩაილაპა-
რაკა გია თოფურიძემ. — ამას წინათ
მითხრა, სოფელში მივდივარო...

— აბა საცაა ჩამოვა ხომ? — წამო-
იძახა გახარებულმა.

ჩიქურ სანებლიძის ბიძის სახლი მი-
ასწავლა, — ხელმარჯვნივ მესამე მო-
სახლეო... მე წყალგალმა გავირბენ სი-
ძე-ქალიშვილთან და მალე დაებრუნ-
დები, მინდა წვრილად გამოგკითხო იმ
ბიჭის ამბავიო...

რაცდენ სანებლიძეს ვენახის შეწამ-
ვლა დაემთავრებინა და ჩამურის კი-
დეზე შემოდგმულ აპარატს რეცხავდა...
სამოცდაათიოდე წლის ჰარმაგი გლეხი
იყო, ბორდოს ხსნარით შეღებილი ძვე-
ლი ბლუნა-შარვალი ეცვა და თავი დო-

ლბანდით ჰქონდა წყარული... ჭიშკარს
მომღგარი უცხო კაცი რომ დაინახა
პორთფელით ხელში, შეერთა...

გია თოფურიძეს აღარ დაუმალავს ვი-
ნაობა, პირდაპირ უთხრა, გამომძიებე-
ლი ვარ, რაღაც სხვა საქმესთან დაკავ-
შირებით დამჭირდა თქვენი ძმისწუ-
ლის მოწმედ დაკითხვა, მაგრამ თბი-
ლისში ვერ ვნახე და მიტომ შეგაწუხე-
თო...

— მშვიდობა ხომაა, ბატონო?... —
აწრიალდა მასპინძელი. — ეს ორი თვეა
ბიჭისა აღარაფერი ისმის... ადრე წერი-
ლებს აგზავნიდა...

ოღამი შეუძღვა სტუმარს, მაგრამ
გია თოფურიძემ აივანზე ირჩია ყოფნა.

ვიღრე მასპინძელი ტანსაცმელს გა-
მოიცვლიდა, გამომძიებელი აივანზე
იჯდა და მოაჯირს გადაყრდნობილი სი-
გარეტს აბოლებდა... აი, ის მომიჯნავე
ეზო იყო, ალბათ, ბიჭის მამისეული
ფუძე...

ჩანდა გაჭრილი ბალავარის
გასწვრივ დაყრილი რიყის ჰალანგარი
ქვები, თავისი ზურგით რომ ამოეზიდა
დუშალადან ჩიქურ სანებლიძეს... იქვე
გადახურულში, ძველი სახლის შემკ-
ვარტლული ფიცრები ეწყო...

ხედავდა, რა რიხით იძლეოდა გან-
კარგულებებს დაბანილ-დავარცხნილი
და საგარეოდ მორთული რაყდენი, და
რა მარჯვედ ტრიალებდა წელში მო-
კაკული ღედაბერი სამხადში, რომლიმ
თავიდანაც ბლუჭა-ბლუჭად ამოდოდა
ლურჯი კვამლი... ქათმის კრიახი რომ
გაიგონა, გულში კიდევ ეამა, რადგან
დილას აქეთ, რაც თბილისიდან გამო-
ვიდა, ლუკმა არ ჩასვლოდა...

საღამო ხანს ზალაში ვახშმად დასხ-
დნენ. რაყდენს უნდოდა სტუმრის პა-
ტივსაცემად მეზობლები მოეპატიებინ-
ა, მაგრამ გია თოფურიძემ არ დაანე-
ბა... მომცრო ჰიქებით სვამდნენ ღვი-
ნოს და თან ბიჭზე საუბრობდნენ... ჭერ
დედა გარდაცვლოდა რაღაც „ჩამომრე-
ბი“ ავადმყოფობით და ექვს თვეში მა-
მაც მიჰყოლოდა.

— რამდენი წლისა იყო თქვენი ძმა?...
— ჰკითხა სტუმარმა.

— სამოცს იქნებოდა მიღწეული... —
მიუგო მასპინძელმა.

— რძალი?..

— ისიც ასევე, დაახლოებით.

— ბიჭი ექვსი წლისა დარჩა?

— დიახ...

— მერედა ასე გვიან ასაკში შეეძა-
ნათ შეილი?.. — ჰკითხა განცვიფრე-
ბულმა.

რადენი უხერხულად შეიშმუნა და
კიქას ადგილი მოუნაცვლა მაგიდაზე.

— ჩემს ძმას ერთი შეილის მეტი არ
მისცა ბუნებამ და ისიც ომში დაედუ-
პა... ეგ ბოვეში მოგვიანებით იშვი-
ლეს...

— მართლა?! — გაიკვირვა სტუ-
მარმა.

— რაღა დროს ამათი ჩვილბავშვია-
ნობა იყო, ბევრმა კიდევ გაუმტყუნა,
მაგრამ გიორგის, ჩემს ძმას, ჰქონდა
უსასველოდ გადაჩემებული, — არ მინ-
და ფუძე წაიშალოსო. ერთი წლისაც
არ იქნებოდა, თბილისიდან რომ ჩამო-
იყვანეს: ჩემი რძლის ნათესავე ცხოვ-
რობდა ქალაქში და იმან გაუკვლია
გზა... უნდა გენახათ როგორ გაიხარეს
— შეილი გაგვიცოცხლა. ჩვენი ჭიჭუ-
რი დაბრუნდა ომიდან (ბიჭსაც ეგ სა-
ხელი დაარქვეს)...

ადრე თუ სიკვდილს ნატრობდნენ ახ-
ლა იმას შესთხოვდნენ ღმერთს—იმდენი
მანც გვაცოცხლე ეს ბოვეში ამოგვაზ-
რდევინე და გზაზე დაგვაყენებინეო...
მაგრამ აღარ დასცალდათ...

არც მე ვარ მთლად მართალი, არ უნ-
და მომეგლიჯა გულიდან, მარა ეს ჩემი
დედაცაიცი, ახლა რომ დაფრინავს ჩიტი-
ვით, მაშინ ლოგინად იყო ჩავარდნილი,
გეოჭირდა; შეილებიც სასწავლებლად
გვეყვდა დაგზავნილი...

აქვე, ახლოს, უბისაში რომ ბავშვთა
სახლია იქ მივაბარე... ყოველ შაბათ-
კვირას ვაკითხავდი, ხანდახან ჩამომყავ-
და კიდევ — არ მინდოდა აქაურობა
დავეიწყებინა... მერე დუშეთში გადა-
იყვანეს და დაეკარგეთ ერთმანეთი.

ნაშვილები რომ იყო, ადრევე გაიგო:
მხნაც ასე, თქვენსავით მკითხა ერთ-

ხელ და დამალვა აღარ მოხერხდა... ვი-
ფიქრე, ალბათ, ამის გამო აიყარა გულა
აქაურობაზე-მეთქი...

მარშანწინ, შემოდგომაზე, სულ რომ
არ მოველოდით და სიზმარცხადში არ
ვიყავით, უცებ გამოგვეცხადა — გავრ-
დილი, დავაყვაცებული... აქ უნდა დავ-
სახლდეო, მითხრა; — მამაჩემის ანდე-
რძი არ დამეიწყებიაო...

სახლის მშენებლობა წამოიწყო და
ვაზის ჩაყრასაც აპირებდა იმ გზა-
ფხულს... დღე და ღამეს ასწორებდა —
მე ასეთი მარჯვე ბიჭის მნახველი არა
ვარ... გვიხაროდა და მხარში ვედექით...
ისე შეაყვარა სოფელს თავი, ახლაც მე-
კითხებიან, როდის ჩამოვო...

მერე უცებ აიცრუა გულა საქმეზე,
დაკრა ფეხი და ქალაქში გაიქცა...
ბოლო დროს ისე იყო აფორიაქებული,
ველარ ცენობდი... ადგებოდა ღამით,
გავიდოდა აივანზე და იჭდა საათობით
(ძველი ფიცრული რომ დავშალეთ, აქ
ათევედა ღამეს).

არც გამეკვირვებია, მართალი ვითხ-
რათ: მე სამი მყავს, მაგრამ სამივე ქა-
ლაქშია გაქცეული, — უფრო იმან გა-
მოცა, აქ დამეკვიდრებას რომ აპირებ-
და... კი დაიბარა მალე დაებრუნდებო,
წერილებშიც ამასვე მწერს, მაგრამ
აღარ მაქვს იმედი... სადღაც საკონსერ-
ვო ქარხანაში დაუწყია მუშაობა, ქი-
რით ცხოვრობს, თურმე; ვერ იქნა და
ვერ ჩავაკითხე ერთი, ვერ მოვიცალე,
ჭამაგირი დიდი არ უნდა ჰქონდეს...
ისედაც ბევრი ნაწვალბობია ცხოვრებაში
და მეცოლებდა, ჯერ მანც ახალგაზრ-
დაა — პატრონი და გზის გამკვლევი
უნდა, ჩემს მეტი ახლობელი არავინ
ჰყავს... მარტო საკუთარი თავის ანაბა-
რას ჰკვიანი ბიჭია, ადვილად არ გადა-
ცდება, მარა ცოტა თავისებურია...
თქვენ რა დაგიმალათ, და ხშირად მოს-
დიოდა, თურმე, ჩხუბი სამსახურში, მი-
ტომაც ვერ მოიკიდა ფეხი ერთ ადგი-
ლას... მეშინია ახლაც ხიფათს არ გა-
დაეყაროს... ხომ იცით ქალაქი ჭრელია
— ხალხიც აღარაა მანცდამანც, უწინ
რო იყო, ისე სანდო... მითხარი შენი

ჭირიშე, ჩემო ბიძია, ხომ არაფერი გაუფუჭებია?..

— არა, არა... — სწრაფად მიუგო სტუმარმა და ხელის ნერვიული მოძრაობით ჩაასრისა სიგარეტი საფერფლეში. — თუ შეიძლება წამაკითხეთ წერილები...

რადენ სანებლიძე წამოდგა, კამოდის უჯრა გამოაღო და კიდევწახებულა ორი კონვერტი მიუტანა.

გია თოფურაძემ სწრაფად ჩაიკითხა გაკრული ლამაზი ხელით ნაწერი ბარათები. ბიჭი ორივეგან იმეორებდა, როგორც კი საქმეს მოვრჩები, მაშინვე მზიანეთში დაებრუნდებიო...

— ხომ არ იცით, რა საქმეზეა აქ ლაპარაკი?.. — ჰკითხა.

— მე მგონია შეყვარებული უნდა იყოს, აბა სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს, მარა ჭალაქელი გოგო სოფელში არ წამოყვება და არც გამოადგება.

— თქვენი ვარაუდით, ბატონო რაქდენ... რას უკავშირებთ ბიჭში მომხდარ ცვლილებებს და ასე სასწრაფოდ მის გამგზავრებას?..

— ჯერ ვიფიქრე, ვინმე თავისიანი ხომ არ გამოუჩნდა-მეთქი (სწორედ იმ ხანებში, ვგონებ, რალაც წერილი მიიღო)... გარჩენა და გაზრდა ეზარებათ, თორემ მერე ამისთანა ბიჭი ვის არ უნდა!.. მაგრამ მაშინ უნდა გაჰხარებოდა, ეგ კი პირიქით, ისეთ დღეში ჩავარდა, დანა პირს არ უხსნიდა და თამბაქოს წევაც დაიწყო... ბოლოს ასე დავასკვენი: ალბათ, შეყვარებულს უთხოვებენ-მეთქი... თითო ჭიქა დავლიოთ, ბატონო, თორემ რაღა გამოვიდა, — მართო ლაპარაკს ვუნდებით!..

გია თოფურაძე იმ ღამეს იქ დარჩა... მალე „აზიაცებსა“ და გალიფეში გამოწვიული, უღვაშებგადარეხილი ბერიკაცი შემოესტუმრათ, „წყალგალმა“ რომ გახლდათ, სიძე-ქალიშვილთან... გვიანობამდე ისხდნენ და სვამდნენ...

გამომძიებელს ხანდახან ფიქრები წაიღებდა ხოლმე... მისი გონება მთლიანად დატყუროს ჯიქურ სანებლიძეს, რო-

მელიც არასოდეს ენახა, მაგრამ მაინც ნათლად ჰყავდა წარმოდგენილი: შავ სპეტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭი, უკან გადაყრილი ოდნავ ტეხილი, წაბლისფერი თმით... გამხდარ, მოგრძო პირისახეზე მოდებული ოქროგარეული ძალი წვერ-ულვაშითა და დაფიქრებული ცისფერი თვალებით, რომლებიც დროდადრო უჩვეულო რისხვით ენთებოდნენ... რაც უფრო მეტა ესმოდა ამ ბიჭზე, თითქოს მით უფრო ეხვეოდა იგი იდუმალების სამოსელში...

ორიოდე დღის შემდეგ გია თოფურაძე თავის კაბინეტში ჰკითხავდა პატიმარს...

მირიანი შეტევაზე გადავიდა:

— მე კეთილსინდისიერად ვალიარე დანაშაული, ნებაყოფლობით წარუდგეჭი მართლმსაჯულებას და მოთმინებით ველი განაჩენს... საინტერესოა, თქვენ რატომ აფარებთ ხელს ჯიქურ სანებლიძეს, რომელიც... რომელმაც...

— ხომ ვითხარით, ბატონო... — შეაწყვეტინა გამოძიებელმა. — ბიჭის პოვნა ჯერჯერობით არ მოხერხდა-მეთქი?!

— ცხადია არ მოხერხდებოდა, — ნიშნისმოგებით თქვა პატიმარმა. — იგი იმალებას... თქვენც ადექით და გამოაცხადეთ ძებნა!

— საამისოდ საჭიროა დაპატიმრებინ სანჭტია, რის საფუძველსაც თქვენი ჩვენება არ იძლევა; ვერც მოწმეებს ასახელებთ და თვითონვე აღიარებთ, რომ ჯიქურ სანებლიძემ უარი თქვა შეთავაზებულ ავტომანქანაზე, ხოლო მერე შეპირებულ ასი ათასზეც...

— რა თქმა უნდა, — მას ხომ მილიონი უნდოდა!

— მერედა რატომ არ წაიღო?.. აქი ორჯერ მიეცა შესაძლებლობა: ერთხელ — როცა ორიშოში თავს წამოგადგათ და განგაიარაღათ, ხოლო მეორედ — როცა თქვენ თვითონვე დაუტოვეთ ბაღში განძით საესე ყუთად!

მირიანი შეკრთა: ბოლო დროს თავადაც ექვი ეპარებოდა, რომ ბიჭი ფულის გულისთვის დევნიდა...

— კარგი... ვთქვითდა ჩემი მოკვლა უნდოდა... განა აქვს კი ვინმეს უფლება ადამიანის სიცოცხლე და ღირსება ხელკას?

— გეთანხმებით... — ჩაიღიმა გამომძიებელმა. — მაგრამ...

— რა მაგრამ... თქვენ გინდოდათ მაინცდამაინც მოვეკალი?... მცდელობაც ხომ იგივე დანაშაულია...

— რატომ მაშინვე არ მიმართეთ მილიციას?..

— მაშინ არ ვიცოდი ვინ იყო...

— ეს როდია მთავარი (თქვენ არც ახლა იცით ვინ არის იგი!); უბრალოდ გეშინოდათ!.. გეშინოდათ გამოძიებას რაიმე დანაშაული არ გამოეჩხრიკა — „საქმე არ ვამსკდარიყო“... ჩრდილი არ მისდგომოდა თქვენს უმწიკვლო სახელს... გერჩინათ თვითონვე გაგერკვიათ და მოგეგვარებინათ ყველაფერი, ხმაურისა და აყალმაყალის გარეშე!

— მე არავითარი დანაშაული არ მქონია, ვარდა იმისა... მაშ, ჭიჭურ საწებლიძეს არ დასჯით?..

— როგორ გითხრათ... როცა გამოჩნდება, დავეითხავთ, და თუ ყველაფერი დადასტურდა, რასაც თქვენ ბრძანებთ...

— სხვას რომ თავი დაეანებოთ. მართო იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის ეკუთვნის ციხე!..

— სხვათა შორის... — გაიღიმა გამომძიებელმა. — თქვენს სახლში მთელი არსენალი აღმოვაჩინეთ, რვეოლვერიიდან დაწყებული ხელყუმბარებამდე... საინტერესოა რად გინდოდათ, ომის დაწყებას ხომ არ ამირებდით?..

— თავს ვიცავდი... — ჩაილაპარაკა მირიანმა. — მე ომი აქეთ გამომიცხადეს!..

— მართალი გითხრათ, არა მჭერა... ჭიჭურ საწებლიძეს რომ თქვენი მოკვლა ნდომოდა ამ დრომდე მოიყვანდა განზრახვას სისრულეში!..

— არა გჭერათ?.. — გაიმეორა ღრმად

დაფიქრებულმა; ადრე თვითონაც ბევრჯერ მისულა ამ დასკვნამდე და ისევე უარყვია, მაგრამ გამოძიებლის ნათქვამი ახლა სხვანაირად ეღერდა... ხომ არ იმალებოდა ამ ამბავში რამე ავბედითი საიდუმლო?..

და უცებ, რატომღაც (სიტუაცია შეიქმნა ისეთი), წუხანდელი სიზმარი გაახსენდა:

სადღაც შორს მიემგზავრებოდა მთხოვარავით ჩამოხეულ-ჩამოძონძილი და მშიერ-მწყურვალე... ანაზღად თუთის ხეს გადაეყარა გზისპირას და ძლიერ გაეხარდა... რიგ-რიგობით იწვედა ტოტებს — მუქით იყრიდა პირში ქარვისფერ თუთას, მაგრამ ვერ ძღებოდა... მერე ტოტზე დახვეული ვახის ლერწი, ბაბილო და შავ-შავი მტევნებიც შენიშნა: თითქოს ჯერ არ უნდა ყოფილიყო მოწვეული, მაგრამ ხე სამზეოზე იდგა და ყურძენი მწიფდა... უცებ, ღობესთან თეთრკაბიანი ქალი შენიშნა და გაუვირდა: „შენ აქ რა გინდა, ბაბი?..“ ორი მტევანი მოგლიჯა, უფრო დიდი და დამკრახული თავისთვის დაიტოვა, მეორე — ქალს გაუწოდა, მაგრამ ერთი მარცვალი იმასაც შეაწყვიტა... ქალმა მტევანს მიწაზე დააგდო და ფეხით გაკყლიტა... „რას სჩადიხარ, რას!..“ — დაუყვირა მირიანმა და სახეზე ხელები აიფარა... ბარის მოსატანად გაიქცა, რომ აეფხიკა, ან მიწა წაეყარა, მაგრამ სახლს ველარ მიაგნო და გასაღებიც გზაში დაჰკარგოდა... პერანგი გაიხადა და გადააფარა, თუმცა ისე იყო დაძინებული, ვერ მალავდა დაწყულეტილ მტევანს... ქალი კი ამასობაში სადღაც გამქრალიყო — სისხლიანი ნაფეხურები აჩნდა მხოლოდ მიწას...

ბაბისთანა და ბაბიზე უკეთესები ბევრი ჰყოლია, მაგრამ ისინი არასოდეს მოჰგონებია, ეს კი ხანდახან ჭიჭურად შეახსენებდა ხოლმე თავს... აღბათ იმიტომ, ტრაგიკულად რომ დაიღუპა (თანაც ფეხმძიმედ იყო იმ დროს) და ისედაც — ჩანს, მართლა უყვარდა... გაუვირდა: ან რამ დამასიზმრა ეს აბდა-უბდა, ანდა ახლა რამ გამახსენაო...

— თქვენ ნახეთ და პირადად ესაუბრეთ მას?... — ჰკითხა.

— არა, — მიუგო გამოძიებელმა. — აქი ვითხარით, ჯიქურ სანებლიძის პოვნა არ მოხერხდა-მეთქი; წერილი გამოუგზავნია... ესე იგი, წერილობითი ახსნა-განმარტება მომცა...

გია თოფურაძემ სიგარეტს მოუკილა...

იგი როდი სტყუოდა: დილით, ფოსტა რომ გადაათვალიერა, მართლაც იპოვა ბიჭის წერილი, უფრო სწორად მოზრდილი ბანდეროლი, რომელიც ოცდაათამდე თაბახს შეიცავდა, მაგრამ მისი მისამართით კი არა, პატიმრის ადრესით იყო გამოგზავნილი...

— შეიძლება მოგწიო?... — მირიანი კოლოფს წაეტანა.

— ინებეთ..

— რათ, რას იწერება?... — ასანთს გაკრა და როცა სიგარეტს უკიდებდა, გამოძიებელმა შენიშნა როგორ უკან-კალბდა ხელები.

— ფიქრობ, რომ სიმაართლეს!.. — მიუგო მან და დაყინებით ჩააშტერდა აფალებში.

— ვინ არის თუი, საიდან მოვიდა, რა უნდოდა?... — უცნაური ხმით ჰკითხა მირიანმა. — ვიამბეთ რამე იმ ბიჭზე — გამაგებინეთ რა ხდებოდა სინამდვილეში!.. — უზომო ცნობისწადილთან ერთად უზომო შიშით ჩასდგომოდა თვალებში. სიგარეტს საფერფლის კიდებზე ჩამოდო და პასუხის მოლოდინში გაქვადა...

— იგი შეილა თქვენი... — უთხრა გამოძიებელმა.

— რაო?! — იყვარა და ლენჩივით მიაშტერდა.

— დიახ... დეილი შეილი... — მიუგო მან.

მირიანს ყბა ჩამოუყარდა და სახე დაუჯრძელდა... პირი მოკუმა, თვალები მოხუჭა და ჩარბების კენეტას მოჰყვა... მერე უცებ თავი ასწია და გაიცინა:

— ხუმრობთ, ალბათ... ანდა რაღაც გეშლებათ... მე ხომ მხოლოდ ერთი ქალიშვილი მყავს!..

— არა, არ ვხუმრობ... — მირიანი გამოძიებელმა — და არც თქვენ შეგფერით ახლა სიცილი!

მირიანი ისევე იცინოდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა ბუნებრივ სიცილს: სახის ცალი მხარე უღიმოდა, ცალი კი ჩამოსტროდა... წვერი გაზრდოდა და მთლად გასთეთრებოდა, თმა ასწეწოდა და გაზინზლოდა; ქუჩყიანი თეთრი პერანგი და მოქმუჭნილ-მოთელილი „საიუბილეო“ კოსტუმი ეცვა. მოხუცსა ჰგავდა, ავადმყოფსა და ჩაჩანას, სხვათა ზრუნვასა და მოვლა-პატრონობას რომ საჭიროებს...

— არა, არა, არა მჯერა... — სახის მომღიმარე მხარეც მოელერებლა და მოექუფრა; ხმა გაებზარა, გაუტყდა და მერე თითქოს სხვამ თქვაო, დასძინა: — განა ეს შესაძლებელია? არა, ასეთი რამ ცხოვრებაში არ ხდება...

— ხდება, ხდება... აბა კარგად დაუფიქრდით!.. — გია თოფურაძე დაძახული მისჩერებოდა; სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა თფლი.

— რას უნდა დაეუფიქრდე?... — მიუგო ისეთი ხმით, თითქოს სულ სხვა სამყაროში გადასახლდო. — თქვენ გონდით, ალბათ, გამოიტეხთ, თორემ ის ხომ დიდილება და მასთან ერთად დაილუპებოდა ბევრსიც.

— ბავშვი გადარჩა!.. — ჩააწვეთა გამოძიებელმა.

— არა, არა... შეუძლებელია... თქვენ გსურთ რამე სისულელე წამომაცდენინოთ... — თქვა მირიანმა ყრუ და არაამტყვესიური ხმით. — ის ხომ შეიდი თვისა იყო მხოლოდ... თანაც მანქანამ გადაუარა... მე მკვდარი მეგონა როცა საავადმყოფოში წაასვენეს... ვის უნდა სცოდნოდა ეს ამბავი?... არავის... აბორტი გავიკეთეო, მატყუებდა — თურმე მუცელს იკრავდა!..

კაცი დადუმდა და გამოძიებელსაც აღარაფერი უთქვამს.

— სწორედ იმ დილით მოვიდა ჩემთან... — წამოიწყო იმავე გასაცოდავებულმა ხმამ. — მუცელი ეტყობოდა უკვე, დამალუა შეუძლებელი იყო...

ეგონა, ბავშვის ხათრით მაინც შევირთავდი... მე კი ვუთხარი, ჩემი არ იქნება-მეთქი... პატიოსანი, ობოლი გოგო იყო, რაიონიდან ჩამოსული... ჩემს მეზობლად ქირით ცხოვრობდა... ძალიან უყვარდი, ძალიან...

— თქვენ კი მეორე დღეს ქორწილა გქონდათ... ყველაფერი ვადაწყვეტილი იყო!..

— დიახ, დიახ... თუ არ შემირთავ, თავს მოვიკლავო, მითხრა...

— გუნებაში კიდევ გაგიხარდათ და ჩუმად აედევნეთ უკან... გაინტერესებდათ რა მოხდებოდა...

— არა, თავი არ მოუკლავს... მანქანამ გაიტანა გმირთა მოედანზე...

— თქვენ სიახლოვეს არ გაჰკარებინხართ... შორიდან უთვალთვალვდით... სხვებმა უპატრონეს და წაიყვანეს საავადმყოფოში... ამბის გასაგებად მიაციტხეთ მერე, მოგვიანებით...

— რა გინდათ ჩემგან?..

— არაფერი... — მიუგო გამომძიებელმა.

— ჩემი ბიჭი ყოფილა?..

— დიახ... თქვენი ვაჟი... შეგიძლიათ ჩვენება მომცეთ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— რა ჩვენება?.. — ცხვირსახოცი მოიშორა და გამოთავყვანებული სახით შეხედა, თვალები დაჰბერვოდა, და ცრემლებით ჰქონდა საესე.

— ნუ გეშინიათ... ამით სასჯელი არც მოგემატებათ და არც მოგაკლდებათ!..

— რა სასჯელი?.. — ჰკითხა ვაშტერებულმა.

— სასჯელი კიდევ ერთი დანაშაულისათვის...

— მე არაფრის აღარ მეშინია... — თქვა კაცმა. — მიმიფურთხებია ასეთი საცოცხლისათვის!..

— კარგა... დღეს ამით დავამთავროთ.

— ცოტა ქალაღი მომეცით, თუ შეიძლება.

— რად გინდათ?..

— დავწერ ყველაფერს, ასე მირჩევნია... იქ, ჩემთვის, საკანში, მყუდროდ...

— ეგრე სჯობია... — გამომძიებელმა

ქალაღები გაუწოდა. უკან უკან გაქვით?..

— ფანქარიც, თუ შეიძლება!..

გია თოფურიძემ ფანქარი მისცა; მერე სახეზე ოფლი შეიმშრალა, კიკიაში წყალი დაისხა, ოდნავ მოსვა. წყალი თბილი და უგემური იყო.

„იქნებ არც არის მისი შეილი?.. — გაუელვა გონებაში. — იქნებ ახლაც ეშლება რამე მირიანს?..“ დანადგოლებით არაფრის თქმა არ შეეძლო, მაგრამ ჩანს გაუმართლდა ვარაუდი... მაშინვე გაუჩნდა გჭვი, როგორც კი გაიგო, ბიჭი ნაშვილები ჰყოლიათ... ჩიქურ სახეობის წერილშიც, რომელმაც მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, მსგავსი არაფერი იყო ნათქვამი — სტრიქონებს შორის თუ იგრძნობდა რაღაცის კაცი!.. ყურმილი აიღო და ბადრავს გამოუძახა...

ახლგაზრდა სერჯანტი შემოვიდა ოთახში; მირიანი წამოდგა.

— მოითმინეთ... — გამომძიებელმა პორთველი გახსნა და გაკრული ხელით ნაწერი ქალაღების დასტა ამოიღო. — ჩიქურ სახეობიძე მთხვოს თქვენ ვადმოგვცეთ...

გამყოლმა შენიშნა, პატიმარი ფეხზე ძლივს იდგა და მკლავში შეაშველა ხელი.

• • •

იმ დამეს მირიანმა თავი მოიკლა... დილაადრიან ზედამხედველმა საკანის კარი რომ შეაღო, თვალწინ შემზარავი სურათი გადაეშალა: პატიმარი ყელგამოლადრული ეგდო ტახტზე, ხოლო იქვე, ტუმბურაზე, გადაქრელებული თაბახის ქალაღები ეყარა... შავი, ლეკვრტა სისხლით შეწებულ მის დაკრანხულ თითებში მინის პაწია ნამსხვრევი ბზინავდა (ეტყობა, თავიდან ფანქრის სათლელად ხმარობდა)... ზედამხედველს სახე დაეღმიკა, ტანში შეაძაგძაგა და დაზრინა იმის წარმოდგენამ, თუ რა არაადამიანური ტანჯვა უნდა გადაეტანა კაცს, ფრჩხილისოდენა შუშის ნატეხით კისრის ძარღვები რომ გადაეკრა...

დაიხარა და ქუთუთოები ჩამოუწია, მაგრამ მათ კვლავ მიიღეს პირვანდელი მდგომარეობა, თითქოს მიცვალებული თვალებს ახელსო...

* * *

რა შეიძლება ითქვას დამატებით?..
ჯიბო აბზიანიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს, რაკი მირიანი აღიარებს — ყველაფერი ჩემი მოწყობილი იყო (კიკიკო თავგარელიძე, ჩანს, მართლაც სინდისის ქენჯნამ იმსხვერპლა!)

გუგა სამხარაძე ზღვიდან დაბრუნდა და დაქორწინდა, — ცისია თუ გახსოვთ! ჯიქურ სანებლიძე — მერე გაირკვა — ავად გამხდარყო და მთელი ორი თვე საავადმუყოფოში იწვა თურმე... ახლა მშინანეთშია და სახლს აშენებს! და კიდევ ერთი: ნანოს მეორე ვაჟი შეეძინა... მართალია მამამ სირცხვილი აჭამა და მთელი ქვეყნის სალაპარაკოდ გაიხადა თავი, მაგრამ ჩანს, მამა მაინც მამაა, და ახალშობილს მირიანი დაარქვეს!..



06306 ნიშარბაძე

პ ი ლ ი ვ რ ი მ ი

გამხნევებული შენი სიტბოთი და სულმოთქმული
შენი სიგრილით,
მე დაქწანწალეზ გაჩენის დლიდან შენს
ველ-მინდვრებზე
ვით პილიგრიმი.

ნუ დაიზარებ, მირჩიე რამე, მითხარ ჩემი მზე
საით ამოდის
ჯერ მალალ ცაზე ჰკიღია მთვარე, ვით ძველთაძველი
ეშვი მამონტის.

მეც მთვარის შუქით ვარ დაყურსული და აყვავებულ
ღამეებს ვითვლი
და კაცთა მოდგმის სატარებელი ჩემს მხრებზე ნელა
მძიმდება ტვირთი.

ისიე მითხარი, თუ უზრუნველი და ბედნიერი
ცხოვრების ნაცვლად,
რად ღამებედა ამდენი ფიქრი, ამდენი სევდა,
ამდენი განცდა.

ან ჩემი სული ჟამიჯამ ისევ სიყვარულისთვის
თუ არ ინთება,
მაშინ რაშია აზრი სიციოცხლის და ქვეყნად
ყოფნის
ქეშმარიტება.

გამხნევებული შენი სიტბოთი და სულმოთქმული
შენი სიგრაილით,
მე ვიწანწალეზ სიკედილის დღემდე შენს
ველ-მინდვრებზე
ვით პილიგრიმი.

ბოღნი

შენს მწვანე ტანზე
საუკუნოდ
ამოკვეთილი
სამოცდაბუთი
მშობლიური
სიტყვით ვიწყებით,
ნუ გაგვიწყრები
წარსულისთვის,
იყავ კეთილი,
მოურჩენელი
ტკივილისთვის
ნუ გაგვიწყრები.
დაგხავსებია
რა ხანია
მაღალი მხრები,
ხარ ბებერი და
რაც დრო ვადის
უფრო ბერდები,
დღეს ჩვენ მოვედით,
რომ ნანატრი
ქართული ხმებით
აგაზმუროთ
ძველთაძველი
შენი კედლები.
ხვალ ისევ მოვალთ
და დავარღვევთ
მაგ გარინდებს
და ცხელ ძარღვებში
სისხლის ფეთქვა
რომ არ ჩაჩუმდეს,
დავრეკავთ ზარებს
სიყვარულის
მზე აინთება
და შენს მშვენებას
ფრთამოტეხილს
შევიწარჩუნებთ.
შევიწარჩუნებთ
სიმაღლეს და
ღირსებას შენსას
და ყველა ერთად
თუ ვიქნებით,
უთუოდ შევძლებთ,
რომ მომავალში

ვერასოდეს
ვერავინ შერყვნას
შენი სხეული,
ამოსული
წინაპართ ძვლებზე.
დიდება ქართულ
ორნამენტებს,
მზის შუქთა მთოვარს,
ხალხს, გენიალურ
ხუროთმოძღვარს,
შენს უკვდავ შემქმნელს,
ბედნიერია
მომავალში
ვინც შენთან მოვა,
ვინც გულს დატოვებს
სამუდამოდ
ჩანგრეულ ჭერქვეშ.
სხვა არაფერი,
არაფერი
დარჩება ჩვენგან,
და ვართ ამიტომ
ერთი ფიქრით
დღემუდამ სავსე
გავეძლებთ ყველა
მოულოდნელ
წარღვნას და დელემას
თუ კი სამშობლოს
ერთგულებას
ამოვჭრით ფარზე.
შენს მწვანე ტანზე
საუკუნოდ
ამოკვეთილი
სამოცდაბუთი
მშობლიური
სიტყვით ვიწყებით,
ნუ გაგვიწყრები
წარსულისთვის,
იყავ კეთილი,
მოურჩენელი
ტკივილისთვის
ნუ გაგვიწყრები.

შემოდგომის სიმღერა

გაფითრებული
 და სევდიანი
 დღე ვფინება
 მინდვრებს მოთელილს,
 გესმის ძვირფასო
 ჩემი შრიალი —
 ეს სიმღერაა
 ხმელი ფოთლების.

ახლა ჩვენს ტყეებს
 არგვლივ სხვა უფლის,
 წყლის პირას ბუჩქებს
 უჩანთ წივები,
 ყური დაუგდე,
 გესმის ხმაური —
 ეს სიმღერაა
 შორი წვიმების.

ცა, შემოდგომის
 მზით ნაფერები,
 თვლემს დაყრდნობილი
 მთების ყავარჯნებს,
 დაიმახსოვრე,
 ეს სიმღერები
 მოგენატრება

კიდევ მრავალჯერ.
 დაიმახსოვრე —
 ბოლო სურვილსაც
 საიმედო ფაში
 სულ მთლად მინისლავს —
 სიმღერა ჩვენი
 სიყვარულისა,
 სიმღერა ჩვენი
 სიყმაწვილისა.

ნადიმი გუდასუი

შალვა ჭინჭარაულს


ბარისახოდან გუდანისკენ ფეხით მიმავალთ
 უეცრად წვიმა წამოგვეწია,
 ჩამოდიოდა ცა ფეხად თითქოს
 და წვეარამ ღამის ოკეანეში
 შორს კუნძულივით ბეუტავდა შექი.
 მივაბოტებდით გუბე-გუბე გალუმპულები
 და პოეზიის ცეცხლით ვთბებოდით.
 მერე თამბაქოს ბოლში შევედით,
 როგორც ღრუბელში.
 ენკენიობის წმინდა ტაბლას
 უსხდნენ ხევისურნი
 და იყო ღზინი, იფრქვეოდა სუფრასთან
 სიბრძნე, პირდაღებულს რომ უნდა შესმინა.
 მე კი ვველაფერს ისედაც ვგრძნობდი,
 ვხერხედი ღვთაებრივ ლუღსა და არაყს
 და მიხაროდა, რომ ესტუმრობდი
 იმ მოდგმის ხალხთან,
 უმაღ სიკვდილს ვინ ამჯობინებს
 მეგობრის ღალატს.

• • •

მშვიდობით იყავ
აწ და მარადის,
უსპეტაცესი
ცა ვიფარავდეს,
შენი ნათელის,
შენი ნათელის
ერთგული ვრჩები
კუბოს კარამდე.

ისევ ვიბრჩობი
მძადრი წყურვილით,
ისევ ვბრუვდები
მაგ თმის სურნელით,
მე რა ვიციოდი,
ძველი ჭრილობა
ყოფილა თურმე
განუტურნელი.

შენი, შენი
ახლი შენება,
როცა თან დაგდვენ
ძველი მშვენიება,
თუმცა იცი, რომ
მან, რაც წავიდა
აღარაფერი
არ გშველება.



ზურაბ კახიანიძე

უკან ნუ იხედები

დამავიწყდა იმ ღამეებზე
უცხო ყუავილს რა ჰქვია,
სული რომ ვხუთება
ჩამქრალ ნეშომპალათი...
ცხოვრებაში ყველაზე
დიდი სივერაგვა
საკუთარი რწმენის და
სალოცავის დაღატი.

უკვე თვალს მიეფარა
საოცნებო ქედები...
უკან ნუ იხედები,
უკან ნუ იხედები!

იმ წყლის პირაჲს ქარისგან
ჩაჩებელი ლელია,
შესევია ჭილყვავი
დახავსებულ ნაბიდარს...
ცხოვრებაში ყველაზე
დიდი განსაცდელია
საკუთარი თავის და
ნაფიქრალის გაყიდვა.

ვთუ, რა დროს ჩავნია,
ნეტავ ზომ არ ვბერდები...
უკან ნუ იხედება,
უკან ნუ იხედება!

ღამით სივრცე გავრეხავს
შენი წილი მაკაფა,
ცრემლი ცვივა ხის ტოტებს,

ჩახერგილს და ჩაეპილს...
ხელისგულზე რომ გესვა,
გაფრენილა კაკაბი —
ვაი, ალბათ, მოსწყინდა
ოქროს ქვიშის საყვნიკი.

ხეს ატყვია ნუტრები,
ჩოგორც მტყმეს კერტები...
უკან ნუ იხედები,
უკან ნუ იხედები!

გალურჯებულ, გაყინულ,
მოცანცაზე ხელებით,
როგორ გინდა დავარცხნ-
აწეწილი ფიქრები;
ისმის კენესა გაქარულ
გამხმარ ჩალის ღერების
და ფეხებში უტიფრად
გედებიან ქინკები.

უკვე თვალს მიეფარა
უნახესი ხედები...
უკან ნუ იხედები,
უკან ნუ იხედები!

ვაი, რარიგ მწარეა,
ვაი, რარიგ ძნელია,
როცა ლურჯ სიზმარივით,
დღისით, მზისით ცა ქრება...
და ამქვეყნად ყველაზე
ინელი მოსათმენია
ოცნებათა ძაღლის ძვლის
კამათელში წაგება.

თავო, შენი ბრაღია,
სხვას რას ერჩი ყვედრებით...

უკან ნუ იხედები,
უკან ნუ იხედები!

გადიდებული სურათები

გაფართოებულ ჩამქრალ თვალებით,
ზოგი ოსტატი,
ზოგი მხედარი...
თავს დაგვყურებენ,
გარდაცვალების
მრუმე ნისლიდან ან რას ხედავენ.

თან გვსურს ჩამოხსნა,
თან გვეხათრება, —
ყველას ვეღარაჯობს ის დღე წყვეული...
პკიდია, როგორც ძველი ხატები
მლოცველებისგან ზურგშექცეული:

როცა საფიქრალს გადაეყრები
და დაივიწყებ ხატებს სრულებით...
ფანჯრებს აწყდება ღამის პებლები —
მოხეტიალე მათი სულები.

თავს დაგვყურებენ...
ვინ ერთგულია
მათი ხსოვნისა;
ვინ წამწყმედელი,
რას მიხვდებიან,
დაშვებულია
თვალგაულწყვი ფარდის კედელი.

სხვა რა...
მოგწმინდოთ, რა საძნელოა,
რომ დასვევია მტვერი მლილივით...
როცა ვსვამთ ხსოვნის
სადღეგრძელოებს,
შეგვაერთობს მათი მწარე ღიმილი.

ვაი, ცხოვრებინ ლაბო ბედკრულო,
ზოგჯერ საკუთარ ტკივილს ასხვისებ;
თითქოსდა, რომ არ გვისაყვედურონ,
ვამწრალეობთ იმით ხსოვნის სასმისებს.

თავს დაგვყურებენ...
შუბლშეკრულია
ზოგი, ზოგი კი თითქოს ხალისობს...
ან რას ხედავენ,
დაშვებულია
ჩვენს შორის ფარდა სამარადისო.

დაშვებულია გარდაცვალების
ფარდა, ყველაფრის გადამკეტავი...
ჰო, მაგრამ ფრთხილად,
დედის თვალები,
იქნებ, ყველაფერს კარგად ხედავენ.

• • •

რად მოქლურულხარ,
წარბი გახსენი,
იქნებ ტკივილმა გადაიაროს...
ყოშირალ ღრუბლების მწარე თასმები
ცასაც არ შევინს, ადამიანო!

რამდენიც უნდა ხვეწვით იგმინო,
ცა ისევ ლურჯად შეისარკება...
თუ გაგიფრინდა შენი მიმინო,
რა დაგრჩენია — ხელის დაქნევა.

ღიმილის თქროს სად გადამალე,
ვის დაუტოვე განძი ვირაოდ.
წარბები — ორი შავი მამალი —
წამომართულან საძიძვილაოდ.

თუკი გაგთვალა ლხენის მოცილე
აღმა და მისწვდა გულის რიკულებს —
ან ხატბეპელას შეალოცვინე,
ანდა გელათის წყარო იპყრე.

თუ დაგინისლეს ბედის ვარსკვლავი,
თუ გადაყვეს მკერდის ჯებირი, —
თითები, ჩაბმახს გამოსაკრავი,
რად დაგიშვია ლოლუებზეთ.

გახსენი შუბლი,
ჟამის თარები
ვის ჭირს აგემებს, ვის დალხინებას...
დარდიან კაცის გამოდარება
შგავს წვიმის შემდეგ ცის გალიმებას.

სხენი თოვლში

ღამით,
თოვლში,
კანკალა
ძლივს რომ ჩანდნენ ხენიც,
უცაბედად მანქანამ
გაიტანა ცხენი.

მოისროლა უნდობლად
დაღეწილი გავით,
წამოდგომა უნდოდა,
წამოსწია თავი.

მაგრამ თოვლით დაფარულ
ვერ იღებდა ქვიქვირს,
წაბლისფერი ფაფარი
გაქაღარდა ფიფქით.

ცახცახებდა დროდადრო,
ატანილი ძრწოლით,
როგორც თეთრი თოქალთო
დასდებოდა თოვლი.

ვით „ი“ „ღედაენიდან“
გადმომხტარი მალვით,
თოვლში ეგდო დღეიდან
უსარგებლო ნალი.

ავად განაზმორები
თოვლს თელავდა ხენეშით,

დამტვრეული ტორებით
ეგდო როგორც ლეში.


შეუძახენს:
„ბებერო,
წამოდექი, აჩუ!“
მერე:
დაგვიდებენო
ათასნაირ სარჩულს.

თოვლით წაიშლებათ
ნაკვალევი ცხელი,
თორემ დაგვიჭდებათ
ოთუზბირად ცხენი.

მიატოვებს დაბზარულ —
დამსხვრეული ძვლებით;
ტყეში სადღაც საზარლად
გაპყმუოდნენ მგლები...

და ყბის მწარე თამაშით,
და კბილების ღრჭენით,
თრთოდა თეთრ სუდარაში
გახვეული ცხენი...

იტყვიტ:
ხდება მსგავსი რამ,
მაგრამ ვამზობ შკაცრად:
დღეს ვინც ცხენი გაწირა,
ხვალ გაწირავს კაცსაც.



მოთხრობები

მაროს სამაჯური

ინსტიტუტის ეზოდან გამოსულმა გიგიმ დაინახა უცხოური მარკის მანქანა, რომლის ახლოს, ფილაქანზე ოქროს სამაჯური ეგდო. შორიდან დამკვნიარ ყვითელ ფოთოლს ჰგავდა, მაგრამ გიგი იმწამსვე მიხვდა, რომ ეს ფოთოლი არ იყო, მივიდა, აიღო და ჯიბეში ჩაიღო. მანქანაში არავინ იჯდა. ცოტა ხანს ამხანაგებთან ერთად იდგა, შემდეგ წავიდა — წამოვიდნენ. თითქმის დაავიწყდა სამაჯურის ამბავი. სახლში მისვლისთანავე გამოაცხადა:

— სამაჯური ეპოვე!

შინაურები შემოეხვივნენ. სამაჯური ხელიდან ხელში გადადიოდა.

— თხზმოდეთქვსმეტი სინჯის ოქროა, — დაასკვნა დედამ, ბებიამ კი თქვა, რომ ოქრო კი არ აღამაზებს ადამიანს, არამედ მხოლოდ წაახდენს მასო, უმისოდ უფრო ღამაზია ადამიანიო.

— მაშინ ფულიც ხომ წაახდენს ადამიანს? — იკითხა გიგის დედამ.

— რასაკვირველია.

— მაგრამ ადამიანი მთელი ცხოვრება ხომ ფულის გულისთვის მუშაობს?

— არა, იგი მუშაობს, რომ შეჰქმნას რაღაც, რომ ცხოვრება უკეთესი გახადოს.

— ეს იდეალიზმია, — სთქვა დედამ.

— ახლა იდეალისტს ეძახიან ყოველ პატიოსან ადამიანს, საერთოდ კი იდეა-

ლიზმი ამას არ ნიშნავს.

— აბ: რას ნიშნავს?

— უცოდინარობას და არაპრაქტიკულობას.

გიგის დამ ჰკითხა:

— მე რომ შენზე უფროსი ვიყო, ხომ მაჩუქებდი ამ სამაჯურს?

— ახლაც შენ გაჩუქებ, — მიუჯო გიგიმ.

სამაჯური ყოველნაირად შეათვალთვინებდა, დედამ ხელითაც კი აწონა.

— არ ვიცი ნამდვილად რა ეღირება, მაგრამ არა მგონია სამას მანეთზე ნაკლებად შეფასდეს. ყოჩაღ! — თქვა დედამ.

ამ დროს შოთაც მოვიდა, გიგის მამა. მას სიხარულით აუწყეს ნაპოვნი ნივთის ამბავი. ამ ამბავს იგი არ გაუხარებია. უხშირდ მობიძინა, თუ როგორ იპოვნა გიგიმ მანქანის წინ სამაჯური, შემდეგ ჰკითხა:

— სხვა არაფერი იყო იქ?

— რა უნდა ყოფილიყო?

— არ ვიცი. ბრილიანტი, მარგალიტი, საფირონი...

— არა, არ იყო.

— არც სხვა ოქროს სამკაული?

— იყო მხოლოდ შემოდგომის ფოთლები.

შოთა მაგიდას მიუჯდა და დაკვირვებით შეაქებდა შვილს და ჰკითხა:

— ვინ დაგინახა, ეს რომ იპოვე?
 — ბევრმა... ლემციიდან რომ გამოვე-
 დით, ბევრნი ვიყავით.
 — გამვლულები?
 — დიახ.
 — და არავის არ შეუმჩნევია სამაჯუ-
 რი?

— არა.
 — პირდაპირ საოცრებაა... სად იყუ-
 რებოდა ამდენი ხალხი, კაცს ხომ არ
 შეჰყურებდნენ? ნუთუ მხოლოდ ის აინ-
 ტერესებდათ, თუ როგორ დაფრინავდ-
 ნენ ჩიტები და შვერები?

გიგიმ მხრები აიჩეჩა.
 — მე თქვენ ვითხარით როგორც
 იყო ნამდვილად ეს ამბავი, ახლა რაც
 გინდათ, ის იფიქრეთ?

— სხვებს არ მიუტყევიათ ყურად-
 ლება, ამან კი შეამჩნია, — თქვა დე-
 დამ. — რა არის აქ საკვირველი?

— ბევრი რამაა საკვირველი. მაგა-
 ლითად, ის, რომ სამაჯური ქუჩაში ეგ-
 დო და არა თავის ყუთში, რომ მაინცა
 და მაინც გიგიმ მოჰყრა მას თვალი.

— ჰო, მაგრამ აბა როგორ პოულო-
 ბენ რამეს? ვილაც ეროა პოულობს
 ჩვეულებრივ.

მამამ ხელი ჩაიქნია.
 — რატომ არ დაუბრუნე?
 — ვის?
 — მის პატრონს.
 — ვინაა მისი პატრონი?
 — ალბათ, იმ მანქანის პატრონი.
 — შესაძლოა.
 — მისთვის უნდა გეკითხა.

— მას რომ რაიმეს ძებნა დაეწყო,
 კი ბატონო, მაგრამ მოვიდა ვილაც ქა-
 ლიშვილთან ერთად, დამშვიდებით ჩან-
 ხდნენ მანქანაში და წავიდნენ.

— სულ ერთია, მაინც უნდა გეკითხა.
 იქნებ ვერ არ ჰქონდა შემჩნეული.

— იქნებ მისი არ იყო სამაჯური? ასე
 ნებისმიერ ადამიანს შეიძლება ჰკით-
 ხო და ის გეტყვის „დიახ, ჩემიაო“.

— რატომ ნებისმიერს? მე, მაგალი-
 თად, გიპასუხებდი „არას“.
 — გიგი, შენ ასე მიპასუხებდი, მაგრამ
 შენ ჩემონაკლისი ხარ.

— არა, მე არა ვარ გამონაკლისი
 მონაკლისი ისაა, ვინც ვიპასუხებდა
 „კიო“... კიდევ ვინ დაინახა ეს ამბავი?

— ყველამ, ვინც ჩემთან ერთად გა-
 მოვიდა.

— და არავინ არ იფიქრა, რომ სამა-
 ჯური პატრონს უნდა დაუბრუნო?

— ვისთვის უნდა დამებრუნებინა?

— რა გინდა მაგ ბავშვისაგან? — უთ-
 ხრა დედამ. — იპოვნა სამაჯური და
 მოიტანა შინ... შენ რა, ეკვი გეპარება,
 რომ იპოვა?

— ორმოცი წელია დადევარ ამ ქვე-
 ყანაზე და ოქროს კი არა, ერთი მანეთიც
 კი არ მიპოვნია.

— აბა, რა გგონია, საიდან მოიტანა?

— აი, სწორედ ამის გაგებმა მინდა.
 გიგის კიდევ რამდენიმე შეკითხვა მი-
 სცა მამამ და ტელევიზორისკენ გაემარ-
 თა. უკმაყოფილო დედა სუფრას შლი-
 და. ბებიამ თქვა, რომ ამის გულისათ-
 ვის ჩხუბი არ ღირსო. იპოვნა და იპოე-
 ნა. საჯანგებოდ ხომ არ უძებნია. სამა-
 ჯური თავად მოხვდა თვალშიო.

— ესე იგი, სამაჯურიც დამნაშავე?
 საერთოდ არ შესმის, როგორ შეიძლება
 აიღო სხვისი ნივთი, — თქვა მამამ. —
 ნივთი თუ შენი არ არის, ხელი არ უნდა
 ახლო.

— რევოლუციის დროს იტაცებდნენ
 სხვის ქონებას, მაშინ ამას ვინ უყურებ-
 და, ახლა კი არ შეიძლება, — თითქოს
 მხარი დაუჭირა მამას დედამ.

— არც რევოლუციის დროს შეიძლე-
 ბა. საერთოდ, არც ერთ ეპოქაში სხვი-
 სი ნივთის მითვისება არ შეიძლება. რა
 შუაშია აქ რევოლუცია?

ამასწინათ შოთა მანქანით მიდიოდა
 და უტერად ნაცნობმა ინსპექტორმა გა-
 აფრთხილა, რომ მან წინა საღამოს მო-
 ძრაობის წესები დაარღვია, სასტვენის
 შემდეგ კი არ გაჩერდა. გაოცებულმა
 შოთამ უთხრა, რომ ეს არ შეიძლებოდა
 მომხდარიყო, რადგან მთელი საღამო
 შინ ვიყავით.

— მე თავად დაგისტვინე, — თქვა
 ინსპექტორმა. — მე რა, შენს მანქანას
 ვერ ვიცნობ?

შოთამ იფიქრა, რომ ინსპექტორი მაინც შეეცდოდა. მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ მეორე ინსპექტორმა უთხრა, წითელ ნიშანზე გაიარეო. შოთამ კიდევ უფრო გაოცდა. შემდეგ კი მანქანას ხან სად ხედებოდნენ, ხან სად, მაგრამ ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდათ. ბოლოს და ბოლოს, სოლოლაკში დაიჭირეს. საჭესთან გიგი იჯდა. გამოირკვა, რომ, როდესაც მამა იძინებდა, ის კი ადრე წვეებოდა და ასევე ადრე დგებოდა, გიგი — ხანდახან დედის ნებართვით — იღებდა გასაღებს და სადღაც დასეირნობდა. შოთამ გაცოფდა.

— მე სხვისი ვაზეთის აღებამაც ვერ ვბედავ...

— მაგრამ მანქანა სხვისი ხომ არ იყო, — გაოცდა დედა.

— სხვისი არ არის, მაგრამ არც იმისია... სხვისი ესლა მაკლია, რომ გიგამ სხვისი მანქანები მოიტაცოს.

შემდეგ გიგის ჰკითხა, თუ რატომ წაიყვანა მანქანა უნებართვოდ.

— რამდენჯერმე ვთხოვე, მაგრამ შენ არ მომეცა.

— მე შენ ვითხარო: აილე მართვის ნება და იარე-მეთქი. დადიხარ ნებართვის გარეშე, წესრიგს არღვევ, იტყუებო!.. რას ჰგავს ეს?

ამის შემდეგ შევიღისადმი უნდობლობა დაეუფლა.

ახლა კი სამაჯური გამოტყვრა, რომელიც თურმე, უბრალოდ ეგდო ქვაფენილზე, იმ აუარებელ ხალხში, თავლის დამაბრმავებლად ბრწყინავდა და მაინცა და მაინც ვიგამ შეამჩნია.

— ისედაც ლამის თავი გამისკდენ სამსახურის ამბების გამო და აქ, შინ მეზრდება სამაჯურებისა და მანქანების გამტაცებელი.

— ჰო, მაგრამ, ჯერ ხომ არ დაგვიმტყცებია, რომ მან სამაჯური მოიტაცა, — თქვა დედა.

— შენ ყოველთვის იცავ მას, ამიტომაც არასოდეს არ გრძნობს თავს დამნაშავედ.

გიგი ამდენხანს ტელევიზორს უყურებდა, ახლა შემობრუნდა და თქვა:

— გადასარევი ფილმია...

— აი ინებეთ! ამას კინო უფრო აინტერესებს, ვიდრე ის, რომ ახლა სადღაც აფორიაქებულია ხალხი სამაჯურის დაკარგვის გამო.

— რა გინდა მაგით სთქვა, შენ ფიქრობ, რომ მას არ უნდა აეღო?

— დიახ, არ უნდა აეღო! ის ხომ მინი არ იყო?

— მაშინ ხომ სხვა შეამჩნევდა და აიღებდა. პატრონის მოლოდინში სამაჯური გაუნძრევლად ხომ არ იდებოდა!

— თუთონ არ გაუკეთებია, არ უყილია, საჩუქრად არ უბოძებიათ, მაგრამ შინ მაინც მოიტანა. ვილაც ახლა ცრემლს რომ ღერის სამაჯურის დაკარგვის გამო, ამისი ბრალია.

— ხომ შეიძლება ეს ვილაც მამაძალისაა, ვისაც შეუძლია ათობით ასეთი სამაჯურის ყიდვა.

— მითუმეტეს, ვილაც მამაძალის სამაჯურს რა უნდა ჩემს ოჯახში.

— თუ პატივსაცემი ადამიანია?

— პატივსაცემ ადამიანებს ოქროს სამაჯურები არა აქვთ.

— სხვათაშორის, შენ მართალი ხარ,

— თქვა ცოლმა, ქმრის დაშოშმინება სურდა. — მაგრამ შენ კარგად იცი, ცხოვრება არაა ასე მოწყობილი. ყველა ცდილობს მიიტაცოს ის, რაც უადგილოდ დევს. თუ არ აიღებდა ჩვენი შეილი, აიღებდა სხვა, რომელსაც არ გატანჯავდნენ ათასნაირი შეკითხვებით.

ღილით შოთამ ქარხანაში მისვლისთანავე ლიფტორმა გამოიძახა.

— იშოვე სადმე მანქანა. ამწე კომპიუტერი მივიღეთ, დღესვე უნდა გადმოტვირთოთ.

შოთამ ჯერ გლდანში წავიდა, იქ მისი მეგობარი მუშაობდა ავტობანის უფროსად, ბევრი იწვალა, ჩაიბარა ამწე და გამოგზავნა ქარხანაში, თვითონ კი ინსტიტუტში წავიდა. დერეფანში სიარულისას გაღიზიანებული შოთამ ფიქრობდა, რომ აქ ყველაფერს ასწავლიან:

ინტეგრალურ გამოთვლასაც, მინერალებს კლასიფიკაციასაც, მხოლოდ ერთ რამეს არ ასწავლიან — როგორი უნდა იყოს პატროსანი კაცი. შემდეგ მეგარდერობებს შეეკითხა, ზომ არაფერი სმენიათ ვინმეს დანაკარგის, ან რაიმეს მოპარვის შესახებ. დაკარგული იყო თავშალი, დისერტაცია. მაგრამ დისერტაცია შემდეგ უპოვიათ.

— როდის?

— გუშინწინ.

— კიდევ რა დაიკარგა?

— კიდევ?.. შეთოთხმეტე კაბინეტიდან სკამი დაიკარგა. კომენდანტმა თქვა, რომ გასულ წელს ძალი დავკარგეთ. ეს კიკეთში მიხდაო.

შემდეგ შოთამ დამლაგებლებს ჩამოუარა. მაგრამ არავინ არაფერი იცოდა.

შესვენების დროს ის კვლავ ამ საქმეზე წავიდა. ნაპოვნი ნივთების ბიუროში უთხრეს, რომ შოთამ არც დღეს და არც გუშინ არავითარი განცხადება არ შემოსულა რაიმეს დაკარგვის თაობაზე.

— ხაერთოდ ძალიან იშვიათად მოვემართავენ. ალბათ დიდი იმედი არა აქვს ხალხს, რომ დაკარგულს ეინმე თუ ნახავს, აქ მოიტანს. ზოგი რამ კი წლობით დევს, არავინ არ აკითხავს.

— ესე იგი, ვილაცას მაინც მოაქვს?

— იშვიათად.

— ჩაიწერეთ ჩემი ტელეფონი.

— თქვენ რა დაკარგეთ?

— მე არაფერი დამიკარგავს, არამედ ვიპოვე... ოქროს სამაჯური.

— და თქვენ მოიტანეთ?

— როგორც ხედავთ.

თანაშრომელთა თვალეში ცნობის-მოყვარეობა ანთო, ერთმა გამოკითხვა დაუწყო, ცდილობდა გამოერკვია, ამ უცნაური მოქმედების მიზეზი.

— თქვენ იმ კაცს ეძებთ, ეინც დაკარგა?

— დიახ.

— რისთვის?

— უნდა დავუბრუნო დანაკარგი.

— თქვენ თავად ის კაცი გჭირდებათ?

— აბა, სხვა ვინ უნდა მინდოდეს?

— შამაკაცია?

— არ ვიცი.

— ესე იგი, თქვენ კონკრეტულ პიროვნებას არ ეძებთ?

— რასაკვირველია, არა. ვეძებ მას, ეინც დაკარგა.

— ეს ძალზე სასიამოვნოა, — თქვა ქალმა ექვით.

— თუ ვინმე გამოჩნდება, დამოკეთ.

როდესაც მანქანაში წდებოდა, ფანჯარაში დაინახა ქალის გოცეხული სახე.

აქედან ავტონისპექციაში წავიდა. გიგოც წაიყვანა, მას მანქანა უნდა აეწერა. მისმა ამხანაგებმაც გაიხსენეს მანქანის ნიშნები და შოთა დარწმუნდა, რომ მისმა შეიღმა მართლა იპოვნა სამაჯური. ინსპექციაში ნაცნობმა ინსპექტორმა ჰკითხა:

— რამე დაგიშავათ?

— ვინ?

— იმ მანქანის მფლობელმა.

— არა.

— აბა, რატომ ეძებთ?

— რათა დავუბრუნოთ მისი ნივთი.

— ხო-ო! გასაგებია.

მაგრამ ეტყობოდა, რომ ვარაფერი გაიგო.

— ისე ვაკვირებულა ეს ხალხი, რომ თითქოს ზებუნებრივ საქციელს ჩავდიოდე. — ბუზღუნებდა შინისკენ მიმავალი შოთა.

— რასაკვირველია, — უთხრა გიგომ.

— გაუკვირდებათ, აბა რა იქნება!

„ტაუნუსის“ მარკის მანქანა სამი აღმოჩნდა ქალაქში. სამუშაოს შემდეგ დაურეკა მანქანის პატრონებს და შეეკითხა ხომ არაფერი დაგიკარგავთო. ერთს დაეკარგა ძალი, მეორეს კასრი მოპარეს აგარაკიდან. ძაღლის პატრონმა შოთას ძალიან სთხოვა დახმარებოდა მის ძებნაში, უთხრა მისი ფერი, ზომა, ამ ამბავმა გიგი და დედამისი ძალიან გაამხიარულა.

— არა, პატივცემულო, მე ყველაფერს არ ვეძებ.

მათთან სტუმრად მყოფმა ნათესავმა უთხრა:

— როდესაც მონახავს ძაღლს, მერე კასრი ეძიე. ყველა დანაქარგი ზომ პატრონს უნდა დაუბრუნდეს.

ამასობაში დარეკა ცოლისდამ, რომელიმე თქვა, რომ გასულ წელს გავრაში ბეჭედი დაქარგა და თუ გიგი იპოვნიდა, თხოვდა დაებრუნებინათ მისთვისაც. მაგრამ შოთა დაყინებით განაგრძობდა ძიებას.

შესამე მანქანის შფობებში: გაბრეზულმა თქვა, რომ მისმა ვაჟმა გუშინ დაქარგა ოქროს სამაჯური.

— სად დაქარგა?

— ქალიშვილს მისცა სათამაშოდ. მანქანაში მანქანაში ბევრი ვეძებეთ. შესაძლოა მანქანიდან გადმოუფარდა, როდესაც დედას უცდიდნენ ინსტიტუტის ახლოს. ანდა, ეზოში სკამზე...

— თქვენ არ გაგიცხადებიათ, რომ დაქარგეთ? — შეაწყვეტინა შოთამ.

— სად? ვისთვის? — გაეცინა მოპასუხეს.

— ამიწერეთ სამაჯური, — სთხოვა შოთამ, შემდეგ ყურმილი დაკოდა.

— წავედით, — უთხრა ცოლს.

— შენ თუ ამას აღმზრდელიობით მიზნით აკეთებ, — უთხრა ცოლმა, შეიცვალა, სანამ გიგი გამოვიდოდა ოთახიდან, — აზრი აღარ აქვს, რადგან იგი უკვე ყველაფერს მიხვდა.

— მე ამას აღმზრდელიობის მიზნით კი არ ვაკეთებ, არამედ იმიტომ, რომ სხვისი საქონელი პატრონს უნდა დაუბრუნონ.

— მეც ასე ვფიქრობ, რომ შენ სწორად იქცევი, — სთქვა დედამ ურწმუნოდ. მოემზადნენ და წავიდნენ.

მასპინძელმა კარი გაუღო, ოთახში შეიყვანა, დასხდნენ. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ, თავაზიანად, ფუსფუსით, მაგრამ რამდენადმე დაბნეულად. მასპინძელი თითქოს რაღაცას ელოდა სტუმრებისაგან. შესაძლოა, რაიმეს თხოვნას, ანდა თუნდაც ახსნა-განმარტებას ასეთი არაჩვეულებრივი მოქმედების

გამო. ყოველი შემთხვევისათვის მან ნაიბურტყუნა:

— ახლა ყველაფერი გართულებულია.

შესთავაზა ყავას, ან ჩაის ზომ არ დალევთო, მაგრამ შოთამ უთხრა:

— არა, არა, ჩვენ ახლაც მივდივართ.

— ეს მაინც მოთხარით, ვინ ბრძანდებო. ჩემი ვაჟი გამოგივლით, მდლობას მაინც გეტყვით. ახლა წასულია ქალაქიდან.

— რა საჭიროა.

— ჩვენს ვინაობას რა მნიშვნელობა აქვს, — დაუმოწმა ცოლმა.

მასპინძელი როცა დარწმუნდა, რომ ისინი არაფერს არ ითხოვდნენ, შეეცითხა:

— იქნებ ჩვენ გამოგადგეთ რამეში?

— ჩვენ არაფერი არ გვჭირდება.

— არ ვიცი, როგორ გადმოგცეთ ჩემი ვაოცება, — თქვა სამაჯური პატრონმა, რომელმაც საბოლოოდ ირწმუნა სტუმრების უანგარობა, — ჩემთვის რომ მოეთხროთ მსგავსი ამბავი, არ დავიფერებდი. მაგრამ აი თქვენ ზომ ჩემს წინ ხართ და ეს ფაქტია.

— კიდევ კარგი, რომ ასეთი არაჩვეულებრივი მანქანა გყავთ, თორემ ალბათ ვერ მოგძებნიდით, — უთხრა გულთ შოთამ.

— ჰო, აძლევენ ბავშვს ყველაფერს... ეს ზომ სათამაშო არაა? ჰოდა, დაქარგა. კიდევ კარგი, რომ თქვენ იპოვნეთ. თქვენნაირ მშობლებს, რასაკვირველია, კეთილშობილი შვილი ეყოლებათ. კარგად სწავლობს?

— არა უშავს.

გამოემშვიდობნენ და წავიდნენ. მასპინძელი ფანჯარაში იყურებოდა, დამახსოვრა მანქანის ნომერი და ასე გაიგო იმათი ვინაობა.

მალე ამბავი მოუფიქრდა, რომ სამაჯურის პატრონი აქებდა მათ და ვაოცებული იყო მათი მოქმედებით, მაგრამ მაინც ასე ეთქვა:

— ასეთი მშვენიერი და შთაბეჭდავი საქციელი შეუძლია მხოლოდ შეიღებულ ხალხს. გაკირებულნი რომ ყოფი-

ლიყო, ხომ არ გამოაჩენდა სამაჩურს. ვინც მშენებლობაზე მუშაობს, მას შეუძლია მხოლოდ სხვისი სამაჩურის დაბრუნება.

შოთა გაკვირებული იყო. გივიმ თქვა:

— ხომ ხედავ, რომ არ დავიფასდა. უმჯობესი არ იყო გაგეყიდა სამაჩური და ახალი საბურავები გეყიდა..

შოთა ტელევიზორს უჭდა, უცებ გივიონა:

— ჩვენ გასაოცარ დროში ეცხოვრობთ...

განაწყენებულმა შოთამ ბუზღუნით წარმოთქვა:

— ჩვენ მართლაც გასაოცარ დროში ეცხოვრობთ: საკვირველ საქმედ მიგვაჩნია, როცა ადამიანი ნორმალურად მოიქცევა.

ინფორმაციული კვლი

აეროპორტში რომ მივიდნენ, შეიტყვეს — ფრენა ჩერ-ჩერობით შეჩერებულიაო, მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვეტიეს რესტორანში შესულიყვნენ. გამოცხადდა—ფრენა ორ საათს იგვიანებსო, შემდეგ კიდევ ორ საათსო. დარბაზში ნაცნობებს მოჰკრეს თვალი, ღვინო გაუგზავნეს, სპასუხოდ იმათაც რამდენიმე ბოთლი მოართვეს... მშვენიერი დღე იყო, ცაზე ღრუბლის ორი ქულა მოსჩანდა. გამოაცხადეს ჩასხდომა, დალიეს მშვიდობით მგზავრობის სადღეგრძელო, მერე კატო და სანდრო თვითმფრინავში ჩასხდნენ, ილო კი გამცილებელთა შორის იდგა და პაეროვან კოცნას უგზავნიდა, სანამ თვითმფრინავი არ აფრინდა ილო აეროპორტადან მეგობართან წაიდა, ისინი დიდხანს უსხდნენ მაგიდას, შეექცეოდნენ მშვენიერ კაბურს. ილოს დავალებული ჰქონდა, სანამ სანდრო და კატო აგარაკიდან ჩამოვიდოდნენ, მას უნდა მიეხედა მათი ბინისათვის, მოეგლო ძალღისთვის, მკვირცხლი ჭკასათვის, რომელიც ხანდახან მასაც კი უყვებდა. ცოლ-შვილი სოფელში ჰყავდა ვაგზავნილი და ამიტომ ილოსთვის სულ ერთი იყო სად გაათევდა ღამეს. ორჯერ გასაღებზე კი მოიძებნა ჭიბეში, და აი, მეგობრის სახლიდან წარგად შეზარბოშებული წამოვიდა. ტრეფებულ ბინაში. გაილო კარი

და სასაიდლო ოთახში დივანზე წამოწვა. ლოგინი აეროპორტში წასვლამდე გაუშალეს. დაწვა და მაშინვე ჩაედინა.

ღრმად ეძინა, სიზმარი არ უნახავს, გათენებისას გაახილა თვალი, რათა თვალი შეეგლო სასწაულებრივი განთიადისათვის და ისევ ტკბილად დაედინა, მაგრამ საწოლი ოთახის კარი უხმაუროდ გაიღო და თვალი მოკრა საცვლების ამარა სანდროს, რომელმაც ოთახი ფიჩუჩების ფრატუნით გაიარა და სპირ-ფარეშოსაკენ გაუხვია. შეშინებულმა ილომ თვალები დასუჭა. რას ნიშნავს ეს? — შეეკითხა საკუთარ თავს, თან გულის აჩქარებული ძგერა შემოესმა. ნუთუ სიზმარია, ან ჰალუცინაციაა: გულის ფანქალით ელოდა, თან იმედოვნებდა, რომ მოჩვენება აღარ განმეორდებოდა, მაგრამ გაიღო კარი, სანდრომ ისევ მედიდურად გაიარა უკანვე და შევიდა საძინებელ ოთახში. რამდენიმე ხნის შემდეგ ილოს გვერდით ჩაუარა კატომ. კი მაგრამ გუშინ ხომ ორივე გაფრინდა? ავიდნენ ტრაპზე, სანამ თვითმფრინავში შევიდოდნენ, ხელი დაუქნიეს, შემდეგ ტრაპი მოხსნეს, კარი დაიხურა და თვითმფრინავი გაფრინდა. ილო იდგა გამცილებელთა შორის, თვითმფრინავი შეცურდა მზით გაკაშკაშებულ სიფრცეში, თან აბოლებულ კვალს ტრეფებდა და მთეფარი თვალს. და აი, ახლა

ის წასული ადამიანები მის თვალწინ მიდი-მოდიან.

ილო შეშფოთდა. რას ნიშნავს ყოველივე ეს? რესტორანი გაიხსენა... აი ისინი მოუსხდნენ ფანჯარასთან მდგარ მაგიდას. გარეთ რომელიღაც ლიხერი დიდხანს ახურებდა ძრავას, თითქოს ამ ხალხზე ცდიდა ხმაურის ძალასო. სანდრომ თქვა:

— ასეთი უზარმაზარი და მძიმე თვითმფრინავები ჩვეულებრივი ბატის შეჯახებისას ილუბებიან.

— ეს როგორ? — გოცდა კატო.

— არა მარტო ბატების შეჯახებისას, არამედ მტრედებისასაც კი, — დაეშოწმა ილო. — ზოგიერთ აეროდრომზე ფრინველებს საგანგებო ხმაურით აფრთხოებენ. კატომ მაინც არ დაუჯერა.

— მაშინ რილასთვისაა საჭირო არტილერია? მიეშვათ მტრედები, — თქვა მან.

ფანჯარაში იგი დიდხანს უცქეროდა თვითმფრინავებს, ბოლოს თქვა:

— რა დაწყნარებულნი და მშვიდნი ჩანან. ხომ მართალია?

— დაწყნარებულნი და გულგრილნი სიმძიმის კანონისადმი, — უპასუხა სანდრომ — სიერცემი ხომ ვერაფერი ჩერდება, თვითმფრინავები კი რალაცნაირად დაფრინავენ და ფრთებსაც კი არ ხევენ იმის ნიშნად, რომ კარგ გუნებაზე არიან.

— ფრინველებიც ხომ დაფრინავენს — წარმოთქვა კატომ.

— მაგრამ ფრინველები ხომ ისეთი მძიმეები არ არიან. არც ტვირთი დააქვთ.

შემდეგ მოვიდა ის ნაცნობი ინჟინერი, ვისაც ლენიო გაუგზავნეს. მან შეატყობინათ, რომ პნომპენი აღებულაიო, კიდევ თქვა:

— რეისი გადადებულია... აღწერა... თათბირი... სანიტარული ღლე...

შემდეგ იგი ბაზარში წაივდა.

სანდროს ახლა ნაცნობი მწერალი შემოხვდა. სანდრომ შესჩივლა — იმის ნაცვლად რომ გაფრენილიყავით, მთელ

ღლეს რესტორანში ვატარებთარაღმა უპასუხა:

— მერე რა მოხდა? რესტორანშიც ბევრია საინტერესო... ალბათ, რაღაც გაუფუჭდათო.

ილომ გაიფიქრა კიდევ: ეს რა მწერალია, — ასეთი დამშვიდებული... მწერლებმა უნდა იფიქრონ, ამისთვის კი ყველაფერი ნათელია, დაეკვების და შემფოთების ნიშანწყალი არ ეტყობა.

შემდეგ ილომ სამსახურში დარეკა, მაგვიანდებო გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. შემდეგ სანდრომ უთხრა კატოს:

— ის ორი ღრუბელი, ცაზე რომ ჰკიდია, ჩვენ თავს მაგონებს. შინიდან კი წამოვედით, მაგრამ ადგილიდან ველარ დავიძარი, — რაზედაც კატომ უპასუხა:

— მე ხომ არა ვარ დამნაშავე, რეისი რომ გადაიღო?

შემდეგ ისინი გაფრინდნენ. ეს კარგად ახსოვს ილოს. მაშ რანაირად აღმოჩნდნენ ახლა აქ?

დაახ, საინტერესოდაა მოწყობილი ადამიანის ტვინი. მაგალითად, ჰალუცინაცია, ან მირაჟი. უდაბნოში ხედავს იმას, რაც არ არის ანდა რაც შორსაა.

გაგონილი ჰქონდა, რომ ჰალუცინაცია ძალზე დამაჩერებელიაო, მოჩვენებას ცხადისაგან ვერ გაარჩევო, მაგრამ ახლანდელ სანახაობას მაინც არ ელოდა. მისთვის რომ ეკითხათ როგორი საცვალი ეცვა სანდროს, ვერაფრით ვერ მოიგონებდა, მაგრამ ჰალუცინაციამ რალაცნაირად ამოატეგტივა მისი მუხსიერებიდან.

მოჩვენებანი დრო და დრო შეორდებოდა. და თვლემიდან გამოყავდა ილო. აი კატო და სანდრო გამოვიდნენ, სამგზავროდ ჩაცმულნი, როგორც გუშინ. დასხდნენ სასაუბროდ და საუბრობდნენ დაბალი ხმით, რათა ილო არ გააღვიძონ. სანდრომ თქვა:

— რა მაგრად ხშირავს!

მათ რადიო ჩართეს, დრო რომ შეემოწმებინათ. რადიოში გადმოსცეს პნო-

მპენი აღებულიყო. პნომპენი? ესე იგი, ეს ნამდვილად პალუცინაციაა, ამას ხომ გუშინ გადმოსცემდნენ.

ახლა ხშირად ლაპარაკობენ პიროვნების გაორების შესახებ, და ცოცხალი მაგალითიც აგერაა. სანდრო და კატო ერთდროულად იქაც არიან და აქაც, იქ ისინი ახლა ალბათ, დგებიან და სიხარულით მიდიან პარკში, ყველას ესალმებიან.

— რა სილამაზეა აქ, რა შესანიშნავია ეს ძველისძველი ხეები!

— ეს მუხებია.

— მერე, განა მუხები ხეები არ არის?

— ხეებია, ხეები!

სანდრომ გასულ წელს ლექსი დაწერა, რომელსაც კატო ყველას უკითხავდა. კატომ გაიხსენა, რომ სანდრო ნამდვილად სვამდა იქ ლუდს და მუხის გარშემო მტრედები ფრენდნენ.

გუშინ ლაპარაკობდა სანდრო იმ მინდვრის შესახებ და წუხდა, იქ რამე ხომ არ ააშენესო. მშვენიერია აბიბინებული მწვანე მინდვრი, სადაც დგას ლუდის ჯიხურიც.

ძალი დობურეს და კატომ თქვა:

— ყველაფერი მოვრიხით! ახლა შეგვიძლია წასვლა.

ილოს გაეღიმა. რატომღაც ისევ აერობორტზე წავიდნენ. შეკრეს ჩანთა, გადაციცებით იყურებიან სათოზე. პალუცინაცია — ისიც სრულიად ცხადი, ნამდვილი. არავითარი ფანტაზია, გამონაგონი, ფერთა და ფორმათა ცხოველი თამაში. ისინი ზომებშიც კი არ იცელებიან და არც გრიმებს იკეთებენ. ლაპარაკობენ ჩვეულებრივი ფრაზებით:

— ძალიან გთხოვ: დღეს მაინც არ დალიო. რა დასვენებაა, თუ სულ რესტორანში ვისხდებით!

— რა ჩემი ბრალია, თუ ფრენა არ იქნება!

არა, იქნებ თქვან რაიმე მნიშვნელოვანი, ისე, როგორც გუშინ თქვა მწერალმა:

— რაა ჩვენი დელვა და წუხილი მარადიულობასთან შედარებით?

ნეტავ ისეთ ადგილან წამიყვანა,

სადაც ცხელ-ცხელი ლულა-ქაბაზი დამხედება, სურნელოვანი, საესე ხახვითა და მწვანილით. ანდა ხინკალი, რომელიც, დელფინებისამებრ თავად ჩახტება პირში, — გაიფიქრა ილომ. ახლა მონვენებები წავლენ და ისიც ადგება.

კატუშამ შეამჩნია, რომ ილომ თვალი გაახილა და გამოლოწინებული შეპყურებდა მათ. მერე ჰკითხა:

— გაიღვიძე?

მაგრამ ილომ ისევ დახუტა თვალები, მოჩვენებებს ლაპარაკაც ხომ არ დაუწყებდა.

სანდრომ უთხრა:

— თავი დაანებე ეძინოს. წავევით.

ხელი მოუთათუნეს აწკმუტუნებულ ძაღლს და კარი გაიხურეს.

ილო ადგა. შუშაბანდიდან დანახა, სანდრო და კატო როგორ შეჩერდნენ და მეზობელს დაუწყეს ლაპარაკი. ილო ფანჯარას გაშორდა, რათა თვალი არ მოეკრათ მიხთვის და შეეიდა აბაზანაში.

ამასობაში კატუშა და სანდრო გამოემშვიდობნენ მეზობელს და ალაყაფის კარისკენ გაემართნენ. კატუშა შეჩერდა და სთქვა!

— იცი, სანდრო, ილომ ძალზე უცნაურად შემოგვხედა.

— როგორ თუ უცნაურად!

— არ მოგვესალმა, არაფერი გვითხრა. ის შუშაბანდიდანაც გვცქეროდა და არც კი გაკვირვებია, ჩვენ აქ რომ ვართ.

— მიხვდა ალბათ, რომ თვითმფრინავი არ გაფრინდა. ჯერ კიდევ არაა გამოფხიზლებული.

— ჰო, მაგრამ ხომ უნდა ეთქვა რამე!

— არაა სავალდებულო. მაგრამ კატო მაინც უკან გამობრუნდა.

— ილო! ილო — ეძახდა ძმას. ილო შხაპს ისხამდა და ეცინებოდა.

— შე მაინც შემომიშვი! — დაუძახა სანდრომ. „რა მომაბეზრებელი პალუცინაციაა, — ფიქრობდა ილო — წავიდნენ, ახლა ისევ დაბრუნდნენ. ნაღდი ცდუნებაა!“

— გამიღე ერთი წუთით! — მოითხო-

ვდა სანდრო, ილომ საცეტი გახსნა. სანდრო შემოვიდა და თქვა:

— იქ, თაროზე, ტარხუნის არაყია, მოსვი და ცოტა გონს მოხვალ. — და ალერსით ზელი მოუთათუნა მხარზე. ილომ გაქვავდა. ჰალუცინაცია არსებობს მხედველობითი, სმენითი, როდესაც ლაპარაკობენ, რადიკნაირი ზარები, მაგრამ შეხებითაც ყოფილა? შემდეგ თავი დაიმშვიდა, ამბობენ ხალხსაც ახრჩობენო, ასე რომ, მხარზე ხელის მოთათუნება სულ უბრალო საქმეა. მაინც შეყოყმანდა თვალმოუცილებლად შემსტერდა სანდროს და ჰკითხა:

— ნუთუ ეს შენა ხარ? — სანდრომ როგორღაც არადამაჯერებლად უპასუხა: — რასაკვირველია, აბა ვინ ვიქნები? ილომ საცვლები ჩაიცვა და აბაზანიდან გაიძურწა. მერე სკამზე დაეშვა და სახეზე ზელი აიფარა.

— აბა შენ ვინ გეგონეთ? — ჰკითხა უკან მომავალმა სანდრომ.

— ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი, — უპასუხა დაბნეულმა ილომ.

— როგორ თუ გეჩვენება, ახლა თვითმფრინავი გაფრინდება! — წამოიძახა სანდრომ.

— ისევ?
— რა, ისევ?
— ის ხომ გუშინ გაფრინდა?
— არსადაც არ გაფრენილა. ის მშვიდობით ისევ დაჯდა... გუშინ სად წახვედი?
— როდის?

— ჩვენ რომ გაფრინდით.
— ნუგზართან.
— ჰოდა, ამიტომაც ვეღარ აზროვნებ.

— ესე იგი, თქვენ ახლა აქა ხართ?
— არა, ჩვენ იქა ვართ. აქ ჩვენი ახრდილებია.

და სანდრო შესტა კიდევც, რათა ეჩვენებინა, როგორი უსხეულოა.

— ჩვენ ახლა იქ ვდგებით, ვსაუზმობთ და მივდივართ პარკში, — თქვა სანდრომ.

— მუხები რომ არის, იქ?

— ღიბ.

— გასაგებია, — თქვა უნდობლად ილომ. — აბა აქედან სადღა მიდინართ, რადგან თქვენ უკვე იქა ხართ?

— დღეს რომ გამეღვიძა, მეც ვიფიქრე ჰალუცინაცია დამემართა-მეთქი. ვვარაუდობდი იქ გავღვიძებას და ისევ აქ აღმოვჩნდი. საერთოდ ცხოვრება — მთლიანი ჰალუცინაციაა. ეს ჯერ კიდევ პლატონმა შეამჩნია.

— მითხარი, პნომპენი აღებულია? — ჰკითხა ჩაფიქრებულმა ილომ.

— აღებულია, აღებული, — სანდრომ შემოთვთებისაგან სახე აემღვრა — ნუ სწუხხარ.

— ახლა ხომ კამპუნიას უწოდებენ?

— კი, — დაემოწმა სანდრო. — ეგ მისი დედაქალაქია!

ილო მივიდა ტელეფონთან და ნომერი აკრიფა.

— ნუგზარ, მითხარი, პნომპენი აღებულია თუ არა?

ამხანაგი გამხიარულდა.

— ეშმაკმაც წაიღოს. გული გააწყალეს ამ პნომპენით. ისეთი ამბავი ატეხეს, თითქოს ბერლინი აიღესო.

ილომ ყურმილი დადო და თავი ხელეში ჩამოიღო.

— არაფერი არ მესმის, — თქვა მან.

— მე ხომ ინვერსიული კვალი ვნახე.

— საერთოდ რა შუაშია, აქ პნომპენი? — ჰკითხა კატუშამ.

— არ ვიცი, — უპასუხა სანდრომ.

— ჩვენ პნომპენში ხომ არ გავფრენილვართ.

— პნომპენი იმ შუაშია, რომ რადგან პნომპენი აღებულია, ეს იმას ნიშნავს, თქვენ გუშინ გაფრინდით.

— აბა ჩვენ ვილა ვართ?

— ალახმა უწყის!

კატო ატირდა.

— ილო, მითხარი, რა მოვივიდი? რა გტყვი?

— გაიგე, ბოლოსდაბოლოს, უკანვე მოვფრინდით. — თქვა სანდრომ.

— ჯოხის ცხენით?

მათ აღხსნეს, რომ თვითმფრინავმა თითქოს დიდი წრე შემოხაზა თბილისზე

და ისევ დაჯდა. მგზავრებს გამოუცხადეს, რეისი ხვალ დილაშდევს გადადებულაო.

სანდრომ მოასწრო თვითმფრინავში ჩათვლება, როდესაც კატომ გამოაღვიძა, გაოგნებული გაიძახოდა:

— როგორ, უკვე მოვედით?

— იმ მომენტში მეც გავიფიქრე, რომ ჰალუცინაციაა დამემართა-მეთქი, — თქვა სანდრომ.

— გადაწყვეტეთ სახლში წამოსვლა, აბა მთელი დამე აერობორტში ხომ არ ვისხდებოდით... შენ აქ არ დაგხვდები.

ილო გაოგნებული უსმენდა მათ მონათხრობს, თან თავს უქნევდა თუკი ეს მაინც ჰალუცინაციაა, მაშინ საიდანაც უნდა გამოჩნდეს გუშინდელი ინჟინერი.

— გამოიღვიძე, ბოლოსდაბოლოს, ხმა მაინც ამოიღე! — გაცხარდა კატო და ამ დროს ეზოდან შემოისმა ძახილი.

— სანდრო!.. კატუსა!..

ილოც მივიდა ფანჯარასთან და სავსებით დარწმუნდა, რომ მისი მოჩვენება ზუსტი იყო — შუა ეზოში ინჟინერი იდგა.

— ასეც ვიცოდი, ჯერ არ იქნებოდით წასულები. ჩქარა!.. ვაკვირებთ..

— ახლავე! მადლობით, მოვედივართ, — გამოეპასუხა კატუსა, სანდრომ კი დაძახა:

— ეს შენა ხარ, თუ ჰალუცინაცია?

— მე, მე, მხოლოდ დაუჩქარეთ!

ილო მოქუშული მოსცილდა. ფანჯარას. იგი ლოგინის გასწორებას შეედგა, მგზავრებმა კი ჩანთებს დასტაცეს ხელი.

— ისაუბრე, ყველაფერი მაგიდაზე აწყვიტე, — სთქვა სანდრომ, კატუსამ კი დაუმატა:

— გავგიღიმე მაინც, რა მოძმარული ხარ!

— მერე გაიღიმებს, როცა გონს მოვა, — სთქვა სანდრომ და ისინი წავიდნენ.

ილომ ისევ დაურეკა ნუგზარს.

— გამიგონე, შენი ბიძაშვილი, აი ის, ექიმი, ახლა სად არის?

— ალბათ სამსახურში. ისინი შაბათობითაც მუშაობენ. რაშია საქმე?

— გამოდი, ახლავე გამოგავლი.

ექიმი კეთილი კაცი იყო. ნუგზარმა მას აუხსნა, რომ ილოს დღეს მოჩვენებები ჰქონდაო და კონსულტაციისათვის მოვიდაო. ექიმმა ორივეს სთხოვა დამსხდარიყვნენ და ყველაფერი დაწვრილებით მოეთხროთ. ილო მოუყვა, როგორ გააცილა და და მისი მეუღლე, ნახა ინჟინერიული კვალი, დილით კი ისინი სახლში აღმოჩნდნენ.

ექიმმა მოუსმინა და შემდეგ ჰკითხა:

— გუშინ როგორ დაიძინეთ?

— ძალიან კარგად.

— ხომ არაფერზე ინერვიულეთ?

— არა.

— ადრე ამის მსგავსი არაფერი გქონიათ?

— არა.

— შენ ის მოყვები, ის მოჩვენებები, — ჩაერია ნუგზარი, — შენ რომ ამბობ, წინათ ვნახეო.

— მე კი არ ვამბობ, არამედ ნამდვილად ვნახე!

— ძალზე საინტერესოა! — სთქვა ექიმმა, — სად მოხდა ეს, რა გარემოებაში?

ილომ უღიმამოდ მოყვა ის ამბავიც.

— ასე... კიდევ რა შეგიძლიათ დაუმატოთ?

— მხოლოდ სიყვარულის ამბავი, — სთქვა ილომ ჩაფიქრებით, — როდესაც გატაცებული ხარ, აღმერთებ შენს რჩეულს; ხოლო როცა გრძნობა გაივლის, ის უკვე სულ სხვა აღმოჩნდება. თავიდან საოცრებად გეჩვენება, ლეთიერ დედოფლად, მაგრამ მალე ჰქრება ეს ილუზია.

ექიმს გაეცინა. მან სთქვა, რომ ეს ძალზე საინტერესო აზრია, მაგრამ ფსიქიატრია ჯერ ამით არ დაინტერესებულაო. სიყვარული მეცნიერულ ანალიზს არ ემორჩილება. ახლა მიწისძვრას წინასწარ იგებენ, ადამიანი კი, როდის და ვის შეიყვარებს, ამის წინასწარ მეტყველება სავსებით შეუძლებელიაო. აქ თავისებური კანონებია, ძალზე გამოუცნობი. ხანდახან უყურებ ზოგიერთის სიყვარულის ობიექტს და უბრალო-

ოდ გაოცდები, შეყვარებულ: კი ატყვებულია.

— აი ეს არის პალუცინაცია!

— მაგრამ მშვენიერი! — სთქვა ექიმმა. შემდეგ ექიმმა ჩაქუჩით დაუკაკუნა ილოს, გაუზომა წნევა, მოუსმინა გულს, ფილტვებს. ნუგზარი საღაღაც გვიდა, დაბრუნებისას უხმოდ დაუღო ექიმს წინ რაღაც ქალადლი.

— აბა, რა შემოძლია გითხრათ? — დაიწყო ექიმმა, ხელი დაიბანა და მაგიდას მიუქცა. — არავითარი პალუცინაცია თქვენ არ გქონიათ. თვითმფრინავი ნამდვილად დაბრუნდა და დაჯდა აეროპორტზე რაღაც დაზიანების გამო და რისიცი მეორე დილისთვის გადაიდო. ნუგზარმა დაარტყა აეროპორტზე და ყველაფერი დაახუსტა. ახლა თვითმფრინავი უკვე გაფრინდა და თქვენი ნათესავები, ალბათ უკვე ადგილზე არიან ჩასულელები და სვამენ ნარხანს!... საერთოდ კი, უნდა შეამციროთ სმა. ჩვენს ასაკში ორგანიზმი ზედმეტ გადატვირთვის ვეღარ იტანს. არავითარი ვადახრა არ ჩანს, წნევა ცოტათი მომატებული გაქვთ. მაგრამ ეს, რასაკვირველია წუხახდელის შედეგია. ასე რომ, ამოიგდეთ თავიდან სისულელები.

— მაგრამ ყველაფერი ისე რეალურად იყო, — თქვა ილომ და წამოდგა.

— იმიტომ იყო რეალური, რომ ნამდვილად ისინი იყვნენ.

— ქუჩაში მიმავალმა ილომ აღშვოთებით წარმოსთქვა.

— მითხარი ერთი, რისთვის უშვებენ ბოლს ბოლქვებზე? რომ გვაჩვენონ, თუ როგორ დარწმუნდებით ფრენენ და რა შორს?

— ამ აეროპორტში რას არ გაიგონებ. წესიერად არაფერს არ აცხადებენ...

— პნომპენზე კი დაუსრულებლად აცხადებენ ერთსა და იმავეს!

— აბა, როგორ ითამაშა თბილისის „დინამომ“, იმას კი არ აცხადებენ.

— პო, მაგრამ, ასე უცბათ რატომ დავიჭერე, რომ ეს პალუცინაცია იყო?

— იმიტომ რომ ცოტა უნდა სვა.

ჭერ სახიწყეში წასვლა...
მაგრამ ნუგზარმა სთქვა.

— უმჯობესია კომპაგენის ხეივანზე წავიდეთ. იქედან მთელი ქალაქი მოსჩანს. მშვენიერი ადგილია.

ხეივანში ნაცნობ შოფრებს შეხვდნენ, მაგიდები ერთმანეთს მიადგეს.

თვალეზადმოკარკლული მებუფეტე თავად ემსახურებოდათ. ქვემოთ, ბოტანიკურ ბაღში, ხალხი სეირნობდა. დღემ თვალის დახამხამებაში გაიარა.

კომპაგენის ხეივიდან დღამებისას ჩამოვიდნენ. კარგ გუნებაზე იყვნენ. შოფრებთან იგი გონებასა და გრძნობებს შორის თანაფარდობაზე მსჯელობდა: გონება არ გადმოსცემს ყოველივე იმას, რასაც ადამიანი განიცდის. როგორ გადასცემ მაგალითად სიყვარულს. კარგი სხეულის სილამაზეს, ანდა 'ურნელს?

— აბა გონება რა საჭიროა?

— რათა ახსნა.

— გრძნობა?

— რათა დაატბე.

ხელში პაეტი ეჭირა, რომელშიც ძალიანათვის მაგიდიდან მორჩენალი ხორცის ნაჭრები და მწვანელი კი ჩაელაგებინა.

მანქანიდან ჩამოვიდა და კუთხეში შეუხვია.

დიდებული საღამო იყო, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. შესანიშნავი ღვინო სვეს. კახურ ღვინოს მსოფლიოში ვერცერთი ვერ შეედრება, მაგრამ მაინც უნდა ცოტა დალიოს ადამიანმა, თორემ მართლა დაეწყება პალუცინაცია. დღესაც ბლომად დალია. „მაინც კარგია“, ჩაილაპარაკა თავისთვის ილომ, თან ალაყაფის კარებში შევიდა. კიდევ ორი ნაბიჯი გადადგა ინერციით და გაჩერდა. სანდროს და კატუშას ოთახის ფანჯრები ღია და განათებული იყო, თავად მოხსდომოდნენ მაკლას და ჩაის სვამდნენ. ოთახის სიღრმიდან ტელევიზორის ხმა ისმოდა.

ალარ ახსოვს რამდენ ხანს იდგა. პირველად კატუშამ შეამჩნია იგი. გადმოიხედა ეზოში და დაინახა, ფანჯრის ქვე-

მთ ილო იდგა და გაშტერებული შე-
 ყურებდა მათ.

— ილო, ეს ჩვენა ვართ, ჩვენ! —
 დაუძახა მან, ილო კი შეეკითხა:

— რაო, ისევ არ გაფრინდა თვითმფ-
 რინავი?

ძლივს ძლივობით შეიყვანეს სახლში,
 სკამზე დასვეს, აჩქარებით უხსნიდნენ,
 რომ თვითმფრინავი კი გაფრინდა, მაგ-
 რამ ჩვენ დაერჩით, იმიტომ, რომ დილით
 კარგად ვერ იყავი, კატუშამ თქვა
 — ვერ მოვისვენებო.

— კატუშას უნდოდა გვიან ჩამოფრე-
 ნილიყო, როცა შენ უფრო უკეთ გახ-
 დებოდი.

— ესე იგი, მე ვარ დამნაშავე?

ილო კინაღამ გადაირია. ყვიროდა,
 რომ თუ თავს დაანებებდნენ, უკეთ იქ-
 ნებოდა. და არავის არ გაანერვაულებ-
 და. არავის არაფერს არ უშავებდა, უნ-
 დოდა ნორმალური ცხოვრება, რაიზე
 გასაგები საქმე ეკეთებინა, არ უნდოდა
 ფიქრი ჰალუცინაციაზე. შემდეგ გაჩუმ-
 და და დაძაბულად უსმენდა გადაცემას,
 სადაც მოუთხრობდნენ აქტინიდიის შეს-
 ახებ, რომელიც იშვიათი მცენარე ყოფ-
 ილა და შორეულ აღმოსავლეთში ხარ-

ობს თურმე მხოლოდ. დიდი მოთხოვნი-
 ლება ჰქონია იუგოსლავიაში. შიში ნა-
 ყოფი წყრილი თმებითაა დაფარულიო.
 ახლა, ილო ბრაზობდა, რომ იგი მაღლო-
 ბელი უნდა იყოს რომელიღაცა რედაქ-
 ტორის, რომელმაც ამ დაძინების წინ
 კაცმა არ იცის რისთვის, ჩართო გადაცე-
 მაში ეს თემაო. ამ აქტინიდიის წყალო-
 ბით შეუძლია მშვიდად იძინოს, ეჭვი
 აღარ შეეპარება ნორმალურია იგი თუ
 არა.

— რატომ ამბობ ამას?

— იმიტომ, რომ ამ ამბავს პირველად
 ვისმენ. თუ თქვენ ჩემი წარმოდგენის
 ნაყოფი ხართ, მაშინ ეს აქტინიდიის საი-
 დან გამოტყუარა? არ შეიძლებოდა ეს
 ამბავი რომ მე დამეიწყებოდა.

— მე რომელიღაც გადაცემას ვუსმო-
 ნო იშვიათ ყვავილზე, რათა გავიგო,
 როდის გაეფრინდებოთ აქედან ბოლოს
 დაბოლოს? — იკითხა სანდრომ.

ილომ ისევ გააცილა ისინი. დაიცადა
 აერობორტში, სანამ თვითმფრინავი და-
 ნიშნულ ადგილზე ჩაფრინდებოდა და
 მაინც გულის კანკალით უახლოვდებო-
 და სახლს.



ქამი მიმწუსრისა

მ ო თ ხ რ ო ვ ა

ბიელაში რიქრაქზე მოვედით. უფრო სწორედ, ცა რომ ლადარივით დაიჭირხლა, ჩვენ კოტორის ბუხტაში შევეცურდით. აქედან ბიელამდე სულ რაღაც საათნახევრის სავალადა თუ იყო. ჰა და ჰა, მეტი არ იქნებოდა; იქვე იყო გემთსარემონტო ქარხანა, სადაც ჩვენი „ანა-პა“ რემონტზე უნდა დამდგარიყო.

ცოტაც რომ გავეცურეთ, გემზე იქაური ლოცმანი ამოვიდა. მალალი, მოსული კაცი გახლდათ, დათვივით დაბაჯბაჯებდა, მიშოს ეძახდნენ. ამ მიშომ სამასგრამამდე კონიაკი რომ გადახუხა და ზედ ნახევარლიტრამდე, ჩვენებურა შამპანურიც მიაყოლა, ისეთი ენაწყლიანობა გაახურა, რომ მუცელი ხელით გვეკავა. რაღა დაგიმალოთ. ცოტა შეტიკიკიკებული ჩვენც გახლდით. სახუმარო ამბებს ზომ მაშინ აქვს მადლი, როცა მომყოლიცა და მსმენელიც მთლად დალაგებულ ჭკუაზე არ არიან.

ჰოდა, გაახურა იმ მიშომ ანეგლოტების თონე. ჩინებული ხაბაზი გახლდათ და ლავაშიც დიდებული გამოდიოდა. ენაწყლიანობა მხოლოდ მაშინ შეწყვიტა, ჰორიზონტზე ლამაზი ჩერნოგორიული სოფელი რომ გამოისახა.

შორს ნაცრისფერი კანიონების დიდი, უზარმაზარი რკალი იდგა. შიშველი, ცივი კლდეები შემაზრუნენი და ცო-

ტა მელანქოლიურიც ჩანდნენ. უფრო აქეთ მწვანე გორაკების გრეხილები იწყებოდა. ეს გორაკები ზედ მოდგომოდნენ კოტორის ბუხტას და პატარა ბიელაც თავის თბილ უბეში მოექციათ.

მიწისა და ზღვის მღუმარე, პარმონულ შერწყმაში იყო რაღაც დიდებული, ხელუხლებელი, ჭერ კიდევ წაუბილწავი და იღუმალი...

ნავმისადგომთან დიდი, კობტა გემი იდგა. კოგრიტი ავიღე და ხიდურის აივანზე გავედი. გემის წარწერა რომ წავეკითხე, ისევ ხიდურზე დავბრუნდი. მაშინვე იმ იუგოსლაველს მივვარდი.

— მიშო, ნუთუ ეს „პასატი“?

— დიას, „პასატი“ გახლავთ.

— რას ამბობთ! „პასატი“ რამდენჭერ მინახავს. მე მეთევზეებთან ვმუშაობდი არგენტინის ნაპირებთან. იქ მოდიოდა „პასატი“. ჩვენი დაჭერილი თევზი მიჰქონდა. ეს გემი კი არ ჰგავს იმას.

მიშომ გაიცინა და მუხლისთავებზე დიდი, ტონტორა ხელები დაიფერთხა.

— „პასატი“ ძმაო, „პასატი“, მაგრამ ის კი არა, თქვენ რომ ვინახავთ. ძველი „პასატი“ დიწვა. აქ იდგა რემონტზე, ხანძარი გაჩნდა და დაიწვა. ბრალში ჩვენ ვიყავით და ამიტომ ქარხანამ ნორვეგიაში იყიდა ახალი „პასატი“ და ახლა მას ვარემონტებთ. თუ რემონტინ

დამთავრებამდე ისიც არ დავწვით.

ძველი კი, თქვენ რომ გინახავთ, აი, იქ დგას, მარტო უანგიანი რკინა დარჩა, როგორც ადამიანის ნაცრისფერი ჩონჩხი.

აი, გაიხედე, უყურებ?

— ჰო, ვხედავ.

ნაღვლიანი სურათი გახლდათ. ახალი „პასატის“ უკან იდგა ჩონჩხადქცეული ჩამკვლარი, ჩაქანგებული გემი.

ნავსაბმელთან ზანტად მივეცურდით და საბმელები ვტყორცნეთ. იქ, ნაპირზე გულდაგულ დაგვაბეს თუ არა, პირველად გემბანზე ჩვენი საკვამურივით გაბერილი კაცი გამოგვეცხადა. ძლივს ამოზოხინდა, ლურჯი სუფთა სპეცტან-საცმელი ეცვა. თავზე რაღაც ჭრელ-ჭრელა ნაქსოვი ქუდი ჩამოემხო. ამ უცნაური თავსამკაულიდან მსუქანი შავგვრემანი სახე ისე მოუჩანდა, აი რკო რომ მომწიფდება და საცაა ჩენჩოდან უნდა გამოძვრესო, ზედ მიწაზე უნდა მოადინოს ტყაპანი.

ჰოდა, როგორც იყო ამოლოლდა გემბანზე ის სქელი ძია და თავი სამუშაოთა მწარმოებლად გაგვაცნო. თუმცა ჩვენ უკვე ვიცოდით თუ ვინცა ბრძანდებოდა ეს ახალი სტუმარი, შექიკვიკებულმა მიშომ მაშინვე სქელი საჩვენებელი თითი ბეტონის ნავსაბმელისაკენ გაიშვირა და ძალზე პათეტიკურად დაიძახა:

— აი ისიც, ჯოჯა დრიგა, ვინც ოთხი თვე ჭვარს უნდა გაცვათ.

დრიგა კაიუტკამპანიაში შევიყვანეთ და მაშინვე საქმეში ჩავერთეთ. მერე, სულ ბოლოს, მილებზე და რკინებზე ლაქლაქით ენა რომ მოვიფხანეთ, მე ვკითხე, ექსტურსიების საქმე როგორღა იქნება-მეთქი.

— მავ საქმეს სინდიკატი განაგებსო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით თუ იუგოსლაველები სინდიკატს პროფკავშირს ეძახდნენ და ძალზე უადგილოდ მეჩვენა ეს სიტყვა ჩვენს უბრალო საუბარში.

— საინტერესო კი ბევრია ჩვენს მხარეში. წახვალთ ტიტოგრადში, დუბრო-

ვნიკში, კოტორში, ტივინში, ადრიატიკა ძალიან ლამაზია და ისტორიული ძეგლებიც ბლომადაა. ჰო, მონტენეგროს ძველ დედაქალაქს — ცეტინსავე ნახავთ.

დრიგა ტრაპამდე მივაცილე. ჯერ სულაც არ მქონდა სურვილი ნაპირზე გადასვლისა და ძირს აღარ ჩავსულვარ. აქ დავემშვიდობე სტუმარს. ნავსაბმელთან ცალკარიანი ძველი ფორდი იდგა. სამუშაოთა მწარმოებელმა მანქანის კარი გამოაღო და საქუსთან ღუზასავით მიმედ დაეშვა. ის ძველი ფორდი მაშინვე აავრიალა და როცა ვიფიქრე ახლა უკვე ცხრა მთას იქით იქნება-მეთქი, დრიგა ისევ კაიუტკამპანიაში გამომეცხადა!

— ჰოდა, კიდევ რა, მეგობარო, სულ დამავიწყდა, ზელენიკში წადით, აუცილებლად წადით ზელენიკში.

დრიგამ სკამი გამოაცოცა და ზედ სახანვეროდ ჩამოჯდა.

— იქ ერთი საინტერესო მოხუცი ცხოვრობს. მთელი სამყარო რომ მოიაროთ, ისეთს მოხუცს მეორეს ვერსად იპოვით. ყოფილი წყალქვეშელი კაპიტანია, ავსტრია-უნგრეთის სამხედრო საზღვაო ფლოტში მუშაობდა.

ზელენიკი აქედან სულ ახლოსაა, ცხრა კილომეტრი იქნება. არა და არა, მეტი არ გამოვა.

სახლი, რომელშიაც ცხოვრობს, თვითონ აიშენა. უმკველად ნახეთ კარლ შტუტბერგერი.

— გერმანელია?

— არა, სლოვენი გახლავთ. სლოვენებს თითქმის ყველას გერმანული გვარი აქვს.

დრიგა შებრუნდა და ტრაპს მიაშურა.

არც იმ დღეს და არც მეორე დღეს გემზე სხვა ვინმე აღარ გამოჩენილა. ჩვენ რომ მივაშურეთ ჭარხის დირექციას და ცოტა საყვედურიც შეგვადრეთ, რემონტს რატომ არ იწყებთქო, დაგვამშვიდეს: ჩვენი შემდგომი ბედი იმ დღეში „პასატაზე“ მორჩებიან საქმეს და „ანაპაზე“ გადმოვლენო. თვა-

ლის დახამხამებაში თქვენს გემს სულაც დაღადავებენო.

„პასატიც“ ჩვენი გემი იყო — საბჭოთა კავშირის და მეტი პროტესტი აღარ განგვიცხადებია. რა მნიშვნელობა აქვს, მარცხენა ლოყა აგვეწება თუ მარჯვენა. სხვათაშორის, იმ „პასატზე“ ერთი ეკიმი მუშაობდა — ნიკოლაი კლიმენკო. სიმფეროპოლელი გახლდათ. ორმოცდაექვსი წლისა იყო. დრო უქმად არ დაეკარგა, ცხოვრებისაგან ბევრი რამ ესწავლა.

მე და კლიმენკო შეხვედრისთანავე დაემეგობრდით.

დილით გამომიარა და გემზე არც კი ამოსულა, ქვემოდან ამომძახა: ზელენკოში ხომ არ წამოხვალა.

იქ რა ვინდა-მეთქი და მაშინვე ის ბერიაცი შტუტბერგენი მიხსენა.

თავპატივი არ გამოიღვია, მაშინვე დავთანხმდით.

მზე ჭერ კიდევ არ ამოშორებოდა მონტენეგროს კანიონებს. შიშველი ციკაბო მთების თავზე იქითა თხემებიდან მომდგარი სხივები ოქროსფერ კამარას ქმნიდნენ. ძალიან ლამაზი სურათი იყო. მე და ნიკოლაი კლიმენკო თვალმოჭუტული გავუფრებდით ცხენების რემასავით გაბაწრულ კანიონებს.

— გუშინდელი ცა სულ სხვანაირი იყო. — თქვა კლიმენკომ.

ის იყო ქარხნის ჭიშკრიდან გამოვედით, წინ სამი გაოფლიანებული ბიჭი შეგვეფეთა. სამთავეს სპორტული კოსტუმში ეცვა, არაქათგამოცლილი იყვნენ და კოსტუმებიც ისე გაელუმბათ, გეგონებოდათ მთელი ერთი საათი ტროპიკული წვიმის თქვის ქვეშ იდგნენო.

ონაერებმა ის იყო პასატივით ჩაიქროლეს და ქარხნის ფართო ჭიშკარში გაუჩინარდნენ, რომ სანაპიროზე სპორტულად გამოწყობილი ქალი გამოჩნდა. ჩქარი ნაბიჯებით მოდიოდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ნაბიჯები შეანელა. მოვიდა და დადგა.

— გამარჯობათ! ჩემი გიყვები ხომ არ დაგინახათ?

— ახლა გაგვირბინეს. — უთხრა კლიმენკომ.

ქალმა დიდრონი ცისფერი თვალემა ახლა მე შემომბანათა.

— თქვენ „ანაპის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე ბრძანდებით, არა?

— დიახ! — ვუთხარი მე.

— შორიდან გიცნობთ. მე „პასატის“ კაპიტნის მეუღლე ვარ. ჩვენი გემიდან გხედავთ ხოლმე. ბიელაში პატარა რუსული კოლონა გვაქვს და ვალდებულ-ცა ვართ ერთმანეთს ვცნობდეთ.

— რასაკვირველია.

დავეთანხმე მაშინვე მე და გავიფიქრე, რომ „პასატის“ კაპიტანს მეტად მომზიბველი მეუღლე ჰყავდა.

— საით მისეირნობთ?

კაპიტნის ცოლმა ისევ კლიმენკოს შეხედა.

— შტუტბერგენთან მივდივართ, ანა ბორისოვნა!

— ჩემი დიდი მოკითხვა გადაეცით მოხუცს. უთხარით რომ ზევ მისი სტუმარი ვარ.

ქალი წავიდა.

ცოტა რომ გავიარეთ და ანა ბორისოვნაც ქარხნის ჭიშკარში შესულად დავევლეთ, ექიმს გავხედეთ.

— ნიკოლაი დიმიტრიჩ, თქვენს კაპიტანს ჩინებული მეუღლე ჰყოლია. როგორც უკვე ვატყობ, ჩერნოგორიელები ცუდი შებადურნი არ უნდა იყვნენ. პირველად მე მათ თვალწინ ასეთ კალმას სისხამზე ანკარა წყალში არ ვავეშვებდი. თუ რომელიმე ჩერნოგორიელი სასროლ ბადეს გაშლის, ის სამი ლიფსიტა, ლედის წინ რომ გარბოდნენ, ვერაფერი შვილი კავალრები აღმოჩნდებიან.

კლიმენკოს თხელ, ქალურ ტუჩებზე ცბიერი ღიმილი გაექცა.

— ყველა იმას აკეთებს, რაცა სურს. კაპიტანმა თავისი საქმისა თვითონ უკეთ უწყის. ანა ბორისოვნა კი ყოველ დილით ექვსის ნახევარზე დგება და შეიდ კოლომეტრს ისე დარბის, თითქოს და ბიელის გზაზე ფრანგულ სუნამოს უფასოდ არიგებდნენ.

დიდებული ქალია.

ექიმი ჩემსკენ გადმოიხარა და ყურში ჩამჩურჩულა.

— ჩვენ ყველანი შეყვარებული ვართ მასზე.

ბიელას სანაპირო გზას მივუყვებოდით. ჯერ იყო და ხელმარცხნივ პატარა კაფეს ჩავუარეთ. კაციშვილი არ ქაჭანებდა შიგ. ადრე იყო და აბა ამ უთენია აქ მობრძანებით ვინ შეიწუხებდა თავს. შემდეგ ხელმარცხნივ საპარკმახერო გამოჩნდა. ვიტრინაში სრულიად შიშველი ლამაზი ქალის სურათი ეკიდა. იმ ლამაზ ქალს თავი კეკლუცაღად გამოიხარა და თავის ექსტრამოდურ ვარცხნილობას ჭიშიან ბარძაყებთან და მკრივ ძუძუებთან ერთად ქვეყანას უჩვენებდა.

ამ მომხიბვლელ სურათს თვალი ძლივს ძლივობით რომ მოვაშორე და გგარიანი ნერწყვიც გადავეყლაპე, მარცხნივ ერთსართულიანი ხის სახლი გამოჩნდა. ის იყო ხის სახლს გაუესწორდით, რომ ვილაცამ მოტოციკლეტი მოაგრილა, და ამ სახლთან დადგა. ორთვალია ზედ კედელზე მიიყუდა, ჭიბიდან დიდი, უშველებელი გასაღები ამოიღო.

— ეს მარკო მარკოვიჩის საკუთარი ღვინის სავატროა. — მითხრა კლიმენკომ და ის კაციც, ამ ხუხულასთან სულ ახლახან მოტოციკლეტი რომ მოაგრიოლა, წინ გადაგვიდგა.

— ექიმო, თქვენი წამალი ძლიერ მომიხდა, ახლა უკვე აღარ მახველებს.

მერე მარკო მარკოვიჩმა წერილი, ღვინო-მღვინეობის ნახშირით შევი თვალე-ბი მე შემომამატერა.

— კომისარო, დაგვაფასეთ, მობრძანდით ჩვენსა, თითო სირჩა ვისკი ან ღვინო, გნებავეთ კონიაკი მიირთვიეთ.

კლიმენკომ თვალი ჩამიკრა.

— სიფთაზე მგონი ცუდი წინადადება არ უნდა იყოს.

მხრები ავიჩეჩე. წინადადება კი მომწონდა, მაგრამ ამ ტიპს — მარკოვიჩს პირველად ვხვდავდი.

თუ ვსურს სპილო დაიჭირო, ბორკი-

ლიც უზარმაზარი უნდა გადმოიხარა. პინძელმა იმ დიდი გასაღებით კარზე ჩამოპორწიალებული უშველებელი ბოქლომი ხენეშით მოხსნა და ნესტიან დარბაზში შეგვიძღვა.

პირდაპირ უშველებელი ჩანები ჩანდნენ. ბარე თხუთმეტამდე მაინც იქნებოდა. მარჯვნივ და მარცხნივ ლურჯად შეღებილ კედლებზე უმინო თაროებში ათასნაირი ვისკის, ჭინის, კონიაკის ბოთლები სულ სხვადასხვაფერად ელავდა.

მარკოვიჩმა თხელი ფართხუნა პალტო სწრაფად გაიძრო და თეთრ, ქათქათა ხალათში ხელები გაუყარა.

— რას მიირთმევთ, ექიმო. ალბათ თქვენს საყვარელ წითელ ღვინოს? თქვენ, კომისარო?

კლიმენკოს გაგზავნე.

— მარკოს კარგი წითელი ღვინო აქვს. თუმცა მიჭირს იმის თქმა, როგორ მოეწონება მარკოს მამულის ღვინო ქართველ კაცს.

მასპინძელი თვალეებში შემომციცი-ნებდა.

— იყოს წითელი ღვინო, შევსვამ. — ვთქვი მე.

მარკოვიჩმა ჩანების წინ გამართულ დაბალ დაბლზე სამი სირჩა დადო. მერე ხის დიდი კათხა ჩანს შეუშვირა და სისხლივით წითელი ღვინით აავსო.

— მოგწონს?

ექიმმა მხარი წამკრა.

კარგი უნდა იყოს-მეთქი, თავი დავუქნიე.

სულ სამადსამი ქიქა შევსვით. შხითა და ბუნების მადლით სავსე ღვინო გაბლდათ, მთელს სხეულში მაშინვე ღვინოვით გაიარა.

კონოსთან რომ მივედი, კლიმენკომ მითხრა: ჯერ ადრეა, მოხუცს ეძინება და მოდი იმ მთაზე ავიდეთო.

რვა თვე თითქმის სულ გემზე გავატარე, უმოძრაობის გამო ცოტა დაკუნტული ვახლდით, მაგრამ, ჭანი გავარდეს, მაინც დაეთანხმდი და დაცერილ თხემებს აყვევით.

კლიმენკო ჩქარა აღიოდა ფერდობზე. მე კი ჩამოსაწერ მანქანასავით

ხენეშას ვუმატე. მერე მთლად, რომ მომელო ბოლო და მართლაც ყავლგასული მოტორივით ავთუხთუხდი, ექიმს აფძახე, მოიცადე-მეთქი.

კლიმენკო შედგა და მილამოს მშვიდლი, შოალერსე თვალი გაადევნა. როგორც იყო მეც ავლოლდი იმ ბექობზე და ექიმს ხელი ბექზე დავკარი.

— იციან რა, მეგობარო, თქვენ თუ ასე ჯიხვივით იხტუნავით გორაკიდან გორაკზე, მე ისღა დამჩენია, შინ დავბრუნდე. პარტნიორად არ გამოგადგებით. ჯობს ნელა ვიაროთ, არსად არ მიგვეჩქარება. მით უმეტეს, ის ბებერი კაპიტანი თორმეტ საათამდე ფეხსაც არ გაანძრევს თურმე.

— ჰო, მართლაც და ჩქარა მივდიოდი. — ჩაიღუღლულა ჩემმა გამყოლმა და დაბნეულად შემომხედა. მერე თვალეზში ისეე ჩაუდგა სითბო და ალერსი. ხელი წინ გაიშვირა.

— მკედარი „პასატი“. ოთხი წელი გცურავდი ამ გეშზე. საკუთარ სახლად იქცა და... უცბად, ერთ ღამეში მისგან არაფერი აღარ დარჩა.

— რა მოხდა, როგორ დაიწვა?

კლიმენკო ჩამოჯდა. მე, რასაკვირველია ვისარგებლე ამ შემთხვევით და მაშინვე მის გვერდით ახლადწამობიბინებულ ბალახზე მოვკალათდი.

— ჩვენ, „პასატის“ ეკიპაჟის წევრები უკვე მეორე წელია აქა ვართ. გემს დიდი კაპიტალური რემონტი სჭირდებოდა. ვნახოთ, ერთხელ ღამით ხანძარმა იფეთქა და მთელ გემს მოედო. მერე, როცა ექსპერტებმა ყველაფერი კარგად შეისწავლეს, გამოიჩვენა, რომ ბრალში შემძლელები ყოფილან. მთელი დღე იმუშავეს ტრიუმფში, როცა წაფილნენ, გავარგარებული რკინა ასე უცბად არ დაეცრა — სადღაც უდიერად დაყრილ ჩვრებში პირველი ნაპერწყალი გაღვივდა და მერე, იცოცხლე, მთელ გემს მოედო.

გათენებისას ყველაფერი დამთავრებული იყო, „პასატი“ ქართლ იქცა.

— წავიდეთ! — ჩამესმა კლიმენკოს

ბოლმადახეველი, გაბზარულმა მაშინვე წამოვდექი.

ერთხანს ისე მივდიოდით თითქოს დარალაზე წახლებებული ვყოფილიყავით. მერე ბროწეულის ბუნჩნარებში რომ შევედით, ექიმი შეჩერდა.

— გვიან შემოდგომაზე უნდა ნახოთ ეს ადგილები. ერთ რამედ ღირს... წითლად რომ გამოანათებს მწიფე ბროწეული, მის ნახვას არაფერი სჯობს.

შემობრუნდა და ისევე ბიელას ვახედა.

— შენდებო, მთელი მსოფლიო შენდებო. აი ის ორი სახლი, შარშან არ იყო. ამ შეიდი თვის წინ ყამირს ილია არტამანოვივით ორი გამრჩე გლეხი დაეპატრონა და ხედავთ? რა სახლები წამოქმდეს! მალე სულ დამთავრებენ და წალკოტში იცხოვრებენ.

— მთელი მსოფლიო შენდებო, ადამიანი იშენებს სახლს. — დაიძახა პათეტურად ექიმმა და ველური ბროწეულის ბუნჩნარში ბილიკი იპოვა.

კიდევ ორი გორაკი ვადავიაირეთ. უკვე ახლად აყვავებული მიმოზის ხეივანში ვეშვებოდით. ისეთი საამო სუნნი იდგა, სიყვარულისა და სიცოცხლისაგენ რომ გეჭაჩებოდა. კეშმარიტი ღვთაებრივი ბანგით გათრობს და გავიწყდება რომ შენს ირგვლივ არსებობენ დამწვარი, დაფერფლილი გემები.

ორთავენი ვდუმდით... ყურს ვუგდებდით ახლადგაღვიძებული ბუნების იღუმალ ჩურჩულს. თითქოს და ესესაა აკნიდან ყრმა გადმოსულიყოს, მკლავები გაეშალოს და ცეროიან ბალახზე პატარა, სუსტი ფეხებით პირველად გავვლოს.

ხეივანის ბოლოში ორი შოშია დავაფრთხეთ. შოშიებმა დაიკაბჯახეს და ტყეში შეფრთხილდნენ.

— ხედავთ, ადამიანებს რა არევა-დარევა შეგვაქვს ტყის ცხოვრებაში.

— ეს მის შემდეგ, რაც რომ გამოქვაბულები დაეტოვეთ და სახლის შენება ვისწავლეთ.

— სწორია, — მაშინვე დამეთანხმა ექიმი.

მერე დიდ მუხნარში გავივალეთ. იდგნენ უშველებელი ბებერი ხეები. გარინდებულნი და ერთ წრედ შემოჯარულნი სათათბიროდ დაუძღვებულ ბერიკაცებს ჰგავდნენ. ზანტად ახმაურებდნენ სიკოცხლემადგარ ტოტებს და მორჩილად ესალმებოდნენ მზის პირველ სხივებს.

მუხნარი განველეთ და ერთბაშად ქვის უშველებელ გემს მივადექით.

პატარა ბექობზე ნაძვებისა და მაგნოლიების, დაფნისა და ზეთისხილის, მანდარინის, ძეწის და კიდევ ჩვენი პლანეტის ათი ათასი ხის შესანიშნავ ბაღნარში დიდებულად იდგა ქვის დიდი გემი.

წინ, ფორშტეენთან უშველებელი ტრაპი ჩანდა. ის მარჯვენა ბორტიდან პირდაპირ ზეთისხილის ხეივანში ეშვებოდა.

გაოცებული ვიდექი და თვალგზომუხტული გავყურებდი ამ საოცრებას.

— მისი უდიდებულესობას ავსტრია-უნგრეთის ფლოტის აღმირალს უკვე გაუღვიძია. — მითხრა კლიმენკომ და ტრაპისაკენ გაიარა. მერე ზედ შედგა ხელები ტუჩებზე მოიმრგვალა და მთელი ხმით დაიძახა.

— კაპიტანი!

გავიდა ერთი წუთი, ორი, სამი, ოთხი. კლიმენკოს ვანიშნე: ხომ არ ავსულიყავით-მეთქი.

ხელი გაიქნია, არაო.

ცოტაც კიდევ შევყოვნდით და ერთბაშად ფორშტეენთან ერთი გაღვული, ჩია მოხუცი გამოჩნდა. განიერსათავიანი ფართხუნა შარვალი ეცვა. ზუსტად ისეთი, რომლითაც ცეროდენა ჩარლი მთელი მსოფლიოს აღამიანებს სიცილით ხოცავდა.

ზევით კიდევ თეთრი, ქათქათა ხალათი ეცვა. ისიც ასევე განიერი, ბორტები ჩურჩხელებივით ეკიდა.

გამოფრატუნდა მოჩვენებასავით ეს გაღვული მოხუცი, გადმოგვხვდა კე-

თილად გაგვილიმა და ზემოდან-სივლილად გადმოგვძახა.

— ამობრძანდით, ტრაპი დაშვებულაია.

კლიმენკომ ხელი დაუქნია.

— ჩვენ ვართ, კაპიტანი, „ანაპის“ კაპიტნის პირველი თანამემწყე და მე — ექიმი.

მოხუცს მგონი მისი სიტყვები სულაც არ გაუგონია, მაგრამ თავი ისე დაიქნია — ყველაფერი მესმისო.

ალარ დაგვიყოვნებია და ტრაპზე ავლოდით.

გადავდით თუ არა ქვის დიდ აივანზე, თავი მართლაც გემზე წარმოვიდგინე. ფორშტეენიდან ხუთიოდე მეტრის დაშორებით ქვის სამსართულიანი კოშკი იდგა. კოშკი ახლახანს შეეღებათ თეთრად და სულ ლაპლაპებდა. ფორშტეენისა და კოშკს შორის წინაერდოზე ქვისგან ორი დამქაჩი გამოეთალათ. იქვე ეგდო ღუზის მსხვილი ჯაჭვი და საღებავების კასრები.

გაოცებული ვიდექი და ყველაფერს გულდაგულ უსინჯავდი. მოხუცმა ხელი რომ გამომიწოდა, მაშინ გამოვერკვიე.

— „ანაპის“ კაპიტნის პირველი თანამემწყეა. გაუმეორა ძველ კაპიტანს კლამენკომ.

ბერიკაცმა თავი დაიქნია. მერე გრძელი ყავისფერი ტყავის ზონრით წინ ჩამოპორწილებული ჰოგრიტი მოიმარჯვა და ბიელას გახვდა.

— „ანაპა“ მეოთხე ნავსაბმელთან დგას, მის უკან ახალი „პასატია“, ახლის უკან კიდევ ძველი, დამწვარი.

— სწორედ ასეა, — უთხრა კლიმენკომ.

მოხუცმა ჰოგრიტი ნელა მოიშორა და შემობრუნდა. ახლა შევხედე პირველად სახეში ასე ახლოდან. ძალიან ცოცხალი, მეტყველი თვალეები ჰქონდა. ხატზე რომ დაფიციცა, მაინც არ დავუჯერებდით, რომ ოთხმოცდაშვიდა წლის მოხუცი გახლდათ.

— გინახავთ საღმე ასეთი სახლი?

მოხუცი ეშმაკური ღიმილით მომჩერებოდა.

— არა მგონია, რომ სადმე მეორე ასეთი სახლი არსებობდეს.

ჩემი პასუხი ესიაშოვნა. ხელი მკლავზე მომიკადა და მოაჯირთან მიმიყვანა. ქვევით ტრაპს ქვევით მთელი წალკოტი ჩანდა.

— მე გავაშენე, თვითელი მცენარე ჩემი ხელით დავრგე. ნერგები საიდან არ მომქონდა, ვუვლიდი და ყველა ქვეყნის ხე ერთად გავახარე.

— როგორც მითხრეს, ეს სახლიც თქვენ აგიშენებიათ?

— დიახ, შოლოდ მე, მაგრამ ნუ ამბობთ ასე, სახლი კი არა, თქვენ გემზე იმყოფებით.

სახეზე ღიმილი ჩამოეწმინდა, ერთბაშად სერიოზული გახდა. სიმართლე გითხრათ, ეს სახეცვლილება არც კი უხდებოდა. მზესავით ნათელი ბერიკაცი იყო და თაღისანი ღრუბელი ვერ დაიმშვენა.

მაგრამ უცბად გამოიღარა, მიმზიდველი, კეთილი ღიმილი კვლავ განათდა ძველი კაბიტნის სახეზე, თოვლის ფთილებივით თეთრი თმები ორივე ხელით უკან ზანტად გადაიფარცხა.

— გემის კორპუსი ერთი მთლიანი ქვისაგანაა გამოკვეთილი. მთელი წელიწადნახევარი მარტო ამ საქმეზე ვმუშაობდი. რამდენი ენერჯია შევალიე!

— დაუჭერებელია, რომ ერთმა გამოკვეთეთ.

— ადამიანს ყველაფრის გაკეთება ძალუძს. ორგან გამებზარა უკანა ერდოსთან. ჩემი ბრალი არ ყოფილა. ძველი ბზარი გახლდათ და ცოტაც შემდეგ გაფიცხდა, ურო რომ დაეკარი.

— ხომ გავს ვემს, პა? — მკითხა უღრესად სერიოზულად.

— რასაკვირველია, ადგილიც ჩინებული შეგიჩნევიათ. მწვანე წალკოტზე, როგორც ოკეანის ზვირთებზე ისე გადმომდგარა გემი.

სახე გაუნათდა.

— წამობრძანდით.

მე და გქიმი მიყვებით.

კოშკში რომ შევედით, არც მაშინ

მიგვრძნია, რომ ჩვეულებრივ ქვის სახლში ვიმყოფებოდით. ყველაფერი ისე გახლდათ მოწყობილი, როგორც ეს საოკეანო გემებშია. ჭერ იყო და რკინის განიერი ლუკით გვერდით ოთახში თუ კაიუტაში შევედით. აქ კედლებზე, მაგიდებზე, მთლად დამტვერილ თაროებზე გამოფენილი იყო ხუთასამდე სხვადასხვა დროისა და ხალხის ცეცხლმსროლელი იარაღი: დამბაჩები, თოფები, მცირეკალიბრიანი ზარბაზნები. ყავლგასული ნივთების ამ კოლექციას ერთბაშად უძველეს საუკუნეებში გადაეყავდით.

გვერდითი ოთახიდან წითლად შეღებილი ლიუკით წინა ოთახში გავედით. აქ ხმლებისა და დაშნების, სატვერების გამოფენა გახლდათ გამართული.

მესამე კაიუტის ლიუკი რომ შევალეთ, პირველად თვალში იატაკზე დაწყობილი დიდი მეწამულისფერი ამფორები მომხვდა. თორმეტი ცალი იყო, ორ რიგად ეწყო კედლის გასწვრივ.

ბერიკაცმა შეამჩნია, ამფორებს რომ განსაკუთრებული ინტერესით ვაჩვენებ.

— ეს ამფორები კართაგენის ნაპირებთან ამოვიღე ზღვიდან. ჭერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთორმეტე საუკუნეში კართაგენელ მეზღვაურებს ამ ჭურჭლით სასმელი წყალი მიჰქონდათ ნაოსნობაში.

უფრო მეტი მქონდა, მაგრამ შეიდი ცალი ევროპის მუზეუმებს დაეთმო.

ძველი კაბიტანი შებრუნდა და მეორე სართულზე ამაველ ხის წრიულ კიბეს მიაშურა. მე და კლიმენკო უკან ივედებენ.

მეორე სართულზე სამივე სრული ოთახი თუ კაიუტა გემების მაკეტებს ეჭირა. სხვადასხვა დროის გემები — ფინიკიური და კართაგენის, ბერძნული და რომაული, ესპანური, წერილი მაგარი თოკებით ჭერზე იყო ჩამოკიდებული. მთელი სამყაროს ზღვაოსნობის ისტორია ამ კედლებში იყო მოქცეული. დამტვერილი, ვამყვებული გალერები, მრავალნიჩბიანი და იალქნიანი გემები ადამიანს რომ დიდი სინატიფით, ნი-

კით უშენებია, ჰეშმარიტად ჩინებულ სანახაობას ქმნიდა ქვის ცივ სამყაროში.

ბერიკაცს ცოცხალი მეტყველი თვალები სიხარულით უციმციმებდა. ვგრძობდი, რომ აქ, გემების სამყაროში ყოფნა მას განსაკუთრებით სიამოვნებდა. ჩემს თვალში ეს ჩია, გალუული არსება ერთბაშად ამალღდა და დევკაცად იქცა.

— თვითველ გემს ზოგჯერ ერთი თვე უწინდობდი. ჯერ სპეციალურ ხეშვარჩევდი. ყველა ხე ვერ იტანს ადამიანის ხელს, ზოგი ფიცხია და ხელში შემოგეფშენება.

აი, ნახეთ რამდენია, სამასსამოცდახუთი. რამდენი დღეცაა წელიწადში, იმდენი გემი დავამზადებ.

მთელი სამი საათი მეორე სართულზე გავატარე. მერე, როცა გული ვიჭერე ამ ჩინებული გამოფენით, მესამე სართულისაკენ მიმავალი წრიული კიბესაკენ წავიდი. ძველმა კაპიტანმა შემაჩერა.

— იქ შე ვცხოვრობ. არაფერი შეიღლი სანახაობაა. თუ მინდა მინდა ძველებური მუნდირებისა და ჩინ-მედლების ნახვა გაინტერესებთ, შეიძლება ავიდეთ.

კლიმენკომ თვალით მანიშნა: ავიდეთო. მეც უკან აღარ დამიხვევია.

მოხუცი ახლა ზანტად, უხალისოდ მიგვიძლოდა. ის არაჩვეულებრივი ცეცხლი მას თვალებში პირველად ხილვისას რომ შევნიშნე, თითქოს და განელებულიყო კიდევ. ზევით ავედი თუ არა, მაშინვე ხელმარჯვნივ შეგვაბრუნა და ერთ სრულ ოთახში შეგვიყვანა.

აქ სამი კედლის გასწვრივ თხუთმეტამდე გარდერობი იყო ჩაირიგებული. თვითველ გარდერობში ეკიდა სირმებითა და სამხრეებით კოხტად გაწყობილი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის აღმირალის საპარადო და სამწყობრო მუნდირები, კიტელები, მაზარა და ხალატი. ერთ კარადაში ფერად ბალიშებზე ვლავა ორდენები და მედლები, რომელთაც ოდესღაც, როცა მისი მომკ-

რელები ფეხზე იდგნენ და უკერძოდ აზანზარებდნენ, ფასი ჰქონდათ.

ახლა უკვე გახუნებულიყვნენ და თუნქის უბრალო საბრჭყვიალოებად ქცეულიყვნენ. როცა ამ დამტვერილ სანახაობას შევეურებდი, ასე მეგონა გამოტირებული იმპერიის საფლავთან ვიდგე. ეს წუთები ძალზე მელანქოლიურიც გახლდათ და ცოტა სასაცილოც.

კარლ შტუტბერგენმა ჩაახველა.

— ის სამი ორდენი თვით იმპერატორმა ჩამომკიდა.

ბერიკაცი სახეში კმაყოფილებით შემომყურებდა. თუმცა ცოცხალი, მეტყველი თვალები ჩემსკენ მოეპყრო, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ფიქრებით სხვაგან იყო. ალბათ ვენაში ფრანციოსების დროინდელ სისახლის უშველებელ დარბაზში. მოაბიჯებს იმპერატორი და თან მოაქვს ბრჭყვიალა ზიზილპიბილოები, რომლითაც თავის ერთგულ ყმათა მკერდი უნდა დაამშვენოს.

— იცით რა! — უბად გამოერკვა კარლ შტუტბერგენი, — აი ის, მესამე ორდენი რომ გადმომცა მისმა უდიდებულესობამ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ვიყავი. სისახლეში იმ დღეს ერთ ძალიან ლამაზ ქალს შევხვდი. ანა მარია კრიუგერის იმპერატორის გვართან რაღაც ნათესაობა აკავშირებდა. დღესაც არ ვიცი თუ რად მოხვდებოდა ტახტს, ისე კი ნამდვილად ნათესავი გახლდათ. ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს.

მთელი ორი თვე დავრჩი ვენაში და ეს მზიანი დღეები ანა მარია კრიუგერის საზოგადოებაში გავატარე.

ბერიკაცმა ხელი მომკიდა.

— აქ სანახავი მეტი არაფერია, ჩავიდეთ ქვევით.

კლიმენკომ თვალით რაღაც მანიშნა, მაგრამ ვერ გავუგე თუ რისი თქმა სურდა.

ტრაბან რომ მივედი, შევჩერდი.

— ბატონო შტუტბერგერ, თქვენს საინტერესო ამბავი წამოიწყეთ მესამე სართულზე, სამწუხაროდ არ დავისრულებიათ. — ვუთხარი მოხუცს.

— ანა მარია კრიუგერის შესახებ...
დახ, მასთვის. მაგრამ მეტი არაფერი
მომხდარა. ორი თვე მის კალთასთან
გავატარე. შემდეგ ისევ ზღვა... სულ ეს
იყო... ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ.
ბერიკაცი უცხად ექიმისაყენ შებ-
რუნდა.

— ხომ არ იცით, როდის მიაქვთ
სპლიტში დასაქრელად ძველი „პასა-
ტი“?

— ზეგ, ზეგ მიაქვთ. — თქვა ექიმმა
და ზღვას გახედა.

— ბევრი გემის ჩამოწერა მინახავს.
ეს პროცესი ადამიანის ცხედარს კრე-
მატოროიაში რომ წაიღებენ, იმას მაგო-
ნებს. — თქვა ძველმა კაპიტანმა.

ტანში გამერა.

მოხუცს გავხედე. ნიკაბი ჩამოვარდ-
ნოდა, ძალიან ტანჯული სახე ჰქონდა.
სულ რამდენიმე წაწმინდა ეს კაცი ჩემს
თვალწინ ჩაჩანაყ ბებრად იქცა. ის ძვე-
ლი შემართება და არაჩვეულებრივი
რისი, თვალსა და ხელს შუა გაილალა.

ბერიკაცს დავემშვიდობეთ. ტრამპზე
რომ დავეშვიტ, კლიმენკომ მიჩურჩუ-
ლა:

— მოტყუვდით. იქ, ზევით კიდევ ორი
ოთახია, ისიც უნდა დაგვეთვალიერე-
ბინა. ამბობენ მოხუცს ისეთი რამეები
აქვს გადაძალადული, რასაც კავშირი აქვს
ანა მარია კრიუგერთანო. კარლ შტუტ-
ბერგენისა და იმ ავსტრიელი ქალის
რომანზე ათასნაირ რაღაცეებს ამბობენ.
მთავარი ისაა, რომ ანა მარიამ უღალა-
ტა. ის ორი ოთახიც უნდა დაგვეთვა-
ლიერებინა. მე კი განიშნეთ თვალით.
მაგრამ თქვენ ვერ მიხვდით. გული
მწყდება, რომ ვერ ვნახეთ.

• • •

ძველი „პასატის“ გამგზავრება სპლი-
ტში სამგლოვიარო პროცესიას ჰგავდა.
შემოვიდა ნახშირით შავი ბუქსირი
ჩვენს ბუხტაში. თუხთუხით მოადგა
მეექვსე ნავსაბმელს. მაქისსიმსხო ფო-
ლადის გვარლი გამოაბეს ძველი „პა-
სატის“ კორპუსს.

ქარხნის ნავსადგურში უამრავი ცნო-

ბისმოყვარე იდგა. ზოგს ფოტოგრაფი-
ტიც კი მოეტანა, წარამარა ატაკუნენ-
დნენ. სხვები კი ელოდნენ ის შავი ხო-
ვო, როგორ დაძრავდა დამწვარ გემს.

ახალი „პასატი“ ჩვენს გვერდით იდ-
გა. ხიდურის აივანზე კაპიტანი ივან
კოლესოვი ფეხის თრეგით გამოვიდა.
უფორმოდ იყო. თბილი ყავისფერი ხა-
ლათი ეცვა და ღია საყელოდან ბანლი-
ანი მკერდი მოუჩანდა.

განიერად ვაშლილი ხელები მოაჯირ-
ზე დააწყო, ბუქსირს გახედა, სულ რა-
ღაც წამებში მის გვერდით ანა ბორი-
სოვნიც გამოჩნდა. თუმცა თებერვლის
სუსხი იყო, მაინც შილიფად ეცვა და
ცოტა მობუხულიც მეჩვენა. სწორედ
იმ დროს ბუქსირმა მაგრად დაიქშინა,
მერე გაბმული საყვირიც მისცა და
ელმავალივით გაიქაჩა.

„პასატი“ უსულლო გაშეშებული
ცხედარივით შეინძრა. ისე შეყვანაყლდა
თითქოს და შავი კუბო ქვლებში შე-
ზარბოშებულმა კაცებმა ეს-ესაა მხრებ-
ზე გაიღესო. დაიძრა... ნელა, ზანტად,
სოფლის შუკაში აგორებული შავად-
ჩაცმული ადამიანების პროცესიასავით
დაიძრა ვარდაცვლილი „პასატი“ და
წუთისოფლის უკანასკნელ გზას, რო-
მელიც იღუშალი სიბნელისაკენ მიზო-
ზინებს, ჩუმად შეუდგა.

ვილაცამ ამოიოხრა. ახალი „პასატის“
ხიდურის აივანისაკენ რომ გავიხედე,
ივან ვრიგორიჩი იქ აღარ ჩანდა. ანა
ბორისოვნა ქარში წახრილ გამხდარ, გა-
მოფიტულ ხეს ჰგავდა. ვარდისფერი
ცხვირსახოცი ორივე ხელით სახეზე
აეფარებინა და მხრები საცოდავად
უცაცხებდა.

ბუქსირი საყვირის სევდიან ჰანგზე
მითუხთუხებდა. მზე ნელა ჯდებოდა
ბუხტაზე და მის სხივებში ფოლადის
გვარლზე გამობმული დამწვარი გემა
ცაცხლისფრად ელავდა.

უკანასკნელი გზა იყო სევდიანი და
მწარე ტყვილებით სავსე...

ექიმმა კლიმენკომ მითხრა: სინდიკატში ყური მოგვარი, კვირას მგონი მოსტარში მივდივართო.

ჩვენ ქარხნის ეზოში ვიდექით ახალი, უშველებელი დოკის, წინ პამბურგელებმა რომ ააშენეს. დოკი მართლაც და ისეთი გრანდიოზული იყო, ვერა და ვერ დავგვედგინა თუ რაში ქირდებოდა ის ველკო ვლახოვიჩის პატარა ქარხანას. ასე იყო თუ ისე, ჯერ მასზე ასული გემი კაციშვილს არ ენახა და აღბაძ დიდბაძს კიდევ ექნებოდა ასე უსაქმურად.

კლიმენკოს ნათქვამი ყურად ვიღე და მაშინვე სინდიკატისაკენ გავსწიე.

სინდიკატის ლიდერი ერთი ხარივით გაჩხინკული კაცი გახლდათ, ჩვენი სამუშაოს მწარმოებლისა არ იყო, მასაც ჯოკას ეძახდნენ. სიტყვებს ისე სწრაფად წამოიხრთდა, ან მთლად ვერაფერს ვგებულობდი, ანდა იმდენს თუ ვგებდებოდი, რომ ამ საპატიო დაწესებულებიდან მთლად გამოვლენიებული არ გამოვსულიყავი.

წენგოსფერი თმა, გაურეცხავი მატყლის ფთილებს რომ უგავდა, ნაკუწნაკუწ ჰქონდა თავზე დაკოსებული იმ ჯოკას და დანტესავით ტანჯულ სახეს, ცოტა სასაცილოს აჩენდა.

მე რომ დამინახა, დაიწყო და გაწეწეწა, სულ ჩანჩქერვით ჩამოიღვარა. როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ იმას მაინც მივხვდი, მოსტარის ამბავი რომ ნამდვილი იყო.

კვირასაც კარგი დღე გათენდა.

ტრაპიდან ჩამოვედი და სანამ ექსკურსიაზე მიმავალი ბიჭები შექუჩიდებოდნენ, ფეხი გავმართე.

ჭინში გამოკვართული ანა ბორისონა დაეინახე და გამიხარდა, მაშინვე მივხვდი ექსკურსიაზე რომ მოდიოდა. ხელში სანახევროდ დაიჭრული საველე ჩანთა ჩაებლუჯა. ნელა მოდიოდა. იფიქრებდით ამ სისხამზე საქმე გამოვლევია და ნაბიჯებს თევლისო.

— იცით რა — მითხრა ჩემს გვერდით, რომ დადგა, — ექიმმა ბოდიში მოიხადა, შეუძლოდ გახლავთ და შინ დარჩენა ირჩია.

კაპიტნის ცოლს ექვით გავხედე.

— წუხელ ივან გრიგორიჩთან ერთად გადაჰკრა და დღეს ორთავენი ლასოთი ნათრევს გვიან. აბა რა ექნებოდა, გათენებამდე უქაბუნებდნენ ქიქებს.

ჩვენი წითელი ავტობუსი მოსტარში რომ შეგვრიალდა, თებერვლის ულონო შუე ბოსნიის მთებს უკვე გადმოდგომოდა. პატარა ცოფიანი მდინარის გაღმა და გამოღმა იმდენი მეჩეთი ჩანდა, თავი ერთბაშად მექაში წარმოვიდგინე. ზოგის არსებობა უკვე კაცსაც დაევიწყებოდა და ალაჰსაც. იღვწენ გრძელი, უშველებელი საკვამურებივით აღმართული მინარეთები და კენარ ტანზე ხმელი ხავსის შემუჭებული ქურჭი მოესხათ.

ზოგან კიდევ სანახევროდ დანგრეული მინარეთები გატბალებულ ბუხრებს გვიანდნენ.

ამ ნამცეცა ქალაქში ექვსიოდე ეკლესიაც რომ დაეითვალე, ვერა და ვერ დავადგინე, სად იწყებოდა ქრისტეს საუფლისწულო მამულები და სად კიდევ ალაჰისა. ყველაფერი ისე იყო არეული ერთმანეთში, როგორც საკატლეტე მასალა საკვამურში რომ ვაივლის და მერე დიასახლისის მრგვალ გობზე ფერადი ზეინივით დაბორავდება.

ღმერთო შეგცოდე, თვალი არ ეცემ და მართლაც ასე გახლდათ ყველაფერი.

ანა ბორისონამ მხარი წამკრა: ეს ძველი, ისტორიული ქალაქიაო, ახალში აწი შევალთო.

ისე ისტორიასაც ყვარებია თურმე დომხალი, აბა ეკლესია და მეჩეთი ერთად რა გამოსატანია!

ახალ მოსტარშიაც რომ გავიჭროლეო, ავტობუსი ერთ პატარა მოედანზე მივატოვეთ. ჩვენ ცალ-ცალკე ჯგუფები შევადგინეთ და ქალაქში ქარში დაფერთხილა ხმელი ფოთლებივით გავიფანტეთ.

ბოსნიის ერაფნული მუზეუმის შე-

ნობიდან რომ გამოვედით, ანა ბორისოვნა ძლივს დავითანხმე, სასაფლაოს მივაშურეთ. სადაც კი ფეხი დამიდგამს, ერთი შემთხვევაც კი არ გამიშვია, ადრე-მიანთა ამ უკანასკნელ ნაესადგურში რომ არ შემეხედოს. ასეთი ხასიათი მაქვს და რა ვქნა!

ანა ბორისოვნა სხვა განწყობის ქალი ვახლათ, მაგრამ მინც დავიყოლიე.

მიწა უკვე თბებოდა და საფლავებსაც ხასხასა მწვანე ბალახის ცივი საბნები გადაჰყენოდა. იყო სიჩუმე და სევდა...

საფლავებს შორის პატარა ყავლგასული ეკლესია მარტოკაცივით დაყუდებულიყო. მის გვერდით ვილაცას კიდეც სამარე ვაქვრა, თვითონ შიგ ჩასულიყო და ნახშირით შავ ერთ ნიჩაბ მიწას გაზანტებული ვულკანივით დრო-დადრო ამოაფრქვევდა ხოლმე.

როცა თავს წავადექით და გვირბანი სალამიც ვუთხარით, იმან, იმ ბოსნიელმა დაბლაგული ნიჩაბი გვერდზე გადადო და ღიმილით ამოგვხედა. მერე ჭრუღიარლიყიანი ბოთლი ზოზინით აიღო, სქელ ტუჩებზე მიიყუდა. მოსვა და ისევ ზოზინით მოაშორა, გაიღიმა და თვალი ჩამიკრა.

— ხომ არ დაღვეთ? კარგი ვისკია.

— გმადლობთ-მეთქი.

თავი დაიქნია და ბოთლი მიწაზე დადო.

— მეოთხე დღეა ვთხრი, მაგარი მიწაა.

— მარტო რატომ მუშაობთ? — ჰკითხა ანა ბორისოვნამ.

— ვინმე რომ დავიჭირავო, ეს იმას ნიშნავს სამი ათასი დინარი ქარს გავატანო. არსად არ მიმეჩქარება, ნელნელა ვთხრი.

— მიცველებულს ხომ ეჩქარება?

ბოსნიელმა გაიცინა.

— მიცვალებული მე ვახლავართ, ქალბატონო.

— როგორ თქვენ? ვერაფერი გამიგია!

— საკუთარ სამარეს ვთხრი. თადარიგიანი კაცი ვარ, წინასწარ ვამზადებ.

ასე ჯობია: მერე ვინ იცის რა ექნება ბოსნიელი ნიჩაბს წაეტანა და მაგრად დაჰკრა ვაქვავებულ მიწას.

სასაფლაოდან რომ გამოვედით, ნარინჯისფერი „ზასტავა“ კინალამ შემოგვასკდა. ვილაც დამთხვეული იქდა ალბათ საუესთან, გოყივით მოჰყავდა. იღბლად დამუხრუჭება მანც მოასწრო და მერე გადმოსვლაც იკადრა.

ნილოსი რომ ცეცხლოვან მიწასთან დამხვედროდა, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც აქ, ახალ მოსტარში კარლ შტუტბერგენის გამოცხადება...

იღვა თმაგაჩნილი ძველი კაპიტანი ნარინჯისფერ მანქანასთან და დაბნეული ილიმებოდა.

ახლოს რომ მივედით, ხელი გამოგვიწოდა.

— ანა ბორისოვნა, შორიდან გიცანით. ღმერთმანი გიცანით და დამუხრუჭება დავიწყე. რა კარგია რომ ვნახეთ. სარაევოდან მოვდივარ. შეხედეთ, ერთმა ძველმა მეგობარმა რა მაჩუქა.

მანქანის კარი გამალო. უკანა საჯდომის მთელ სიგრძეზე თხელი, ენგმოდებული ღუზა იდო.

— მეცხრე საუკუნისაა. ძლივს გამოგვანცლეს იმ ჩემს ძმაცაც. თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ხუთი წელია რაც ამ საკითხზე მასთან წერილობით ვაწარმოებდი დიპლომატიურ მოლაპარაკებას. ოცი ათასი დინარიც კი შევაძლიე. უარი მომწერა. ბოლოს მუქთად მომცა. როგორ მიხარია!

მაპატიეთ, მინდა სინათლეზე ვიარო, ღამით მიჭირს საუესთან ჯდომა. ჩემთან შემოიარეთ. გელით, ჭიქა ყავაზე, ახლა ცოტა დათბა და ეზოშიც შეიძლება დაჯდომა.

მოხუცი აფუსფუსდა. კაბინაში ფაციფუციო ჩაჭდა. მანქანამ სასაფლაოს რომ გაუქროლა, გვირბანი კვამლიც დაყენა: ღეთის წინაშე ის გავიფიქრე, რამდენ ხანს უნდა ვაეკეცე საგულდაგულოდ ვათხრილ სამარეს კარლ შტუტბერგენი! ნუთუ უზენაესს მისთვის ჯერ კიდევ არ მოუკითხავს ოთხი ცალი ფიცარი და მიწის ერთი ციკნა

ნაგლეჯი. თუშეა მე ვინა მკითხავს, იმ ბერიკაცმა თავისი „ზასტავით“ ამ ჩვენს პლანეტაზე რამდენიც სურს იმდენი იქროლოს. ეს მისი საქმეა და, კაცმა რომ თქვას, მე არც უნდა მაწუხებდეს.

• • •

ანა ბორისოვნამ აიხირა, თორემ მე იმ დღეს სულაც არ მეპრიანებოდა შტუტბერგენთან ეიზიტი. კარგი დღე იყო, ათასჯერ მერჩია კოტორისაკენ გამეფლოს და ამ ძველთაძველი ციხისიმაგრე და გრძელი გალავანი შენახა, რომელზედაც ამდგენს მეჩინებოდნენ. მაგრამ ხომ გაგიფიქოთ, პაპა კალოსაკენ იქაჩებოდა, შევილიშვილს კიდევ ეზო ეპიტნავებოდაო. ოღითგან ასე ყოფილა, რამდენიც არ უნდა დალაგო გეგმები, რაც არ უნდა მტკიცედ გადასწყვიტო ამან ვიზამ, იმასაო. მაინც ასე გამოდინს: ჯოჯი ერთს ფიქრობს, იმ დალოცვილ გამჩენს კიდევ გვერდზე ეცილება — ამიში აღბათ ადამიანის ბედისითვის თანდაყოლილი ირონიაცია ბლომად ჩაყრილ ნაკმაზულა.

შოლა, ანა ბორისოვნამ იმარჯვა და მარჯვნივ რომ უნდა გავყოლოდით დაბეტონებულ გზას, მარცხნივ გავუხვიეთ.

ანა ბორისოვნას ჭინისი მაგრად შემოტმასნილი შარვალი ეცვა და ჭიშანი ბარძაყებს ლამისაა გადამწიფებული ბროწეულის კანივით გაეგლიჯათ ტოტები. თუ შარვალი მაინც საღსალამათი იყო, ეს უფრო იმას უნდა მივაწეროთ, მაგარი ქსოვილისაგან რომ გახლდათ შეკერილა.

მარჯვნივ რომ უნდა გვევლო, მის საწინააღმდეგოდ მივდიოდით ახლა მე და კაპიტნის ლამაზი ცოლი. ზეღენიჭს რომ მივუახლოვდით, ჩემმა პარტნიორმა მოსტარი გაიხსენა. ის უცნაური კაციც არ დაეწყნია, თავისი ხელით რომ იახრიდა სამარეს (გასაკვირი ესაა, თორემ ისე ჩვენ ყველანი ერთმანეთს კარგად ვუთხრით სამარეს სწორედ იმ ად-

ვილას, ერთი წუთით სულაც არ შეგვიწყენია ლად რომ შევისვენებთ ხოლმე).

— სასაცილოა არა, ყველაფერი ეს? ანა ბორისოვნა შეჩერდა და ეშმაკურად შემომხედა.

— მგონი, არა, უფრო თალბიან ამბავად შეგვენება, ვინემ სასაცილოდ.

— თალბიან ამბავშიაღ ხომ არის რაღაც ისეთი, სიცილს რომ იწვევს?

მხრები ავიხენჯე.

— გამოტყდი, რომ ასეა. მთელი ჩვენი ცხოვრება სიცილისა და დიდი სევდის ნარევი. ეს ორი ცნება სიცოცხლის მთელ გზაზე რიგრიგობით ცვლიან ერთმანეთს და სხეულში მშვესთან ერთად შხამიც შემოდის.

— მართალი ვითხრათ, ამაზე არსოდეს მიფიქრა.

— რა ფიქრი უნდა, ეს ჩვენი ცხოვრების მთელი სიბრძნე სიცრუე გახლავთ.

მხრები ავიხენჯე. ფერდობზე, რომ აყვდი ადრიატიკისაკენ გადახრილ მშენს გაეხედე.

— მე უფრო მგონია კაცთა ცხოვრებაში მთავარი — მიზნებია. ახალი და ძველი, ჩამოწერილი და განახლებული იდეების ქილილი. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ყველაფერი უნდა მოასწრო. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რამდენი გრამი ცრემლი დაიღვრება, ანდა სიცილით რამდენ კალორიას შეიმატებ. მთავარი მიზანია!

კაპიტნის ცოლმა არ მიპასუხა.

მუხების ხეივნიდან გამოვედით თუ არა, წალკოტად ქცეულ ეზოში შტუტბერგენი დაეინახეთ. მაგნოლიის ძირში დადგმულ ქვის მაგიდასთან იჯდა.

ხელები ცივ ქვაზე დაეწყო, თავი უკან გადაეგდო, სანთლისფერ შუბლზე და ლოყებზე თმის თეთრი ფთილები ჩამოწეწოდა, თვალები დაეხუჭა და გარინდებულყო. თუშეა თბელი ტუჩები უცნაურად მაინც უცმაცუნებდნენ. თითქოს და ქვეყანას ეუბნებოდნენ: აქა ვართ, ცოცხალთა შორის და ჭერ არსად წავსულვართო.

კაპიტნის ცოლმა მარჯვენა ხელი კმე-

ლუცად აღმართა, მანისშნა, რომ გავჩერებულყავი. თვითონ ქურციკივით უხმაურად გაიარა და უცხად ბერიკაცის ზურგსუკან გაჩნდა. ასევე ფრთხილად გაიშვირა ხელები და ნეტარფიქრებით დმერთთან ასულ კაცს თვალეზზე დააფარა.

მოხუცმა ცივი ქვიდან სწრაფად აილო თავისი დამკვირბარი ხელები და ქალის მტევნებს ჩააფრინდა.

— ანა, ძვირფასო, ეს თქვენ ხართ. ზღვის ფერიის სტუმრობა ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენი, მხრებზე მზის სხივების ცხელი ნაკადი რომ დამაცხრა. მერე კიდევ შოშიამ დაიქაბჯახა და მოთხრა ანა მოდისო.

წამოდგა, მაგრამ ქალის ხელები არ გაუთავისუფლებია, მაგრად ეჭირა, როგორც დიდი ჭაფითა და ტყვილეებით მოპოვებული ჭილდო.

შოლოდ ერთი ნაბიჯი წავსდგი წინ. მაგრამ მაშინვე შემამჩნია და აირია.

— ოჰ, თქვენც აქა ხართ, „ანაპელო“! მობრძანდით, რატომ იმალებით?

უფრო ახლოს მივედი და ძველმა კაპიტანმა ანას ხელები სწრაფად გაათავისუფლა, მარჯვენა გამომიწოდა.

— ის თქვენი მეგობარი ექიმი სად არის. რატომ არ მოიყვანეთ?

— დილით დუბროვნიკში წავიდა, ერთი ავადმყოფი წაიყვანა კონსილიუმისათვის, ჯერაც არ დაბრუნებულა.

— ვწუხვარ, აქ რომ არ არის, დიდებული კაცია. დაბრძანდით.

სკამი გამოვიანოჩე, მინდოდა ანასათვის მიმეწოდებია, მაგრამ მოხუცმა დამასწრო და ანა მის გვერდით მერე დამწულ სავარძელში ჩასვა.

— იცით რა, არის ხოლმე წუთები, როცა მარტოობა აუტანელი ხდება. ადრე ამას არ ვგრძნობდი. პირიქით, მიყვარდა კიდევ ყველასაგან და ყველაფრისაგან გაქცევა, განმარტოება. ახლა კი, ზოგჯერ საშინელი სევდა შემობჯავს ხოლმე. იმასაც ვფიქრობ, მთელი ცხოვრება უქმად ხომ არ მინაყია-მეთქი წყლი. რა ვიცი, შეიძლება...

— მეუღლე, მეგობარი აბსოლუტურად გყოლიათ?

შტუტბერგენმა გაიცინა.

— მეუღლე და მეგობარი ერთი და იგივე ცნებაა?

— რასაკვირველია.

დაუფიქრებლად ვთქვი მე.

— ეს თქვენ აზროვნებთ ასე, იქნებ სხვებს რადიკალურად განსხვავებული აზრი აქვთ.

— მე ვფიქრობ, მეუღლის ტახტზე ის უნდა დასვა, ვინც შენი ნამდვილი მეგობარია.

ბერიკაცმა ხელები ისევ გაშალა მაგიდაზე.

— ისე მოსალოდნელია ქალთაგან ლალატი, როგორც მაისში ძუძუნა წვიმა.

ანა ბორისოვნა ამკარად გაიბუტა.

— მე ქალთა ბანაკის დამცველი ვარ. ბერიკაცი გადაიხარა, ანა ბორისოვნას გამხდარ მხრებზე ხელები მოხვია.

— რასაკვირველია, საკუთარ საკარმიდამოს დაცვა ჭირდება, მაგრამ ამით მე აზრს არ შევიცვლი.

— განა ათასჯერ არ აჯობებდა გყოლოდათ მეუღლე, შვილები, — ვთქვი მე.

— არა, მაშინ ჩემი წილი სიამოვნების მეთედესაც ვერ მივიღებდი. ძალიან ბევრი უნდა მეტანჯა. ცოლის წილი ტანჯვა მეც უნდა გამეზიარებია, მერე შვილებისა კიდევ. ასე სჯობია, მთელი ცხოვრება არავინ არაფერს არ მაყვედრიდა, ჰქუას არავინ მასწავლიდა. მარტო მივდიოდი და თუკი სადმე უდიერად დაგდებულ ქვეს ფეხს წამოვკრავდი, ეს მარტო მე ვიცოდი და კაცი-შვილმა მეტმა არავინ. მარტო ვქმნიდი და მარტო ვანგრევდი.

ძალიან ძნელია სხვისი ტანჯვისა და ტყვილეების განზიარება. ყოველთვის გავუბრბოდი და სწორედ ამიტომ არც ცოლქმრობისა მწამდა არაფერი და არც მამულიშვილობისა.

შტუტბერგენი წამოდგა. სახლისაკენ მებრუნდა. ბოსა! ა, ბოსა!

გამიკვირდა, როცა მოაჯინას თხუთ-

შეტიოდე წლის გოგონა გადმოეკიდა.

— სამი ყავა მოგვართვი, ბოსა. ცოტა ვისკიც არ გვაწყენდა. კარადაში დევს გახსნილი. აბა, შენ იცი. ყავა ცხელი იყოს.

ის გოგონა თავის დაკვრით მოგვე-სალმა და მერე წინა ერდოზე გაუჩინარდა.

— სტუმარი გყოლიათ, — თქვა ანა ბორისოვნამ.

— მორიგე გოგონები მოვიდნენ დღეს პერტეგნოვის სკოლიდან. სულ გადააბრუნეს მთელი გემი, ყველაფერი ყირაზე დააყენეს.

— სახლს მოსწავლეები უვლიან? — ვკითხე მე.

— დიახ, — მითხრა მოხუცმა, — კვირაში ერთხელ მოდიან. მიალაგ-მოლაგებენ და კვლავ გაუჩინარდებიან. კარგი ბავშვები არიან.

— როცა ისინი აქ არიან, მაშინ არ გრძნობთ მარტოობას?

კვლავ გავახურე წელანდელი საუბრის შემდეგ განელებული ლუმელი.

— არა, არ ვგრძნობ. საერთოდ, სულ ბოლო წლებამდე არ მიგვარძნია სულიერი სიცარიელე. ყოველთვის რაღაც უხილავი გრძნობებით ვიყავი სახეს და მუდამდღე მიხაროდა გათენებასთან შეხვედრა. ჩემი თავისათვის არასოდეს მიკითხავს თუ რა იყო ამის მიზეზი. მეგონა. ეს ადამიანური ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყო და მეტი არაფერი.

ბოსამ ყავა ჩამოარიგა. ძველმა კაპიტანმა ანას გადახედა.

— დღეს უნდა მაპატიოთ, თვითონ რომ ვერ მოგიდუღეთ ყავა, მაგრამ ბოსას შეიძლება ვენდოთ, კარგ ყავას აღუდებს.

ყავა მართლაც ჩინებული გახლდათ, წუნს ვერ დაუდებდით. ჭიქები რომ გამოეწრუპეთ, ტრაპზე გოგონები ჩამოიხაწრენ. შტუტბერგენი მათვენ შებრუნდა.

— მიღიხართ?

— დიახ, პაპა, ერთ კვირაში გესტუმრებით. არ მოიწყინოთ.

გოგონები წაივინდნენ თუნიკების ქვეშ კაპიტანი ანას მიუბრუნდა.

— მეშინია გზაზე არ დაგალამდეთ, სინათლიე ჯობია სიბრტელი.

ანა ფეხს ითრევდა.

— ჯერ აღრეა, დაღამებამდე დიდი დროა.

— ჰო, რაღაც ისე მეჩვენება, თითქოს და ჩამოხნელდა კიდევც.

მე წამოვდექი.

— ჰო, კაპიტანო, ლუხის ამოღების დრო დადგა.

შტუტბერგენმა გაიცინა.

— პირველი თანაშემწე კარგად ერკვევა თავის საქმეში...

მუხნარს რომ გამოეშორდით, კაპიტანის ცოლს ვუთხარი:

— თუ მიხვდით მაინც მოხუცს რომ უყვარხართ?

ცოტა ჩამოხნელებული კი იყო, მაგრამ მაინც ვიგრძენი ანას ლოყები რომ შეუფთავლდა.

— ვიცი.

— ეს პაპისა და შვილიშვილის სიყვარულს არა ჰგავს.

— ვიცი, — ჩაიჩურჩულა ანამ.

— ის მგონი ექვიანობს კიდევც. მატომ გამოგვრეკა დაღამებამდე...

ბეტონის გზაზე რომ ჩამოვედით, ანამ მკლავზე თავისი გამხდარი ხელი ჩამავლო.

— თურმე ძალიან ვგავარ იმ ქალს, ოდესღაც რომ უყვარდა, ნუთუ თქვენთვის არაფერი უთქვამს?..

— ეს მან გითხრათ?

— არა, ბერიკაცს ამის თაობაზე კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ ჩემი თვალით ვნახე, საქინებელ ოთახში იმ ქალის სურათი უყიდი, ძალიან მგავს. თავათ დაუხატავს ამ ორმოცდაათი წლის წინათ.

* * *

ამის შემდეგ კარლ შტუტბერგენს აღარ შევხვედრივარ, ჩვენს შორის სიკვდილი ჩადგა. ბერიკაცი სწორედ მაშინ მოკვდა, როცა ბიელაში მიწას ნიკიტა რილოვს ვაბარებდით. რილოვიც მოხუცი იყო. ეს კაცი ახლა მიტომ მოვიხსენ-

ნეგ, მის შვილებთან ვმეგობრობდა. თვითონ ნიკიტა ჩილკოვი ამ სამოც-დაათი წლის წინათ იაკუტიდან პირ-დაპირ ბიელაში მოსულა. საწყალი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ვერა და ვერ იქ-ნა რომ დამედგინა, გაციმბირებული გახლდათ თუ როგორც მოხალისე ისე ცხოვრობდა მარადიულ ყინულეთში.

მითხრეს თუ არა, შტუტბერგენის ამ-ბაგი, ნიკიტას უკანასკნელი ბელტები მივაყარე და მაშინვე ზელენიკისაკენ მოვუსვი. მარტო არ წავსულვარ „პასა-ტის“ ექიმიც თან მახლდა. ჩვენმა სამუ-შაოთა მწარმოებელმა ჯოკა დრიგამ წა-გვიყვანა თავისი ცალკარიანი ფორდიო. მუნხარაში შევეგრიადით და ბექობზე ის უცნაური სახლიც გამოჩნდა, სადაც ძველმა კაპიტანმა საბოლოო ღუზა ჩა-ავდო. ქვის დიდი ტლანქი შენობა მოწ-ყენილი იდგა.

მე და კლიმენკო ნელა გადმოვედით ცალკარიანი ფორდიდან. ჯოკა დრიგა იქვე დარჩა მანქანაში, ფეხიც კი არ მო-უცვლია.

მეგონა სახლთან ზღვა ხალხი დაგვხ-ვედებოდა, მაგრამ წყნარ ეზოში კაცი-შეილი არ ჰქაბებოდა.

ტრაპზე რომ ქოშინით ავირბინეთ, იქ წინა ერდოზე ორი გამხდარი გოგო-ნა დაგვხვდა. მაშინვე მივხვდი, პერ-ცოგნოვიენელი მოსწავლეები რომ იქნე-ბოდნენ. ჩვენთვის ზედაც არ შემოუხე-დავთ, ქვის დამქაჩებთან დამდგარიყ-ნენ და რაღაც სახუმარო ამბავს ყვე-ბოდნენ. მერე ის იყო შენობაშიც შე-ვალწიეთ და წინ ბოსა და ერთიც კიდევ ვიღაც ქალიშვილი შემოგვეგება. წრი-ვილი კიბეზე ჩამოდიოდნენ. ბოსას ხელ-ში ყავის ფინჯანი ეკავა. თან მოაბიჯებ-და და თანაც ყავას მიირთმევდა.

მიცნო და მომესალმა, კეკლუცად გა-მილიმა კიდევ.

ზევით, მესამე სართულზე არავიან აღარ შეგვხვედრია. მგონი საერთოდ იქ არავინაც არ იყო. საწოლი ოთახის გა-ნიერი ლიუჯი ბოლომდე მოეშვლიათ და ჩვენც იქითვე მივაშურეთ.

ზღურბლს გადავაბიჯეთ თუ არა, პი-

რდაპირ ჩვეულებრივი რკინის მკვლელობა ბურბი სახლგაო საწოლი დაეინახე. მკვ-ლიან ძველი საწოლი გახლდათ. მგონი არ შევეცდები თუ ვიტყვოდი, ალბათ მოხუცმა თავისი წყალქვეშა გემიდან წამოიღო.

ასე იყო თუ ისე, ბერიკაცი ახლა ამ სახლგაო საწოლში ესვენა გაჭიმულ-გასწორებული, დამშვიდებულ-დაწყ-ნარებული.

საწოლის უკან კედელზე შიშველი ქა-ლის სურათი იყო გაკრული. ამყად აღ-მართულ ტლანქეს შიშველ ფერის ვარდისფერ ტანზე დიდი უდავი შემო-ხვეოდა. სურათს ქვემოთ კი ეწერა: „ორი გველი“.

კარგად რომ არ მცოდნოდა, რომ ან-მარია კრიუგერი, ერთადერთი ქალი, რომელიც ძველ კაპიტანს სიკაბუჯის ასაკში ქეშმარიტად უყვარდა, ამ ორმოცდაათი წლის წინათ გარდაიცვალა, ვიფიქრებ-დი ანა ბორისოვნას სურათს ვუყურებ-მეთქი. ანა ბორისოვნა ახლა, პა და პა, ოცდაათი წლის თუ იქნებოდა.

უცნაურია ბედისწერა, ანა მარია კრიუგერი მატარებლის კატასტროფის მსხვერპლი გახდა. ერთადერთი გვამი ჩამოიტანეს ამ კატასტროფის შემდეგ ვენა-პარიზის ექსპრესიიდან და ისიც იმ ქალისა იყო, რომელიც ასე უყვარდა კარლ შტუტბერგენს. მაგრამ ქალმა ამ კაცის ქმრობა არ ინდომა და ვიღაც კო-მერსანტს გაეყიდა პარიზში. ეს ყველა-ფერი ექიმმა კლიმენკომ ჩამიბაკლა, აბა მე საიდან დამესიზმრებოდა.

საწოლთან ახლოს ოთხიოდე სკამი იდგა. ძველი, ისიც გემიდან წამოღებუ-ლი სკამები. არც ერთ მათგანზე ჭირი-სუფალი არ მჯდარა და, რასაკვირვე-ლია, არც ცრემლი იღვრებოდა. ოთახში მხოლოდ ჩვენ სამნი ვიყავით: მე, ექიმი კლიმენკო და ის ბერიკაცი, ახლა სიკვ-დილისაგან გაძარცვული რომ ესვენა რკინის საწოლში.

სხვა მეტი არავინ ყოფილა მთელ მე-სამე სართულზე.

ცოტა კიდევ გავიარე და სურათთან მივედი. აშკარად ეტყობოდა რომ ძვე-

ლი იყო. თარიღიც რომ არ წამეკითხა — 1926 წელი, მაინც დავიჯერებდი მის ხანდაზმულობას.

გამოვბრუნდი და ექიმის თვალებს წავაწყდი, გავგნებული მომჩერებოდა.

წინა ერდოზე რომ გამოვედი, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ოციოდე წუთის წინ ორი გოგონა რალაცა სახუმარო ამბავს ყვებოდნენ, ანა ბორისოვნა დავინახე. კაპიტნის ცოლს შავი კაბა ეცვა.

შავი კაბა ძლიერ უხდებოდა ანა ბორისოვნას. ახლოს რომ მივედი, მაშინ შევამჩნიე, სახეზე თოვლისფერი ედო. ტუჩები უცახცახებდა და კანკალებდა.

კლიმენკომ მხრებზე ხელი მოჰკიდა.

— ცული ამბავი დავგეჰართა, ანა ბორისოვნა!

ძალიან ცული... როგორ მივეჩვიეთ

და აი, გვიღალატა. გოგონებმა მხრებზე დაიხრებინენ, ხვალ უნდა დავასაფლაოთო.

— რატომ ასე ჩქარა? — გაიკვირვა კლიმენკომ.

— აქ მუზეუმს ხსნიან. ფასიან მუზეუმს. მაპატიეთ, ბიჭები ცელქობენ, — თქვა და ტრაპზე დაეშვა. ქვევით კი მაგნოლის ხის ქვეშ „პასატის“ კაპიტნის ონავარი ბიჭები გულმოდგინედ ცდილობდნენ მიწიდან ამოეგდოთ ქვის შრგვალი შავიდის ერთადერთი საყრდენი, სწორედ იმ შავიდისა, რომელთანაც ჩვენ ყავას მივირთმევდით ძველ კაპიტანთან ერთად.

ერთბაშად ვიგრძენი, რომ აცივდა. ხალათის ყველა ღილი შევიბინე. ვიგრძენა, რომ ნულა, ფეხაკრეფით შემოდინდა ეამი მიმწუხრისა.



კალე ბოზოხიძე

კალე ბოზოხიძეს დაბადებიდან 75 წლასავე შეუსრულდა. მთელი განვლილი ათეული წლების მანძილზე პოეტი გულწრფელად უმდებროდა საბჭოთა ხალხობას, ჩვენს ხალხს, ჩვენს პარტიას. იგი ავტორია მრავალი კრებულისა, რომლებიც პოპულარობით ხაოგებდნენ მკითხველთა შორის. „მნათობას“ რედაქცია ულოცავს პოეტს დაბადების დღეს, უხურვეს დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ბარათაშვილის აღმართი

აღმართი მახსოვს,
რომ მსვდებოდა ცრემლებს დენით;
შეიშრო ცრემლი,
ტატოს ამეოხს ვარდების ფენით.

გაცისკრებულან
დაბინდული პოეტის დღენი,
მსოფლიომ იცნო
სიყვარულით და აღმაფრენით.

ბარათაშვილის
აღმართიდან მწვერვალი შოჩანს,
საფლავის სევდა
საღლა არის, გათავდა, მორჩა!

ქართველი ერის
პარნასია მთაწმინდა ჩვენი,
იქ ბარათაშვილს
ფალავნობა უხდება, შვენის.

აყვავებულა
მის საფლავზე ყვავილი ნორჩი,
ვგრძნობთ შებრძოლ პოეტს,
მოქალაქეს და არა მორჩილს.

ვარდი დანათის
მგონის საფლავ! მარჯინ ფერისა,
სულს უცისკროვნებს
სიყვარული ქართველ ერისა...

• • •

მწამს სიყვარული
და მეგობრობა,
მწამს მშობლიური
ტკბილი ალერსი;
არა მსურს მტრობა,
მოყვასის გმობა,

სიტყვა ბოროტი —
შხამში წალისი.
მწამს შებრალება
და შეწყალება,
მძულს მოღალატე
ვაცის ქვა-გული;

ისეთ ნიციოცნლენ
 რა ეწოდება,
 როს სათნოება
 არის ჩაგრული?!
 ვერ გამეფდება
 ღამის უკუნე,

თუ ნიყვარული
 მართალ გულშია;
 აღმშენებლობის
 ისმის გუგუნე,
 ნიციოცნლის ხალისს
 ფრთა გაუშლია...

• • •

სიყრმის ოცნებას,
 აღტაცებას ტალღა რიყავდა...
 დრომ წაიღო და წარიტაცა
 ის, რაც მიყვარდა...

წრფელი მიზანი
 კვლავაც ცისკენ აიტყორცნება,
 განა ყოველი ამაოა,
 არის ოცნება?!.

წინ ვისწრაფოდი,
 გრიგალს გემც თუმც წინ მიპყავდა,
 ვხეთქებოდა ქარიშხალი
 მის, რაც მიყვარდა.

რწმენა, იმედი
 მასალადღევებს, არ ვარ ეულად,
 შეუღრბეკელი სული ჩემი
 როდი ძღვეულა?!.


• • •

არ ვწერ წუთიერ
 დიდებინათვის
 და არც იმისთვის —
 მივიღო ტაში;
 ერის სულისკენ
 მისთვის ვისწრაფი,
 რომ ერუანტელი
 გავლიდეთ ტანში
 მწამს უკვდავება
 არის ოცნება,
 წინაწდვილესთან
 დიდი აქვს ზღვაჩი;
 ათი ათასჯერ
 დაილოცება
 ამ წუთისთფლიმ
 უბრალო მგზავრი.

მიწას რას არგებს
 ზეცის ქუხილი?
 მთა-ბარს აცოცხლებს
 წვიმა და ცვარი;
 უნდა გვესმოდეს
 მოძმის წუხილი
 და ლექსი რეკდეს,
 ვით ბრძოლის ზარი
 არ ვწერ წუთიერ
 დიდებინათვის
 და არც იმისთვის —
 მივიღო ტაში;
 ერის სულისკენ
 მისთვის ვისწრაფი,
 რომ ერუანტელი
 გავლიდეთ ტანში..

მე ავირჩიე

მე ავირჩიე ბილიკო მცირე,
 მწვერვალისაქენ მივეყვები გზა წვრილს,
 გზაში შველს ვხვდებო, ქურციკს და ირემს,
 მათოვს და მაწვიმს, მათოვს და მაწვიმს.
 დაბლა ლივლივებს ზღვა, როგორც სარკე
 და სანაეარდო გზა მოჩანს ფართო;
 მე ბილიკი მაქვს სავალი ცალკე
 და შარავნაზე გასვლას არ ვნატრობ.
 ღრუბლებში მსრბოლავს შევხარი არწივს,
 და წყალვარდნილთა ჩქეფანი მესმის;
 თუმცა ცის ახლო მათოვს და მაწვიმს —
 ჩემგან შორს არის შხაში და გესლი...
 ვერ გადამიჭრის ამ ბილიკს შური,
 ვერ შემაშინებს ყინვა და ჭირხლი;
 თუმცა აქ დამდგარა ქარ-ბუქთა ბური,
 სულ წინ ვისწრაფი და ქედს არ ვიხრი.
 მწვერვალისაქენ ბილიკი მიდის,
 ციცაბო აღმართს გავსცილდი, გავსცილდი;
 წინ სალი კლდეა — პიტალო დიდი,
 მაინც დაღმართში დაშვებას ავცდი.
 თუნცა ძნელ გზაზე მათოვს და მაწვიმს —
 ბედნიერება სხვა რამ არ მინდა:
 ვეთაყვანები ჩემს ბილიკს — გზაწვრილს
 და სულის მწვერვალს — ცასავით წმინდას...



ქვემოთადად მიმართული

მოთხრობები

დღისით, მზისით...

— მაყვალო, მიყვარხარ! — ნძლია თავს პანტომ და ჩამორგეა გულის ზარები.

— მართლა? — აქისკისდა მაყვალო და ეზოს ბოლოს ახლადმოთიბულ ბაღის ბუჩუკზე მოიკალათა.

— მა ტყუილად? — აბა ბიჭიე და გოგოს გვერდი დაუშვებნა.

— აბა, დედა დაიფიცე?

— დედას მზემი

— კიდევ?

— მამას მზემი

— კიდევ, კიდევ?

— შენმა მზემი — ფიცს გულიც თან ამოაყოლა პანტომ და ზურგსუკან დამალული გვირგვინის გვირგვინი დაადგა.

— გოგო, მაყვალო, სად წახველ, რაღას უყურებ, გააბი თოკი, რაღისდა უხდა გამრეს ეს სარეცხი — დაიძახა მაყვალოს დედამ.

— რა ცაზე დაგება თვალი, ნახე როგორ მიხდება გვირგვინის — იწყინა გოგომ, პანტომ მშერა რად მომამოარაო.

— იქა ნაკვეთი მაქ, იმას ვუყურებდი, — იხუმრა პანტომ და შეანათა თვალები.

— ნაკვეთი? — ჩაიხიხინა მაყვალომ, — რასთ ადისარ ხოლმე?

— ფიქრის კიბითა, — არ დაიბნა პანტომ.

— ჰოო, მე მეგონა იტყოდი, ჩემი გაკეთებული რაკეტითაო — მაყვალომ პანტომს ბუჩუკის ბლუჯა ქონორზე ჩამოაყარა, — ხომ ვერ მომიგე ზიტყვაშიო:

— ეგვეც იქნება ჩვენი კოსმონავტები უკვე თვეობით ცხოვრობენ ცაში და მე რა...

— კოსმონავტებს არა, კიდევ იმათ დაედარე...

— ვითომ რატომ არაო?

— ბიჭოს, აღარ იტყვი, რასა თეს და რას იმეო იმ ნაკვეთში? — შეაცქერდა მაყვალო პანტომს.

— ვარსკვლავები

— აი, შუალამისას „მრავალი“ რომ გამობრწყინდება ხოლმე, ის ხომ არ არის შენი მარჯვენის მადლი? — ჩუმ-ჩუმად იცინოდა გოგო.

— რატომაც არა...

— მერე რად ვინდა ამდენი ვარსკვლავი?

— ერთს — ბეჭდად მოგართმევ, წყვილ-წყვილს — საყურად, კუნწულას — გულქანდად.

— დანარჩენს?

— ისიც სხვანა, ქვეყნად იცი რამდენი საბატარძლოა...

— აი, თურმე რად ამბობენ შენზე? ბიჭია, ვარსკვლავებს ეთამაშებაო!

— ამბობენ და ეგრეთა...

— ვარსკვლავნაკითო აბა, დამიპირე! — ისკუბა გოგომ ბულუღიდან და ბიჭიც გადაპყვა...

— მაყვალ, არ გესმის, გოგო, შენაც შემწყვდი გულიდანა, სად მოუსაგლეთში წახველ, დამაფნინენ სარეცხი... ქოთქოთებდა დედა.

— თუ კარგია, შენ შეწყვდი მაყვალის გულიდან! — ნიავს ვაატანა პანტონ ხაყვედური.

— აბაღ, დედიას ავად ნუ იხსენებ! — დაიკუშტ მაყვალ.

— მაშ რად მიწყევლის შენ თავს? უცებ რომ გული...

— რატო შაშინ არ გაგინკდა, შროშანას გოგო სხეზე რა გაათხოვეს? — მოიწყურა მაყვალ კაპასობით.

— შროშანას გოგო ვისი ტიკი-ტომარაა? — ფერდობებს ჩამოატარა პანტონ თვალი.

— პო, ტიკი-ტომარა... მთელი უბნის ყბაში იყავ თვალი უტირავსო...

— უბანს რა ეკითხება ჩემი გულინა!

— რა ცხვირი ჩამოუშვი? — მოიწყინა მაყვალომ.

— შენ კი რა ცხვირაპრებილი შემომყურებ...

— მენა! აგრემც ვავექრები, რა ჩემი ბრაღია, დიდუდასავით ნოღია ცხვირი რომ მაქ... — ხმა ჩაებზარა გოგოს.

— მაშ. მართლა ვიყვარავარ? — შეპყვდრა პანტომ.

— მა ტყუილად!

— აბა, დაიფიცე.

— დედას მზემ!

— კიდევ?

— მამას მზემ!

— კიდევ, კიდევ?

— შენმა მზემ!

სტაცა პანტომ გოგოს ხელი...

— მაყვალ, მომხედე, მკლავები ჩამომწყდა, არ გეყურება შე გასაწყვალე-

ბელო შენა, — ხმა ჩაებზარა ძახილით მაყვალის დედას.

— მაყვალ, წამო თეკლა ბებოსთან წავიდეთ.

— ამ გვირილის გვირგვინით! — ატყრცილდა გოგო.

— ჰოოდეს სულ იმას მავედრებს, შენი პატარძალი ჩემთან მოიყვანეთ, ანდერძი დაწერილი მაქვსო, ჩემი სახლკარი შენზე ალალიათ...

— ანდერძი ჩვენმა მტერმა დაწეროს, თეკლა ბებომ დიდხანს იცოცხლოს, იმას სიტყვაეც დაეჭერება, მაგრაბა...

— რა მაგრაბა? — ელდა ეცა პანტონს.

— ის მაგრაბა, პანტიკო, რომა... უმაღლესს დამთავრებ თუ არა, ესაოდა და დიპლომაჩანი ვარო, ზოგზოგივითა აქეთ აღარ იზამ პირსა, მე კი რა ვქნა, ნუ გეწყინება, ჩემი აოფელი შენზე ძალიან მიყვარს, აქედან უფებისმომცველი არა ვარ.

— ცუდად ვიცენია პანტია, მე იმისთვის ვსწავლობ სოფელს მეტად გამოვადგე-ნეთქი და შენ კი რა იოლად გამამგზავრე აქეთ-იქითა... პაპა დათამ, რომ კვდებოდა, თეკლა ბებო მე ჩამაბარა. წამო. ვკითხოთ თუ არა გჯერა, იცო როგორ გაეხარდებო, რას იტყვი, პა?

მაყვალომ კისკინა ატენა.

— იმას ვიტყვი... პანტონ მალლა ნაკვეთში გავეყვი-მეთქი, ხუმრობა საქმე როღია, ვარსკვლავები ამრავლო და ქვეყანას საბედნიეროდ გულზე აყარო...

დაპკრენ გოგო-ბიჭმა ხელი ხელს და...

— გოგოვ, სად მიხვალ, ვის მისდევ, მაყვალ... — კაბის კალთის ფრიალს ძლივს შეაძწრო თვალი დედამ და იქვე ჩაიყვია: მიშველეთ, ხალხნო, — კიოდა საწყალი და ბლუჯა-ბლუჯა ჩამოპქონდა თმა.

მთელი სოფელი გამოიშალა. „რა ამბავია ჩვენ თავსა“, ჩოჩქოლებდა ხალხი.

— აგრემც ვავექრები, ჩემი მაყვა-

ლო... ძლიერ ამოთქვა გამწარებულმა ქალმა.

მაყვალის გაგონებაზე ქალებმა წივილ-კივილი მორთეს. ბედზე ჩამოიარეს პანტოს ამხანგებმა, იმათ დაამოშინეს — ქორწილია. ქორწილია!

— ხმა გაიწყვეტე, — ჩუსტი წიქრო მაყვალის დედამ და გარღვილ ბიჭებს ესროლა — ძველ შენ გედიყოჯან, — მიეგურგურა მაზლიშვილს, — გაიყვანე შენი „ოღა“. ჩაჩი ეს ბიჭები და გაეკიდეთ გოგოსა, შენი სირცხვილიც არა, ბიძაშვილი მოგტაცეს დღისით, მზისით...

— ძალო, ჩვენა მდევრად ვერ გამოვდგებით! — უკან დადგა გედიყო.

— ვითომ რატომო?

— პანტოს მაყრები ვართ!

— ჰაი, ჰაი, რომ ვართ! — ჩაირობრობეს ბიჭებმა.

— ამოვიდეს საწყობიდან მაყვალის მამა, კაი მაყრულს გამოერგბთ! — ლამის თითი მოვარდა კოკონას ქალს დაქაღნებაში.

— რატომაც არა, ძია პეტო კარგა ლოტბარია! — სიტყვის ვალში არა რჩებოდნენ პანტოს „მოწმე კულები“.

— დამეყრგეთ აქედან, ფტი არ დამატრიალებინოთ, — მისწვდა ღობის მარგილს გაფთრებული ქალი და ბიჭებიც ვითომ შეშინდნენ, ხორხოციით აქეთ-იქით მიმოიმაღლენ.

მეზივით გაეარდა ხმა — პანტომ მაყვალს მოიტაცაო. სიტყვამ იფრინა, იფრინა და კოლმეურნეობის ბოსტანში ბაბლოს ზედ ყურზე დააფრინდა.

— ძალიანაც კარგი, გოგო იმისაა, უნდა მოიტაცონი თქვენ რას იტყვიოთ, ქალებო? — თვალი გადაატარა ბაბლომ პამიდორის ყუთებთან მოფუსფუსე მეზობლებს. მათმა გაოცებულმა მზერამ გულისხმაში ჩააგდო, შეიღამსახელი ყურიდან გულს ჩასწვდა და სიმწრით ხელებილა გაასაფსავა.

— წყალი, წყალი — წამოიშალნენ დედაკაცები, ეცნენ ვინ ურჩის ბაბილოებს უსრვსდა, ვინ სიღამს უწყაპუნე-

ბდა, წყალიც აკურეს და როგორც იყო მოასულიერეს.

— მეზი შენც დაგეცა ჩემი გული გახეთქვისთინა. — შვებით ამოისუნთქა ბაბლოს შულმა და ერთი მუტე წყალი თვითონაც შეისსა სხებზე.

— რა დროს მაგას ცოლი იყო. ძლივ უშაღლებს ღირს ვაზდა, აღარ დაიკადა დამთავრებინა, მაგ ჩემი ცოდვით საესეს. მაგასა, ჰა? ქა, მე ვისწავლო მაგის მაგივრად, ჰა? ვისი იმედითა... მოთქვამდა ბაბლო და მგლის ნაბიჯით მიდიოდა შინისკენ. ჭიშკარს ხელი ჰკრა, კარმიდამოს ქორის თვალი გადაატარა. ბაბბური არაფრის იყო. შოაჯირზე კატა იწურა და სხვენზე ატია. ბაბლო კიბზე ჩამოჯდა, ხილაბანდი შეიხსნა და გაოფლიანებული ყელ-ყური შეიმშრალა. გაძლება არ უნდოდა, ხანამ პანტოს მამა სამუშაოდან მობრუნდებოდა!

უცებ წამოხტა ბაბლო. თვლები მოისრისა და უნებლიედ ჩაიხურჩულა „ფუ, ეშმაკათო“. არა, ეს არ იყო მოლანდება, ჯირკზე გულხელდაკრეფილი კოკონას ქალი თვლებდა. — ამას რაღა უნდა აქა? — წამოიღადღადა ბაბლომ და შეიშარათა.

შეძახილზე მაყვალის დედამ თვლები გააჭყიტა და ბაბლოს დანახაზე კინალამ გადმოსცვივდა კოდეც.

— მზითვეში გამოჰყე შენს ქალს? — დომინჯი მოიყარა ბაბლომ.

— აი, მანამ პური ნუ გიქამაით, კრიქანთ, სანამ მზითვის ღირსი არ გაგზადოთ. აი, ასე ცარიელ-ტარიელი უნდა მოგიგდო; — საჩვენებელი თითი გამოილოჯა კოკონას ქალმა და ცხვირპირთან დაუტრიალა — განა არა, მზითვის ჭვლები ადგია შენ გაფხევილ სტუდენტსა... დამაცადეთ თქვენა, გოგონ უკან წაიყვან და ყველაფრიდან მოწმენდილზე დავსამთ, კრიქაანო, მოწმენდილზე.

ბაბლომ ორივე ხელით ქოქოლა მიაცარა.

— მეზი შენც დაგეცა და ამ შენ მზითვით. რა გზითაც შეგიძენია, იმ გზით

მოიხმარე, ჩვენი ნაყოფი ყველაფერა
 საკმაო გვაქ, შენი ახტაჯანა გოგოს პატ-
 რონს ნეტა რა ზმა ამოგვლენა? ხელში
 ვერ დაიჭირე და ჩემი ბიჭია ბრალში?

— თუ არ არის და ნახავ, კანონი ქა-
 ლნაა.

— კანონები ჩვენც კარგად ვიცით,
 ნადაც შენი დაიკვებო, იქაც ჩვენი
 თქვი. ვასწი აქედან, თორემ...

ბაბლომ ხელი აუჭნია,

ხელის აქნევა ვგრე არ უნდაო, სწვდა
 კოკონას ქალა ბაბლოს წინსაფარში და
 დაითრია.

არავინ იცის რას დაატრიალებდნენ
 შვილების ნებით დამძახლებული ქალე-

ბი, მეზობლები რომ არ ჩანდგომოდნენ
 შუაში.

ძლივს წაიყვანეს შინ მაცვალოს დე-
 და.

მიდიოდა და წყევლა-კრულვით იკ-
 ლებდა კრიჭიანთ გასაგინს.

— რაც დაიწყებლო, ერთიც არ აგც-
 დეს! — მისძახოდა გაკავებული ბაბლო.

მაცვალოსა და პანტოს თეკლა ბებოს
 კალთაში ჩაერგოთ თავები. დედაბერი
 თავის ხეშეშ, შრომაში ჩამკნარ ხე-
 ლებს ფაქიზად უსვამდა თმებზე ნეფე-
 პატარძალს და გულთ ლოცავდა: ღმე-
 რთმა ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთ-
 საო.

ანიშური, შარი-შური...

პელომ სიძეს ანიშურის წყაროსთან
 გაანბრებინა მანქანა და თავბრუდახვე-
 ული ძლივს გადმოვიდა.

— მადლობელი ვარ, ჩემო სიძეე, პა-
 ტვისიცემისათვისა, მაგრამ მეტი აღარ
 შემიძლიან, — პირზე ცხვირსახოცი მი-
 იფარა და განზე მიდგა.

მხრებჩამოყრილი იდგა სიძეეცატი, არ
 იცოდა რა სამსახური გაეწია.

— ახლა აღარაფერა მიშავს, სული
 მოვითქვი, — ზედიზედ შეისხა პელომ
 სახეზე მუჭით წყაროს წყალი და იქვე
 ჩამოჯდა. — წადი, შვილო, მიხედე შენ
 საქმესა, უკვე გადამიბარა, ვერ ვიტან
 მანქანას და რა ვქნა.

— რაც კი შეიძლებოდა, ფრთხილად
 მომყავდა, — მოუბოდიშა სიძემ.

— შენ კარგად იყავ, ამითანებისათ-
 ვის ჯუღშია შენ სიდედრსა, პატარას
 დავისვენებ და ისე ავალ შინ, ხელ-
 ბარგი მე არა მაქვს და არაფერი.

— ძალა როგორ დაგატანო, მიტკლი-
 ფერი გედო, — ორწყალშუა იყო სიძე.

— გაბრუნდი, სანამ გარაჟში მიხვალ,
 პურიჭამა მოასწარ, აკი ამბობდი სატ-
 ვირთო მანქანა მაქვს შესაკეთებელიო.

რაკი პელოს ფერი მოუვიდა, სიძემ
 გული დაიარხებინა და მანქანა შემოატ-
 რიალა.

— ღმერთო, მშვიდობით ატარე, —
 მიაყოლა პელომ ლოცვა და წყაროს
 ახლა პირი შეუშვირა. — ვიშ, დაგე-
 ლოცონ ათავე, რა ცივი ხარ, რა ანკა-
 რა, — ხელი ალერსით ჩამოატარა ნა-
 კადს და ახლა პეშვზე დაეწაფა... იქვე
 მრავალძარღვას მსხვილი ფოთოლი წაწ-
 ყვიტა, წყალში დაასველა და ხილაბანდ-
 ქვეშ შუბლზე მიიღო. — აღარაფერი
 ვიშავს, სოსოკას ქალო, — დაიბიედა
 თავი და ორლობეში მომავალ მეზო-
 ბელს ხელი დაუჭნია — აქეთ, აქეთ დი-
 დებაანთ რძალო, აქეთ...

— სადა ყოფილხარ, ადამიანო! —
 გადმოსჭრა გზა მანდილოსანმა, ჩანთა
 მიდგა ხისძირში და ხენეშა-კენესით ჩა-
 მოჯდა.

— სად ვიქნებოდი? ნათქვამია. „კა-
 ტის გზა საბძლამდეო“, ჩემ ქალთან ვი-
 ყავი, დედა მოუყვდეს, დიდ ჯაფაშია,
 იმოდენა თჯახის გაძლოლას ეხუშრები,
 ჭათამიო, ლორიო, ბოსტანიო... ცოტა

ნელო წავაშველეთ: სიძემ თავი იპოვა „ქოგუ-ლით“ წამომიყვანა, აქ რომ არ გად-მოვსულიყავ, შინამდე სულს ვერ მივა-ტანდი, ცუდად ვხდებოდი იმ ვერანაში, რომ დამიტრიალდა თავი, ვთქვი, აბა, პელო, დროზე გადაასწარ-მეთქი.

— აბა, პირი გაიკეთეთ, — ჯიბეში ხე-ლი მოიფათურა დიდებთან რძალმა და პიტნის კანფეტო მიაწოდა.

— შენ ხომ მისდღეში ხარ სანუსნავი არ გამოგვლევ, — შეხსნა ქალადი პე-ლომ და ჩაწუწუნა. — შენ გაიხარე, რა მეთამა...

— კოთბერატივიდან ჩემ მახლიცოლ-თან ამოვიარე გზად, იმათ ბაღებს წა-მოვუღე, ი პატარა გოგო მინც ძალიან კარგი პყავთ, დილატიკინაა ნამდვი-ლი ი გასაქრობი ისა, დამქრეტულები არიან კაკა-კუკაზე, ყვავს კაკალს გააგ-დებინებ და იმათ დედასთან ვერაფერს ვახდებდა სულ ზუზივ, ზუზივ იზოგებდა.

— შენ კარგად იყავ, გაუვარდა ხმა, ხელმოქვერილიაო.

— ეპ, გადამყრელი ვილა, მაგრამ მეტისმეტი, თავზე რეტო.

— კოთბერატივი იყო რამე?

— რაც გინდა, სული და გული ისე-თი ფართალია, მართლა მშვენიერი. საბნისთვის ფეხიჩითე მინდოდა, ისეთი ლამაზი ავარჩიე, ჩახახა, — კეკემ ჩან-თიდან მატარა წვერი ამოსწია, პელო-მაც დალოცა, მშვიდობაში და ბედნიე-რებაში, კაი სიძე და კაი მოყვრები, გო-გოს სამზირთოდ გენდომებო.

— ი, რავი, ჩემო პელო, ყველაფერი ილბალია. სალომემ რა ბიჭე გაათხოვა ი თავისი ელაში გოგო, იტყვი: თვალი მომცა და მყურებინაო. ნაქმბი კალა-ტობია თურმე, რაიონის დეპუტატი ყო-ფილა, ქორწილის დღეს ოროთახიანი ახალი ბინა მიუციათ, ისე უზის ი გოგო დედოფალივითა, არა მშურს, ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს, მაგრამა, აი, ილბა-ლზე ვთქვი, — ამოიხრა კეკემ, — ჩე-მი გოგო ვისზე რა ნაკლებია...

— ბიჭმა კი თავისლაფი დაასნა, ვა-იკუ რა ამბავი დაუტრიალებია? — პე-ლომ მრავლძარღვა წყალში დაასველა

და ისე მიიფარა შუბლზე. — გასულ შაბათს იმის ვაჟს, რა პევიან, ქა, სახე-ლი ვეღარ მომიგონებია...

— ნუგზარა.

— ჰო, ნუგზარას, პატარაძალი მოჰყავ-და თურმე. გოგოს თეთრი კაბა არ ჩა-უცვამს, შარვალში გამოწყობილა, ფა-ტა კი დაუდგამს თავზე. სალომეს ბიჭს, — ნუგზარას, — ჰო, ნუგზარას, ადრე-ვე დაუშლია, მისა ეს სურვილი რომ შეუტყვი, მაგრამ ახლანდელი გოგო-ების თავის ნათქვამობა ხომ იცი, პრინ-ციპზე შემდგარა. დაბოღმილა სალომეს ბიჭი, — ნუგზარაო, — მაშ, ნუგზარა, ისეთია თურმე დანა პირს არ უტანის, სწორედ ხელისმოწყობის დროს დაუკ-რავს ფეხი სიძეს და გამოქცეულა. ამ-ტყდარა ალიაქოთი, გამოსდგომიან გო-გოს პატრონები, გაბუტვბ მიზეზი რომ გაუგიათ, ხელად იქვე გაუჩენიათ თეთ-რი კაბა, გამოუწყვიათ პატარაძალი, მა-გრამ ახლა სალომეს ბიჭი, — ნუგზა-რაო, — ხო ნუგზარაო მაშა, ახლა ეს შემდგარა პრინციპზე. ახლავე თავისი უნდა გაიტანოს, მერე რა იქნებაო. მი-დიან და მოდიან შუამავლები. რა იქნე-ბა მიგანდა ბოლო, არავინ იცის.

— რა თავწასულობა იყო იმ გოგო-სი, გვირგვინში ჯინსებით დგომა ჰა კარგად უქნია ნუგზარასა, აქო და მო-დაათო, ლამის ლოგინშიც აღარ იხ-დიან... მოუტედა მამგონი. ამ მხრივა ჩემი ბიჭიც კერპია, რომ აუკრძალა ცოლსა შარვალი, მორჩა! დეთისწინა-შე ი რაღაცა „ლეიტუზები“ თვითონ უყიდა — სამუშაოზე ჩაიცივო, სხვაგან კი ნურას უკაცრავად შარვალიო, ზიზია კაბეზე ჩემზე იყოსო, დედა ენაცვალის ისეთი გულკეთილია, თვითონ უფრო უხარია, თუ რამეს უყიდის, იმის გუ-ნებისას კი ვერას გაიგებ, ერთავად ჩა-მოსტირის ცხვირ-პირი.

— დიდებთან რძალო, დაიწყე დე-დამთილობა, იმ გოგოსი მე ქება მესმის, — პეშეზე წყალს დაეწათა პელო, — შენ რატომ არა სვამ, წყალი კი არა, წამალია, რა მომბარუნა ქა, დაელო-ცოს სათავე...

— კარგი იქნება თავისთვისა, ავი იქნება თავისთვისა, — გადაშალა ძრახვის კვალი კაკემ.

— ო დედაბერი როგორღაა, შენი მძაბლის დედაო.

— შენი მტერი და ავადმახსენებელი იყოს იმ დღეში, უფროსი ქალის, ადრევე რომ მოპყვდომია, იმისი შვილები არავის ანებებენ, დედობა იმან ვაჯვიწია და ჩვენა ვართ ბებოს მოვალენით, წიწილასავეით დააწიალებენ რიგრიგობით. ახლა ბიჭს წაუყვანია, ქალაქადგილას რა გააძლებინებს ამ საცოდავს, მეთორმეტე საართულზე უცხოვრია, თურმე, შიშით ფანჯარასთანაც ვერ მიდის. იხეწება ჩემს სახლში წამიყვანეთ, ჩემ ქერქვეშ ამომხდეს სულიო...

— ოთხმოცდაათისა იქნება, არა! პაი, რა ქალი იყო, მთელი თავისი დღე და მოსწრება კოლმეურნეობის მინდვრებში იწადმართა, გვერდში ედგა მზესა და ქარსა... ჩემი დედამთილი იტყოდა, პირველი მერგოლური ქალი იყო... საქმეს მარჯვედ უძღვებოდაო, ისეთი იყო, ცხენიან-კაცს ძირს დასცემდაო.

— ახლა როგორი პირში მთქმელი, მართლმთყვარე, ასეთი ადამიანი არ უნდა ბერდებოდეს, მაგრამა თვალი დაუდგა წუთისოფელსა.

— კიდევ კარგად იქნებოდა, ის სანაცილე სიძემ ცეცხლზე ნავთი დაუსხა. ცოლის სიკვდილის ორკვირისთავზე მოიყვანა ფეხი. შვილები დააწიოკა.

— ე, ნუ მოკვდება ადამიანი, თორემ უოცხლები სათავისოდ ატრიალებენ მდგომარეობასა. ისე კაცმა რა თქვას, მა რა უნდა ექნა იმ სიყმეწამხდარსა! ჩველი კაცი, აბა, ისე დადგებოდა?

— დრომდე, ჩემო პელო, მართებდა თავდაპყრილობა, თორე ისე ვინ დამრახავდა.

— კეკე, რა მაგ სიტყვის პასუხია და შენ მუღს მურაბა როგორი გამოუვიდა? — პირს ღიმილი მოადგა პელოს.

— ჩაეხარშა, რა იცი, შენა? პროთეზის ჩაწიწივებულმა კბილებმა სიცილა დაუშვეინეს კეკეს. — დაბერდა და სა-

ოჯახო საქმე ვერა და ვერა...

— მა რა იქნებოდა, იმოდენა წყალი დააქივლა, ისედაც მწიფე იყო ბალი.

— ფთაფთათა, ფთაფთათა ეგ ქალობადსავსები... ბიჭი ჩამოუვიდა გუშინ ჩარიდან. ისეთია, ისეთი მდინარე წყალთან დასალევი. დავაქაცებულა, ჰკუთნაში ჩავარდნილა. გვაიება მისი სიტყვაპასუხი.

— ღმერთმა კარგად უმყოფოს, ქვრივობაში გაზარდა, რასაც ეგ ფოქილობდა!

— ბიჭი მარჯვეა, მამასავით ყველაფერი გამოსდის ხელიდან, თუ ქალატოზობა, დურგლობა, ტრაქტორის ხომ თვალდახუჭული შლის და აწყობს. გოგობმა სახლში არ გააჩერეს, ერთმანეთს არ აცლიან მიმატიყებას. ჩემი მული აფორიაქებულია, გაფთხა არავინ შემომივიარდეს ოჯახშიო. დინჯი ბიჭია, ადვილად ვერავინ აურევს ჰკუთნაგონებას, პო, მართლა, პელო, იმ დღესა მეურნეობაში კრებაზე იყავი?

— როგორ ვიქნებოდი, ეს ორი კვირაა ქალთან ვარ, — შუბლის ფოთოლი ნიაზე გაავრიალა პელომ.

— ნეტავი კი ყოფილიყავი, იცი რა ვაგორეს ნინუცაცა და იმისი თავმოტვლეპილი ქმარიცა... ქა, სულ ჩემრემად, აბგებით უზიდიათ თუ პამიდორი, თუ ქარხალი, რავი, რაღა არ მოეპოვება მეურნეობას ბოსტანში.

— ნაქრენ, ჩაქრენ, რამ დახარბათ ეგ უბედურები, შვილი მაგათ არა ჰყავთ და ძირი. კიდევ ეგენი ტირიან, მაგათ ოჯახში ადამიანი ლუკმის ნატრულია, გაიწყვეტავენ ხოლმე ყველაფერს.

— პელო, თურმე, ცოლს ცალკე პქონია აბგა, ქმარს — ცალკე.

— მეველეებს დამიხედეთ!

— ხალხს ზიმზიმი გაჰქონდა. ჰკითხეს იმ ჩანდაბრუჯულ ნინუცასა, რად გინდოდა კომბოსტო, ჯერ ხომ თავი არ დაუხვევიაო, „მწნილი უნდა ჩამედოო“, უმაღლ მიაგება ურცხვად პასუხი. წამოუხტა გაკაპასებული დისშვილი, რით ვერ დაისწავლე, დეიდაჩემოო, სამწნილე

კომპოსტოს რთვლი უნდა დაედოსო. სად იყო ხარხარი. ვილაცამ დაიძახა: უთო აღამიანი კომპოსტოს თავს დაეხარბო, სიცილით დავიუუქენით.

— იმ ბენტარა ქმარმა რაო, სიცოცხლით უნდა გამოვწყდე ნათესაობაშიო?

— მაშ, ქა, ვკადრება თქვენი გვარი-შვილს ეს მიიმუნობაი, ცოლს წამღა-უქუმ ხელსა ჰკრავდა, განუძლიო.

— მაგ ცოლმა დასთხარა თვალეები, მაგრამ გონს რომ ვერ მოვეო?

— ბოდში მოიხადეს, ამ შეცდომას გამოვისყიდით ბრძანეს ორთავემ, მაგრამ მაგათ იქ ვილა აბოგინებს. მეორე დღეს დამთვრალა შენი ბიძაშვილი და ცხარე დღე დაუყენებია ნინუცასთვისა, მგონი ჩაუბუბნია კიდევ.

— ეგრე მოუხდება, ეხლა მაინც დაეყარნენ შინა და რაც აობრიათ, იმით წაივინენ იოლად. დაუნახებები, მაგათ სახლში სიკეთე არნადით რომ შეიტანო, ვითომც არაფერიო. სხვა კიდევ რა ითქვა კრებაზე?

— ბევრი რამ, ჩემო პელო. ბალახის ხელით სათიბი მანქანები მიუღია მეურნეობასა, ისეთები არიან ბიჭები, მოთმინება არ ჰყოფნიან, როდის გაიტანენ შინდორში; ახლა რა ბალახია წამოსული, აბრეშუმივითაა. ჩვენი მწველელი გოგოები აქეს და ადიდეს. მაგათი სიტყვა და საქმე ერთია, იტყვიან ამდენი უნდა მოვწველოთ თითო ძროხიდანაო და მოწველილია! ტელევიზორში უნდა ილაპარაკონო, თქვეს.

— ი ფერი გამოგვზე რალაცებს რომ ჩურჩულ-კურკულობენ, ტასიასთვის ჭიბეში წერილი ჩაუდვიაო, გაიგე?

— ქა, მაგას ვინ არ გაიგებდა, ტასიამ ქვეყანა თავზე დაიხვია. წერილი თავზე გადაუფხრეწია და კარგი სილაც გაუწვინა, მგონი იმის ხუთი თითი ჯერაც ამჩნევია; ჭერივო რომ ვარ, ეგრე კი ნუ მიყურებ, როგორ თუ გამიბედე მაგითანა რამეო, საბაბი მოგეცი თუ რაო, მოუაშრებია თავი ტასიას და რა მოუაშრებია. ისეთია თურმე პავლია გამჭრალი, იფიცება წერილისა მე არა-

ფერი ვიციო, შარო, საიდან მოდიხარო!

— ახლა ჩვენში ვთქვათ, კეკე, ტასია მართალია? სადაც კაცმა ქალს რალაცა მიანიშნოს, ყველამ რომ ასეთი წიოკი ატეხოს, სად წავა.

— უფრო იმაზეა გამწარებული, რომა წერილი ხელთ აღარა აქვს, მაინც ემუქრება, სულ ერთია წყალს არ დაეუწმენდავო.

— გაწყვიტოს ხმა. ცა მოწმენდილზე კაცი არავის მისწერს წერილსა, რატომ მე არა მწერენ? პავლიასა თავი ქუდში აქვს.

— როგორც გინდა თქვი, კი უცდია წყლის ამღვრევა. იმ დღესა, ეგა და კოდევ ორი ქვემოუბნელი ქალი, ისინიც ფერმაში არიან სანიტრებადა, რაიონიდან მოდენილან, ჯანმრთელობის შემოწმებაზე ყოფილან, ჩვენ სოფლის გადმოსახვევთან მდგარან, მანქანას არაფერს გამოუვლია, ბედზე ერთს გაუჩერებია და რაჯი გაუგია ანიშურეთში მოდიოდნენ, თავაზიანად უთხოვინია დობრძანდითო. ეგენიც ჩამსხდარან. უკითხავს იმ კაცს, სოფელს რა გიჭირთ, რა გილხინთო. მაგ ტასიას გადმოუვლია ერთი მეტრო ენა, პასუხის მაგივრად პავლია გაუტანია და გამოუტანია თურმე. ქალები ჭირის ოფლში გაწურულან, აქეთ-იქიდან ჩქმეტდნენ თურმე, გაჩუბდით, საქმეში ხარ... აღარ იტყვი ვინ ყოფილა ის კაცი, რაიკომის ახალი მდივანი, ტასიას არა სცნობია სახეზე...

— რას ამბობ, კეკე! — ხელი შემოიკრა პელომ ლოყაზე — ვაი სირცხვილო, მოახსნევიანებს ეგ შეჩვენებული ეგა.

— მაშ აღარას დაუკლებს, მაგინ ჰკულისა გახდება. იყო, თურმე რა კაცი ია ჩემი ვანე ძალიან აქებდა, მაგათ ბრიგადას სწევია, სილოსა სდებდნენ. საქმეში ჩახედული ჩანსო, დარბაისელი კაციო. თავაზიანი სიტყვა-პასუხიანი, ახლა როგორი თავმდაბალი, რომ მისულა, ჩვენი ხალხი პურსა სჭამდნენ თურმე შუადღისას, თვითონაც დასწვდენია პურის ნაჭერს, ყველიც წაუტეხია

და გემრიელად წახემსია. მცირეზე ბოდიშით, გაწეულან ბიჭები, ყველი და ბური, კეთილი გულით, — უთქვამს.

— აბა, უყურე ქა! სხვებიც აქებენ, სულ კარგ ადგილებზე უმუშავია. ღმერთმა ხელი მოუმართოს. ჩვენი სოფელიც თავს არ შეირცხვენს, ნინუცასი და იმისი აბუეტი ქმრის სინაბარა კი არა ვართ.

— ბოსტნეულიც კარბად ჩავაბარეთ, ჩემი სიძე ამბობდა ამდენი და ამდენი პროცენტით, ვერ ვიხსომებ რაცხვებსა.

— ჰოო, გეგმას გადავაჭარბეთ, — ზემი ვანეც იწონებდა თავსა. ქვეყანამ ვალში არ დავრჩებით...

ჩხრიალებდა ანიშური, ქალებს გაპქონდათ შარი-შური. ვინ იცის, როდინ დაეღუოდათ სათქმელი, რომ ჩვენი და თქვენი მადლი შხაპუნას არ მოესხა. უცებ დასცხო და სულ ფხაჭა-ფხუჭით წამოყარა მანდილოსნები. ერთი აღმა წავიდა, მეორე დაღმა და სანამ შინ მივიდნენ სოფლის კიდეს ცისარტყელა გადაიერკალა.



მისწავა შემოგორსა

თანამედროვე პოლონური პოეზია

ზედმეტი პარსკვლავი

ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინეს,
რაც სრულებით არ ნიშნავს, რომ ქვეყანა უფრო განათდა
და სამყაროს შეემატა რაღაც არარსებელი.

ვარსკვლავი დიდია და შორს არი.
იმდენად შორსაა, — ერთი ციკუნაა
და მასზე უფრო წვერილ ვარსკვლავებზე უფრო პატარაა.
ჩვენს გაოცებაში საოცარი არაფერი იქნებოდა,
ამისთვის დრო რომ გვექონდეს.

ვარსკვლავის ასაკი, მისი მანა, მდებარეობა —
ყოველივე ეს ერთ საკანდიდატო დისერტაციას ეყოფოდა
და ერთ პატარა ჭიქა ღვინოსაც
ზეცასთან დაახლოებულ პირთა წრეში:
ასტრონომი, მისი მეუღლე, ახლობელი და კოლეგები,
იანწყობილება ძალდაუტანებელია, ჩაცმულობა
შინაურული,
საუბარი ძირითადად ადგილობრივ თემებს ეხება
და ყველანი მიწის თხილს აცნატუნებენ.

ვარსკვლავი მშვენიერია,
მაგრამ ეს როდი ნიშნავს,
რომ ჩვენი ქალბატონების სადღეგრძელო არ უნდა
დავლიოთ,
რომლებიც ჩვენთან გაცილებით უფრო ახლო არიან.

ვარსკვლავი უშედეგოდ...
ვარსკვლავი გავლენას ვერ მოახდენს ამინდზე, მოდაზე,
ფეხბურთის თამაშის ანგარიშზე,
მთავრობაში მომხდარ ცვლილებებზე,
შემოსავალზე და ფანტულობათა კრიზისზე.

ზემოქმედების გარეშე პროპაგანდაზე და ზქამე
მრეწველობაზე.
ვარსკვლავი, რომელიც არ ირეკლება საპრეზიდენტო
მაგიდის გაპრიანებულ ზედაპირზე
და რომელიც — აღურიცხვლი —
ზედმეტია სიცოცხლის აღრიცხული დღეგანასაყვინ.

მაშ, რაღა ნაჭიროა ვითნვა,
რომელ ვარსკვლავზე იბადება იდამიანი
ან რომელ ვარსკვლავზე კვდება ცოტა ხნამ შემდგ.

ახალი?

— დამანზე მაინც, სად არი.
— იგერ იქ, ვარდისფერ ღრუბლინა და მარცხნივ რომ
განაწ.

იმ აკაციის ტოტს შორის.

— აბა — ვუძახულებ.

მიხვალაქაუ ლაშქარს ურთიერთობა

ტი და რა ვითარებაში გენიზმრებიან მკვდრუნა?
ზშირად ფიქრობ მათზე დაძინების წინ?
ვინ გეცხადება პირველად?
მუდამ ერთი და იგივე?
მიხი ხახვლი? გვარი? სასაფლაო? ვარდაცვალებინ
საბილი?

რან გუბნებიან, რაო?
შენი ძველი ნაცნობები ვართო? ნათესავები?
თანამგამომუღენა?

საიდან მოვედითო?
ვინ გამოგვაგზავნაო?
შენ გინდა, ერთღროულად სხვაგაეც თუ ესიზმრებიან?

თავიანთ ფოტოსურათებს თუ ჰგვანან?
დაბერდნენ დროთა ვითარებაში?
მოიკლნენ? გახდნენ?
მოკლოლნი არიან თუ ჭრილობების მოშუშება მოასწარეს?
თუ ახსოვთ მათი მკვლელის ვინაობა?

რა უჭირავთ ხელში — იგვიწერე ის ნივთები.
დამპალია? დანახშირებული? ფერფლად ქცეული?
რას გამოხატავს მათი მზეტა — შიშს? მეღარას?
რანაირს?

ან იქნებ თქვენ მხოლოდ ამინდზე ნაუბრებან?

ჩიტებზე? ყვავილებზე? პეპლებზე?
 თვითონ თუ გაძლევენ უსიამოვნო შეკითხვებს?
 რას უპასუხებ მაშინ?
 წინდახედული დუმლის ნაცვლად?
 იქნებ ჯობს სიზმრის თემა შეცვალო?
 ან ღროზე გაიღვიძო?

იაროსლავ ივანოვიჩი

• • •

ლექსი არ იწერება,
 ლექსი წარმოითქმება...

სიტყვა შიგნიდან იზრდება —
 ფუფუნება როგორც ცომი,

სულს სწავლით
 შეზავებული.

ზაფრანით შენელებულ ცომს,
 ქადის ცომს —
 ქვავის რუხ ცომში გადაზელავენ,

მერე მან შეექცევიან
 ალამიანები,
 მხეცები,

ყოველი სიტყვა ყვირილად ამოიზრდება,
 მაგრამ ღამით ყვირილი არ შეიძლება —

და ამიტომ ჩუმათ, ჩუმათ,
 ჩუმათ წარმოთქვი ლექსი...

დ კ ბ რ უ ნ ე ბ ე ბ ი

შებინდებისას, პატარა მკვდარი მევიოლინე მზიარულ
 ვალსებს
 უკრავს.

პირქუში დედინაცვალი თავისი პირველი არშიყის
 სენტიმენტალურ
 რომანსებს ღიღინებს.

მანაჩლა, ნადაც თეთრი იანამნის ღრუბლო დიდი
ხანია ჩაქრა,
ახლა ჩიტების ყრიაშულით არი აკლებული.

თავზე ხელადებული სიყვარული, აქ რომ სუფევდა, —
ცოლქმრობით
შეიცვალა.

მხოლოდ ღრუბლებია იმეთივე.

მგზავრო, მგზავრო, რა საჭიროა ამდენი დაბრუნება?
შენს წინ
საოკეანო გზებია, შენ კი, დაღონებული, წამდაუწყუმ
მოაკითხავ ხოლმე
გარდასული ბავშვობის ამ აგარაკს.

აივნის ორივე მხარენ
ტუბეროზებია დარგული,

თვითეული მათგანი ამოზრდილია,
როგორც სურნელების
პაწია შადრევანი.

ნუთუ ყვავილები მართო იმისთვისაა,
რომ გაგვახსენონ?
არა, არა. იმისთვისაც,
რომ გაგვაცილონ.

კ რ ხ ე ბ რ ბ კ ნ ი

მეც შემეძლო, — თავზეხელადებულ შეგვერემან იტალიელს, — კორსიკიან
გაუვალ ტევრებში თავი შემეფარებინა და ბებუთით ხელში, უმწიფარი ქალი-
შვილები გამეუპატიურებინა...

წითელკანიანივით, ვმდგარიოყავი ვიგვამის შესასვლელთან, ტრამალების ნუნითა
და კვამლით გაჟღენთილი, ჩემი ცოლი კი — ბიზონის ტყავის ფხეკით იქნებოდა
გართული...

ტახტის მოცილესავით, მეც შემეძლო, საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით,
ხელისუფალთან მეჭეიდა, სასმელზე ზაფრანით შეკმაზული თევზი დამეყოლე-
ბინა; მოტკბო სოუსი მოკაუტუებულ თითებზე ჩამომედვენებოდა, მე კი სულ
იმის ვეიქრობდი, როგორ დამელუბა ხელმწიფე ან ჩემი ავისმსურველი...

მეც შეგეძლო, მომთაბარე ვაჟარივით, შავი ზღვისპირეთის ტრამალებში მგებულ
 ტიალა, ყირიმიდან და ოდესიდან მარხილი, კუპრი ჩამომეტანა; ღამლამობით
 ზღვიდან მონაბერი ქარის სუნთქვას ვიგრძნობდი, ნაკვერჩხალთა აღმურით
 სახელეწილი, მიამიტ ზღაპარს მოვეყვებოდი, ანდა სხვის მონაყოლს მოვის-
 მენდი...

მე კი მასწავლებელი ვარ, ოჯახში დაედვიარ და კერძო გაკვეთილებით თავნ
 ვირჩენ.

შულამისან გამოძელება
 და ვერ მოვისაზრე სადა ვარ.

სასტუმრო ოთახის მაღალ ჭერქვეშ
 წეროების ქარავანი გაკიმულიყო
 და ყივილით მიფრინავდა —

ჩრდილოეთი...
 ჩრდილოეთისკენ...

ი მ ე დ ი

იმედიც ფრინველია
 მასაც ფრთები აქვს

დაედვიარ და ყველგან
 იმედს ვეძებ
 ვაგლაზ, უიმედოდ

ბარში
 რომელსაც „იმედი“ ჰქვია
 მარტო სკამებია
 მწვანე ფერი

დანაბნენი ყველაფერი
 იმედივით წიფორც ყველგან:

Cappuccino¹

სპაგეტი
 აღნაველებული ბალები
 და Corriere della sera²

არის იმედი ერთ სამლოცველოში
 უმშვენიერესი
 •Speranza³ დონაღელისი

მაგრამ მას ბრინჯაოს ფრთები აქვს
 და გაფრენა არ შეუძლია.

1 ჰოინი ვაჟა (იტალ.).

2 „სალიონი კორიერა“, ვაზეთი (იტალ.).

3 „იმედი“ (იტალ.).

დ ა ბ ა-ქ ა ლ ა ქ ი

ქოფაკი ყეფს

სამრეკლოს ზარი სასაფლაოსკენ მოხუცს მიაცილებს
გერმანელი ქალი ვაშლსა ფცქვნის
ეტნა შორსაა

დღეს მოთოვა
მიმოზა დაჰქნა

მერცხლები ჰყვიან
და ფორთოხლის სუნია ჰაერში

ცა უფრო ფერმკრთალია ვიდრე აჭამდე იყო
ზღვიც ნაცრისფერია
და ყვავილებიც რალაცნაირად გადასხვავდნენ

მხოლოდ ამაოების წუხილია
წინანდებური

სეპდიანი პენესია

რა დამრჩება მეხსიერებაში ამ მგზავრობის შემდეგ?

წითელი კედლები, გოთიკური ჩონჩხები,
გლიცინიები,

გაუბედავად რომ იფურჩქნებოდნენ
ქუჩის ნესტიან კუნჭულებში.

ქალიშვილის ღიმილი
და ძღაღბეწვიანი ქოფაკი,
გააფთრებით რომ უყეფდა
მთელ ქვეყანას

და მეც,
წვიმასაც,
გონდოლასაც
და მზად იყო არხში გადამხტარიყო.

ნატურპორტი

წვიმებმა
თოვლი აატალახეს,

კურდღელი გარბის გზაზე,

ლამაზი ქალი
დღეს ჩემთან მოვიდა,

იები მომიტანა
შორიდან...

„რა სიცივეაო“, —
თქვა,

მართლაცდა
ცივა

ქუნაშიც,
სახლშიც,

ნემ გულშიც,

ამისთანა გაზაფხულია
წლელს.

• • •

სულ მუდამ ერთი და იგივე! თან შუალამით!
თუმც არა! სამის ნახევარზე,
ნაშუადღევს...

ისინი მოდიან ყავის დასალევად,
სიგარეტის მოსაწევად
და გაბრწყნის სუნი ეუფლებს სასადილოს,

დამპალი ფიქრის,
ფოთლების და
დანესტიანებული ტანსაცმლის სუნი.

მაინც რატომ მოდიან ყოველთვის,
ქამენ, სვამენ,
ყორნებივით გარს მეხვევიან:

„ამა და ამ რიცხვში მე გარდავიცვალე. ამა და ამ დღეს
მე მოგვედი,

მე კი მომკლეს,
მე ჩამომახრჩვეს,
მე დამზვრიტეს.

გახსოვს რა ლამაზი ვიყავი,
შუბლზე რომ მაკოცებ
ერთი კვირის შემდეგ კი გარდავიცვალე...

მე კი თვალი შენ დამიხუჭე,
„უკვე გარდაცვლილს...“

— მერე რა მოხდა,
ამას ანგარიშშიუცემლად აკეთებენ —
„ჩვენც ცოტა ხანს კიდევ გვინდა ფიცოცხლოთ,

შენი ენით ვისაუბროთ,
შენი ავტოკალმით ვწეროთ,
შენი ტუჩებით კოცნა ვიგემოთ...“
— მომშორდით,
გვაბებთ!

• • •

სად არი ის ფრინველი,
მარათხაფით აქონრილი ბუმბულით
ბალახებში რომ დარბოდა სახლის წინ
და ვაძიებოდა: თფ-თფ თფ-თფ?

სად არი ის კატა,
ყოველ დღით აივანზე რომ ამოდებდა
და თავის ულუფო ფინჯან რძეს
მთითხრებდა ხტლმე?

სად არი ის ყვითელი ქოფაკი,
თავის მონათესავე ძაღლებს დასაქორწინებლად
სტავისკოს ტერიტორიის რომ აჭირაებდა
და ვრახელ
თავხედური ყვფით გული გიუხვებდა
სიმონა ღუ ბთვეუარს?

სად არი ის ლამაზი ქალი,
რომიდან ჩამოსული,
ოცდაათი შლიაპა რომ ქონდა შენახული კარადაში,
ფინის რომ აქმეგდა მალულად
მაგიდის ქვეშ რესტორანში
ვინ ფრატინაზე?

სად არის ის მანდილოსანი — ხელმწიფის ჩამომავალი,
ვისაც უყვარდა
ვრუბელთან ან ლანგრენტთან შესვლა

1. სტავისკო — ვარშავის გარეუბანი, სადაც თავის მამულში ცხოვრობს ავტორი.

და სახელდახელოდ ქიქა აბსენტის გადაკვრა
 სტას დიგატთან,
 ან ადას მიუერსბერგერთან ერთად?
 ხად არი ის ახალგაზრდი ვაჟი,
 ტყუილის თქმა რომ აღამაზებდა
 და ამიტომ — სულ ტყუოდა ხოლმე?

ხად არი იმ ქალიშვილი,
 რუსულად რომ მღეროდა
 გულშინამწვდომი ხმით:
 ყველაფერი შენთვისო,
 ყველაფერი შენთვისო
 და თან თვალს არ მაშორებდა?

დაიხოცნენ ყველანი, დაიხოცნენ.
 ნუთუ არ იცი, რომ ყველანი დაიხოცნენ?

პოლონურიდან თარგმნა მონიკა ანდრეასი



მოსრობები

იან-ვანიჩი

არც ოჯახებით ვიცნობდით ერთმანეთს, არც საერთო საქმეში შევხვედრივართ, მაგრამ ჩვენ არა მარტო ძველი ნაცნობები, მეგობრებიც კი ვიყავით, ქუჩის, ტროტუარის ნაცნობები. იქ ვხვდებოდით ხშირად, როცა იმ მხარეში ჩავდიოდით და აქეთ-იქით დავეხეტებოდით, ზოგჯერ ისე, უბრალოდ, როცა სიარულში აზრი თავისუფლად ლაგდებოდა, ზოგჯერ კი შეშფოთებული, როცა არ ვიყავი წერის გუნებაზე. მაგრამ თვალს მოვკრავდი თუ არა იან-ვანიჩს, გული მიშოშინდებოდა და მერე უკვე მარჯვედ ვმუშაობდი.

იან-ვანიჩი ქუჩას და ტროტუარს ხვეტავს—სამასი მეტრი წინ და, თუ საჭირო გახდება, სამასი მეტრი უკან. მის ნაკვეთზე სისუფთავე და წესრიგი უნდა იყოს, ეს კი ძნელია, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ძალიან ძნელიც. ზამთარში, როცა თოვს, წინ რომ წავა იან-ვანიჩი ხვეტა-ხვეტით, უსათუოდ უკან გამობრუნდება, რამდენჯერმე კიდევ მოიქნევს ცოცხს, მოხვეტავს ახლად დაფენილ ფიფქს. ზაფხულშიც, როცა ბავშვები ჩაუვლიან, კამფეტის ქალაქს ყრიან ძირს, ხშირად უხდება უკან წამოსვლა. ან როცა ზღვაზე ქარიშხალი ბობოქრობს, ხეებს ტოტებს ამტვრევს, ძირს აფენს

ფოთოლს, მაშინ იან-ვანიჩს ასი თვალი სჭირდება. ერთხელ გაივლის ცოცხით, მეორედ, მესამედ.

ასი წელია იან-ვანიჩს ვიცნობ. უფრო სწორად, ოცი წელია, რაც ამ ქალაქში ჩამოვდივარ. იგი მუდამ აქ მხვდება, ფუსფუსებს, საქმიანობს, ხვეტავს და ხვეტავს არყის ხის ტოტებისაგან შექრული მაგარი ცოცხით.

ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, როცა პირველად გავიცანი იან-ვანიჩი და გამოველაპარაკე, გამოცოცა მისმა სახელმა. რა უცნაურია — იან-ვანიჩი? იანი კიდევ შო, გასაგებია, მაგრამ ვანიჩი? ან იან-ვანიჩი უნდა იყოს ან ივან-ვანიჩი, რადგან იანი იგივე ივანია.

— რას ბრძანებთ? — მითხრა იან-ვანიჩმა, — მე თითქმის რუსი ვარ და გარდა ამისა, რუსები... მე, მაგალითად, მუდამ...

და მან ბევრი კარგი სიტყვა მითხრა რუსებზე, რისთვისაც მადლიერი დავრჩი და ხუმრობით ვუპასუხე:

— იცით რა, რუსი — გენერლის წოდება როდია. თუმცა, გენერალიც არის და გენერალიც. როგორც ჯარისკაცები, ასევე გენერლებიც სხვადასხვანაირები არიან.

— არა, ნუ იტყვით ამას. რუსები ისეთი...

მალაღმარდოვანი სიტყვები ყოველთვის მალაღმარდოვანია, მაგრამ ზოგჯერ წრფელი გულთნათქვამ ასეთ სიტყვას სითბო ეძლევა.

იან-ვანიჩი წრფელი გულთნათქვამი ლაპარაკობდა და ჩვენ დაემგებებოდა.

რამდენჯერაც ჩავიდოდი იქ, ზაფხული იქნებოდა, ზამთარი თუ ვაზაფხული, იან-ვანიჩი მუდამ თავის პოსტზე მხედებოდა, სამასი მეტრი წინ და, თუ საჭირო გახდებოდა, სამასი უკან.

ხეებში კარგად ვერ ვერკვევი და იან-ვანიჩს ეკითხებოდა რაღაცას ხეებზე...

— ბავშვებმა ჩავვიარეს...

— გამარჯობათ, ბაბუი იანი!

— გამარჯობათ, იან-ვანიჩი!

ყოველი ბავშვი თავის ენაზე ესალმება იან-ვანიჩს და ისიც, მგონი მთელი ოლქის ბავშვებს იცნობს, ყოველი მათგანის სახელი იცის, თავ-თავის ენაზე პასუხობს.

იან-ვანიჩი ბაბუა არ არის, თითქმის ჩემი ხნისაა, დიდო-დიდი, ხუთი წლით იყოს უფროსი, ომი ერთად გამოვიარეთ.

იან-ვანიჩი მეუბნება, რომ იმანაც სრული ოთხი წელიწადი ვაბარა ფრონტზე.

იან-ვანიჩი კეთილია, საოცრად ინტელიგენტური და გულთბილი. ყველაფერი ესმის, ბავშვებიც უყვარს და...

ორი ციყვი ხეზე დახტოდა, მერე ღობეზე გაიბრინეს და ძირს ჩამოხტენ.

— ვაი, მანქანის ქვეშ არ მოხვდნენ, — შეწუხდა იან-ვანიჩი. — სულელები.

ციყვები თითქმის მოშინაურებული არიან, ერთს წითური კუდი აქვს, მეორეს ნაცვარი, ხალხის არ ეშინიათ, არც მანქანების, თვალის დახამხამებაში გადობრინეს ქუჩის მეორე მხარეზე, მდინარისკენ.

— დაბრუნდებიან, — მითხრა იან-ვანიჩმა და მხარუნელობით დაუმატა: — ისევ აქეთ გამოიქცევიან. უბედურება რამ არ შეემთხვეთ. თვალი უნდა მივადევნო. სულიერება, სულიერები!

იან-ვანიჩს ბუნება უყვარს, ციყვებიც უყვარს, ხეებიც, ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ბუნება მეგზოვებს არ ანებებოდა. მეგზოვებისთვის კარგია მყარი ზაფხული, მყარი ზამთარი, წესიერი იან-ვანიჩი ვაზაფხული და შემოდგომა.

ბუნება კი, ვაგლახ! ურევს. და აი — შემოდგომა. ფოთლები. ფოთოლცვენა...

ფოთლები, ფოთლები, ფოთლები. თურმე რა სხვადასხვაგვარები არიან.

— ეს ცაცხვია, — მეუბნება იან-ვანიჩი, — ეს კი ალვა.

გროვიდან ერთიმეორის მიყოლებით ამოაქვს ფოთლები და მიხსნის:

— ეს მუხია...

— ეს ნეკერჩხალი...

— ეს აკაცია...

— ეს კი ჩვენი — რუსული! არყის ხე... ჭერ მთლად მწვანეა!

კაცები და ქალები, გოგონები და ბიჭები, ჩვენგან მარცხნივ და მარჯვნივ, წინ და უკან, ჩვენგან კარგა მოშორებითაც იან-ვანიჩით ებრძვიან ფოთლებს დილით, დღისით, საღამოს. ხვეტავენ არყის ხის ტოტებისგან შეკრული მაგარი ცოცხით. ყველა ისინი, როგორც ჩანს, იან-ვანიჩის მეგობრები არიან, ისინიც მეგზოვებია, ან მეგზოვების შეილები და ახლა ზოგი მათგანი დაგვიანებული, მაგრამ გონიერული მოდის მიხედვით არის გამოწყობილი, ნარინჯისფერი ან მოყვითალო-მოვერცხლისფრო ელიტი აცვიათ, რომ შოფრებმა დროზე შენიშნონ და მანქანა არ დააჯახონ.

— თქვენ რატომ არ იცვამთ, იან-ვანიჩი ასეთ ელიტს? — ვკითხე მეგზოვებს.

— რად მინდა? ციყვი ხომ არა ვარ, რომ უგუნურად გავენთო გზაზე. — მიპასუხა მან.

და კვლავ ფოთლებზე.

მეოცე წელია ამ მხარეში ჩამოვდივარ, ვხედავ ყველაფერს, რაც უკეთესობისკენ იცვლება და რაც ჭერ კიდევ ძველებურად რჩება, მაგრამ ასეთი ფოთოლცვენა ჭერ არ მინახავს.

მიხარია, თან იან-ვანიჩი მეცოდება.

— შე ყველაფერი მიყვარს, — მეუბნება ის. — პენსია დამინიშნეს, მაგრამ მუშაობას თავს არ ვანებებ. ჯამაგირი ახლა კარგი მაქვს. ამას ჰქვია ცხოვრება!

— ნუთუ უკვე პენსიაზე ხართ?

— მეკუთენის, მაგრამ ხომ ხედავთ, მაინც ვმუშაობ...

და კვლავ ფოთლები, ფოთლის ზღვა: ნეკერჩხლის, მუხის, ცაცხვის, ალვის, თხმელის, ვერხვის, არყის, აკაციის და კიდევ რამდენიმე უცნობი ბუჩქის, რომელთა შესახებ ჯერ არ მიკითხავს ინვანიჩისთვის. მიფრინავენ ფოთლები, ეკვრიან სველ ასფალტს. ტროტუარების გასწვრივ მიჰქრებიან მანქანები, ძველი თუ ახალი, კარგად შენახული „პობედები“ და უკანასკნელი მოდელის „ვოლგები“, „მოსკვიჩები“, „ზაბოროეცები“, „ფიგულები“, ნამდვილი ავტომობილის მსგავსი — ინვალიდთა ეტლები, მიჰქრებიან, ფოთლის კორიანტელს აყენებენ, მაგრამ ფოთლები კვლავ ფარფატივით ეშვება ასფალტზე, ბებერი, ახალგაზრდა და ნორჩი ხეების ნორჩი ფოთლები, თავისი დღე რომ ვერ შეისრულებს.

— კარგა ცხოვრობს ახლა ხალხი, — მითხრა ინვანიჩმა. — კაცი აღარ დარჩა, მანქანა რომ არ ჰქონდეს. უფრო მეტად კი „ფიგულს“ ეტანებიან.

ზღვაურმა დაუბერა და თოლიები მდინარისკენ გაფრინდნენ, იქ უფრო სიმყუდროვე იყო. ზღვა და მდინარე გვერდივერდ არიან აქ, მიწის ვიწრო ზოლი დევს მათ შუა, იმ ზოლზეა ჩვენი ქუჩა, ტროტუარები, რკინიგზა, სახლები. როგორც კი ზღვა აღელდება, თოლიები მდინარის მეჩჩეზე გადიდებიან, მყუდრო ადგილს ეძებენ, ვადაუქროლებენ გზას, მანქანებს, სახლებს, მიისწრაფვიან მდინარისკენ, რომ მერე, როგორც კი ზღვა მიყუჩდება, უკან დაბრუნდნენ.

— უკეთეს ადგილს ეძებენ, — ისე მითხრა ინვანიჩმა თოლიებზე, თითქოს ჩემი ფიქრი გამოიცინოთ. — მერე და რას პოულობენ? სიკვდილს. მეცოდებიან.

— არ ვიცი, რას პოულობენ თოლიე-

ბი, მაგრამ მე მაინც დამინიშნეს მუშაობა. ეს მტაცებელი ფრინველი, ზღვა და ეს მდინარე კი მიყვარს.

ზღვა აქ ზაფხულშიც ცივია, მდინარე კი თევზაობის მოყვარულებს არ ანებივრებს. მე და ჩემი ვაჟიშვილი რამდენჯერმე წავედით სათევზაოდ, ყოველი ღონე ვინმართ, მაგრამ ამოდ, ვერაფერი დავიჭირეთ.

და მაინც ორივე მშვენიერია, ის ზღვაც და ის მდინარეც, განსაკუთრებით მათი ორთაბრძოლის დღეებში. შტორმის დროს ზღვა მდინარის შესართავს ასკდება, გზას უღობავს, არ აძლევს საშუალებას, რომ თავისი მტნარი წყალი მის მლაშე წყალს შეურიოს და მაშინ მდინარე მძვინვარდება, ნაპირზე გადადის, ტბორავს მეჩჩეებსა და ენძულებს, პატარა ხევებს, მდელოებსა და ყველას ჯიბრზე ხალხისკენ მიისწრაფვის. ხალხი იძულებულია დატოვოს სახლ-კარი, წაასხას საქონელი, წაიყვანოს ბავშვები, მაგრამ ადამიანები, რასაკვირველია, კვლავ უბრუნდებიან თავის სახლ-კარს და მდინარეც იცის ეს, იგი ხალხის წინააღმდეგ არ არის ამხედრებული, ზღვის წინააღმდეგია. მდინარე ზღვაზე მშვიდია.

— მდინარე ღლებს თოლიებს. როცა ქარი მიწიდან უკან ერეკება მათ, ზღვისკენ, — მიხსნიდა ინვანიჩი, — მავთულებს ასკდებიან.

მავთულებზე არ ვფიქრობ, კიდევ ერთი ფოთოლი დავინახე, ეჭვსთითა, თითქოს მეცნო, მაგრამ ამ კუთხეში არ ველოდი მასთან შეყრას, თან ერთი კი არა, მრავალი იყო, დიდები, კომბოსტოს ფოთოლივით, ცოტა მომცროც, მწვანე, გაყვითლებული და წითელიც.

— ეს ხომ წაბლია, — ამიხსნა ინვანიჩმა. ახლა, თითქმის უკრაინულ კილოზე ლაპარაკობდა. — ოღონდ ეს გარეთული წაბლია, არ იქმნება.

მე კი მეგონა, რომ წაბლი მარტო კივში და სამხრეთ რუსეთში ხარობს.

მუდამ გზადაგზა ვსაუბრობდით. არ მინდოდა ინვანიჩისთვის საქმეში ხე-

ლის შეშლა, მოცდენა. საკუთარ დროსაც ეზოგავდი. სამუშაოდ ვიყავი იქ ჩასულა.

იმ წელს იან-ვანიჩის სიბერე დაეტყო. თუ შემოდგომის, ამ ფოთლების ბრალი იყო? უწინ არ ვყოფილვარ იქ შემოდგომაზე, მაგრამ შემოდგომაც და ფოთო-ლცეენაც მანამდე ხომ იყო.

იან-ვანიჩს გაქუთული ქუდი ეხურა, გაზინთული, დალაქიებული ბაფთი ჰქონდა ქუდზე შემოვლებული. სახე, რა თქმა უნდა, ძალიან ახალგაზრდული არა ჰქონდა, მაგრამ არც ბებრული. ბოლოს და ბოლოს, ჩემ სახეს რომ შეეხედო? ჩემსას ვერ ვხედავდი, მაგრამ მგონია, იან-ვანიჩს ჩვეულებრივი სახე აქვს, კეთილი, ალერსიანი, ირგვლივ ყველაფერს რომ ყურადღებით აკვირდება.

ხელები ღონიერი. რომ შეხედავთ, როგორ მუშაობს, შეგმურდებათ. იან-ვანიჩივით მეც ძველი ჯარისკაცი ვარ, მაგრამ ასეთი ძალა და სიძარჯვე არა მაქვს.

ქარგი სიტყვები ვუთხარი იან-ვანიჩს თავის ხელებზე.

— რას ვიხამ! ასეთი სამუშაო მაქვს! ეჩვევა კაცი! — მითხრა იან-ვანიჩმა.

გვერდით ისევ ჩაგვიარა ხალხმა.

— გამარჯობათ, იან-ვანიჩ!

— საღამო, ბაბუა იან!

ზოგ ბავშვს იან-ვანიჩი რუსულად პასუხობს, ზოგს თავის ენაზე.

ქალები ბაზარში და მაღაზიაში მიიჩქარიან, ყველა ესალმება იან-ვანიჩს. იან-ვანიჩი მანდილოსნებს ქუდს უხდის. თავს უკრავს, ზოგს ამბავსაც გამოჰკითხავს. საოცარია, ყოველ მათგანს თავისებურად მიუდგება, ერთს რუსულად გაესუბრება, მეორეს უკრაინულ და ბელორუსიულ კილოზე გამოელაპარაკება, ქართული გენაცვალე და კაცოც არ ავიწყდება...

როცა იან-ვანიჩის გვერდით ვარ, მეც უნდა მივესალმო მის ნაცნობებს და მათ მოკლე საუბარს დავესწრო. მაღლობა ღმერთს, იქ არავინ მიცნობს იან-ვანიჩის გარდა. ზოგჯერ იან-ვანიჩი გვერდით

ჩავლილ მანქანებს უკრავს ხმებს, მანქანების ესალმება, არ ვიცი. მიყვარს იან-ვანიჩთან საუბარი, დრო კი ყოველთვის არა მაქვს, ზოგჯერ გავურბივარ.

რამდენიმე დღის წინ ასევე გავმეცი და ვნანობ.

როგორც ყოველთვის, წუთით შეეჩერდი, რომ იან-ვანიჩისთვის ორიოდ სიტყვა მეთქვა. ამ დროს ვილაღ მოხუცი მანდილოსანი მოვიდა, სიმპათიური ქალი ჩანდა, კეთილი, გამოელაპარაკა იან-ვანიჩს, მეც რამდენიმე შეკითხვა მომცა. ვუპასუხე. უფრო ის ლაპარაკობდა. იან-ვანიჩი ჩვენ საუბარში ჩაერია, რაღაც ფრაზა ჩაურთო ხორხისმიერ გერმანულ ენაზე.

